კვირის პალიტრა

მზე

N18(203) 29/IV.-5/V.2004.
ფასი 60 თ.

1168
2004

თევზ – ეგზოტიკური სხეულები ოჯახში

ლომი – ინგა, ბეელი – პი-პ, ნიანგი – ალბალლომი და სხვები

პირველი პაემანი – მაკა ასათიანი: „სიყვარული ჯანმრთელობაზე მეტად საჭიროა“

რას ველოდოთ მაისში – ასირიელი ასტროლოგის პროგნოზი

სასიძო – „საკაშვილი-2“: არამატყუარა გოგონების საყურადღებოდ

ვინ უნოდა უნიჭოები, რატომ არ განახლდა „ჩვენი ეზო“ და რას აპირებს გია ჭანტურია

დეტექტიური ქანრის მოყვარულთათვის

დოკუმენტური მოთხრობების კრებული



იკითხეთ საგაზეთო ჯიხურებში და წიგნის მაღაზიებში

ფასი 2,5 ლარი

№18 (203)
29 აპრილი – 5 მაისი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
გაუმარჯოს პირველ მაისს – ქართველ უმუშევართა დღეს!.. 3
ერთი კითხვა 4,6
პოლიტიკა
რამდენად რეალურია საქართველო-რუსეთის ურთიერთობის დათბობა? 5
ეკრანი
ვინ უწოდა უნიჭოები, რატომ არ განახლდა „ჩვენი ეზო“ და რას აპირებს გია ჭანტურია 7
საპატარძლო
„გეუბიცებით, ნინოს ტელევიზორში ვკოცნი ხოლმე“ 9
სასიძო
„სააკაშვილი-2“: არამატყუარა გოგონების საყურადღებოდ!.. 10
პირველი პაემანი
„მეც მითქვამს მამაკაცისთვის პირველად და... ყველაზერი კარგად დამთავრებულა“ 12
ნამდვილი ამბავი
„წილაობა“ იმერულად 13
ჭრელი მსოფლიო 13,37,62
კრიმინალი
● ახალგაზრდებმა კაცს ცემით ამოხადეს სული 14
● დაზარალებულები სასამართლოს მიერ გამართლებულის დასჯას მოითხოვენ 15
თემა
ეგზოტიკური ცხოველები ოჯახში ანუ ინგა მაინც ლომი იყო 17
ბედი კაცისა
უკანონო განაჩენს შეწირული ახალგაზრდობა, საბედისწერო კურიოზი ძაღლთან და სტალინის დროინდელი ქართული და რუსული ციხეების ტრადიციები 20
გზავნილები
„ბევრ მივხვდი, რომ ისევ ძალიან მიყვარდა“ 24
თანამემამულე
ევროპაში მოქმედი ამერიკული რადიოს ქართველი რედაქტორი 28
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 30
საზღვრებს მიღმა
ქართული სათვისტომოს დაუვიწყარი საღამოები – ათენის ცის ქვეშ 30

პოლიტიკა – აუნია თუ არა კრემლმა ლუჭკოვს ყური?



ერთი შეხედვით, „ყინულმა დნობა“ დაიწო. რატომ შეცვალა რუსეთმა საქართველოსთან ურთიერთობის ტაქტიკა? რა არის ეს – პოლიტიკური თამაშების მორიგი რაუნდი, თუ ურთიერთობის „სუფთა ფურცლიდან“ დაწყების მცდელობა?..

5

„მეც მითქვამს მამაკაცისთვის პირველად და... ყველაზერი კარგად დამთავრებულა“

გოგონებს ვურჩევდი, რომ პაემანზე ჩაიცვან ის სამოსი, რომელიც ყველაზე მეტად უყვართ და რომელშიც თავს კარგად გრძნობენ. პირადად მე, ურთიერთობა წინასწარ არასოდეს დამიგეგმავს. რა თქმა უნდა, პაემანზე რას ვიტყოდი, არც იმას ვგეგმავდი. ყოველთვის დინებას მივყვებოდი ხოლმე...

12

ეგზოტიკური ცხოველები ოჯახში ანუ ინგა მაინც ლომი იყო

დილაობით კუს ტბაზე ასეირნებდა, სადაც დამფრთხალი ადამიანები აქეთ-იქით გარბოდნენ. მეტსაც გეტყვით – ერთხელ, მერაბმა ინგა მეგობრის ქორწილში წაიყვანა, მერვე სართულზე ლიფტით ააბრძანა და მექორწილეებთან შეიყვანა...

17

„სააკაშვილი-2“: არამატყუარა გოგონების საყურადღებოდ!..

ახლა ჩემი გული თავისუფალია. წინათ, ხანმოკლე „სიყვარულები“ მქონია, მაგრამ სერიოზული გრძნობა – არასოდეს. აი, ახლა, ჩემი ინტერვიუ რომ დაიბეჭდება და გოგონები გამომეხმაურებიან, მერე ვნახოთ. იქნებ, მართლაც მეწვიოს სიყვარული.

10

შოუმენი
პირველი ქართველი სტეპმენი 32
ტაძარი
რა უნდა ვიცოდეთ
მონაგვნობასთან დაკავშირებით 34
დიდოსტატი
ბუმბერაზი შემოქმედი,
უბადლო მებადური, თამადა... 35
ფავორიტები 38
სპორტული მოზაიკა 39
ავტო 41
რომანი
რუსუდან ბერიძე.
თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42
ვარსკვლავი
რიჩარდ გირი:
ჩემი ბედის ბორბალი
კანონგზომიერ ბრუნვას განაგრძობს 46
ბომონდი 48
მოგზაურის დღიურები
ნიაგარის ჩანჩქერზე
გამგზავრების მოლოდინში 49
იქნებ, თქვენ გეძებენ! 52
ასტროლოგი
რას ველოდოთ მაისში –
ასირიელი ასტროლოგის პროგნოზი 54
ტესტი
ერთგული მკითხველი 55
საკითხავი ქალებისათვის
● რა ხერხს მიმართავენ ქალები
სილამაზის შესანარჩუნებლად 56
● რეცეპტები დიასახლისებისთვის 56
ჯანმრთელობა
● გაზაფხულის ალერგიული
პრობლემები 57
● ქალებო – ვებრძოლოთ
ცელულიტს 58
იუმორი 59
ჰოროსკოპი
კვირის (3-9 მაისი)
ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
ტესტი
განსაგღვრეთ საკუთარი
აგრესიულობის ხარისხი 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

შკანონო განაჩენს შეწირული ახალგაზრდობა

„თქვენი ჟურნალის წინა ნომერში, რუბრიკა – „ბედი კაცისაში“ ინტერვიუ წავიკითხე – ჩემზე ძალიან იმოქმედა, მეც ბედის უკუღმართობის მსხვერპლი გავხდი... სახელის გამოაშკარავებისგან ყოველთვის თავს ვიკავებდი. შვილებს ვერიდებოდი. ერთი წლის წინ კი ყველაფერი სულერთი გახდა“...

20

ბომონდი – ცოლყოფილის ქორწილში ქმარი ხელისმომკიდედ მოგვევლინება



41 წლის დემი მურმა საკმაოდ გაბედული ნაბიჯი გადადგა და 26 წლის ეშტონ კატჩერს ცოლად მიჰყვება. მისი ყოფილი ქმარი ბრიუს უილისი, დემის თხოვნით, ქორწილში ხელისმომკიდე იქნება, რათა მათმა შვილებმა „ახალი მამა“ უპრობლემოდ მიიღონ...

48

მოგზაურის დღიურები – ნიაგარის ჩანჩქერზე გამგზავრების მოლოდინში



...ჩემი მორიგი კლიენტი, რომლისთვისაც ცელოფანის საამქროს დანადგარები კოლუმბუსში უნდა გადამეტანა, ორთოდოქსი ებრაელი აღმოჩნდა, თანაც – ნამდვილი პედანტი.

– მე დილით გელოდით, რატომ დაიგვიანეთ? – ისე შემომიღრინა, თითქოს მისი ქვეშევრდომი ვყოფილიყავი...

49

თავისუფალი თემა

– შეიძლება, ჩემი ნათქვამი ახლა სიგიჟედ მოგეჩვენოთ, მაგრამ მგონი, ლუკას გამტაცებლების კვალს მივაკვლიე...

– რას გულისხმობ? – ხმაში აღელვება დაეტყო გიორგისაც.

– რას და ზუსტად ასეთი საათი დღეს დილით ერთი ადამიანის ხელზე ვნახე...

42

გაუმარჯოს პირველ მაისს – ქართველ უმუშევართა დღეს!..



იყო დრო, როცა ამ მნიშვნელოვანი თარიღისათვის საგანგებოდ ვემზადებოდით, რომ თითოეული სკოლა, ინსტიტუტი თუ სამსახური, რაც შეიძლებოდა, ლამაზად გამოვსულიყავით „პარადზე“, ხელი დაგვექნია ტრიბუნასთან მდგარი მთავრობის წევრებისათვის: ჩვენც ვუქნევდით, ისინიც გვიქნევდნენ და ვიყავით კმაყოფილები და „დაქნეულები“. დიქტორიც გამოთქმით აცხადებდა: „ტრიბუნას უახლოვდებიან 31-ე ქარხნის მოწინავე მუშები, რომლებმაც არავის დაუთმეს სოცშეჯიბრების გარდამავალი წითელი დროშა.“ ეჰ, რა დრო იყო!..

არა, დრო ახლაც კარგია და არ გვაკლია დღესასწაულები: ჯერ მარტო, არჩევნებს ვატარებთ და ვაუქმებთ წელიწადში ოთხჯერ; ამას ემატება სიყვარულის დღე, ახლახან შევიტყვე, რომ „გადადექი, გადადექი“-ს დღესაც აწესებს პარლამენტი და ათასი რამ, მაგრამ გული მწყდება, „პარადები“ რომ აღარ ეწყობა...

ხომ შეიძლება, პირველი მაისი დღესაც აღინიშნებოდეს ამ სახალხო რიტუალით?! მართალია, ფაბრიკა-ქარხნები აღარ მუშაობს, მაგრამ მუშაობს ბაზრობები, კომერციული ჯიხურები, საუნები, ბორდელები, ყვავის სპილენძის ბიზნესი, შოუბიზნესი და ა.შ. ჰოდა, მოვაწყოთ საპირველმაისო „პარადი“ რესპუბლიკის მოედანზე და ძველებური ზარ-ზეიმით აღვნიშნოთ „მშრომელთა საერთაშორისო და ქართველ უმუშევართა დღე“... აბა, წარმოიდგინეთ, რა კარგი იქნება:

„პარადს“ გახსნის ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც თავის მოხსენებაში შეეხება ისეთ თემებს, როგორებიცაა: „ეკონომიკური აღმავლობა და აბაშიძის ფეოდალური რეჟიმი“, „სოციალური პირობები და აბაშიძის ფეოდალური რეჟიმი“, „ქართული ჯარი და აბაშიძის ფეოდალური რეჟიმი“ და „გილოცავთ პირველ მაისს და აბაშიძის ფეოდალური რეჟიმი“...

„პარადის“ დიქტორობას „იმღერე რაცხას“ წამყვანი იკისრებს, რომელსაც ბადალი არა ჰყავს ორატორობაში; დემონსტრაციას გააფორმებს მუსიკალური ბენდი დათო ილურიძის ხელმძღვანელობით და წავიდა: „ცუმპა-რამპა, ცუმპა-რამპა“... პირველად ჩაივლიან ქართული ესტრადის ვარსკვლავები, ლექს-სენის მუსიკაზე „ეს ჩემი სიმღერები საოცარი სენია“. მომღერლები, რა თქმა უნდა, ტაქტში ვერ ჩაჯდებიან, ფეხს ვერ აუწყობენ და არეულად გამოვლენ; მერე ბენდი „ქალო ნარინჯიანოს“ დასცხებს და ტრიბუნასთან ნარნარით ჩაივლიან პარლამენტისა და კანცელარიის მშვენიერი სქესის წარმომადგენლები, პრეზიდენტი გადმოხედავს ზემოდან ფერმის მამალივით და „ბის“-ზე მათ გამოსვლას მოითხოვს...

მხიარულება იმატებს, დიქტორი აცხადებს: „ტრიბუნას უახლოვდებიან „დეზერტირების“ ბაზრის მწვანილისა და ბოსტნეულის განყოფილების მოწინავე მოვაჭრეები“ და ისინიც ჩაივლიან ოხრახუშისა და ქინძის კონებით ხელდამშვენებულები: მათ უკან მოჰყვებიან ლიფტების, ტრანსფორმატორებისა და ტროლეიბუსის ხაზების ძარცვის მოწინავენი, რომლებმაც ხუთწლედის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და ათასობით ტონა სპილენძი, ალუმინი და სხვა ფერადი ლითონი გაიტანეს თურქეთში.

ახლოვდება ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო კოლონა. ვინ არიან ესენი? – რა თქმა უნდა, ბიუჯეტის შევსების გმირები, რომლებმაც გარკვეული ხნის განმავლობაში ორთაჭალის „ხუთვარსკვლავიან სასტუმროში“ დაისვენეს და მილიონობით ლარი შემატეს ქვეყნის ბიუჯეტს – ვაშა, ამხანაგებო! უჰ არა, ბატონებო, ვაშა!..

მთავრობა კმაყოფილია და აპირებს, ასეთი „პარადი“ 7 ნოემბერსაც მოაწყოს, 8 მარტსაც და 23 თებერვალსაც... ისმის მუსიკა „მოდი, აქ დაჯექ, ქალო“ და ტრიბუნას უახლოვდებიან „იატაკქვეშა“ საუნებსა და ბორდელებში მომუშავე „მოწყალების დაიკოები“, რომლებიც მუდამ მზად არიან, საკუთარი კვნესისა და ოხვრის ფასად სიამოვნება მიანიჭონ ათასობით მამაკაცს. მათ ხელში სადღესასწაულო ტრანსპარანტებიც უჭირავთ: „50-პროცენტიანი ფასდაკლება 1-დან 9 მაისამდე“... (9 მაისამდე ალბათ იმიტომ, რომ უნდათ სამამულო ომის ვეტერანებსაც ხელახლა განაცდევინონ „ბერლინის აღება“)...

დემონსტრაციას კი მარშით დახურავს ქვეყნის სიძლიერის სიმბოლო – ქართული ჯარი. უფრო სწორად, მისი ელიტარული ნაწილები, „ნატოს სტანდარტებით“ აღჭურვილნი, ცალ ფეხზე ჩექმით, მეორეზე – ერევნის „ადიდასის“ ბოტასით, ზურგზე სანადირო ორლულიანი თოფით და ხელში წინა მინისტრის დროინდელი „რაგატკით“...

აი, ასეთ ლამაზ დღესასწაულად შეგვიძლია ვაქციოთ ეს მივიწყებული თარიღი და ნეტავ, რატომ არ ვშვრებით?!

P.S. ქმარი ეუბნება ცოლს:

– სად მიდიხარ, ქალო, ამ უთენია?

– სად მივდივარ და „პარადზე“. დღეს 8 მარტია და ქალთა „პარადი“ ტარდება.

– ტანზე მაინც ჩაგეცვა რამე, მარტია, არ გაცივდე!..

– ჩამეცვა კი არა, რაც მაცვია, ესეც უნდა გავიხადო: ეგება, მოვეწონო მთავრობას და პარლამენტში მიკრას თავი...

პროვოკატორი

„მთავარი პრობლემა არაპროფესიონალიზმია...“

— ხელისუფლება ეკონომიკურ სფეროში მიღწეულ წარმატებებზე საუბრობს და აცხადებს, რომ ბიუჯეტი გადაჭარბებით სრულდება. რამდენად საფუძვლიანია მთავრობის მიერ გამოტანილი ეს დასკვნა?

სანდრო თვალჭრელიძე, *ეკონომიკური ექსპერტი:*

— ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულებაზე საუბარი სრულიად უადგილოდ მეჩვენება. შარშანდელი ბიუჯეტი 250 მილიონი ლარით გაირღვა. მთავრობას უნდა, დაგვარწმუნოს, რომ ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულება ნიშნავს, შარშანდელი ჩავარდნილი ბიუჯეტის მთლიან ხარჯებს 1 ან 2 პროცენტით თუ გადააჭარბებენ. რეალურად კი, ჩვენი ეკონომიკა სტაგნაციაშია. ყველა ელოდება საგადასახადო შეღავათებს, არ მიმდინარეობს სხვადასხვა სფეროს დაკრედიტების პროცესი, ბანკებიდან კრედიტს არავინ იღებს. მეწარმეები ელოდებიან კანონს ეკონომიკური ამნისტიის შესახებ და ამასთანავე, საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას. თუმცა ახალი საკანონმდებლო ბაზა უნდა იყოს ძალზე სრულყოფილი, ითვალისწინებდეს ყველა ნიუანსს, რაც არ ახასიათებს პროექტს, რომელსაც ფინანსთა სამინისტრო ამუშავებს. ექსპერტთა აზრით, ცვლილებები, რომელიც მზადდება, სრულიად დაანგრევს საქართველოს ეკონომიკას. ჩვენი მთავარი პრობლემა, იმ ადამიანების არაპროფესიონალიზმია, რომელთაც ეკონომიკური სფეროს მართვა ევალებათ. საქართველოსთვის სრულიად უცხოა სტრატეგიული დაგეგმარება, რომლის პრიორიტეტების განსაზღვრა არც ფინანსთა მინისტრს შეუძლია და არც ეკონომიკის სამინისტროს. თუ ქვეყნის ეკონომიკური მართვის პრინციპები არ შეიცვალა, კრიზისის გაღრმავება გარდაუვალია. შეიძლება, ახალგაზრდა, გამოუცდელ კადრებს კარგი იდეები ჰქონდეთ, მაგრამ მართვა და გადაწყვეტილებების მიღება სხვა კატეგორიაა — მას გამოცდილების გარეშე თავს ვერ გაართმევ. ამ ეტაპზე, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს განგებ ჭიანურდება ბიუჯეტის დამტკიცების საკითხი. ეს ქვეყანას სასიკეთოდ არ წაადგება, მთავრობას კი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს. თუ ასეთი მიდგომა არ შეიცვალა, ეკონომიკურ წინსვლას კი არა, მწვავე კრიზისის ჩამოყალიბებას უნდა ველოდოთ. ■

„ცუდი გამოცდილების მქონე პიროვნებებს, საქმის კეთების სურვილით მოსული ადამიანები სჯობიან“

— ქალბატონო ნინო, ახალი მოწვევის პარლამენტს დაძაბული კანონშემოქმედებითი მუშაობა მოუწევს. მისი ძირითადი შემადგენლობის გამოუცდელობა როგორ აისახება პარლამენტის ქმედუნარიანობაზე?

ნინო გურჯანაძე, *პარლამენტის თავმჯდომარე:*

— ერთი მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მთავრობასა და პარლამენტში ახალგაზრდა, ნიჭიერი ადამიანები მოვიდნენ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დროს, მათ მეტი გამბედაობის გამოჩენა შეუძლიათ. თუმცა, გამოცდილებაც არანაკლებ აუცილებელია, ამიტომ ახალგაზრდული ენერგიისა და გამოცდილების კომბინაცია უნდა მოხერხდეს. რა თქმა უნდა, ისიც უდავოა, რომ ცუდი გამოცდილების მქონე პიროვნებებს, საქმის კეთების სურვილით მოსული ადამიანები სჯობიან. ამ შემთხვევაში, პრიორიტეტულად მხოლოდ იმის აღიარება, თუ ვინ მიიღო უცხოეთში განათლება და ვინ — არა, არასწორად მიმაჩნია. ასეთი ახალგაზრდები, ხშირ შემთხვევაში, ამართლებენ. მაგრამ მათი კეთილსინდისიერად მუშაობის გარანტიას ეს ვერ იძლევა. იმედი მაქვს, რომ ახალი მოწვევის პარლამენტი კონსტრუქციული მუშაობის პირობებში შეძლებს, თავი გაართვას ნაკისრ ვალდებულებებს. სამუშაო კი, ნამდვილად ბევრია: კონსტიტუციის სრულყოფა, ტერიტორიული მოწყობის საკითხი, ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნა, საგადასახადო კოდექსი და სხვა უმნიშვნელოვანესი, პრიორიტეტული საკითხები. პირადად მე, უკვე დიდი გამოცდილება მაქვს მიღებული. გვყავს სერიოზულ თანამოაზრეთა გუნდი, ამიტომ ახალი პარლამენტი საკმაოდ ძლიერი და ქმედუნარიანი იქნება. ■

„...რომ სამართალდამცავებს მუშაობის მეტი თავისუფლება მიეცეთ“

— იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული ახალი კანონპროექტი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებისათვის ქონების ჩამორთმევას ხომ არ ისახავს ძირითად მიზნად?

გიორგი პაპუაშვილი, *იუსტიციის მინისტრი:*

— ცნებაში — „რეკეტული საქმიანობა“ — გაერთიანდება ყველა მძიმე კატეგორიის დანაშაული: მკვლელობა, წამება, გაუპატიურება, ადამიანებით ვაჭრობა, მუქარა, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, ძარცვა, ყაჩაღობა, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა — ეს იმ შემთხვევაში, თუ პირი დანაშაულს სხვადასხვა სახის გამოძალვისათვის სჩადის. ამ საკანონმდებლო ინიციატივის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სამართალდამცავებს მუშაობისას მეტი თავისუფლება მიეცეთ, რათა ბრძოლა განახორციელონ არა მარტო თანამდებობის პირთა უკანონო ქმედებების, არამედ ე.წ. კანონიერი ქურდებისა და მაფიოზური დაჯგუფებების წინააღმდეგ. კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, სამართალდამცავებს, არაკანონიერი გზით მოპოვებულ ქონებაზე ყადაღის დადებისა და სახელმწიფოს სასარგებლოდ მისი ჩამორთმევის უფლება ეძლევათ. „რეკეტული საქმიანობა“ დაკავშირებულია ქონების ან ფულის გამოძალვასთან, რომელსაც ახასიათებს ორგანიზებული, სისტემური ხასიათი. ყველა პირი, რომელიც ამგვარ საქმიანობაში იქნება მხილებული, ახალი კანონის შესაბამისად დაისჯება. რაც მთავარია, დამნაშავე პირი ვერ შეძლებს პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებას, რადგან იგი პასუხს აგებს საკუთარი ქონებითაც. ■



აუნია თუ არა კრემლმა ლუჟკოვს ყური?

რამდენად რეალურია საქართველო-რუსეთის ურთიერთობის დათბობა?

ხათუნა მაღრაძე

რუსეთის ხელისუფლება ახალი ინიციატივით გამოდის და სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან დაკავშირებით საქართველოს მოლაპარაკების მაგიდასთან იწვევს. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ორ ქვეყანას შორის კონსტრუქციული დიალოგისა და თანამშრომლობის ახალი ეტაპი იწყება. პრეზიდენტ საკაშვილის რუსეთში ვიზიტის შემდეგ, ოფიციალური მოსკოვი სტრატეგიულ პარტნიორობაზე ალაპარაკდა და სეპარატისტების მიმართ ღია მხარდაჭერას აღარ აფიქსირებს.

ერთი შეხედვით, „ყინულმა დნობა“ დაიწო. რატომ შეცვალა რუსეთმა საქართველოსთან ურთიერთობის ტაქტიკა? რა არის ეს – პოლიტიკური თამაშების მორიგი რაუნდი, რომელიც კონკრეტული გარიგებების მისაღწევად ხორციელდება, თუ ურთიერთობის „სუფთა ფურცლიდან“ დაწყების მცდელობა? რა კომპრომისებზე შეიძლება იყოს საუბარი და რისი დათმობა შეუძლია ქართულ მხარეს? ორ ქვეყანას შორის მუდმივი უნდობლობის ფონზე კი, მთავარ კითხვად მაინც ის რჩება, თუ რამდენად მყარია პრეზიდენტების მიერ განცხადებებით დაფიქსირებული კეთილგანწყობა.

სოსო ცინცაძე, *პოლიტოლოგი:*

– როცა ორ ქვეყანას შორის იწყება „ცივი ომის“ პერიოდის დასასრული და სიტუაციის განმუხტვა, საჭიროა ახლებური დამოკიდებულების მატერიალიზაცია. ჯერჯერობით, „დათბობის“ პროცესი დიალოგის დონეზეა, რაც ყალბი დიპლომატიური რევერანსების გარეშე ხორციელდება. მთელი ათი წლის განმავლობაში, მოსკოვში ვიზიტების დროს, შევარდნაძე რუსეთს სტრატეგიულ მოკავშირედ ასახელებდა, საერთაშორისო სამიტებზე ყოფნისას კი, კრემლის კრიტიკით იყო გართული. შეიძლება ითქვას, რომ ურთიერთობის „ჟანრში“ გარდატეხა, საკაშვილისა და პუტინის შეხვედრის დროს მოხდა, რადგან გაირკვა მხარეთა პოზიციები. რუსეთმა უკვე ზუსტად იცის, თუ რა უნდა საქართველოს ხელისუფლებას. ამ ეტაპზე, ჩვენი ქვეყნის პოზიცია ტრანსპარანტული გახდა. ეს არის ევროკავშირის სტრუქტურებში გაწევრების სურვილი, მაგრამ ამავე დროს, კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთთან.

— რატომ დაიწყო კეთილმეზობლობის დეკლარირება, ვიზების გაუქმების ინიციატივით?

– ეს პრაგმატული გადაწყვეტილება ათასობით ადამიანის ინტერესს უკავშირდება. ამის განხორციელება საქართველოსთვის ხელსაყრელი ნაბიჯი, რუსეთის მხრიდან კი, პირველი კეთილი ნების ჟესტი იქნება. არ მახსოვს, რომ ბოლო 10-15 წლის მანძილზე, მოსკოვს ცალმხრივად გადაედგას მსგავსი ნაბიჯი. სავიზო რეჟიმის გამარტივება, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ტვირთბრუნვის გააქტიურებას. მეორე მხრივ, ჩვენს თანამოქალაქეებს გადაადგილებისას მეტი თავისუფლება ექნებათ. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მაშინ, როცა ასლან აბაშიძე რუსეთისაგან მხარდაჭერას ელოდება, მოსკოვი თავის კეთილგანწყობას საკაშვილის მიმართ აფიქსირებს...

— თქვენი აზრით, ეს გარკვეულწილად, აბაშიძის წინააღმდეგ მიმართული აქციაა?

– რუსეთის ამ ინიციატივამ აჭარის ლიდერს ცივი წყალი გადაასხა. მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის ბათუმში ჩასვლის შემდეგ, ბატონი ასლანი გაბედულ განცხადებებს აკეთებდა, მაგრამ შემდგომში, კრემლმა ლუჟკოვს ყური აუწია, ბათუმს კი აგრძნობინა, რომ ეს საქართველოს საქმეა, აფხაზეთის ეპოპეა წარსულს ჩაჰბარდა და მას მეორე აფხაზეთი არ სჭირდება...

— რატომ შეიცვალა რუსეთმა, თუნდაც აჭარასთან მიმართებაში საკუთარი პოზიცია?

– პირველ რიგში იმიტომ, რომ შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც მცირდება რუსულ პოლიტიკაში გენერალიტეტის გავლენა, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ამ ქვეყნის პოლიტიკური პროფილის განმსაზღვრელი იყო. აფხაზეთის ომის დროს, რუსეთის დუმის სხდომაზე გენერალმა კოლესნიკოვმა (მაშინ ის გენშტაბის უფროსი იყო) განაცხადა: სამ დღეში სოხუმი აფხაზეთის დედაქალაქი იქნებაო... დღეს პუტინმა იმას მიაღწია, რომ ბათუმში მოღვაწე გენერალი, რომელიც არ მოგვწონდა, შეცვალა. მართალია, რუსული გენერალიტეტი დღესაც სერიოზულ ძალას წარმოადგენს, მაგრამ არა იმ მასშტაბებით, რომ აჭარაში აფხაზეთის სცენარის გამეორება შეძლოს. გარდა ამისა, გარე სამყაროს 90-იან წლებში ნაკლებად აინტერესებდა საქართველოში მიმდინარე პროცესები, მაშინ ჩვენი ქვეყანა დასავლეთის სისხლხორცეულ ინტერესებში არ შედიოდა – ისე, როგორც დღეს არის. საქართველოში პრეზიდენტის ინაუგურაციაზე კოლინ პაუელი ჩამოვიდა და რუსეთმა მშვენივრად იცის, რომ ეს ამერიკის გავლენიანი პოლიტიკოსის მხრიდან მოგზაურობის სიყვარულით არ იყო განპირობებული. ჩემი აზრით, რუსეთის მხრიდან კონსტრუქციული დიალოგის დაწყების მთავარი მიზეზი მაინც ის არის, რომ პუტინმა და მისმა პოლიტტექნოლოგებმა კვალიფიცირებულად გააანალიზეს, რომ აფხაზეთში ომის გაღვივებით მათ ვერაფერი მოიგეს, სამაგიეროდ, დაკარგეს საქართველო და დღეს მთლიანად „ჩამოკიდებული“ არიან სომხეთზე – იმ ქვეყანაზე, რომელთანაც საერთო საზღვარიც კი არ გააჩნიათ. სამაგიეროდ, მიიღეს არძინბას რეჟიმი, რომელიც მუდმივი თავის ტკივილია კრემლისთვის.

— თუმცა, რუსეთის მხრიდან ამ კონფლიქტის დარეგულირების მცდელობა ნამდვილად არ შეიმჩნევა, რაც რამდენიმე დღის წინ უშედეგოდ დასრულე-

ბულმა სამმხრივმა შეხვედრამაც დაადასტურა...

— კრემლი დღეს გამოუვალ მდგომარეობაშია: მიატოვოს აფხაზები? რუსეთში ჰყავს ჟირინოვსკისა და მისნაირების მთელი არმია, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს ქმნიან და აშინებენ მთავრობას, რომ ამით რუსეთს არასაიმედო მოკავშირედ გამოაცხადებენ. თუმცა, გარდატეხა ამ კუთხით აუცილებლად მოხდება.

— მაგრამ აუცილებლად იქნება ვაჭრობაც. თქვენი აზრით, რას მოითხოვს რუსეთი „კეთილგანწყობის“ სანაცვლოდ და რისი დათმობის უფლება აქვს საქართველოს?

— დიპლომატია იგივე ვაჭრობაა, ოღონდ — იმ განსხვავებით, რომ გამყიდველების ნაცვლად, სმოკინგში გამოწყობილი პოლიტიკოსები ორაზროვანი გამოთქმებითა და მინიშნებებით ცდილობენ გამარჯვების მიღწევას. დიპლომატია იგივე ბიზნესია, რომელიც კომპრომისებზე უნდა აიგოს. დღევანდელ სიტუაციაში, თუკი რუსეთი დევნილების უსაფრთხო დაბრუნებას უზრუნველყოფს, ამას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება. ამის სანაცვლოდ, საქართველომ შეიძლება, აღადგინოს სარკინიგზო მიმოსვლა, რაც რუსეთს ჰაერივით სჭირდება.

— საინტერესოა ის ფაქტი, რომ რუსეთის ინიციატივა ვიზების გამარტივების საკითხში, თბილისში ბაზების გაყვანასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს დაემთხვა.

— მე არ გამიკვირდება, თუ გავიგებ, რომ ვაჭრობა ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით მიმდინარეობს. მახსოვს პერიოდი, როცა რუსეთი აცხადებდა — ბაზებს არასოდეს გავიყვანო. შემდეგ პარლამენტმა რუს სამხედროებს საქართველოში ყოფნის 25-წლიანი ვადა განუსაზღვრა. სტამბოლის შეთანხმებამ კი, ეს საკითხი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვიტა. ყველას გვინდა, რომ რუსეთის ბაზებმა ხვალვე დატოვონ ჩვენი ტერიტორია, მაგრამ არის ზოგიერთი პრობლემა, რომელიც ეტაპობრივად უნდა მოგვარდეს. ერთი ხელის დაკვრით სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ.

— ყოფილ ხელისუფლებას, ყოველთვის ადანაშაულებდნენ იმაში, რომ საგარეო პოლიტიკაში თანმიმდევრულობით არ გამოირჩეოდა. ახლა თუ არის ეს პრინციპი დაცული?

— მე ვერ ვხედავ თანმიმდევრულობას. ჯერჯერობით, ახალ საგარეო საქმეთა მინისტრს თავი არაფრით გამოუჩენია, შეიძლება ახალია და სიტუაციას ეცნობა, მაგრამ ერთი დაუწერელი კანონი არსებობს: არსებობს ორი სფერო, სადაც უცხოეთში მომზადებული კადრი არ გამოდგება — ესაა უშიშროება და დიპლომატია. ის, რომ სალომე ზურაბიშვილი მაღალპროფესიონალური დიპლომატია, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ფრანგული დიპლომატიის პრინციპებზე აღზრდილი დიპლომატი როგორ მოერგება ჩვენს გასაჭირს, ძნელი სათქმელია. მადლობა ღმერთს, ამ საკითხში მიხეილ საკაშვილი დილეტანტი არ არის, იგი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკური კურსის გამტარებელია. მაგრამ მაინც რჩება სიცარიელე, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა თავისი მუშაობით უნდა შეავსოს...

■

„პოლიტიკური ანგარიშსწორებების სერია გრძელდება“

— რატომ უკავშირებს თემურ ხაჩიშვილის დაპატიმრებას დაცვის მხარე ჟვანიას ფაქტორს და რამდენად კანონიერად მოხდა პოლიტიკური გაერთიანება „დათვის“ ლიდერის ბინის ჩხრეკის ჩატარება?

ვახტანგ თალაკვაძე, ხაჩიშვილის ადვოკატი:

— მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში, თემურ ხაჩიშვილი თითქმის არ ჩანდა პოლიტიკურ ასპარეზზე, მან ზურაბ ჟვანიას წინააღმდეგ რამდენიმე სერიოზული განცხადება გააკეთა. ეს იყო მიმართული პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური ნაბიჯების წინააღმდეგ და არა სუბიექტური კრიტიკა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ხაჩიშვილს სწორედ ეს არ აპატიეს. მისი დაკავება ჩვეულებრივი შანტაჟი და უკანონო ქმედებაა. ჯერ დააკავეს მისი ძმა, რომელსაც პოლიცია ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ყოფნას ედავებოდა. შემდგომ ამისა, სამმართველოს თანამშრომლები ბატონ თემურს დაუკავშირდნენ და უთხრეს — თუ თბილისში არ ჩამოხვალ, შენს ძმას ბრალს წავუყენებთო. იგი ამ დროს რუსთავში იმყოფებოდა, თავს შეუძლოდ გრძნობდა და წამოსვლა ვერ შეეძლო. მაგრამ რუსთავის პოლიციამ თავად მიაკითხა და დააპატიმრა. რაც შეეხება ჩხრეკას, პოლიციამ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, მოსამართლის სანქციის გარეშე გაჩხრიკა სახლი, მოწმეები კი თბილისიდან იყვნენ ჩაყვანილი. ასეთ პირობებში გასაკვირი არ არის ხაჩიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ მას ცეცხლსასროლი იარაღი თავად სამართალდამცავებმა ჩაუდეს. როგორც ჩანს, პოლიტიკური ანგარიშსწორებების სერია გრძელდება. თუმცა, ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ ბატონ თემურს გაათავისუფლებენ.

■

განცხადება

ქართველთა რეზერვების ასოციაციის დამაარსებელი საინიციატივო ჯგუფი

გაუწყებთ, რომ საფუძველი ჩაეყარა ქართველთა უცხოელი ცოლების ასოციაციას, რომლის მთავარი ამოცანაა ამ ქალთა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა და ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის მიზნით, მათ ინიციატივათა კოორდინირება. საქართველოს პირველი ლედი მოხარულია, სათავეში ჩაუდგეს ამ წამოწყებას და პირველი ეტაპისთვის ჩამოაყალიბოს საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ამ იდეას განიხილავს და განსაზღვრავს მომავალი ასოციაციის როლსა და მიზნებს. ჩვენი აზრით, სასარგებლო იქნება, თუ საქართველოში მცხოვრები ან ამ სურვილის მქონე ქართველთა უცხოელი მეუღლეები დაინტერესდებიან, მონაწილეობა მიიღონ ან გაწევრდნენ საინიციატივო ჯგუფში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: merabpipia@yahoo.fr

საინიციატივო ჯგუფის პირველი შეხვედრა დაგეგმილია შაბათს, 22 მაისს, 2004.

გაწევრების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ქორწინების მოწმობა.

არსებობდა ვერსიები, რომ პოლიტიკურ-ანიმაციური სერიალის „ჩვენი ეზოს“ განახლებული პროექტი ახალი წლიდან თუ არა, არჩევნების შემდეგ მაინც გავიდოდა ეთერში. ორივე „დღესასწაული“ წარმატებით ჩავატარეთ, მაგრამ სერიალი არა და არ განახლდა, რის გამოც გადავწყვიტეთ, ინტერვიუსთვის მის რეჟისორსა და სულის-ჩამდგმელს გია ჭანტურიას ვწვეოდით, რომელიც „ჩვენი ეზოს“ გარდა, ბევრ საინტერესო საკითხზეც გვესაუბრა.

ვინ უწოდა უნიჭოები, რაღაომ არ განახლდა „ჩვენი ეზო“ და რას აპირებს მია ჭანტურია

ნათია ქივიძე

— ამჟამად ახალ პროექტს ვამზადებთ, რომლის ფორმატსაც ჯერჯერობით არ ვამხელთ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ამ პროექტში „ჩვენი ეზოს“ პერსონაჟები იქნებიან. სერიალი ალბათ ყოველდღიური გახდება და ძველი პერსონაჟებიდან მასში შევარდნაძე აღარ იქნება.

— ისევ „ჩვენი ეზო“ ერქმევა?

— ჯერ არ ვიცი. ალბათ „ჩვენი ეზო“ აღარ ერქმევა. მინიშნება იქნება იმაზე, რომ „ჩვენი ეზოს“ შემდგომი ეტაპი და წინა სერიალის ლოგიკური გაგრძელება იქნება. სახელწოდებაში შეიძლება, „ეზო“ ფიგურირებდეს ან — „ჩვენი“...

— ამ სერიალის განახლებას ყველაზე გვიან, არჩევნების შემდეგ აპირებდით. რის გამო შეფერხდით?

— ის გზა, რომელიც ახლა ავირჩიეთ, საკმაოდ დიდ მოსამზადებელ პერიოდს მოიცავს. ჩვენთვის ხშირად უკითხავთ — ძველი მთავრობის დროს რომ აკეთებდით მაგ სერიალს, ახლა რატომ აღარ აკეთებთო?.. ქვეყანაში ბევრი რამე შეიცვალა და სერიალის ახალ მთავრობაზე მორგება ცოტა რთული აღმოჩნდა. ის ფაქტორიც თამაშობს გარკვეულ როლს, რომ ახალი მთავრობის იმ დოზით კრიტიკა, როგორითაც ძველ ხელისუფლებას ვაკრიტიკებდით, ცოტა ხელოვნური იქნება. ამიტომ, ისეთი ფორმატი უნდა მოვიფიქროთ, რომელიც ადეკვატური იქნება იმ მოვლენებისა, რაც ჩვენ გარშემო ხდება. ახალი სერიალი უფრო დინამიკურად ასახავს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს, აქცენტი ერთ კონკრეტულ პიროვნებაზე აღარ იქნება გადატანილი.

— და ალბათ, აღარც პოლიტიკით იმდენად გაჟღენთილი იქნება, არა?

— არა, მთლად პოლიტიკური არ იქნება. თითქმის ყველა სფეროს შეეხებით. ძალზე გაგვიგრძელდა მასზე მუშაობა, რადგან რევოლუციის შემდეგ, ვისვენებდით. მანამდე, დღე და ღამე გაერთიანებული გვქონდა და ძალიან გადავიღალეთ. მერე ფიქრი დავიწყეთ ამ ფორმატზე. ახლა პერსონაჟებს ვხვეწთ. რეზო ცოტა გახდა, აღარც ციცოა ისეთი მსუქანი, ცოტა დაიხვეწა; გუბაზი „გასვეტდა“, უფრო კარგად აცვია და ა.შ.

— მისეულ სააკაშვილი თუ მოგვევლინება სერიალის ერთ-ერთ პერსონაჟად?

— მთავარი პერსონაჟი, არც ერთი ცნობილი პიროვნება არ იქნება. ჩვენთვის მთავარია, ეს სერიალი სიცოცხლისუნარიანი იყოს. შევარდნაძის დროს, 2005 წლამდე, გარანტირებული გვქონდა ეს სიცოცხლისუნარიანობა, რადგან მისთვის დამახასიათებელი იყო უარყოფითი თვისებები. რაც შეეხება სააკაშვილს — რაღაც გამოკვეთილი, გარკვეული თვისებები აქვს — ვთქვათ, ჩქარა დადის; ერთხელ გამოვიყენებთ და ვიხუმრებთ, მაგრამ ხშირად ამაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს...

— ეი. სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტი, შენს მოთხოვნებს აკმაყოფილებს...

— სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტი, გია ჭანტურიას, როგორც მოქალაქის მოთხოვნებს ჯერჯერობით აკმაყოფილებს. ყველა პრობლემის გადაჭრა მეთოდურად ხდება. პრეზიდენტსაც და მის გარემოცვასაც აქვს სურვილი, რომ საქმე აკეთონ და პირადად მე, ვამჩნევ ამ გაკეთებულ საქმეს. ამის გამო ჩემი, როგორც მოქალაქის მხრიდან, ის კრიტიკას არ იმსახურებს. მაგრამ როგორც ჟურნალისტი და რეჟისორი, რა თქმა უნდა, კრიტიკას წინა პლანზე წამოვწევ. ჩვენი სურვილი, უკეთესი მომავალია. იგივე სურვილი გვქონდა ძველი ხელისუფლების დროს, მაგრამ დამერწმუნეთ, მაშინ საკრიტიკო უზარმაზარი მასალა გვქონდა. თუნდაც „შევარდნაძე და აფხაზეთი“ ისეთი თემაა, რომ შეგვეძლო, დილიდან დაღამებამდე ამაზე გველაპარაკა. აფხაზეთი აშკარად მისი ქმედების გამო დავკარგეთ და ასე მხოლოდ მე არ ვფიქრობ — სხვებმაც კარგად იციან. სააკაშვილს კი, აფხაზეთის პრობლემის შექმნას ვერ დავწამებთ. პირიქით, მისი ნაბიჯები იმისკენაა მიმართული, რომ ქვეყნის ცხოვრება სტაბილური გახდეს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს. ამიტომ ამ საკითხის გამო მისი გაკრიტიკება ძალზე ხელოვნური და თითიდან გამოწოვილი იქნება. არ მინდა, შეფასებებში არაობიექტური ვიყო. ჟურნალისტებს და ჩვენს არხსაც — „რუსთავი 2“-საც კი გავაკრიტიკებთ. თან, ახლა დათო გოგიჩ-

თუ ჩვენი კრიტიკა რამეში სჭირდება და ამით მეტ ფულს იშოვის, გვაკრიტიკოს, რამდენიც გაუხარდება.

აიშვილიც შემოგვიერთდა და მასზეც ვიხუმრებთ, ისევე, როგორც ის ხუმრობს ჩვენზე. არ ვიხუმრებთ მხოლოდ იმ ადამიანებზე, ვისზეც ხელი გვაქვს ჩაქნეული და აღარ გვაინტერესებს. თუ ვინმეზე ვხუმრობთ, მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ მათ კარგად ვიცნობთ და ვაღიარებთ. გამოდის, რომ ვისზეც არ ვხუმრობთ, იმათ ძალიან ცუდად აქვთ საქმე...

— სერიალის მუსიკის ავტორი ისევ შენ იქნები?

— არ ვიცი, ვერ გეტყვი. სერიალის დასაწყისი და დაბოლოება ჯერ ზუსტად არ ვიცით, როგორი იქნება. შეიძლება, რაღაც ისეთი ფორმა ჰქონდეს, რომ მელოდია საერთოდ არ დაგვჭირდეს. ახლა ძიებების დასრულების ეტაპზე ვართ...

— სააკაშვილის გმირს ვინ გაახმოვანებს?

— სიმართლე რომ გითხრა, მისი გახმოვანება ჯერ არ მიცდია. ის მთავარი პერსონაჟი არ არის და მისი გამოჩენა ყველა სერიაში აუცილებელი არ იქნება. ეს საქმეს უფრო გამიიოლებს. თუ საჭირო გახდა, ჩემთვის არც ეგ იქნება პრობლემა. შევარდნაძის ხმა ძალიან მღლიდა და ბედნიერი ვარ, რომ მოვიშორე. ისე, მთავარი, პერსონაჟების ლექსიკა, საუბრის შინაარსი და ხუმრობაა. მათი ლაპარაკის მიბაძვა გადამწყვეტად არ მიმაჩნია.

— „დაუმორჩილებლობის კომიტეტი“ კიდევ თუ არსებობს?

— „დაუმორჩილებლობის კომიტეტი“ იქმნება მაშინ, როცა საჭიროა დაუმორჩილებლობა. სხვა კომიტეტებისგან განსხვავებით, მას ეს პლუსი აქვს. ახლა, დაუმორჩილებლობა საჭიროდ არ მიგვაჩნია. ახალი ხელისუფლების მოქმედებას ვაკვირდებით. თუ შევამჩნევთ, რომ მინისტრები ისევ ქრთამს აიღებენ და ძველების სხვა შეცდომებს გაიმეორებენ, პირდაპირ „დაუმორჩილებლობის კომიტეტით“ არ შევეწინააღმდეგებით, რადგან საწყის ეტაპზე, სხვა, ალტერნატიული მეთოდები გვაქვს: მინიშნება, მერე ამ ყველაფრის ხმამაღლა თქმა, მერე — ყვირილი, მერე — ფილმების გადაღება ამის შესახებ და ბოლოს უკვე, როცა აღარაფერი გაჭრის — დაუმორჩილებლობა. თუმცა, იმედი მაქვს, რომ საქმე აქამდე არ მივა და იმით დავკმაყოფილდებით, რომ ყოველკვირეულად, მათ თითო ნაკლზე მივუთითებთ.

— „ლამის შოუს“ სცენარის დაწერაში თუ მონაწილეობ ხოლმე?

— თავიდან, როცა დათოსთვის უცხო იყო აქაური სტრუქტურა, ვმონაწილეობდი. სამი თვის შემდეგ კი, უკვე ყველაფერი დალაგდა, დათოც გაერკვა ტელევიზიის საქმიანობაში, ჩავთვალე, რომ აღარ იყო საჭირო, იქაც ვყოფილიყავი და აქაც. ხანდახან, ოღონდ ძალიან იშვიათად, თუ იდეა გამიჩნდა, ვეხმარები. თავის აზრებს დათოც მიზიარებს ხოლმე...

— ტელეკომპანია „202“-ის ხელმძღვანელსა და თქვენს ძველ მეგობარს შალვა რამიშვილს თქვენი ხუმრობები რატომღაც არ მოსწონს...

— შალვა, რა თქმა უნდა, ცოტა უცნაური და თავისებური პიროვნებაა, მაგრამ ის საკმაოდ ნიჭიერი ადამიანია. იმასაც კი ვფიქრობ, რომ უფრო მეტი რამის გაკეთება შეუძლია, ვიდრე ახლა აკეთებს. რაც შეეხება იმას, რომ ის ჩვენ გვაკრიტიკებს და უნიჭოებს გვეძახის — სიმართლე გითხრა, არ ვიცი, რისი ბრალია. ეს, არასამუშაო ვითარებაში ალბათ შალვას უნდა ჰკითხოთ და ის უკეთ გეტყვით, თუ რა მიზანს ისახავს ჩვენ მიმართ გამოთქმული მისი კრიტიკა.

ისეთ შეკითხვებს მისვამ, რომ გინდა, რაღაც საჩოთირო მათქმევინო...



— თქვენ არ გაინტერესებთ მისი ეს მიზანი?

— ნამდვილად არ მაინტერესებს. ღმერთმა ხელი მოუმართოს! თუ ჩვენი კრიტიკა რამეში სჭირდება და ამით მეტ ფულს იშოვის, გვაკრიტიკოს, რამდენიც გაუხარდება. ის გუნდი, რომელიც მან შემოიკრიბა, ჩვენი სამეგობროა, დღესაც არ შეგვიწყვეტია მათთან მეგობრობა, თუმცა, ბევრ რამეზე განსხვავებული შეხედულებები გვაქვს. თუნდაც იმაზე, რომ ჩვენ არ მიგვაჩნია საჭიროდ, ისინი ვაკრიტიკოთ... ხშირად ვუყურებ მათ ტელევიზიას, არის რაღაც, რაც მომწონს, და პირიქით.

— სერიალი „დარდუბალა“ თუ არის „ჩვენი ეზოს“ კონკურენტი?

— ნამდვილად არა. ადრინდელ „დარდუბალას“ ჩემს კონკურენტად ვერ ჩავთვლი, რადგან სერიების 95% ჩემი მონაწილეობით არის გაკეთებული. რაც შეეხება „დარბულა-2“-ს, რამდენჯერმე ვნახე და ვიცი, რომ „202“-ზე გადის. ვფიქრობ, ცოტა ბანალურია ის ფაქტი, რომ ჯერ ერთ პრეზიდენტზე კეთდებოდა, ახლა მეორე მოვიდა და მაშინვე მასზე გადაეწყო. ფორმის შეცვლა ალბათ საჭირო იყო, თუმცა, კრიტიკის დოზა, ვისაც რამდენი მოუხდება, იმდენი უნდა იყოს. ჩვენ სწორედ ამის შიში გვქონდა და ამიტომ შევცვალეთ ფორმატი. ანიმაცია ჩვენ მიერ ერთობლივად შემუშავებული ტექნოლოგიით ხორციელდება. ისინი ამას კარგად აკეთებენ. თუმცა, შევარდნაძიდან პირდაპირ სააკაშვილზე გადასვლა, უკან გადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამასაც დახვეწენ და შეცვლიან.

— თქვენ ყველანი ხალხმა „კა-ვე-ენით“ გაგიცნოთ და შეგიყვარათ. რატომ გაიყავით ორ ნაწილად?

— ისეთ შეკითხვებს მისვამ, რომ გინდა, რაღაც საჩოთირო მათქმევინო... ჩვენ გვქონდა სურვილი, რომ თუ რუსეთში ან სხვა ქვეყანაში არ წავიდოდით, საქართველოში მაინც ერთად ვყოფილიყავით, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, მათ ჩვენთან ერთად ყოფნაზე კატეგორიული უარი განგვიცხადეს. მართლა გული მწყდება, რომ ერთად აღარ ვართ, რადგან „კა-ვე-ენის“ გუნდი საქართველოში ჩვენ ვიყავით. ახლა გავიყავით და კონცერტებიც ცალ-ცალკე გავმართეთ. სამწუხაროდ, მოუცლელობის გამო, მათი კონცერტი ვერ ვნახე, თუმცა კი ძალიან მაინტერესებდა. ჩვენი კონცერტი საკმაოდ წარმატებული იყო. ალბათ მომავალში, უკეთესიც იქნება...

■

„გზის“ წინა ნომრის „საპატარძლო“, ტელეჟურნალისტი ნინო შუბლაძე გახლდათ. აღმოჩნდა, რომ ბევრ მამაკაცს ჩავარდნია გულში ეს მშვენიერი გოგონა. უამრავი გამოხმაურებაც მიიღო და საკმაოდ დიდი არჩევანის საშუალებაც აქვს. აი, ის „მესიჯები“, რომელიც მის სახელზე მოვიდა:

«გეფიცეკით, ნინოს ტელევიზორში ვკოცნი ხოლმე»

მარი ჯაფარიძე

„უკვე სამი წელია, ნინოზე ვარ შეყვარებული, მაგრამ ვერა და ვერ გავიცანი. გთხოვთ, დამეხმაროთ. ის ხომ ძალზე ლამაზია“.

„ნინო, ეს რა კარგი რამ გავიგე, ახალი წლის ღამეს მაგიდის ქვეშ შეძრომის შესახებ. ამ ახალ წელს მეც ვცდი და შენც წარმატებას გისურვებ“.

„ნინი, ძალიან მინდა შენი გაცნობა. ვარ 1,65 მ სიმაღლის მუქი წაბლისფერი თმითა და თაფლისფერი თვალებით, შავგვრემანი, რაც მთავარია, ჯანმრთელი. ჯაბა კ.“

„ნინო, ძვირფასო, დამიკავშირდი achiko@email.com. მე ის ვარ, ვინც შენ ბედნიერს გაგხდის. მიყვარხარ“.

„მინდა ნინოს გაცნობა. ვცხოვრობ ზღვის პირას. ვარ 34 წლის. ზაზა ბ.“

„ნინოს მოთხოვნებს ვაკმაყოფილებ. მეც მაგიდის ქვეშ ვძვრები ხოლმე. ბინა მაჩუქეს, მანქანაც. აწი ნინოს დაველოდები“.

„ვაფშე“ ისეთი ტიპი ხარ, სულ არ გიხდება „ნაგლობა“...

„ნინო, ნატვრა იღვიძებს ნეტავ, ოდესმე? სასურველი შედეგი – გაცნობა. მიზანი – ლამაზი, საინტერესო ოჯახური რგოლის ჩამოყალიბება, საუკეთესო ურთიერთობების საფუძველზე“.

„ვარ საუკეთესო ნიშან-თვისებებით დაჯილდოებული მამაკაცი, 43 წლის. ზოდიაქო – მორიელი, სიმპათიური. ძალზე მინდა ნინოს გაცნობა. იქნებ, მომიხერხოთ?“

„მარი, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჟურნალ „გზას“ და პირადად შენ, ასეთი საუკეთესო „საპატარძლოს“ შერჩევისთვის. მკითხველის განწყობა არაჩვეულებრივია. პატივისცემით, „სასიძო“, იასონ ც.“

„ნინო, მომწონხარ მაგრად და ვგიჟდები შენზე. მეც კარგი ადამიანი ვარ. იმედია, მალე გაგიცნობ. ველი „მესიჯს“. ზაზა, 34 წლის“.

„ნინო, ძალიან მიყვარხარ. ძალიან მინდა, გიცნობდე. შენ ჩემი ქალღმერთი ხარ. სამწუხაროა, რომ ბიჭი არა ვარ. შენისთანა ლამაზ გოგოს ხელიდან არ გავუშვებდი. ნინო“.

„ნინო, ქალო, სოფლის თვალო! ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს. ჰა-ჰა, კვირაში 2-3 სიტყვა ვთქვა. ლინზების თვალებში „ჩათხრის“ მეც მეშინია. რა გინდოდა „ალიონში“? შენ „კურიერის“ დედოფალი ხარ. 13-ში მაგიდის ქვეშ მეც შევძვერი, მაგრამ არაფერი მეშველა. როგორც ჩანს, მეც რაღაც დამრჩა გარეთ. ჯაბა, არაშენდიდან“.

„ეჰ! მე მზითვიან ქალს ვეძებდი, მაგრამ ჯანდაბას, ნალი და საბანი. შენთან ერთად თივის ზვინზეც ვიცხოვრებ. შენ ოღონდ ჩემს ოჯახში შემოდი და ოჯახის საქმე ჩემზე იყოს. თოხსა და ბარს მე ვიხმარ. შენ როგორ გაკადრებ?! მართალია, სულ ცოტათი უფროსი ხარ, მაგრამ მერე რა? კალოში ხომ არა ვარ, რომ ფეხზე მოგიჭირო? პასუხს ველი, როგორც მგელი. გიო. ჩუმლაყი“.

„მარი, როგორ გამახარე, ნინოს „პატარძლობით“? სიცოცხლეს გეფიცებით, ტელევიზორში ვკოცნი ხოლმე, ისე მიყვარს. ვარ ბათუმელი, სერიოზული ბიჭი. ნინო, გთხოვ, ვიმეგობროთ, ზღვის ხათრით მაინც. გკოცნი. კახა“.

„ნინო შუბლაძეს: პირველ რიგში, დიდი მადლობა შენს მშობლებს, რომ ასეთი უნიჭიერესი და ულამაზესი შვილი ჰყავთ. ზოგიერთებივით ვერ მოგატყუებ და ვერ გეტყვი, რომ მიყვარხარ და ვგიჟდები, რადგან არ გიცნობ. ბედნიერია ის კაცი, რომელიც შენი ყურადღების ღირსი გახდება და ის ოჯახიც, ვისი პატარძალიც იქნები. მადლობა ღმერთს, რომ არსებობს ეკრანი და შენი ნახვა ასე მაინც არის შესაძლებელი. ჰო, მართლა, მაგიდის ქვეშ ნუღარ შეძვრები, შენ ეს სულაც არ გჭირდება. სიყვარულით, გოჩა“.

„ნინო, აღფრთოვანებული ვარ შენით. შევხვდეთ, იქნებ, ბედმა გაგვიღიმოს. გიორგი“.

„ბიჭი რომ ვიყო, ასეთ კარგ გოგოს რავა დავტოვებდი გასათხოვარს?! ამ ბიჭებს რა ვუთხარი, ამდენ კარგ გოგოს რომ ასე მარტოდ ტოვებენ. ნონა“.

„ნინო, „ვაფშე“ ისეთი ტიპი ხარ, სულ არ გიხდება „ნაგლობა“. მეტის თქმა „ნიუდობნია“. „კარონჩე“, ქება გიხდება. უცნობი“.

„მართლაც, გაგიღვიძებს სიცოცხლის წყურვილს, ნინო ისეთი გოგოა. თუ დამეხმარებით, მაღარიჩს ვიკისრებ. მოსულა?“

„ნინო, დილაობით „ალიონის“ შემყურე, კარგ ხასიათზე ვდგებოდი ხოლმე და მთელი დღე კარგი განწყობა მქონდა. ახლა კი, სამ საათში ერთხელ გხედავ. მიყვარხარ და შენზე დიდი ხანია ვოცნებობ. ვახო“. ■

რუბრიკის დღევანდელი სტუმარი საკუთარ თავს უდიპლომი „სასიძოს“ უწოდებს, მაგრამ ნუ შეშფოთდებით: წინასწარ გეტყვით, რომ სექტემბრიდან, მას იურისტის დიპლომი ექნება. მანამდე კი, „იუმორინაში“ საქართველოს პრეზიდენტის იმიტაციით არის დაკავებული. ვფიქრობ, მიხვდით, რომ საუბარია მამუკა ლომაშვილზე. მართლაც გაოცებას იწვევს მიხეილ სააკაშვილთან მისი მსგავსება. ლაპარაკის მანერა და სიარულიც კი, ერთნაირი აქვთ, ხოლო როცა მისი ხმით ალაპარაკდება, მაშინ ხომ ორი წვეთი წყალივით ჰგვანან ერთმანეთს. სხვათა შორის, მასაც, პრეზიდენტივით იოლად შეუძლია, მოიპოვოს ადამიანის კეთილგანწყობა... მისი ინტერვიუდან შეიტყობთ, რას ვერ აპატიებს ცოლს, ვინ იყო ის ქალი, შუა ქუჩაში მიშას რომ ეძახდა და რატომ არის მშიერი მამუკა ძალზე საშიში... მანამდე კი მისი ოჯახის წევრებს გავეცნოთ.

„სააკაშვილი-2“: აჩვენეთ ბოგონების საუკეთესოდ!..

მარი ჯაფარიძე

— ვცხოვრობ დედასთან, მამასა და დასთან ერთად. მყავს ძმა, რომელიც დაოჯახებულია, ცალკე ცხოვრობს და დაკავებულია მცირე, ოჯახური ბიზნესით. დედა დიასახლისია და ჩემს დას ეხმარება. მე ნაბოლარა შვილი ვარ — ოჯახში ყველაზე უმცროსი.

— ჰოროსკოპით ვინ ხარ?

— ძაღლის წელში დაბადებული მერწყული ვარ. საერთოდ, ჩემს ჰოროსკოპს კარგად ვიცნობ. ასტროლოგიური პროგნოზების მჯერა, რადგან ხშირად ხდება, რომ მოვლენები მართლაც, ერთმანეთს ემთხვევა. ვარ ერთგული, მიზანსწრაფული და ისიც, რომ ამჟამად კულტურულ სფეროში ვმოღვაწეობ, ჩემი ჰოროსკოპიდან გამომდინარეა. დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება ვისაც უნდა, წაიკითხოს მერწყულის ჰოროსკოპი და ჩემზე სრული წარმოდგენა შეექმნება.

— რა მოგწონს შენი თვისებებიდან?

— საერთოდ, საკუთარი თავის მიმართ ძალზე კრიტიკული ვარ, მაგრამ თამამად ვიტყვი, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა ძალზე განვითარებული მაქვს და მიმაჩნია, რომ ეს დადებითი თვისებაა. რაც შეეხება უარყოფით მხარეს — უამისოდ არც ერთი ადამიანი არ არსებობს და გამონაკლისი არც მე ვარ. ჩვევად მაქვს ქცეული, რომ ადამიანს სიმართლე დაუფარავად ვუთხრა, თუმცა, ამას უხეშად არასოდეს ვაკეთებ. მოვძებნი რაიმე რბილ ფორმას და ისე ვეტყვი, რომ გული არ ვატკინო.

ისიც ბედისწერაა, რომ ჩემი ცხოვრება ამგვარად წარიმართა...

— ოჯახში უფრო ხშირად, რის გამო გსაყვედურობენ?

— ძირითადად, მაკრიტიკებენ გამოსვლებისთვის. მათი ნებისმიერი საყვედური ჩემთვის მისაღებია და თითქმის ყოველთვის ვითვალისწინებ.

— მოწესრიგებული ადამიანი ხარ?

— გააჩნია, რა ხასიათზე ვარ: ხანდახან, ჩემზე კარგი და მოწესრიგებული არავინ არის, ხანდახან — პირიქით, ყველაფერს თავდაყირა ვაყენებ.

— ბუზღუნი თუ გჩვევია?

— ზოგჯერ კი. თუ მშიერი ვარ, ძალზე საშიში ვარ, უხასიათოც. მაშინ კი ვბუზღუნებ ხოლმე. კერძებს არ ვარჩევ — ყველაფერს მივირთმევ, რაც გემრიელია. მთავარია, თავის დროზე ვჭამო და არა მაშინ, როცა უზომოდ მომშივდება.

— ამჟამად შეყვარებული ხარ?

— არა, ახლა ჩემი გული თავისუფალია. როცა შეყვარებული ვარ, ძალზე რომანტიკული ვხდები, თუმცა ვერ გეტყვით, რომ ამ სფეროში ძალზე დიდი გამოცდილება მაქვს. წინათ, ხანმოკლე „სიყვარულები“ მქონია, მაგრამ სერიოზული გრძნობა — არასოდეს. აი, ახლა, ჩემი ინტერვიუ რომ დაიბეჭდება და გოგონები გამომეხმაურებიან, მერე ვნახოთ. იქნებ, მართლაც მეწვიოს სიყვარული.

— როგორი გოგონები მოგწონს?

— რა სჯობს, თუ გოგო გარეგნულად ძალიან ლამაზია? მაგრამ მე წინა პლანზე მაინც სულიერ მხარეს ვაყენებ. მომწონს თავმდაბალი, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი მანდილოსნები. ქალი თავის შინაგან სამყაროსთან აბსოლუტურ სინთეზში უნდა იყოს და ყოველთვის შეეძლოს, გადაჭარბებული ემოციებისგან თავის შეკავება. ამასთანავე, უნდა შეეძლოს გემრიელი კერძების მომზადებაც.

— შენ თვითონ თუ გეხერხება კერძების მომზადება?

— კი, ძალზე კარგად გამომდის. თუ კარგ ხასიათზე ვარ, მიყვარს კერძების მომზადება. უცებ, ექსპრომტად ახალ კერძს მოვიგონებ ხოლმე. ამას წინათ, კვერცხისგან ისეთი გემრიელი სალათი გავაკეთე, ყველას მოეწონა. ეგონათ, ხიზილალით იყო შეზავებული — არადა, სულ უბრალო კომპონენტებით შევქმენი კულინარიული შედევრი.

— გარეგნობით მართლაც ძალზე ჰგავხარ ჩვენს პრეზიდენტს. ახლობლებმა სახელიც ხომ არ შეგიცვალეს?

— ირგვლივ ყველა მიშას მეძახის.

უკვე ისე მივეჩვიე ამ სახელს, რომ ქუჩაში ვინმემ მიშა რომ დაიძახოს, ასე მგონია, მე მეძახიან და აქეთ-იქით ვიხედები ხოლმე. ამას წინათ, ვიღაცამ დამიძახა – მიშა! – მივიხედე და დავინახე, რომ ჩემკენ მზია კვირიკაშვილი მოდიოდა გაღიმებული. უკვე საკუთარი სახელიც კი დამავიწყეს და მიშიკო გავხდი...

— პროფესიით ვინ ხარ?

– იურისტი ვარ, მაგრამ ჯერჯერობით, უდიპლომო სასიძო გახლავართ. აგრარულ უნივერსიტეტში ბოლო კურსზე ვსწავლობ.

— „იუმორინაში“ როგორ მოხვდი?

– ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ მეგობრების ვიწრო წრეში სხვადასხვა ცნობილი ადამიანის იმიტაციას ვახდენდი. მერე ჩემი მეგობრები მონაწილეობდნენ საუნივერსიტეტო მხიარულთა და საზრიანთა ღონისძიებაში და მთხოვეს, სულ რაღაც ნახევარწუთიანი ნომრის შესრულება. მაყურებელს იმდენად მოეწონა ეს ნომერი, რომ მივხვდი, ჩემი სცენაზე ყოფნა აუცილებელი იყო. ისე, ბავშვობიდან ვგიჟდებოდი თეატრზე და თეატრალურ ინსტიტუტში მინდოდა ჩაბარება, მაგრამ შემდეგ, იურიდიული ფაკულტეტი ვარჩიე. ვსაქმიანობდი რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაში, დავდიოდი ტრენინგებზე და ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასეთ აქტიურ სასცენო მოღვაწეობას დავიწყებდი... შემდეგ მიმიწვიეს „ღამის შოუში“, მერე კი, ბატონმა ჯემალ ბაღაშვილმა „იუმორინაში“ მონაწილეობა შემომთავაზა. რაღაცნაირად, ბუნებრივად მოხდა ეს ყველაფერი.

— ხომ არ გაგიჭირდა ამდენ პროფესიონალ მსახიობთან ერთად სცენაზე დგომა?

– ძალზე მოწადინებული ვიყავი. ამასთან დაკავშირებით ერთ კურიოზს გავიხსენებ. სცენარით გათვალისწინებული იყო, რომ მე ერთ-ერთ ეპიზოდში ჩინურად უნდა მელაპარაკა. ბატონმა ჯემალმა ეს სიტყვები კასეტაზეც ჩამიწერა და ფურცელზეც დამიწერა. შინ და გარეთ, სულ ამ სიტყვებს ვიმეორებდი. ერთ დღეს, რეპეტიციაზე მოვდიოდი და სამარშრუტო ტაქსიში ასულმა, გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ გამემეორებინა. ამოვიღე ჯიბიდან ფურცელი და ვკითხულობ: ძინ-ტაუ, ტან-ტაუ... ამ დროს მგონია, რომ ხმადაბლა ვლაპარაკობ. თურმე მთელი მგზავრების გასაგონად გავყვიროდი და მათ გაოცებულ თვალებს რომ შევხედე, შემრცხვა. იმ „მარშრუტკიდან“ ჩამოვედი, მეორეში გადავჯექი და გზა ისე გავაგრძელე. ამის გამო ცოტა დამაგვიანდა კიდეც...

— როგორი სიმთვრალე გაქვს?

– არაჩვეულებრივი. როგორც ამბობენ ხოლმე, ნამდვილი „ბულკი“ ვარ. საერთოდ, სასმელზე არ ვგიჟდები, მაგრამ თუ კარგ სიტუაციაში მოვხვდი, უარს არასოდეს ვამბობ. რომ შევთვრები, მერე ძალზე მხიარულ ხასიათზე ვდგები და ცეკვისა და სიმღერის სურვილიც მიჩნდება ხოლმე.

— თუ ფიქრობ, რომ უკვე დროა, დაოჯახდე?

– იცით, გადაწყვეტილი არა მაქვს, მაგრამ თუ სიყვარული მეწვევა, ვფიქრობ, გრძნობა თვითონ გადამადგმევინებს ამ ნაბიჯს. საერთოდ, ოჯახი ძალზე სერიოზული რამეა. მიმაჩნია, რომ უნდა დაოჯახდე ერთხელ და სამუდამოდ. ვიდრე გადაწყვეტილებას მივიღებ, ბევრს ვიფიქრებ და მრავალჯერ ავწონ-დავწონი, ასე ვთქვათ, ასჯერ გავზომავ და ერთხელ გავჭრი.

— პოპულარობამ შენი თაყვანისმცემლების რიცხვი გაზარდა?

– ვერ ვიტყვი, გოგოებმა ამიკლეს და შევწუხდი-მეთქი, მაგრამ ვგრძნობ, რომ თაყვანისმცემლების რიცხვმა აშკარად მოიმატა. მე მათ ყველას პატივს ვცემ და ვცდილობ, თითოეულს ძალზე თბილად და ამავე დროს ფრთხილად მოვექცე. ბევრთან ვმეგობრობ კიდეც.

— რა ელის იურისტი მამუკა ლომაშვილის კარიერას?

– ჯერ არ ვიცი. ნაპოლეონს აქვს ერთი საუცხოო გამონათქვამი: მთავარია, ბრძოლაში ჩაება, დანარჩენი მერე გამოჩნდებაო... ჯერ ჩამოყალიბების პროცესში ვარ. ცხოვრება თვითონ მიჩვენებს, როგორ უნდა მოვიქცე. ჩემს არტისტულ კარიერას ერთი უარყოფითი მხარე აქვს: ჩემში ხედავენ მარტო მიშას. მაგრამ მე ვიცი, რომ შემიძლია უფრო მეტი, ვიდრე მიშა სააკაშვილის იმიტაციაა. ჩემთვის ეს როლი დარჩება სავიზიტო ბარათად, რადგან სწორედ მისი წყალობით გავხდი პოპულარული, მაგრამ მომავალში ვეცდები, ჩემი პოტენციალი უფრო განსხვავებული კუთხით წარმოვაჩინო. ძალზე მაინტერესებს სისხლის სამართალიც. ამას წინათ მინდოდა, რაღაც თემაზე მემუშავა, მაგრამ რასაც წინასწარ ვგეგმავ, არასოდეს გამომდის.

— საინტერესოა, სიდედრს დედას დაუძახებ?

– დედას არა, დედიკოს დავუძახებ... მე ერთი დედა მყავს და ცხოვრების ბოლომდე მას ვერავინ შეცვლის.

— რას ვერ აპატიებ შენს მეორე ნახევარს?



დედას არა, დედიკოს დავუძახებ... მე ერთი დედა მყავს და...

– უპასუხისმგებლობას, უნიათობასა და ღალატს. ასევე ძალზე მაღიზიანებს ტყუილი. თუ ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, ნებისმიერი პრობლემის გადაჭრას ძალზე იოლად მოახერხებენ. ოჯახი არ არის ლობიო, რომ დღეს შეჭამო და ხვალ სხვა მოინდომო...

— ერთგული კავალერი ხარ?

– კი, ძალიან... თუმცა, ხანდახან, შესაძლოა, რაღაც „ისეთიც“ მოხდეს, მაგრამ ეს ქართველი მამაკაცისთვის დამახასიათებელი თვისებაა და გამონაკლისი არც მე ვარ.

— შენი გულის მოგება იოლია?

– თუ ვინმემ გამაბრაზა, იმწუთას ვფეთქდები, მაგრამ მალევე მავიწყდება. ოღონდ თუ ვინმე მატყუებს და არიფად მთვლის, ვერ ვაპატიებ და როგორი ახლობელიც არ უნდა იყოს, სამუდამოდ დავკარგავ. შესაძლოა, ხშირად, მეც არ ვიქცევი ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ მთავარია, ადამიანს ჰქონდეს საკუთარი შეცდომის აღიარების უნარი. თუ ეს აქვს, ჩათვალეთ, რომ ამ ადამიანთან ურთიერთობა შესაძლებელია.

— ბედისწერის თუ გჯერა?

– კი. ისიც ბედისწერაა, რომ ჩემი ცხოვრება ამგვარად წარიმართა...

— გაეცნობი თუ არა შენს სახელზე მოსულ „მესიჯებს“?

– აუცილებლად გავეცნობი და ყურადღებით წავიკითხავ თითოეულ სიტყვას.

აი, ასეთი „სასიძო“ გვყავს. მამუკასთან დაკავშირების მსურველებმა დარეკეთ ან გამოგზავნეთ მესიჯი ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გისურვებთ წარმატებებს.

■

„ეს ჭიქა ბაკაცისგის ჯიგელად ...ულოვანი კარგად დაფასებულ“

Russian Fashion Week-იდან დაბრუნებულ ქართველ დიზაინერ მაკა ასათიანს პირველ პაემანზე სასაუბროდ ვეწვიეთ. „ყველას ვუსურვებ, უსიყვარულოდ არ იცხოვრონ. სიყვარული ჯანმრთელობაზე მეტად საჭიროა“, — მითხრა მან. თურმე მაკასთვის სიყვარული გაზაფხულთან ასოცირდება. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ამ გაზაფხულმა მის ცხოვრებაში სიახლეები შეიტანოს.

მერი კობიამვილი

— მაკა, შენთვის სიყვარული რას ნიშნავს?

— შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი სიყვარულის გარეშე ვერ იცხოვრებს. უსიყვარულოდ არსებობ, როდესაც გიყვარს — ცოცხლობ.

— ალბათ საბავშვო ბაღშიც გყავდა თაყვანისმცემლები?

— საბავშვო ბაღის ამბები არ მახსოვს, მაგრამ ძალიან პატარა ვიყავი, ბიჭვინთაში „დომ ტვორჩესტვაში“ ვისვენებდი. იქ გავიცანი გიორგი ნაკაშიძე (მსახიობი). ორივეს მოგვეწონა ერთმანეთი. მთელ დღეებს პლაჟზე ერთად ვატარებდით.

— პირველად პაემანზე რომ მიდიოდი, ძალიან ნერვიულობდი? დიდხანს იფიქრე — რა ჩაგეცვა?

— ნამდვილად არ მახსოვს, პირველ პაემანზე რა მეცვა. მაგრამ გოგონებს ვურჩევდი, რომ პაემანზე ჩაიცვან ის სამოსი, რომელიც ყველაზე მეტად უყვართ და რომელშიც თავს კარგად გრძნობენ. პირადად მე, ურთიერთობა წინასწარ არასოდეს დამიგეგმავს. რა თქმა უნდა, პაემანზე რას ვიტყოდი, არც იმას ვგეგმავდი. ყოველთვის დინებას მივყვებოდი ხოლმე...

— ზოგჯერ პირველი პაემანი და პირველი სიყვარული მარცხით მთავრდება. რას ურჩევდით ასეთ ადამიანებს?

— მათ ვურჩევდი, თავი ხელში აიყვანონ. გადასწიონ ფარდები, შეხედონ მზეს და კიდევ ერთხელ გაიმეორონ — ცხოვრება გრძელდება და ყველაფერი კარგი წინ მელოდება!..

— შეყვარებული როგორი ხარ?

— ძალიან კარგ ხასიათზე ვარ. ღრუბლიანი ამინდიც რომ იყოს, მაინც მგონია, რომ მზეა. ამ დროს თავისუფლებას დიდი დოზით შევიგრძნობ. ჩემი თავის უფალი თავადვე ვხდები.

— სიყვარული მუშაობაში ხელს გიშლის?

— პირიქით — მეხმარება. საერთოდ ჩემი შინაგანი მდგომარეობა ყოველთვის აისახება ჩემს ნამუშევრებში. მათ შორის სიყვარულიც. ეს იგრძნობა ტანსაცმლის ფორმაში, ფერში...

— თაყვანისმცემლები ძვირფასი ნივთებით განებივრებენ?

— თუ გიღირს ადამიანი, „სისულელეც“ რომ გაჩუქოს, ისიც კი შენთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი ხდება. ძალიან მიყვარს ყვავილები. განსაკუთრებით ჟასმინი. ამიტომ ძალიან მსიამოვნებს, როცა მამაკაცები ყურადღებას მათი ჩუქებით გამოხატავენ.



— შეყვარებული რომ ხარ, ვინმეს რჩევებს იზიარებ?

— შეყვარებულმა ყოველთვის საკუთარი ინსტინქტით უნდა იმოქმედო, ისე, როგორც გული გიკარნახებს. პირადად მე ვცდილობ, გონებით ვიმოქმედო, მაგრამ ყოველთვის გამოდის, რომ გულით ვმოქმედებ.

— შენი აზრით, მამაკაცის მოხიბვლის რაიმე რეცეპტი არსებობს?

— მართალია, ამის მიღწევა ძალიან ძნელია, მაგრამ ქალმა უნდა მოახერხოს და კარგად გამოიყურებოდეს, როგორც შინაგანად, ისე გარეგნულადაც.

— როგორი მამაკაცები მოგწონს?

— გარეგნულ მხარეს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, მაგრამ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ხელებს. ვაკვირდები, როგორ ხმარობს მამაკაცი ხელებს ლაპარაკისას.

— ერთი ნახვით შეყვარების გჯერა?

— კი, ასეთი შემთხვევაც მქონია.

— ასეთ დროს საკუთარი გრძნობების დამალვა გეხერხება?

— მგონი, ვერ ვფარავ და არც მინდა, რომ დავფარო. როცა გიყვარს, ისე კარგად გრძნობ თავს, ამის დაფარვა და დამალვა რა საჭიროა?..

— ...და ფიქრობ, რომ ურთიერთობის დასაწყებად, პირველად ქალმაც შეიძლება გადადგას ნაბიჯი?

— რა თქმა უნდა. პირველად მეც მითქვამს მამაკაცისთვის, რომ მის მიმართ სიმპათია მქონდა და ყველაფერი კარგად დამთავრებულა...

■

მგონი, ვერ ვფარავ და არც მინდა, რომ დავფარო. როცა გიყვარს, ისე კარგად გრძნობ თავს...

„ხილვიბა" იმერულად

ХУМБЕРТ ТОРТОЛАДЗЕ

მამაკაცს რომ ქალები უყვარს, მექალთანეს ეძახიან, თუ ღვინოსა და არაყს ეტანება — ლოთს, არაფრის მაქნისი და ზარმაცი — მუქთახორაა. მაგრამ კაცი რომ უხორცოდ ერთ დღესაც ვერ ძლებს, იმას რას ეძახიან, არ ვიცი...

სწორედ ასეთი, ხორცის მოყვარული იყო არქიფო ბარათელი, რომელიც ზესტაფონის რაიონში, სოფელ მეორე სვირში ცხოვრობდა.

თუ შინ ყველა შესაძლებლობა გადაეწურებოდა, მაშინ საშველად მეზობელს გადასძახებდა:

— ესტატე, გუშინ მურმანიამ დეკეული რომ დაკლა, ხორცი გადმოგიტანია. ნუ მეტყვი უარს — მათხოვე; მოვხარშავ, ნახარში — მე, ხორცი — შენ.

სოფელმა არქიფოს მეხორცია შეარქვა. რას არ მოიფიქრებდა, მგლის ტყავში გაძვრებოდა, ოღონდაც ხორცი ეშოვა...

დილით ბავშვები არქიფოს ჭიშკართან მოგროვდებოდნენ.

— ბოვშებო, ხომ არაფერი დოუკლიათ ქვეით? — ჰკითხავდა არქიფო.

— არა! — იყო პასუხი.

— ზეით ხომ არაფერი დოუკლიათ? — ახლა უკვე შუადღეზე, სკოლიდან მომავლებს დახვდებოდა.

— არა...

— რა ვქნა, კაცო, რა მეშველება დღეს?.. — შეიცხადებდა იმედგადაწურული ბარათელი.

ერთხელ, მეზობელმა ესტატემ ნახარში მოუტანა და უთხრა:

— გავიგე, სევასტია ცხვარს აზიარებს. ხომ არ ეიყვან? პირობები არაა დასაწუნი — სანახევროდო... — დასძინა ესტატემ.

იმერული ცხვარი ჯიშიანია, წელიწადში ორჯერ მაკობს და შესაძლოა, ერთერთი მაკობისას სამი ბატკანიც კი მოიგოს. სანახევროდ გაზიარება კი ნიშნავს — დედა-ცხვარი პატრონისაა, ნამატი — ნახევარი პატრონის, ნახევარი — მოზიარის.

ჰოდა, ეს ჩვენი არქიფო მიადგა სევასტის. ივაჭრეს, იორჭოფეს, ესა თქვეს, ისა თქვეს... ბოლოს, შეთანხმდნენ და სევასტიმ ცხვარი გამოუყვანა. ღია ჭიშკართან შედგა არქიფო და დამარცვლით გაუმეორა:

— ხომ იცი — სანახევროდ მიმყავს, სევასტია, მერე არაფერი მიშარო.

— სანახევროდ, კაცო, სანახევროდ, საშარო რაია?!.

ერთი სული ჰქონდა, როდის მიაღწევდა საკუთარ ეზომდე... შევარდა შინ, გამოიტანა მოზრდილი დანა, წამოაქცია ცხვარი, დაკლა, გაატყავა, დააწვინა თავისსავე ტყავზე, დუმიდან თავის ჩათვლით გაჭრა შუაზე, შეახვია ნახევარი ნახევარ ტყავში, დააწერა ორიოდე სიტყვა, მიამაგრა ტყავზე, დადო ცალთვლიან ურიკაზე და კარგად რომ დაღამდა, შეაგორა სევასტიას ჭიშკარში. თან, დაიყვირა:

— სევასტია, გამოდი ჭიშკარზე!..

გამოიხურა ჭიშკარი და მოუსვა...

ცხვრის ტყავი რომ დაინახა, სევასტიას გულმა რეჩხი უყო. ამოაძრო ქაღალდი და... „მე სიტყვის კაცი ვარ — მოგართვი შენი ნახევარი, ჩემს ნახევარს ქე მოვუვლი აწი-ი..." — იუწყებოდა უსტარი.

გამხეცებული გადმოუხტა წალდით სევასტი. როგორ არ აგინა, რა სიტყვებით არ გალანძღა, მაგრამ რაღას იზამდა?! ხორცი ქვაბში იყო, დამარილებული ნახევარი ტყავი კი — დროშასავით ღობეზე ფრიალებდა.

— შენი ფეხი დამკარი, არქიფო მეხორცია, თუ ეგ შეგარჩინო! — დაემუქრა ბოლოს სევასტი მეზობელს.

— რა უნდა მიქნა, რა? — სიცილს ვერ იკავებდა არქიფო. — დეკეულები არ დამიკლა! ერთი ბეხრეკი ცოლი მყავს; იმ ღამეს წაბლზე რომ იყო, ტყეში დარჩა და მგელმაც არ შეჭამა — დაკალი, თუ გინდა!..

მთელი სოფელი შეიყარა, იყო ერთი სიცილი და ხორხოცი.

■

მოძრავი ღუდხანა ბედნიერ მწეველთათვის

ახლახან, ირლანდიაში ძალაში შევიდა კანონი, რომელიც საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, მათ შორის ბარებსა და ლუდხანებში სიგარეტის მოწევას კრძალავს. ამიერიდან, მწეველებს ნიკოტინური მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ საკუთარ ბინებში შეუძლიათ. თუმცა, ამ დროსაც განსაზღვრული წესების დაცვა მოეთხოვებათ. მაგალითად, მოქალაქეს ეკრძალება გაბოლება, თუ მასთან შინ იმყოფება ფოსტალიონი, სანტექნიკოსი, ექიმი და ა.შ. კანონის დარღვევისთვის დაწესებულია ჯარიმა 1.000 ევროს ოდენობით. მაგრამ მწეველები აკრძალვებს არ ეპუებიან. ახალი კანონის ამოქმედებისთანავე, დუბლინში გამოჩნდა ადგილი, სადაც შესაძლებელია, მეგობრებთან ერთად, სიგარეტისა და კათხა ლუდის თანხლებით დროის მოკვლა ისე, რომ ჯარიმის საშიშროება არ გემუქრებოდეს. ეს ადგილი მოძრავი ლუდხანაა, რომელსაც უმალ მოუძებნეს მოხდენილი სახელი — „ბედნიერი

მწეველი". მისმა მოხერხებულმა მფლობელებმა იპოვეს კანონში „ხვრელი": როგორც აღმოჩნდა, მოწევა არ შეიძლება ავტობუსსა და ლუდხანაში, მაგრამ ლუდხანად გადაკეთებულ ავტობუსზე კანონში არაფერია ნათქვამი. მოძრავი ლუდხანის მეპატრონეებიც სარგებლობენ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპით — ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით არაა აკრძალული. ჰოდა, დადის ახლა დუბლინის ქუჩებში ავტობუსი-ლუდხანა, რომელიც ძალზე პოპულარულია და რომლის წყალობითაც, მისი მეპატრონეების შემოსავალი დღითი დღე მატულობს.

■

ახალგაზრდებმა კაცს ცემით ამოხადეს სული

გასული წლის 20 ოქტომბერს, შს ქარელის ქვეგანყოფილების თანამშრომლებისთვის საზარელი დანაშაულის შესახებ გახდა ცნობილი. ქარელის რაიონის სოფელ ბატიაურში მცხოვრები ერდი ქოქოშვილის სასტიკად ნაცემი და თანაც, შიშველი ცხედარი საეჭვო ვითარებაში აღმოაჩინეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა გვამზე მკვრივი, ბლაგვი საგნით მიყენებული მრავალი დაზიანება, მოტეხილობები და სისხლჩაქცევები დააფიქსირეს, სიკვდილის უშუალო მიზეზად კი, თავის ტვინის ტრავმა დაასახელეს. მეორე დღეს, პოლიციამ ქარელის რაიონის მკვიდრნი — 29 წლის კობა იკაშვილი და 23 წლის დავით ფილიშვილი დააკავა.

პროკურატურამ მათ ქოქოშვილის განზრახ, ჯგუფურად და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში დასდო ბრალი. დანაშაული 2003 წლის 19 ოქტომბერს მოხდა. იმ დღეს, დილიდან, იკაშვილი და ფილიშვილი ქარელის რაიონის სოფელ იმერხევში ერთ-ერთ მეგობართან — მანუჩარ თოთლაძესთან ერთად იმყოფებოდნენ. მათ ალკოჰოლური სასმელი მიიღეს და მთვრალები სოფელ ბატიაურში წავიდნენ. დაახლოებით დღის 3 საათისთვის, ფილიშვილი და იკაშვილი ამ უკანასკნელის ბებიის — მაყვალა გაზაშვილის საცხოვრებელ სახლში მივიდნენ. შინ მაყვალა გაზაშვილის ძმისშვილი — ზაურ გაზაშვილი იმყოფებოდა. იკაშვილმა მას არაყი გამოატანინა. გაშალეს სუფრა და ქეიფი დაიწყეს. გაზაშვილი ერთი ჭიქა არყის დალევის შემდეგ, სუფრიდან წამოდგა, თქვა, რომ ბაღში კაკალი ჰქონდა ასაკრეფი და იკაშვილი და ფილიშვილი მარტონი დატოვა. სამაგიეროდ, ცოტა ხანში, მათ ბატიაურში მცხოვრები ერდი ქოქოშვილი შეუერთდა. რამდენიმე ჭიქა არაყი კიდევ დალიეს და ქოქოშვილსა და იკაშვილს შორის კამათი დაიწყო. როგორც მოგვიანებით, გამოძიების შედეგად გაირკვა, ჩხუბი არყის გამოსახდელის გამო წარმოიშვა, რომელიც იკაშვილს ადრე, ქოქოშვილისთვის უთხოვებია, მას კი აღარ დაუბრუნებია. ურთიერთშელაპარაკების დროს, იკაშვილმა მას სახეში ხელი გაარტყა. გაბრაზებულმა ქოქოშვილმა გინება დაუწყო, უცენზურო სიტყვებით მიმართა, მერე კი მინდვრისკენ გაიქცა. იკაშვილი და ფილიშვილი მას უკან დაედევნენ. დაეწივნენ თუ არა, მაშინვე ცემა დაუწყეს. ქოქოშვილი ორ მამაკაცს ვეღარ გაუმკლავდა და ძირს დაეცა. მიუხედავად ამისა, ისინი მუშტებითა და წიხლებით განაგრძობდნენ მის ცემას. ურტყამდნენ მას შემდეგაც, რაც ნახეს, რომ ქოქოშვილს პირიდან სისხლი წასკდა და ხრიალი დაიწყო. ცოტა ხანში, მან გონება დაკარგა, აღარც ხრიალებდა. მაშინ მას სისხლიანი ტანსაცმელი შემოახიეს და ხევში გადაყარეს. პროკურატურის მასალების მიხედვით, ქოქოშვილი ისე გარდაიცვალა, რომ გონს არც მოსულა.

წარდგენილ ბრალდებაში ამჟამად არც ფილიშვილი და არც იკაშვილი თავს დამნაშავედ არ ცნობენ. თუმცა, ამ უკანასკნელმა წინასწარ გამოძიებას მომხდართან დაკავშირებით დეტალური ჩვენება მისცა.

ბრალდებულის სახით დაკითხვისას მან აღნიშნა, რომ სოფელ ბატიაურში პაპისეულ სახლში 2003 წლის 14 ოქტომბრიდან იმყოფებოდა და სახლ-კარს უვლიდა. მისივე თქმით, ამ სოფელში სულ 4 მოსახლე ცხოვრობდა, მათ შორის ერდი ქოქოშვილის ოჯახიც; მასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ისევე, როგორც დანარჩენებთან; 17 ოქტომბერს, მას სახლში სატვირთო მანქანით ზვიად ქიქაურმა და მისმა მეგობარმა დავით ფილიშვილმა მიაკითხეს; 19 ოქტომბერს ფილიშვილთან ერთად ბებიის სახლში იქეიფა. იკაშვილი სუფრასთან ქოქოშვილის ყოფნასაც და მასთან შელაპარაკებასაც ადასტურებს. ასევე არ უარყოფს ცემის ფაქტს, მაგრამ აღნიშნავს, რომ როგორც კი ქოქოშვილმა ხრიალი დაიწყო, შეეშინდა და მის ცემას თავი დაანება. იკაშვილი ცემაში ფილიშვილის მონაწილეობასაც ადასტურებს. ჩვენების თანახმად, ორივემ ერთად შემოახიეს ტანსაცმელი გონწასულ ქოქოშვილს; ამის შემდეგ ფილიშვილმა წყალი მიიტანა, ქოქოშვილს დასისხლიანებული სახე მოჰბანეს, სისხლიანი ტანსაცმელი კი ხევში გადაყარეს; იკაშვილი წავიდა და შემთხვევის ადგილზე კიბიანად დაბრუნდა, მასზე ქოქოშვილი დააწვინეს, ისევ მაყვალა გაზაშვილის სახლში წაიყვანეს და ლოგინში ჩააწვინეს. რამდენიმე წუთში, ბაღიდან ზაურ გაზაშვილიც დაბრუნდა და როცა ასეთი სურათი დახვდა შინ, იკითხა, თუ რა ხდებოდა. იკაშვილმა და ფილიშვილმა მას უთხრეს, რომ ნაცემი და შიშველი ქოქოშვილი მინდორში იპოვეს და მასთან იმიტომ მიიყვანეს, რომ იმ ადგილიდან ყველაზე ახლოს ეს სახლი იყო; თანაც დასძინეს — ერდის სცივა, ცეცხლი დაანთეო. ამის შემდეგ, ორივენი იკაშვილის საცხოვრებელ სახლში, მეზობელ სოფელ ეფნისში წავიდნენ დასაძინებლად. ღამის 12 საათზე, მათთან ფილიშვილის ძმა მივიდა „ვილისით", მეგობართან ერთად და ღვინო და სიგარეტი ჩაუტანა. მაშინვე გაშალეს სუფრა და კვლავ ქეიფი დაიწყეს. ჩვენების თანახმად, ფილიშვილის ძმა და მისი მეგობარი ისე წავიდნენ იქიდან, რომ მომხდარი ფაქტის შესახებ არაფერი გაუგიათ.

იკაშვილმა და ფილიშვილმა მათი წასვლის შემდეგაც გააგრძელეს სმა. როცა გათენდა, უკვე 20 ოქტომბერს, გადაწყვიტეს, ქოქოშვილის მდგომარეობა შეემოწმებინათ. ამ მიზნით, ფილიშვილი ჩავიდა ბატიაურში, მაყვალა გაზაშვილის სახლში და აღმოაჩინა, რომ ქოქოშვილი მკვდარი იყო. ამის შესახებ იკაშვილსაც შეატყობინა. შემდეგ, ქოქოშვილის გარდაცვალების შესახებ ამ უკანასკნელის ოჯახის წევრებსაც შეუთვალეს.

აღნიშნული საქმის სასამართლო განხილვა მომავალ კვირაში დაიწყება. იკაშვილი და ფილიშვილი აცხადებენ, რომ პროკურატურის მიერ შედგენილ საბრალდებო დასკვნაში სიცრუე წერია. ფილიშვილი ქოქოშვილის ცემაში მონაწილეობასაც კატეგორიულად უარყოფს, იკაშვილი კი ირწმუნება, რომ მართალია, იგი სცემა, მაგრამ მისი მოკვლის განზრახვა არასოდეს ჰქონია.

■

დაზარალებულები სასამართლოს მიერ გამართლებულის დასჯას მოითხოვენ

თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ გორის რაიონში მცხოვრები დავით გოგლიძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა და იგი პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. გოგლიძეს პროკურატურა თანასოფლელის — შალვა ჩალაურის განზრახ მკვლელობაში სდებდა ბრალს. ხაშურის რაიონის სასამართლომ ბრალდება არ დაადასტურა და მტკიცებულებების უკმარისობის მოტივით, დამატებითი ძიებისთვის საქმე კვლავ პროკურატურას დაუბრუნა. მას შემდეგ, ტომებად შეკრული გამოძიების მასალები პროკურატურასა და სასამართლოებს შორის „მოგზაურობს“ და 1999 წელს მომხდარი მკვლელობის განხილვამ 2004 წლამდე გასტანა. მოსამართლეებს დღემდე ვერ დაუდგენიათ, გოგლიძემ დანაშაული განზრახ ჩაიდინა თუ თავდაცვის მიზნით.

მკვლელობა 1999 წლის 12 აპრილს სოფელ ტირბნისთან მოხდა. საღამოს, დაახლოებით 9 საათისთვის, დავით გოგლიძე ავტომანქანა „კამაზით“, რომელსაც თვითონვე მართავდა, ნაცნობებთან — დავით ჯავართან, ჯონდო და დავით კიკვილაშვილებთან ერთად ცხინვალი-გორის საავტომობილო გზაზე მოძრაობდა. ავტოგასამართ სადგურს რომ მიუახლოვდა, მთვრალი შალვა ჩალაური შენიშნა. მის დანახვაზე მანქანა გააჩერა და გადავიდა. როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, გოგლიძესა და ჩალაურს შორის კონფლიქტი ადრე მომხდარა; მას შემდეგ, შეხვდებოდნენ თუ არა ერთმანეთს, მაშინვე ჩხუბს იწყებდნენ. მოწმეთა ჩვენებებში ჩხუბის მიზეზად 100 დოლარია დასახელებული, რომელიც ჩალაურმა გოგლიძეს გამოართვა და უთხრა, რომ ამ თანხით მას ერთ-ერთი თანასოფლელის დახმარება სურდა. გოგლიძის მხარის თქმით, სინამდვილეში ჩალაურს ეს ფული თავისთვის უნდოდა, რადგან მეზობელს არ დახმარებია. პროკურატურის ინფორმაციით, მანქანიდან ჩასულმა გოგლიძემ კვლავ კამათი დაუწყო ჩალაურს და სახეში რამდენჯერმე ჩაარტყა მუშტი. ჩალაურმა, თავდაცვის მიზნით, ჯიბიდან დანა ამოიღო და გოგლიძეს მოუქნია. ამ უკანასკნელს დანა ხელსა და მხარში მოხვდა; ის დაიჭრა, მაგრამ მაინც შეძლო, მოწინააღმდეგისთვის დანის წართმევა და ბრალდების თანახმად, შურისძიების მოტივით, კისერსა და გულმკერდის არეში ჩაარტყა მას. კისერში მიყენებული ჭრილობა მსუბუქი იყო, მაგრამ გულმკერდის ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. ჩალაური შემთხვევის ადგილზე მყოფმა პირებმა ცხინვალის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ დაჭრილი იქ გარდაიცვალა.

საქმის პირველი განხილვისას, ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ მიიჩნია, რომ გოგლიძე ჩალაურისთვის დანის წართმევასა და მის მოკვლას ვერ შეძლებდა, რადგან აწ გარდაცვლილი მასზე გაცილებით ღონიერი იყო. მოსამართლემ ეჭვი შეიტანა აგრეთვე მოწმეების ჩვენებებშიც და აღნიშნა, რომ შესაძლოა, ჩალაურს გოგლიძე კი არა, გამოძიებით დაუდგენელი პირები დაესხნენ თავს და მოკლეს. სწორედ ამ მოტივით დაუბრუნა მან საქმე პროკურატურას დამატებითი ძიებისთვის. მოსამართლის ეს გადაწყვეტილება პროკურატურამ საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. საპელაციო პალატამ სულ სხვა დასკვნა გამოიტანა. ამჯერად, მოსამართლეებმა ივარაუდეს, რომ ჩალაური გამოძიებით დაუდგენელმა პირებმა კი არა, გოგლიძემ დაჭრა, მაგრამ აწ გარდაცვლილი მას არ განუიარაღებია, მან ძირს დავარდნილი დანა აიღო. ამ ვარაუდის გადასამოწმებლად მათ საქმე ისევ ხაშურის რაიონულ სასამართლოს დაუბრუნეს. აღნიშნული სასამართლოს მომდევნო განაჩენში დაუდგენელ თავდამსხმელ პირებზე აღარაფერია ნათქვამი. თუმცა, მოსამართლემ პროკურატურის ბრალდება მაინც არ დაადასტურა. განაჩენის მიხედვით, ადგილი ჰქონდა არა განზრახ მკვლელობას, არამედ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებას. შესაბამისად, გოგლიძეს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ეს განაჩენიც გასაჩივრდა. საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ მასში შესწორება შეიტანა და გამოაცხადა, რომ გოგლიძემ მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩაიდინა და ამ ფარგლების გადამეტებას მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია. მოსამართლეების თქმით, საბრალდებო დასკვნის გაზიარება არ შეიძლება, რადგან იგი დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებიდან გამომდინარეობს, მოწმეები ფაქტის თვითმხილველები არიან, მაგრამ გამოძიების მსვლელობისას არათანმიმდევრულ და ნაკლებად სარწმუნო ჩვენებებს იძლეოდნენ. პალატამ ასევე მიუთითა გამოძიების მასალებში არსებულ დადგენილებაზე საქმის არაღძვრის შესახებ, რომელიც მოსამართლეების აზრით, მოწმობს იმას, რომ გოგლიძეს, მომხდარ შემთხვევამდეც უხდებოდა ჩალაურისგან თავის დაცვა. აღნიშნული დადგენილების მიხედვით, მომხდარ ფაქტამდე – 1999 წლის თებერვალში, ჩხუბისას გოგლიძემ ჩალაურს დანა წაართვა. მაშინ, გაბრაზებული ჩალაური სანადირო თოფით შეიარაღდა და გოგლიძის სახლისკენ გაემართა. ეს უკანასკნელი შინ არ დახვდა. იმავე დადგენილებაში წერია, რომ ჩა-



ლაურმა სცადა, ეხმარა იარაღი, თოფი გოგლიძის მეუღლეს დაუმიზნა და დანის დაბრუნება მოსთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მცირეწლოვანი შვილების მოკვლით დაემუქრა. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ჩალაურის მოქმედება ხმაურზე თავმოყრილმა მეზობლებმა აღკვეთეს და მას თოფიც წაართვეს. მოგვიანებით, ამის შესახებ გოგლიძის მხარემ პოლიციაში განაცხადა, მაგრამ ამას მკვლელობა მოჰყვა და ჩალაურის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის გარდაცვალების გამო, საქმე აღარ აღიძრა.

პროკურატურა და დაზარალებული – ჩალაურის მხარე ამჟამად საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის განაჩენს კატეგორიულად არ ეთანხმებიან. დაზარალებულის თქმით, 1999 წლის 12 აპრილს, გოგლიძე თავის ნათესავთან და ამხანაგთან ერთად მთელი დღის მანძილზე დაეძებდა შალვა ჩალაურს მოსაკლავად. განაჩენი უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში გაასაჩივრეს და გოგლიძის, კანონის მთელი სიმკაცრით დასჯა მოითხოვეს. პალატა აღნიშნულ საქმეს ამ კვირაში განიხილავს და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს.

გოგლიძის ადვოკატი აცხადებს, რომ საოლქო სასამართლოს განაჩენი კანონიერია და იგი უცვლელი უნდა დარჩეს. მისი თქმით, ჩხუბის დროს, გოგლიძე ცდილობდა, საკუთარი სიცოცხლე დაეცვა და იმ მომენტში, მას არ შეეძლო და არც იყო ვალდებული, გაეთვალისწინებინა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მის მიერ ჩალაურის შეტევის მოგერიებას. ■

„მეშურებოდა – მამაშენის საფლავზე შენივე თოფით მოგკლავო"

28 წლის დავით კაკუშაძე, რომელიც განზრახ მკვლელობის ბრალდებით სასამართლოს წინაშე წარდგა, ტყიბულის რაიონის სოფელ გურნაში ცხოვრობდა. 2003 წლის 9 აპრილს, დღის მეორე ნახევარში, მასთან სახლში თანასოფლელი – ოლეგ ხვადაგიანი მივიდა, რათა დაზიანებული ელექტროგაყვანილობა შეეკეთებინა. სამუშაოს შემდეგ, კაკუშაძემ იგი მეზობლებთან – ზურაბ ბაბუხადიასა და გივი გუბელაძესთან ერთად სუფრასთან მიიწვია. დაახლოებით 8-9 ლიტრი ღვინო დალიეს და დათვრნენ. კაკუშაძემ ხვადაგიანს სთხოვა – მეზობლის, ლია კაკუშაძის ელექტროგაყვანილობაც შეაკეთეო, – რაზეც თანხმობა მიიღო. საქმის მასალებში წერია, რომ მიუხედავად თანხმობისა, კაკუშაძემ რამდენჯერმე გაუმეორა თხოვნა და ბოლოს, კატეგორიული ტონით განუცხადა ხვადაგიანს – გაყვანილობა შეაკეთეო! ამან ხვადაგიანი გააღიზიანა და ის შეეპასუხა. ურთიერთშელაპარაკების დროს, კაკუშაძემ მას ხელი გაარტყა სახეში, რასაც ხვადაგიანმა ხელის გარტყმითვე უპასუხა. ბრალდების თანახმად, განაწყენებულმა კაკუშაძემ ოთახიდან ორლულიანი სანადირო თოფი (CIFSAN) გამოიტანა (პროკურატურის ინფორმაციით, თოფი მან რამდენიმე დღით ადრე, უცნობი პირისგან შეიძინა) და დასაშინებლად, ერთხელ ჰაერში გაისროლა. შემდეგ, სახლში აღარ გაჩერდა და ე.წ. „ვარდენაულის წყაროსკენ" წავიდა. თოფის გასროლის გამო გულმოსული ხვადაგიანი მას უკან გაჰყვა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, გზაში კაკუშაძემ გასროლილი ტყვიის მასრა ლულიდან ამოიღო და გადააგდო. ამ დროს მან დაინახა, რომ მეორე ლულაში კიდევ ერთი ვაზნა იდო. დაახლოებით 300 მეტრის გავლის შემდეგ, „ვარდენაულის წყაროსთან" ახლოს მდებარე გზაჯვარედინთან მივიდა, მობრუნდა და დაინახა, რომ ხვადაგიანი უკან მიჰყვებოდა. გამოძიების დასკვნით, კაკუშაძე ძალიან გაბრაზდა და სწორედ მაშინ განიზრახა ხვადაგიანის მოკვლა; მან დაახლოებით 4-5 მეტრის მანძილიდან დაუმიზნა თოფი და ესროლა. ხვადაგიანი გულმკერდის არეში სასიკვდილოდ დაიჭრა და ადგილზევე გარდაიცვალა. დავით კაკუშაძე კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ ცნო, სასამართლოში კი განაცხადა, რომ ხვადაგიანი მოკლა არა განზრახ, არამედ გაუფრთხილებლობით. „...*სუფრიდან რომ ავდექით, ხვადაგიანი და ბაბუხადია ჭიშკარში გავიდნენ. მე შინ შევბრუნდი, სანადირო თოფი ავიღე და „ვალინკები" ჩავიცვი, რადგან ტყეში, საქონლის მოსაყვანად ვაპირებდი წასვლას. ჭიშკარს რომ მივუახლოვდი, ხვადაგიანი მომიტრიალდა, დედის მისამართით შემაგინა და მითხრა – შენი საქმე არ არის, ვის ჩავურთავ დენსო. შევეპასუხე, მან კი სახეში ხელი გამარტყა. ისევ ეზოში შევბრუნდი, მინდოდა, თავი ამერიდებინა უსიამოვნებისთვის და ეზოდან მეორე, პატარა ჭიშკრიდან ვაპირებდი გასვლას. ხვადაგიანი არ მომშორდა, უკან მომყვებოდა და თან მაგინებდა. ხელებით სწვდა თოფს, ჭიდილის დროს, თოფისთვის ხელი რომ გამეშვა, აუცილებლად წამართმევდა. ამასობაში, უკუსვლით გავიარე დაახლოებით შვიდი მეტრი, ისე, რომ იარაღი ხვადაგიანს ხელიდან ვერ გამოვტაცე. მემუქრებოდა – მამაშენის საფლავზე შენივე თოფით მოგკლავო. სასაფლაოც იმ მხარეს იყო, საითაც ჩვენ ვივდიოდით. მაშინ შევეცადე, თოფიდან გაუსროლელი ტყვია ამომეღო, მაგრამ ჩამკეტის ნაცვლად, სასხლეტს გამოვკარი ხელი. თოფი მაშინვე მოვისროლე და ხალხს დავუძახე მისაშველებლად. შინ მეორე დღეს დავბრუნდი, იქიდან პოლიციაში წამიყვანეს*"... – განაცხადა **დავით კაკუშაძემ**. ქუთაისის საოლქო სასამართლომ განსასჯელის ჩვენება გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობის შესახებ არ გაითვალისწინა და იგი განზრახ მკვლელობაში ცნო დამნაშავედ. კაკუშაძეს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მსჯავრდებული განაჩენით უკმაყოფილო დარჩა და იგი საკასაციო წესით უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. კაკუშაძე აცხადებს, რომ მკვლელად უსამართლოდ შერაცხეს. „*შედეგად მკვლელი გამომიყვანეს. ვაღიარებ, რომ კაცი შემომკვდა, მაგრამ ეს შემთხვევით მოხდა და არა განზრახ. მისი მოკვლის განზრახვა რომ მქონოდა, თოფიანი კაცი თითქმის ნახევარ კილომეტრს არ ვირბენდი და მოძალადეს არ გავექცეოდი, დანაშაულის ჩადენა ხომ სახლის ეზოშიც შემეძლო?*" – აღნიშნავს მსჯავრდებული. ბრალდების მხარე კი, მას მოწმეთა ჩვენებებითა და ექსპერტიზის დასკვნებით ეწინააღმდეგება. პროკურორის თქმით, ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნული ჭრილობის სასიათი და ტყვიის ტრაექტორია ცხადყოფს, რომ გასროლა დამიზნებითაა ნაწარმოები და არა იმ ვითარებაში, რომელსაც კაკუშაძე აღწერს. ამასთანავე, ბრალდების მხარე კაკუშაძის კონფლიქტურ ბუნებასაც უსვამს ხაზს. „*ჩვენებებში მოწმეები – მეზობლები აღნიშნავენ, რომ კაკუშაძე, ალკოჰოლურ სასმელს მიიღებდა თუ არა, აგრესიული ხდებოდა და მუდამ ჩხუბობდა*", – აღნიშნავს პროკურორი.

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის მოსამართლეებმა მსჯავრდებულის პოზიცია არ გაიზიარეს და წინა განაჩენი უცვლელი დატოვეს. ■

მერაბი ინგასთან ერთად

ადამიანების დამოკიდებულება ცხოველების მიმართ არაერთგვაროვანია, ზოგი ძაღლის დანახვაზეც კი შიშისგან კანკალებს, ზოგს კი ოთხფეხა მეგობარი ყველაფერს ურჩევნია. ადამიანისა და ცხოველის ურთიერთობა შორეული წარსულიდან იღებს სათავეს და დღემდე სხვადასხვა სახით გრძელდება: ვისთვის ცხოველი მხოლოდ საცდელი ობიექტია, ვისთვის გართობის ან ფუფუნების საგანი, ვილაცისთვის კი სიმარტოვისგან თავის დაღწევის საშუალება. როდესაც ცხოველი ოჯახში, ადამიანების გვერდით იმკვიდრებს ადგილს, ადამიანი ცდილობს, იგი არსებულ პირობებს მოარგოს და დაიმორჩილოს. თუმცა, ძნელია, გარანტირებული სიმშვიდე მოიპოვო მაშინ, როდესაც ერთ ჭერქვეშ ლომთან, მგელთან ან გველთან ერთად გიხდება ცხოვრება.

egzotikuri cxovelebi ojaxSi

ვნუ ინგა მანც ლომი იყო

ემა ტუხიაშვილი

ნანა თურმანიძე:

— ჩემს ძმას, მერაბს ცხოველები ძალიან უყვარდა. განსაკუთრებულ ინტერესს კი ჯიშიანი ძაღლების მიმართ იჩენდა, ამიტომ ოჯახში ერთი ან ორი ძაღლი ყოველთვის გვყავდა. ერთხელაც განაცხადა ოჯახში, რომ ვიღაც საუკეთესო ჯიშის ლეკვს ყიდდა და მისი შეძენის სურვილი ჰქონდა. თუ არ ვცდები, ლეკვის საფასური სამას საბჭოთა მანეთს აღემატებოდა. ეს თანხა მაშინ, 1976 წელს, დიდი ფული იყო და მერაბს ფული აკლდებოდა. ჩემს ძმას გულს როგორ დავწყვეტდი და ფული დავუმატე. ჩვენი გაოცება უნდა გენახათ, როდესაც მერაბი „შენაძენით“ შინ დაბრუნდა: ვუყურებდით ოჯახის წევრები „ლეკვს“ და ვხვდებოდით, რომ ოჯახში ძაღლი კი არა, ნამდვილი ლომის ბოკვერი შემოგვისახლეს. მაშინ კანდელაკის ქუჩაზე საკუთარ სახლში ვცხოვრობდით, ეზოც გვქონდა, მაგრამ ინგა — ასე დაარქვა მერაბმა თავის ლომს, ოჯახში ჩვენ გვერდით ცხოვრობდა. სამი თვის იყო, როდესაც მერაბმა შინ მოიყვანა, მაგრამ აგრესიას იმთავითვე ავლენდა. შპალერს გლეჯდა კედლებიდან, ღრღნიდა ყველაფერს, რაც პირში მოხვდებოდა. ამავე დროს დაუნდობელიც იყო, ოჯახის წევრებს ჩუმად მოგვეპარებოდა ზურგიდან და თავის უშველებელ ტორებს დაგვარტყამდა-ხოლმე. მხოლოდ ჩემი ძმის ეშინოდა. მისი რიდიც ჰქონდა. ერთხელ მეზობლის ბავშვი კინალამ შეჭამა, თავზე სერიოზული ჭრილობა მიაყენა. ამის გამო მერაბმა ინგა რკინის მოზრდილი ჯოხით სცემა, მას კი პატრონისთვის არც კი შეუღრენია. ძალიან სწრაფად გაიზარდა, ერთ წლის შემდეგ დაახლოებით 150 კილოგრამს იწონიდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, მისთვის ეზოში რკინის გალია გაგვეკეთებინა და იქ მოგვეთავსებინა. უამრავი ცნობისმოყვარე ადამიანი მოდიოდა ინგას სანახავად, სკოლებიდან და საბავშვო ბაღებიდან მოჰყავდათ პედაგოგებს ბავშვები, ლომი რომ ეჩვენებინათ. ერთხელ, ზურა ყიფშიძის მეუღლე ლელა გვესტუმრა. „დუბლიორკა“ ეცვა, გალიასთან ახლოს მივიდა, რომ ლომი კარგად შეეთვალიერებინა. ყველაფერი წამებში მოხდა, ლომს ბეწვის სუნი ეცა, სახელოში ჩაფრინდა და გალიისკენ ექაჩებოდა... კარგია, რომ ლელამ მისი გახდა მოასწრო, ლომმა „დუბლიორკა“ რამდენიმე წამში ნაფლეთებად აქცია. ასეთი შემთხვევაც გვქონდა: ლომი ისე გამოვიდა გალიიდან, ჩვენ ვერაფერი გავიგეთ; ღობეს გადაახტა და კანდელაკის ქუჩაზე გავიდა. დილა იყო, ხალხი კანტიკუნტად მიმოდიოდა, მაგრამ ხომ წარმოგიდგენიათ მათი რეაქცია, როდესაც შუა ქუჩაზე მიმავალ ლომს დაინახავდნენ. მაშინ კანდელაკზე ტრამვაი დადიოდა. გაჩერებაზე მამაკაცი ჩამოსულა, თან სამი ბავშვი ახლდა თურმე და ასე პირისპირ აღმოჩნდნენ ლომთან. საწყალი კაცი შიშისგან ადგილზე გაქვავებულა და ბავშვები თავის ზურგს უკან დაუმალავს. ლომი ადგილიდან არ იძვროდა, ცოტა ხანს ასე უმზერდა თურმე, მამაკაცს და ბავშვებს, შემდეგ კი გზა გაუგრძელებია ისე, რომ მათთვის არაფერი დაუშავებია.

დილაობით კუს ტბაზე ასეირნებდა, სადაც დამფრთხალი ადამიანები აქეთ-იქით გარბოდნენ. მეტსაც გეტყვით — ერთხელ, მერაბმა ინგა მეგობრის ქორწილში წაიყვანა...

— ლომი როგორ დააბრუნეთ სახლში?

— მეზობლებმა გავავებინეს და მერაბმა მოიყვანა, დასაჯა კიდეც, მაგრამ ინგა მაინც ლომი იყო და თავისას არ იშლიდა. ჩვენც ისევე გვეშინოდა მისი, როგორც ნებისმიერ უცხო ადამიანს, რადგან ძალიან დაუნდობელი იყო და რიდის რას მოიმოქმედებდა, არავინ იცოდა.

— რითი იკვებებოდა თქვენი ლომი და განსაკუთრებული მოვლა თუ ესაჭიროებოდა?

— დღეში სამ-ოთხ კილოგრამ ხორცს მირთმევდა, მერაბს ისე უყვარდა ინგა, რომ რას მოაკლებდა?! აბანავებდა კიდეც, ასუფთავებდა, ძირითადად ცივი წყლით. დილაობით კუს ტბაზე ასეირნებდა, სადაც დამფრთხალი ადამიანები აქეთ-იქით გარბოდნენ. მეტსაც გეტყვით — ერთხელ, მერაბმა ინგა მეგობრის ქორწილში წაიყვანა, მერვე სართულზე ლიფტით აბრძანა და მექორწილეებთან შეიყვანა: რამდენიმე წამში, მათ გარდა ოჯახში აღარავინ დარჩენილა. ნეფე-დედოფალი კი შიშისგან თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

— მილიციასთან პრობლემები არ გქონიათ? თქვენი ლომი ხომ ადამიანების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა!

— რა თქმა უნდა, გვქონდა. მოდიოდნენ სამართალდამცავები, ჯაჭვებით მოითხოვდნენ, ლომი ან მოგვეკლა, ან ზოოპარკში ჩაგვე-

ხშირად მინახავს, როგორ ეთამაშებოდნენ კუებს, კატებს და წარმოიდგინეთ, კურდღლებსაც კი.

ბარებინა, მაგრამ მერაბი ვერ ელეოდა. ერთხელ მერვე პოლკი დაგვაყენეს თავზე, ლომის წაყვანა უნდოდათ, მაგრამ მერაბმა არ დაანება. მოგვიანებით კი, თვითონ გადაწყვიტა, ზოოპარკისთვის გადაეცა. თავდაპირველად, მერაბს ინგას გარეშე ძალიან გაუჭირდა. ხშირად მიდიოდა მის სანახავად. როგორც ზოოპარკის თანამშრომლებმა გვითხრეს, ლომმაც ძალზე განიცადა მერაბთან განშორება და პირველი ერთი კვირის განმავლობაში, ყოველღამე განწირული ხმით ბრდღვინავდა. ყოველ კვირას მიჰქონდა მერაბს მასთან ხორცი და გალიის გარედან აჭმევდა. ერთხელ კი გაბედა და მასთან გალიაში შევიდა, სადაც კიდევ ხვადი ლომი იყო. უცხო ადამიანი რომ შეუნიშნავს, ღრენით წამოსულა მისკენ, მაგრამ ინგა გადაჰფარებია თურმე მერაბს და ხვადისთვის მასთან მიკარების უფლება არ მოუცია. მერაბმა მაშინ გული ოკერა მისი მოფერებით, მაგრამ სხვა დროს გალიაში შესვლა აღარ უცდია. ცხრა წელი იცხოვრა ინგამ ზოოპარკში, შემდეგ დაავადდა და მოკვდა. სამწუხაროდ, ახლა აღარც მერაბია ცოცხალი... მართალია, ლომის გამო გადატანილმა პრობლემებმა ბევრი არასასიამოვნო მოგონება დაგვიტოვა, მაგრამ მერაბის სიყვარულით ინგას ამბებს ხშირად სიამოვნებით ვიხსენებთ ხოლმე...

ნათია კიტოვანი *(საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის თენგიზ კიტოვანის ქალიშვილი):*

— მამის მეგობრებს შორის ბევრია ნადირობის მოყვარული. ერთხელაც, ტყეში ორი მგლის ლეკვი დაუჭერიათ და თენგოს მოუყვანეს საჩუქრად: შენ მაინც მგელივით ცხოვრობ და ეს მგლები შენ გყავდესო. მაშინ მამა ნახალოვკაში ცხოვრობდა, მის სახლს დიდი ეზო ჰქონდა, ეზოში კი, ცხოველებისთვის განკუთვნილი რამდენიმე გალია იყო. მგლების გარდა მამას ძაღლებიც ჰყავდა, კატებიც, კურდღლებიც და ორი კუც. არ ვიცი რატომ, მაგრამ ყველა ეს ცხოველი წყვილ-წყვილად იყო მოთავსებული გალიებში. ჩემი დისშვილი საკმაოდ ენაკვიმატია, ამიტომ თენგოს ხშირად ეხუმრებოდა: რა იყო, ნოე ხომ არ ხარ? იქნებ, რაღაც იცი და არ გვეუბნებიო...

— **ამბობენ, მგლის ნდობა არ შეიძლებაო აგრესიულები იყვნენ?**

— პირიქით, არასოდეს არავის ერჩოდნენ. ხომ იცით, მამაჩემის გარშემო ყოველთვის უამრავი ადამიანი ტრიალებს, იქნებიან ეს მისი თანამებრძოლები თუ უბრალოდ, მეგობრები. ყველა დიდ ინტერესს იჩენდა მგლების მიმართ, ეთამაშებოდნენ. ალბათ ამიტომაც ჩამოუყალიბდათ ამ მხეცებს ადამიანების მიმართ არაგრესიული დამოკიდებულება. თუმცა, არც სხვა ცხოველებს ერჩოდნენ. ხშირად მინახავს, როგორ ეთამაშებოდნენ კუებს, კატებს და წარმოიდგინეთ, კურდღლებსაც კი.

— **მგლებს რა დაარქვა ბატონმა თენგიზმა?**

— სახელები არ დაურქმევია, უბრალოდ, მგლებს ეძახდა. საერთოდ, თენგოს არ უყვარს ცხოველებზე გადამეტებით ზრუნვა, ამიტომ ხშირად ისეთ ცხოველს ირჩევს, რომელსაც დიდი მოვლა არ სჭირდება. სამწუხაროდ, მგლებს ერთ წელიწადში რაღაც დაავადება შეეყარათ, რომელიც გარეულ ცხოველებს ემართებათ, მათ ეს დაავადება სხვა ცხოველებსაც გადასდეს და — როგორც მამა ეძახდა ხოლმე, თავის სახლს — ფაზენდის ყველა ბინადარი ამ დაავადებას ემსხვერპლა.

— **ახლა თუ ჰყავს მამათქვენს ცხოველები?**

— მოსკოვში საამისო პირობები არა აქვს, თუმცა ახლო მომავალში კვლავ თბილისში გადმოსვლას აპირებს და ვნახოთ, შემდეგ რას გადაწყვეტს.

თორმეტი წლის მარიამ რუსიშვილს კი შინ მინიზოოპარკი აქვს. კატა ტომი, ოთხი თუთიყუში და მათი თორმეტი ბარტყი, კუ, ზაზუნა და ხვლიკი π-3, ოროთახიან ბინაში მარიამის ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობენ.

მარიამ რუსიშვილი:

— ბინადართაგან ყველაზე მეტად კატა ტომი მიყვარს, მას ყველაფრის უფლება აქვს: ზაზუნას ეთამაშოს, კუ აბურთაოს, ზოგჯერ კი თუთიყუშებსაც ალმაცერად უმზერს ხოლმე. ერთ-ერთი თუთიყუში მოლაპარაკეა, დედაჩემის რამდენიმე რეპლიკა აქვს გაზუთხული და დროდადრო იმეორებს ხოლმე. ხვლიკი π-3 რუსეთიდან ჩამოვიყვანე. მინდორში ვიპოვე. მაშინ მისი სიგრძე მხოლოდ სამი სანტიმეტრი იყო. ასანთის კოლოფში ჩასმული ვატარე ამხელა გზაზე და პერიოდულად ვამოწმებდი, როგორ გრძნობდა თავს.

— **π-3 რატომ დაარქვი?**

— ალბათ იმიტომ, რომ მხოლოდ სამი სანტიმეტრი იყო და სახელი „პი-ტრი" კარგად ჟღერს (*π — მათემატიკური სიდიდე. დაახლოებით ტოლია 3,14 სმ-ის. — ავტ.*). ორ თვეში დაახლოებით ორი სანტიმეტრი მოიმატა სიგრძეში, საერთოდ კი, ათ სანტიმეტრამდე უნდა გაიზარდოს.

ხვლიკი π-3 რუსეთიდან ჩამოვიყვანე

— **სად ცხოვრობს და რითი იკვებება?**

— მუყაოს ყუთში მოვუწყვე სახლი, შიგ სილა, კენჭები და მცენარეები ჩავუყარე. როგორც ჩანს, მცენარეებს მიირთმევს, რადგან სხვა საკვები მისთვის არ მიმიცია. ძალიან საყვარელია. როდესაც ყუთიდან ამოძყავს და ვეფერები, ხელისგულზე მომეკვრება და გაიყურსება ხოლმე. მცირე ზომის გამო ხშირად მეკარგება ბალახებსა და კენჭებში, მაგრამ მგონი ესმის, როდესაც ვეძახი და უმალ ამოყოფს ხოლმე თავს.

— **რატომ გიზიდავენ ეგზოტიკური ცხოველები?**

— ძალიან ლამაზები და უცნაურები არიან. ჩემი ოცნებაა, მყავდეს ობობა — ტარანტული. ვიცი, ძალიან შხამიანია, მაგრამ საერთოდ არ მეშინია. დედა დამპირდა, რომ თუ სასწავლო წელს წარჩინებით დავასრულებ, აუცილებლად მიყიდის ტარანტულს, ამიტომ ქოქოსის ქერქს მისი სახლისთვის უკვე ვაგროვებ.

ჩემი ოცნებაა, მყავდეს ობობა — ტარანტული

ლევან კინწურაშვილს *კი, შინ გველი ჰყავს. ორი წლის წინ ლევანს გველი მეგობრებმა აჩუქეს, რადგან ლევანი ჰოროსკოპით გველია. გველის სახელმა ჩემი გაოცება გამოიწვია, რადგან მას პატრონის სახელი ჰქვია. როდესაც მიზეზი ვიკითხე, ამიხსნეს, რომ სახელი*

„ლევანი 2“ ქვეწარმავალს მეგობრებმა უწოდეს

„ლევანი 2“ ქვეწარმავალს მეგობრებმა უწოდეს, რადგან ლევანის ხასიათში მასთან მსგავსებას ხედავენ. დროდადრო ლევანს გველი სამსახურში მიჰყავს, სადაც მისი თანამშრომლებიც უშიშრად ურთიერთობენ ქვეწარმავალთან.

ნატო, *ლევანის თანამშრომელი:*

— ეს გველი „ოთხზოლიანი მცოცავის“ სახეობას განეკუთვნება, შხამიანი არ არის, თუმცა თუ გააბრაზებ და გაღიზიანებ, შეიძლება გიკბინოს. ერთხელ მეც მიკბინა, ძალიან მწარე ნაკბენი აქვს და რამდენიმე თვის განმავლობაში არ შუშდება. მისთვის განკუთვნილ აკვარიუმში ცხოვრობს, შესაფერისი ტემპერატურა და პატარა წყლით სავსე აუზი აქვს, სადაც იშვიათად ჩადის ხოლმე. უყვარს ნახერხში, ნაფოტის ქვეშ დამალვა, თან, ისე მოხერხებულად თავსდება, რომ შეუმჩნეველი ხდება. დროდადრო ონკანის ქვეშ ვაბანავებთ ხოლმე.

— რას აჭმევთ?

— ზაზუნებით იკვებება. ზამთრის თვეებში მხოლოდ ერთ ზაზუნას მირთმევს, წელიწადის დანარჩენ დროს კი თვეში ერთი ზაზუნაა მისი საკვები. როდესაც ზაზუნას აკვარიუმში შეუგდებენ, გველი ჯერ მოახრჩობს მას, შემდეგ მთლიანად გადაყლაპავს, ორი კვირის შემდეგ კი მის ბრჭყალებსა და ტყავს გადმოაგდებს გარეთ.

— შიშის გარდა, ბევრ ადამიანს ზიზღის გრძნობა აქვს ქვეწარმავლების მიმართ, შენ არა?

— ბავშვობიდანვე მიყვარდა სოფელში გველების, ბაყაყებისა და ხვლიკების დაჭერა. არც შიშის და არც ზიზღის გრძნობა არასდროს დამუფლებია. გველი ძალიან ლამაზი და ალერსიანია, უბრალოდ, ამის დანახვა უნდა შეგეძლოს.

ნიანგი აბესალომი კი ნუცუბიძის პლატოზე, მრავალსართულიანი სახლის მერვე სართულზე, ***ლიპარტიეგის*** *ოჯახში ცხოვრობს. მართალია, მისი წინაპრები ნილოსის წყლებში ბანაობდნენ, მაგრამ აბესალომი ჯერ მცირე ზომის აბაზანითაც კმაყოფილდება...*

— სოსო, რატომ დაარქვი ნიანგს აბესალომი?

ეს გველი „ოთხზოლიანი მცოცავის“ სახეობას განეკუთვნება, შხამიანი არ არის

სოსო ლიპარტია *(ტელეკომპანია „მზის“ ოპერატორი):*

— აბესალომი კარგი სახელია, თან მგონია, რომ ნიანგსაც უხდება. ღიმილის მომგვრელია, როდესაც ნიანგს აბესალომს ეძახი.

— მოგვიყევი მისი წარმომავლობის შესახებ.

— ეს ნილოსის ნიანგია, მაგრამ მე როსტოვში შევიძინე. მაშინ მხოლოდ ოცი სანტიმეტრი სიგრძის იყო, ახლა კი თითქმის ნახევარი მეტრია. პატარა, გამჭვირვალე კბილები ჰქონდა, მაგრამ მაინც იკბინებოდა. ერთხელ მეც მიკბინა ხელზე... თავიდან ჩემი ნიანგი სოფელში ცხოვრობდა, მაგრამ გაცივდა, სურდო ჰქონდა და თბილისში ვეტერინართან ჩამოვიყვანე. აცრა გაუკეთეს და ახლა მშვენივრად გრძნობს თავს.

აბესალომი დაახლოებით შვიდი მეტრი სიგრძის იქნება

ბავშვობის ოცნება ავისრულე. ყოველთვის მიმიდავდა ნიანგის ნადირობის მანერა

— ვეტერინარის რეაქცია როგორი იყო, პაციენტი ნიანგი რომ მიუყვანე?

— ნორმალური. მაგრამ ტაქსის მძღოლთან შემექმნა პრობლემები. როდესაც აკვარიუმი სპარგულში ჩავდგი, მძღოლმა მკითხა: რა არისო? ვუპასუხე — აკვარიუმია-მეთქი. აღშფოთდა: აუ, ახლა წყალი დაიღვრებაო. ვუთხარი, რომ აკვარიუმში წყალი არ ესხა. გაოცდა: როგორ თუ წყალი არ არის? აბა, თევზები როგორ არიანო? რომ ავუხსენი, აკვარიუმში თევზები კი არა, ნიანგი ოჯდა, გაწიწმატდა: ჩქარა ამოიყვანე, მე მგასთან ერთად მანქანაში არ ჩავჯდებიო!

— რატომ გადაწყვიტე მაინცდამაინც ნიანგის ყოლა? რითი გიზიდავს ეს ცხოველი?

— სხვათა შორის, ბავშვობის ოცნება ავისრულე. ყოველთვის მიზიდავდა ნიანგის ნადირობის მანერა — როგორ გაირინდებოდა, როდესაც მსხვერპლს შენიშნავდა და შემდეგ მოულოდნელად დააცხრებოდა თავს.

— შენი აბესალომი რაზე ნადირობს?

— ზოოპარკში სპეციალურად მისთვის ვყიდულობ ამერიკულ ტარაკანებს. ნიანგი, სწორედ ამ ტარაკნებით იკვებება და კიდევ ცხოველის ღვიძლს მირთმევს. ტარაკანს სათითაოდ ვუგდებ აკვარიუმში და ისიც ჯერ მონადირეს მას და შემდეგ შეჭამს ხოლმე.

— აგრესიული თუ არის შენი ნიანგი?

— ყოველთვის გაბრაზებულია, განსაკუთრებით მაშინ ღიზიანდება, როდესაც მის სანახავად ბევრი ადამიანი მოდის. საერთოდ, ნიანგი ძალიან დაუნდობელია, ივი ერთნაირად ერჩის როგორც უცხო ადამიანს, ასევე პატრონს.

— შენი ოჯახის წევრები, მეზობლები, როგორ ეგუებიან იმ ფაქტს, რომ სახლში ნიანგი გყავს?

— მთელი წელი დამჭირდა იმისთვის, რომ ოჯახის წევრები შემემზადებინა და შემდეგ, ნიანგთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებაზე დამეთანხმებინა. მეზობლებმა რომ გაიგეს, ლიპარტიებს შინ ნიანგი ჰყავთო, არც შემოდიან. ალბათ ჰგონიათ, რომ ნიანგი ოთახიდან ოთახში თავისუფლად დაბიჯებს.

— რამხელა იზრდება შენი ნიანგი და რას იზამ მაშინ, როდესაც შენი ბინის აბაზანა მისთვის უკვე მოუხერხებელი იქნება?

— აბესალომი დაახლოებით შვიდი მეტრი სიგრძის იქნება, მაგრამ ამ ზომამდე გასაზრდელად ოცი წელი სჭირდება. მასთან განშორებას ნამდვილად არ ვაპირებ, მეტიც — როდესაც გაიზრდება, ისევ სოფელში წავიყვან და შესაფერის პირობებს შევუქმნი. შემდეგ კი დედალ ნიანგს ვუშოვი, შევაჯვარებ და მის შთამომავლობას გავამრავლებ.

— ერთი მამალი ნიანგი შენზეა, იცოდე!.. ■

უკანონო განაჩენს შეწირული ახალგაზრდობა,

საბედისწერო კურიოზი ძალლთან და სტალინის დროინდელი ქართული და რუსული ციხეების ტრადიციები

მეგი ცანავა

ადამიანი, რომლის შესახებაც ინტერვიუდან შეიტყობთ, მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, 22 წლის ასაკში გაასამართლეს და 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მოუსაჯეს. დამნაშავედ ცნეს ყაჩაღობასა და მკვლელობაში, თუმცა, მსჯავრდებული ირწმუნებოდა, რომ უდანაშაულო იყო. ასეც აღმოჩნდა — ოღონდ გაციმბირებიდან 10 წლის შემდეგ. როცა პატიმრის შეუპოვრობის შედეგად მოსკოვმა განაჩენი გადასინჯა, ობიექტური გამოძიების მასალების ნაცვლად, ცენტრისგან დაშინებული ჩინოვნიკების მიერ, მორიგი გაუხსნელი საქმის თავიდან აცილების მიზნით შეთითხნილი სცენარი და მტკიცებულებების გარეშე შეკერილი საქმე შერჩათ ხელში. უტყუარი ალიბის საფუძველზე პატიმარი გაათავისუფლეს, თუმცა ციხეში გატარებული 10 საშინელი წელიწადი, სასოწარკვეთა და უდიდესი სულიერი ტკივილი მას დღემდე არ ავიწყდება. უკანონო განაჩენმა სამუდამოდ დაასვა დაღი მის ცხოვრებას. მანც ნაკიხარს უწოდებდნენ და ეს ფაქტი მომავლის გაკვალვისას გადაულახავ დაბრკოლებად ექცა. ცხოვრებამ იგი შავ სამყაროს თავისთავად დაუახლოვა — იმ დროისთვის თბილისში ყველაზე ცნობილ კანონიერ ქურდებს დაუმეგობრდა და მათ წრეში ავტორიტეტული პიროვნება გახდა. მასზე თურმე გაზეთებიც წერდნენ, მაგრამ ყოფილი პატიმრის ვინაობის შესახებ მკითხველმა არაფერი იცოდა. ***„თქვენ ჟურნალის წინა (№17) ნომერში, რუბრიკა — „ბედი კაცისაში“ ინტერვიუ წავიკითხე — „როცა სიყვარული სიკვდილს ამარცხებს“. ინტერვიუმ ჩემზე ძალიან იმოქმედა, სურვილი გამიჩნდა, ჩემი ცხოვრების შესახებ საზოგადოებისთვის მომეთხრო, რადგან მეც ბედის უკუღმართობის მსხვერპლი გავხდი... სახელის გამოაშკარავებისგან ყოველთვის თავს ვიკავებდი. შვილებს ვერიდებოდი, ვერა და ვერ გადავწყვიტე, ჩემი ამბავი გამემხილა. ერთი წლის წინ კი ყველაფერი სულერთი გახდა“,*** — ამბობს ბატონი ***ალექსანდრე მირიანაშვილი.*** *ერთი წლის წინ, ახალი წლის საღამოს, მას ერთადერთი ვაჟი მუხანათურად მოუკლეს. საიდუმლოს ვერარ დავმალავ, ამდენ ტკივილს ვერარ იტევს ჩემი გულიო, — გვითხრა ბატონმა ალექსანდრემ და ალბათ, ამიტომაც გადაწყვიტა, თავისი მართლაც უჩვეულო, ღალატითა და განსაკვლელით სავსე ცხოვრების შესახებ დაუფარავად ამცნოს მთელ ქვეყანას.*

— ბატონო ალექსანდრე, ამბობთ, რომ თქვენს ცხოვრებაში ყველა განსაცდელი ერთმა საბედისწერო კურიოზმა განაპირობა, რომელიც ძალიან ახალგაზრდას გადაგხდათ თავს...

— დიახ, ეს იყო კურიოზი, რომელმაც მთელი ცხოვრება გამიმწარა. სამამულო ომი გახლდათ გაჩაღებული, მამაჩემი პირველსავე დღეებში წაიყვანეს ფრონტზე. როცა 17 წელი შემისრულდა, მითხრეს, რომ ჩემი სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა იყო საჭირო. კომისარიატში, რომელიც რუსთაველის მეტროს გვერდით მდებარეობდა, სტენდზე განცხადება დამხვდა — რუსთავის მფრინავ-გამანადგურებელთა სკოლა კურსანტებს იღებსო. ბავშვობიდან ვოცნებობდი ავიაციაზე, ცდუნებას ვერ გავუძელი და მაშინვე მოხალისედ ჩავეწერე. დედისთვის არაფერი მითქვამს. ყველაფერი მაშინ შეიტყო, როცა შინ ოფიციალური მიწვევა მივიღეთ. წარმოიდგინეთ დედის მდგომარეობა — ქმარი ფრონტზეა, არ იცის, ცოცხალი გადარჩება თუ არა და ახლა ერთადერთი ვაჟი თავისი ფეხით მიდის სასაკლაოზე. მუდარამ და ცრემლებმა არ გაჭრა, მაინც წავედი. დაახლოებით 70 მოხალისე მატარებელში ჩაგვსვეს და ვაზიანში მიგვიყვანეს. ყაზარმის გარშემო სოკოებივით იდგა ერთოთახიანი ფინური ხის სახლები — იქ ოფიცრები ცხოვრობდნენ, თავიანთი ოჯახებით. იქაურობას რომ გავხედე, ოცნებამ გამიტაცა, წარმოვიდგინე, ერთ წელიწადში როგორ ვიქროლებდი ცაში. სამწუხაროდ, იმედი გამიცრუდა. ჯერ ფიცი მიგვაღებინეს და შემდეგ გამოგვიცხადეს — ფრონტმა მტრის ტერიტორიაზე გადაინაცვლა და სარდლობის ბრძანებით, თქვენი მფრინავებად მომზადება საჭირო არ არისო. სამსახურში დაგვტოვეს, გვითხრეს, სამაგიეროდ, სამხედრო ვალდებულებას ერთი წლით ადრე მოიხდიო. იარაღიც დაგვირიგეს — გერმანული მოკლე კარაბინები. ჩვენი ბატალიონის უფროსი — რისევი ერთ-ერთ ფინურ სახლში, ახალშერთულ ცოლთან და სეტერის ჯიშის ოქროსფერ ძაღლთან ერთად ცხოვრობდა. ერთ დღეს, რისევმა ყარაულში გასვლის წინ ჩამოგვიარა, შეგვათვალიერა და გამოგვიცხადა — ღამე მელიები გამოდიან, თუ შეხვდით, ესროლეთო. მივხვდით, ახალგაზრდა მეუღლისთვის ბეწვი უნდოდა. თითოეულ ჩვენგანს სურდა მეთაურის კეთილგანწყობა დაეშახურებინა. ერთ ღამეს, ვყარაულობდი, კარაბინი მხარზე მქონდა გადაგდებული და წინ და უკან დავდიოდი. დაახლოებით 50 მეტრში, განალეწი ნამჯის პატარა ზვინი იყო. სწორედ იქიდან რაღაც ფაჩუნი მომესმა, თავდაპირველად ვერაფერი შევნიშნე, მაგრამ ტყვია მაინც გადავტენე ლულაში, თვითმფრინავის კუდს ამოვეფარე და დაძაბული მივაჩერდი იმ ადგილს. რამდენიმე წამში დავინახე, როგორ გამოვიდა მელია ზვინის უკნიდან. გამიხარდა, რომ მეთაურის გულის მოგების შანსი სწორედ მე მომეცა. მიზანში ამოვიღე და როგორც კი „სტოიკაზე“ გაჩერდა, ვესროლე. დაჭრილი რომ არ გაქცეულიყო, მეორე ტყვიაც მივაყოლე. მოძრაობა შეწყვიტა. ახლოს მივედი, იარაღის დახმარებით ნამჯა შემოვაცალე და გავშვიდი: ჩემს ფეხებთან მეთაურის ძაღლი ეგდო. ყარაულისთვის ორი გასროლა განგაშს ნიშნავდა. ინსტინქტურად ძაღლს ნამჯა წავაყარე და იმ ადგილს მოვცილდი. ვიფიქრე, იქნებ, როგორმე ამაღამ არ ნახონ ძაღლი, დილით კი მოვიპარავ და სადმე დავმარხავ-მეთქი. მაშველი რომ მოვიდა, ვიცრუე — საეჭვო პირები შევნიშნე აკრძალულ ზონაში-მეთქი. მაშინ ბატალიონის**

თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, მომხდარს მტკივნეულად განვიცდიდი, მაგრამ ძნელი იყო, მუდამ სარკი მეხადა ამისთვის (1957 წ.)

უფროსი მომიახლოვდა, მხარზე ხელი მომითათუნა და ყოჩაღო — მითხრა. მოეწონა, სიფრთხილე რომ გამოვიჩინე, რადგან რამდენიმე დღით ადრე შემთხვევა მოხდა — ყაჩაღები ერთ-ერთ ვარისკაცს დაესხნენ თავს და მოკლეს. ამიტომაც ადვილად დაიჯერეს ჩემი ტყუილი. ძაღლს დღისით ვერაფერი მოვუხერხე. შესამჩნევ ადგილზე იყო და დამინახავდნენ. მეოთხე დღეს მძორი აყროლდა და თვითონ „გაყიდა“ საკუთარი თავი. ყველაფერი გაირკვა. მეთაურმა რომ გაიგო ეს ამბავი, სახეში სილა გამაწნა და იმ დღის შემდეგ არ გამახარა. 10 დღით ჰაუპტვახტში ჩამსვა. ვფიქრობდი, ცოტა დრო გავა და ამ უნებლიე შემთხვევასაც დავიწყებენ-მეთქი, მაგრამ ვცდებოდი. იქ ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა. ყოველთვის იმ საგუშაგოზე მიწევდა ყარაულობა, სადაც ვარისკაცის მკვლელობა მოხდა და ყველაზე სახიფათო ადგილად ითვლებოდა. ყაზარმაში მუდამ იატაკს მარეცხვინებდნენ, მიწაზე მახოხიალებდნენ, დასვენების დროს კი კარტოფილის მაფცქვნევინებდნენ. ერთი სიტყვით, აბუჩად მიგდებდნენ და მამცირებდნენ.

— არ გიცდიათ წინააღმდეგობა გაგეწიათ და პროტესტი გამოგეხატათ?

— თავდაპირველად პროტესტის გრძნობა არ მქონდა, რადგან თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, მაგრამ როცა მეთაურის საქციელი ყოველგვარ ზღვარს გადასცდა და არც დასასრული უჩანდა, დავიბოლმე — ბოლოს და ბოლოს, ის ძაღლი ჩემზე — ადამიანზე ძვირფასი როგორ აღმოჩნდა-მეთქი?! — და გაქცევა გადავწყვიტე. შინ გაშვებაზე უფროსი, რა თქმა უნდა, უარს მეუბნებოდა, ამიტომაც თვითნებურად წავედი. გამასამართლეს და ციხეში გამამწესეს. სამი თვე ღრმაღელის აგურის ქარხნის კოლონიაში დავყავი. მალე ომიც დამთავრდა. მთავრობამ საყოველთაო ამნისტია გამოაცხადა. მეც დარჩენილი სასჯელი მაპატიეს და გამთავისუფლეს.

— ფიქრობთ, რომ ამ ფაქტმა თქვენს შემდგომ ცხოვრებაზეც იქონია გავლენა?

— ყოველთვის, როცა ვაზიანის კურიოზს გავიხსენებდი, თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, მომხდარს მტკივნეულად განვიცდიდი, მაგრამ ძნელი იყო, მუდამ ხარკი მეხადა ამისთვის. სამწუხაროდ, ასე მიხდებოდა. ჩემს პირად საბუთებში ჩაიწერა, ნასამართლევი რომ ვარ და ამან ბევრი დაბრკოლება შემიქმნა. განსაკუთრებით იმ პერიოდში ძნელი იყო ასეთი საბუთებით მომავლის გაკვალვა.

— 22 წლისა ისევ დაგაპატიმრეს, თანაც მძიმე დანაშაულში დაგდეს ბრალი. თქვენი უდანაშაულობა დამტკიცდა, მაგრამ მილიციამ მაინცდამაინც თქვენ რატომ ამოგიღოთ მიზანში?

— მაშინ ახალი უბედურება დამატყდა თავს. ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში მესამე კურსზე ვსწავლობდი. მომავალზე ვფიქრობდი და ვცდილობდი, დაბრკოლებებს როგორმე გავმკლავებოდი. ასეთ რამეს ნამდვილად არ ველოდი... 1949 წლის 15 მარტი იყო. ღამის 3 საათზე ქალაქის მილიციის სამმართველოს თანამშრომლები მომადგნენ შინ. მძინარე წამომყენეს. პატარა გასარკვევი ამბავიაო — მითხრეს და წამიყვანეს... რომ მივედით, არაფერი უთქვამთ, ისე გადავიდნენ ცემაზე. სასტიკად მცემეს, ცივი წყლით მაწამეს, შემდეგ მოზრდილ კაბინეტში შემიყვანეს, წინ რაღაც ფურცელი დამიდეს და მითხრეს — წაიკითხე და ხელი მოაწერეო. ფურცელზე ეწერა, რომ მე ბავშვობის დროინდელ მეგობართან და სხვა პირებთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, მოვკალი მოლარე, ფულის გატაცების მიზნით. რამდენჯერმე გადავიკითხე. დანაშაულის ჩადენის თარიღს დავაკვირდი. მაშინვე გამახსენდა, რომ იმ პერიოდში, მთელი თვე-ნახევრის მანძილზე საწარმოო პრაქტიკის გასავლელად ქუთაისში ვიმყოფებოდი. ყვირილი დავიწყე — დანაშაული არ ჩამიდენია და ალიბიც მაქვს-მეთქი, მაგრამ თითქოს ჩემი ხმა არავის ესმოდა, ჩემს ნათქვამს ყურადღებაც არ მიაქციეს და ისევ საკანში შემიყვანეს. ყოველივე ეს ჩემთვის მეხის გავარდნა კი არ იყო, როგორც ამბობენ ხოლმე, არამედ უმძიმესი წნეხი, რომელიც ისე გაგსრესს და ჩაგიტანს კაცს მიწაში, რომ გაზრებასაც ვერ მოასწრებ, რა მოხდა. მოგეხსენებათ, სტალინის მმართველობის ხანა იყო. გაუხსნელ დანაშაულზე სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელი პირები მწარედ აგებდნენ პასუხს. მით უმეტეს, ომის შემდგომ პერიოდში კონტროლი გაძლიერდა და ტყვიდან ძვრებოდნენ, ოღონდაც გაუხსნელი საქმე, განსაკუთრებით, მკვლელობა არ აეკიდებინათ. მოლარის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით მილიციის სამმართველოს მაშინდელი უფროსის ხელმძღვანელობით (ის ადამიანი უკვე გარდაცვლილია და მისი სახელის გამოქვეყნება საჭიროდ არ მიმაჩნია) საზარელი სცენარი დაიწერა.

— ჩემთან საუბრისას ახსენეთ, რომ ქურდულ სამყაროსთან ადრეული ასაკიდან გქონდათ რაღაც კავშირი. იქნებ, ეს იყო მიზეზი?

— მთავარი, ალბათ, ეს გახლდათ. წარსულში ნასამართლეობამ კი მეტი სტიმული მისცა სცენარის ავტორებს. სოფელ ანაგიდან თბილისში საცხოვრებლად რომ გადმოვედით, უკვე სკოლის ასაკის ვიყავი. მაშინდელ 25-ე სკოლაში (მალე ის ვაჟთა მე-7 სკოლად გადაკეთდა) შემიყვანეს. ისეთ ვგუფში მოვხვდი, სადაც მთელ სკოლაში გამორჩეული და „გამოსული“ მოსწავლეები სწავლობდნენ. ჩემს კლასში იყვნენ დღესაც ბევრისათვის ცნობილი ნიაზ დიასამიძე, ნაზი კილასონია, გულნარა გაბაშვილი... ჩემს უფროს დეიდაშვილს — ირაკლი ქართველიშვილს (რომელსაც იმ დროს მთელი თბილისი წიპაიას სახელით იცნობდა და შავი სამყაროს ავტორიტეტად ითვლებოდა) სწორედ ის სკოლა ჰქონდა დამთავრებული. ამის გამო მეც ყურადღების ცენტრში მოვექეცი.

ტყის მჭრელთა ბრიგადა ტაიგაში (პირველ რიგში მარცხნიდან მეორე ალექსანდრე მირიანაშვილი)

წიპაიას მეგობრები — ქურდები თუ მათთან დაახლოებული პირები არავის აძლევდნენ ჩემი დაჩაგვრის უფლებას, არც სკოლაში და არც უბანში. როცა წიპაია ციხეში მოხვდა, მისმა მეგობრებმა ითავეს ჩემზე მზრუნველობა და მფარველობა. ეს წლების მანძილზე გრძელდებოდა და რა თქმა უნდა, ამის შესახებ ბევრმა იცოდა.

— მათთან ურთიერთობამ მოახდინა თუ არა გავლენა თქვენს შეხედულებებზე, ცხოვრების წესზე?

— კრიმინალური ცხოვრება არასდროს მიზიდავდა. თანაც, მაშინდელი კანონიერი ქურდები სხვა გაგების იყვნენ. ისინი ტყეში გასული ყაჩაღებისა და ქალაქში დაბუდებული ბანდიტებისგან განსხვავებულ კლასს წარმოადგენდნენ და ბანდიტებს უპირისპირდებოდნენ. ყაჩაღების საქმიანობის ფონზე ქურდობა ჰუმანურად გამოიყურებოდა. მათდამი ხალხის დამოკიდებულებაც სულ სხვაგვარი იყო. რომანტიკულადაც კი აღიქვამდნენ შავი სამყაროს ავტორიტეტულ ნაწილს. სიტყვა „ქურდი“ იმ დროს ვაჟკაცის სინონიმი გახლდათ. ქურდებზე სიმღერებს წერდნენ, მათთან ახლობლობა ეამყებოდათ და გასათხოვარი გოგონებიც კი მათკენ ისწრაფოდნენ. იქ, სადაც ქურდი ცხოვრობდა, სხვა ქურდი, თანამიმის ხათრით „საქმის აღებას“ ერიდებოდა. იმ უბნის და რაიონის მოსახლეობა დაცული იყო, გაცილებით უკეთესად, ვიდრე ამას მილიცია ახერხებდა. ვერელი და მთაწმინდელი ქურდები ჩვენს უბანში, კობის ქუჩის ბოლოში (ამჟამად თარხნიშვილის ქუჩა), ერთ-ერთ იტალიურ ეზოში, ქვრივი ქალის სახლში იკრიბებოდნენ. ამის გამო იმ სახლს „ბლატ-ხატას“ ეძახდნენ. იმ სახლში ხშირად დავდიოდი, ვხვდე-

ბოდი ე.წ. ავტორიტეტებს — ომარ სირაძეს, გივი ლუხუტაშვილს, კაკო გოცირიძეს, კოლია ზანდუკელს... თვითონ მეძახდნენ ხოლმე, დამსვამდნენ და მასწავლიდნენ, ვისთან როგორ მოვქცეულიყავი. ბევრჯერ დავსწრებივარ „საქმის გარჩევას". სამართლიანობის სიყვარული და მისი დაცვა სწორედ მაშინ ვისწავლე. უბანში იცოდნენ, რომ „ბლატ-ხატაში" მიღებული ბიჭი ვიყავი. აშკარად ვგრძნობდი, სხვანაირად მიყურებდნენ, უფრო მერიდებოდნენ. მეც თავმოყვარეობა დაკმაყოფილებული მქონდა. „ძველი ბიჭებისთვის" დამახასიათებელ ჟარგონზე ლაპარაკი თავისთავად ავითვისე. ეს ერთგვარი კომპენსაცია იყო წარსულის — როცა ჩემი კახური კილო მეზობელ ბიჭებში ღიმილს იწვევდა, ჩემში კი, გაღიზიანებას. ეს არის, რაც ქურდებთან ურთიერთობამ მომცა, თორემ მათი ცხოვრების სტილი არასდროს მიზიდავდა. ბუნებით ყოველთვის მშვიდი და უწყინარი

„ჩემი ფრთოსანი მეგობარი, რომელიც ტყვეობაში გამოვზარდე და დედაბუნებას დავუბრუნე"

ადამიანი გახლდით და ნორმალური, სტაბილური ცხოვრება მერჩივნა.

— ციხეში ყოფნისას თუ დაგეხმარათ მათთან ნაცნობობა რამეში და საერთოდ, რა ტრადიციები ჰქონდა მაშინდელ ციხეს?

— ციხეს ყოველთვის თავისი კანონები ჰქონდა. პატიმრებს შორის ურთიერთობებს, როგორც წესი, ქურდები განაგებდნენ. მათთან ნაცნობობა, რა თქმა უნდა, მეხმარებოდა. გარკვეული პრივილეგიებით მეც ვსარგებლობდი, მაგრამ უდანაშაულო კაცისთვის, რომელსაც ქურდული წესით ცხოვრება სულაც არ იზიდავს, გარეთ ცოლი და მცირეწლოვანი შვილი ელის და მათთან ერთად მშვიდი, ნორმალური ცხოვრება სურს, ციხე მთელი თავისი „პრივილეგიებით" ნამდვილი ჯოჯოხეთია. დიდი იმედი მქონდა, რომ მალე სასამართლო იქნებოდა და ყველაფერი გაირკვეოდა, მაგრამ ამ მოლოდინში, ორთაჭალის ციხეში სამი წელიწადი გავატარე. გამოძიება ერთ ადგილს ტკეპნიდა, მტკიცებულებებს თავს ვერ უყრიდნენ, არადა, მილიციის ხელმძღვანელობას უკვე პატაკი ჰქონდა მიცემული — საშიში ბანდა გავაუნებლეთო. გაზეთში სწორედ ამ სათაურით დაბეჭდეს სტატია. მე კი ციხის კედლებს შევყურებდი და გული მიჩერდებოდა. შენობა იგივე იყო, რაც დღეს — ოთხსართულიანი, მასიური, სარდაფით. სარდაფში ერთ და ორადგილიანი საკნები გახლდათ განთავსებული. ეს საკნები სიკვდილმისჯილებისთვის იყო განკუთვნილი. თრიალეთის მთის მხრიდან სამრეცხაო და აბანო (თავისი სადეზინფექციო კამერით) განეთავსებინათ, შენობის ზედა ოთხ სართულს კორპუსებს უწოდებდნენ. I სართულზე ანუ I კორპუსში ე.წ. „აბსლუგა" ცხოვრობდა — წვრილმანი დანაშაულებისთვის 3 თვიდან 1 წლამდე მისჯილი პატიმრები. ისინი ციხეს ემსახურებოდნენ — ასუფთავებდნენ ტერიტორიას, საკნებში „ბალანდა" და „პერედაჩები" მიჰქონდათ. იმავე კორპუსში იყო ორი სხვა საკანი, ერთი — კარანტინისთვის და მეორე — იმათთვის, ვინც უკვე სასამართლოზე გაჰყავდათ. მე-2 კორპუსი მთლიანად სისხლის სამართლის დანაშაულებისთვის დაკავებულ პატიმრებს ეთმობოდათ. მესამეში მხოლოდ ქალი პატიმრები ცხოვრობდნენ, ხოლო მეოთხეში — მფლანგველები, სპეკულანტები და სხვ. მეოთხე კორპუსში იყო ასევე საკნები პოლიტპატიმრებისთვის, მილიციისა და სხვა ორგანოს ყოფილი თანამშრომლებისთვის. მე მე-2 კორპუსის მე-7 საკანში მოვხვდი. ოთახი 20-25 კვმ იყო, ორი ფანჯრით ციხის ეზოსკენ. ფანჯრებზე მასიური გისოსების გარდა, ე.წ. ზონდებიც აეფარებინათ — მხედველობის შესაზღუდავად. საკნის შესასვლელთან „პარაშა" იდგა, მის ირგვლივ მუდამ სისველე იყო. არავითარი საწოლი. ვისაც რა გააჩნდა, ის გაეშალა პირდაპირ იატაკზე. ფანჯრებთან ქურდებს ჰქონდათ საწოლი მოთავსებული. საკანში გასავლელი ადგილი თითქმის არ იყო. შიდარეჟიმი ყველასთვის ერთი გახლდათ. დილით, გინდოდა თუ არა, 7 საათზე მაინც გაიღვიძებდი. საღამოს 10 საათზე უნდა დაგვეძინა და ამას ეზოში ჩამოკიდებულ რელსის ნაჭერზე შემოკვრისას ვიგებდით. დღის მანძილზე ყველა თავისებურად ერთობოდა. ზოგი კარტს თამაშობდა, ზოგი — „ადეალაზე" დახატულ ნარდს... ჩვენს კორპუსს უფროსი მორიგე-მეთვალყურე ჰყავდა. სულიკო ერქვა. სასტიკი კაცი იყო. შიდაგანაწესის სულ უბრალო დარღვევისთვის შეეძლო, სადისტურად ეცემა პატიმარი. პატიმრების რაღაც პათოლოგიური სიძულვილი სჭირდა. ერთ დღეს, როცა საკანში „ბალანდა" შემოჰქონდათ, პატიმრებმა ღია კარით ვისარგებლეთ და კორიდორში გავცვივდით. სახანძრო დაფებიდან რკინის ძალაყინები ჩამოვხსენით და დანარჩენი საკნების კარებიც გავაღეთ. იმ დღეს სულიკომ ერთ-ერთი პატიმარი საშინლად სცემა და ამის გამო გამოვქვით პროტესტი. ბუნტი სამი დღე-ღამე გაგრძელდა. ციხის კედლებიდან გარეთ ჯოჯოხეთური ხმაური ისმოდა. ჯარი შემოიყვანეს ეზოში, სახანძრო მანქანებიდან წყალი გვასხეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მხოლოდ მას შემდეგ გავაღეთ ჩახერგილი კორპუსები, როცა გვაუწყეს — სულიკო და მისნაირი კიდევ რამდენიმე თანამშრომელი სამსახურიდან დავითხოვეთო.

— როგორც ვიცი, ხშირად პატიმრებიც სასტიკად უსწორდებიან ერთმანეთს.

— ასეთი რამ ჩემი პატიმრობის დროსაც ხდებოდა, თუმცა დამსახურებისამებრ. 1952 წელს ავლაბარში საზარელი დანაშაული მოხდა: ერთი ავლაბრელი კაცი საღამოს, მარნეულიდან თავისი სატვირთო მანქანით შინ ბრუნდებოდა. სოფელ კოდაში რომ გაიარა, ახალგაზრდა რუსი ბიჭი დაიმგზავრა. როგორც გზაში საუბრისას გაირკვა, ბიჭი სამხედრო სამსახურში გამოეძახათ და თბილისში დეიდასთან გამოსამშვიდობებლად მიდიოდა. მძღოლმა შესთავაზა — ჩემთან წავიდეთ, ვივახშმოთ, ჩემი შვილიც ჯარშია და მისი სადღეგრძელოც შევსვათო. იმ ღამით ის ბიჭი მძღოლის ოჯახში დარჩა. დილით, მასპინძელი სამსახურში ადრე წავიდა, ცოლს კი დაუბარა — სტუმარი ასაუზმე და გაუშვიო. ბიჭმა რომ ისაუზმა, თავში ბოროტი განზრახვა მოუვიდა და ქალს ეცა. ამ უკანასკნელმა წინააღმდეგობა რომ გაუწია, უფრო გაავდა, ყელში სწვდა და მოახრჩო. ამ ამბავს მასპინძლის 3 წლის ბავშვი უყურებდა. იგრძნო ბავშვმა, რომ რაღაც არანორმალური ხდებოდა და ხმამაღლა ტირილი მორთო. გამზეცებულმა სტუმარმა მისი გაჩუმება გადაწყვიტა — ყელზე ქამარი ჩამოაცვა და რკინის საწოლის თავზე ჩამოკიდა. შემდეგ მოაგროვა ნივთები, გამოკრა ზეწარში, ფუთა ზურგზე მოიგდო და წავიდა. სახლიდან რომ გადიოდა, იგი მეზობლის ქალმა შენიშნა, რაღაც იეჭვა და მაშინვე სახლში შევიდა, იქ კი საზარელი სურათი დახვდა. მილიციამ ფუთამოკიდებული ბიჭი მუხრანის (ბარათაშვილის) ხიდის მიდამოებში დააკავა. ეს პატიმარი ჩვენს საკანში მოხვდა. როცა ვკითხეთ, თუ რისთვის დააპატიმრეს, სულ სხვა ამბავს მოჰყვა. უცნაურად კი იქცეოდა, ჩვენთან ურთიერთობას თავს არიდებდა, „პრაგულკებზეც" არ გამოდიოდა. ერთ დღეს მისი საბრალდებო დასკვნა მოიტანეს და რა თქმა უნდა, წავიკითხეთ. ყველამ დავუწყეთ ცემა. სიკვდილის პირას მივიყვანეთ, იმას კი არ ვფიქრობდით, რომ თუ მოკვდებოდა, ამაზე პასუხისგება თითოეულ ჩვენგანს მოუწევდა. ცოცხალი გადარჩა. წარმოიდგინეთ, ციხის ადმინისტრაციას უბრალო საყვედურის მეტი ჩვენთვის არაფერი უთქვამს, ჩვენს წინააღმდეგ სხვა ზომებს არ მიმართეს, რადგან იმ პატიმრის სადიზმმა ყველა აღაშფოთა.

ტაიგაში – ადგილობრივი ტაქსი

— თქვენი საქმე საქართველოში სამჯერ განხილეს. პირველად — 10 წელი, საქმის მესამედ განხილვისას კი 20 წელი მოგისაჯეს. რა გახდა სასჯელის დამძიმების საბაბი?

— ერთხელ, ორთაჭალის ციხეში, ცნობილმა ქურდმა — ომარ სირაძემ მითხრა — თავისუფლებას იმსახურებ, ჩემს გზას ნუ გაჰყვები, თავს მიხედე და აუცილებლად გაგიშვებენო. გული დამწყდა — საქვეყნოდ აღიარებული დამნაშავე ჩემს მომავალზე ზრუნავდა, სამართალდამცავი ორგანოები კი ცდილობდნენ, დაენგრიათ ის. ჩემი მხსნელი ალიბი იყო, რომელსაც არაერთი მოწმე ადასტურებდა, მაგრამ მოსამართლეები ამას ჯიუტად არ აქცევდნენ ყურადღებას. საქმის პირველი განხილვისას მოსამართლემ ძარცვის მუხლი მომიხსნა და ამიტომაც მომისაჯა 10 წელი, თან ისე წაიკითხა განაჩენი, თითქოს კმაყოფილი უნდა დავრჩენილიყავი — ხომ ხედავ, 25-წლიანი მუხლი გქონდა წაყენებული და მე ეს სასჯელი გაკმარეო. რა თქმა უნდა, გავასაჩივრე. უმაღლესმა სასამართლომ საქმე დამატებით ძიებაში დააბრუნა, მაგრამ ეს უშედეგო აღმოჩნდა. შეთითხნილი ბრალდებისა და მოსყიდული მოწმეების მეშვეობით, 20 წელი მომისაჯეს და გამაციმბირეს. თუმცა, ფარხმალი არ დამიყრია.

— რუსეთის ციხეში რა სიტუაცია დაგხვდათ?

— ირკუტსკთან ახლოს მდებარე საკავშირო მნიშვნელობის მკაცრი რეჟიმის „ლაგერში“ სხვა პატიმრებთან ერთად მიმიყვანეს. იქ იყო გამანაწილებელი პუნქტი, სადაც ახალი პატიმრების დახარისხება ხდებოდა ე.წ. მასტებად. ჯერ ქურდები გამოდიოდნენ, შემდეგ „პრაშლიაკები“, „კრასნოშაპონნიკები“, „მუჟიკები“ და სხვები. თითოეულ მასტს თავისი „პროგრამა“ ჰქონდა. „მუჟიკების“ პროგრამას რომ გავეცანი, მივხვდი, ჩემი ადგილი მათთან იყო. ნახევრად მიწაში აშენებული სამი ბარაკი იყო. ზონა ქურდებს ეჭირათ. მათთან რამე პრობლემა თუ ჰქონდა პატიმარს, ჯობდა, მაშინვე წასულიყო იქიდან. იმ სამი ბარაკიდან ნებისმიერში შეგეძლო დარჩენილიყავი. ქურდები სამუშაოდ არ დაჰყავდათ. საღამოს 10 საათზე ეზოში ბოძზე ჩამოკიდებულ რელსის ნაჭერს რომ შემოჰკრავდნენ, ესე იგი, პატიმართა შემოწმება-გადათვლა იწყებოდა. ამ პროცედურის შემდეგ დილის 7 საათამდე მთელი შიდატერიტორია აკრძალულ ზონად ითვლებოდა, გაუფრთხილებლად ჩაცხრილავდნენ იქ გამოჩენილ ნებისმიერ ადამიანს. ლაგერის ტერიტორიაზე არც ერთი ხე ან ბუჩქი არ იდგა. „აბლუგის“ ზონას, სადაც „ბალანდას“ ხარშავდნენ და პურს აცხობდნენ, ქართველი — ვახტანგ ამილახვარი განაგებდა. მას ადრეც ვიცნობდი და ძალიან გამიხარდა, რომ შევხვდი. ვახტანგმა ქურდებს შემახვედრა. იმათაც ჩამოვუთვალე ნაცნობი ქურდების სახელები. კარგად მიმიღეს და ჩემი ავტორიტეტიც ამაღლდა. მალე სამსახურებში გადანაწილების დროც მოვიდა. მე ხეტყის მიმღებად გამანაწილეს. ასე გავატარე იქ მრავალი წელი.

— უდანაშაულოდ გაღიარეს, თუმცა ძალიან გვიან — დაპატიმრებიდან 10 წლის შემდეგ. რა იგრძენით, როცა თავისუფლება გამოგიცხადეს?

— ვიბრძოდი. როგორც კი საშუალება მომეცემოდა, ყველგან და ყველასთან ვჩიოდი, მაგრამ „სვაბოდა“-ო რომ დამიძახეს, თავდაპირველად არ დავიჯერე, ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო. 1958 წლის 26 სექტემბერი იყო. ვახტზე მდგარმა ჯარისკაცმა გზა გადამიკეტა, ხელი მაგრად ჩამომართვა და მახარა: — ახლახან სამმართველოდან დარეკეს, მოსკოვმა გაგათავისუფლაო. გავოგნდი, სიტყვა ვეღარ ვთქვი. ხმა არავისთვის გამიცია, ისე შევედი ბარაკში და საწოლზე დავემხე. მაშინ თვალწინ დამიდგა ის დღე, როცა შუაღამისას შინ მომადგნენ და დამაკავეს. რამდენი დრო იყო გასული მას შემდეგ, რამდენი ვეწამე... ვტიროდი, ვინ ამინაზღაურებს იმ წლებს-მეთქი?! ის სულიერი ტკივილი, ოჯახთან განშორების სიმწარე, დაუმსახურებელი წამება და დამცირება ვერანაირი საზომით ვერ გაიზომებოდა. საკმარისია ვახსენო ასაკი — 22-დან 32 წლამდე იქ გავატარე-მეთქი, ყველა მიხვდება, რა წამართვეს.

— გაგიჭირდათ თუ არა საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება?

— ციხეში ყოფნისას სულ იმაზე ვფიქრობდი, თუკი ოდესმე ოჯახში დაბრუნება მეღირსებოდა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ვიცოდი, რომ შინ დამხვდებოდნენ მოხუცი, მოტეხილი მშობლები, გატანჯული ცოლი და დიდი ქალიშვილი, რომელიც მამას მხოლოდ სურათებით იცნობდა. მაშინებდა იმაზე ფიქრი, თუ როგორ მიმიღებდა საზოგადოება. ყველას სათითაოდ ხომ ვერ ავუხსნიდი, რატომ მოვხვდი ციხეში?! დაბრუნებისთანავე სამსახურზე დავიწყე ზრუნვა, რათა ოჯახს მძიმე ტვირთად არ დავწოლოდი. პირველ რიგში, ქალაქში ჩაწერის საკითხი უნდა მომეგვარებინა. საჭირო საბუთები შევაგროვე და საპასპორტოში ჩავბარე, მაგრამ ჩაწერაზე უარი მითხრეს. მიზეზი უფროსს ვკითხე და მიპასუხა — თქვენს საბუთებს გადავხედეთ, ფოტოსურათი უნდა მომიტანოთ მილიციაში, ამის შემდეგ ხელმძღვანელობა იმსჯელებს და გადაწყვეტსო. მილიციის ეს ხერხი ჩემთვის კარგად იყო ცნობილი. მართალია, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ ვიყავი გამართლებული, მაგრამ არანაირი გარანტია არ მქონდა, რომ შემდეგში რომელიმე დაზარალებული მილიციაში მის წინ დაწყობილ რამდენიმე სურათში დამნაშავედ ისევ მე არ „ამომიცნობდა“. ვიგრძენი, მილიცია ყოველთვის ეცდებოდა, ჩემზე შეეხოცა ხელი. ამიტომაც გადავწყვიტე, მაშინვე დამესვა წერტილი ამისთვის. საპასპორტოს უფროსს ყველაფერი, რასაც ვფიქრობდი, მივახალე და კარი მივუჯახუნე. ორი დღის შემდეგ, მილიციიდან გამოგზავნილმა კაცმა მაცნობა — ჩაწერილი ხარ და საბუთები გაიტანეო. მას მერე მოვისვენე, მილიცია აღარ გამკარებია. მუშაობა ქარხანაში დავიწყე. წარსულისკენ გახედვა არ მინდოდა, მხოლოდ მომავალზე ვფიქრობდი. მეორე შვილი — ვაჟი გაგვიჩნდა, მან ცხოვრებაზე იმედის თვალით შემახედა. წლები მშვიდად გადიოდა, შვილებიც დაოჯახდნენ. თითქოს ყველაფერი კარგად უნდა ყოფილიყო, მაგრამ ერთი წლის წინ, ჩემს იმედებს და სიმშვიდეს საბოლოოდ დაესვა წერტილი. ოჯახში საშინელი ტრაგედია დატრიალდა — ვაჟი, ორი შვილის მამა, ახალი წლის საღამოს მისთვის სრულიად უცნობმა ახალგაზრდამ შემთხვევითი შელაპარაკების დროს დანით მომიკლა... ბედისწერის მჯერა. შემთხვევამდე რამდენიმე ხნით ადრე ბედმა თითქოს რაღაც ნიშანი მომცა: სახლის ეზოში დაფნის ორი ნერგი დავრგე, ორივემ გაიხარა; ერთი, რომელიც უფრო თამამი იყო, გადავწყვიტე, ეკლესიის ეზოში დამერგო. ამის შესახებ მოძღვარს ვუთხარი, მანაც ნება დამრთო და ნერგი ჩავრგე. ჩემზე ყოველთვის ამბობდნენ — სასწაული ხელი აქვს, მისგან ხელუკუღმა გადაგდებულიც იხარებსო. ეკლესიის ეზოში დარგული დაფნა კი გახმა... ეს ძალიან ცუდად მენიშნა, გული სულ ერთიანად ჩამეწვა, მაგრამ არაფერი ვთქვი. მერე, როცა უბედურება დატრიალდა, ყველაფერი მოვიგონე და გავიფიქრე — ალბათ, რაღაც ზებუნებრივი ძალა მაფრთხილებდა, მაგრამ მე ვერ გავშიფრე-მეთქი. ბედისწერა მაინც აღსრულდა. ვფიქრობ, მთელი ჩემი ცხოვრება მწარე ბედისწერაა. ცხოვრებაში, ჯერ კიდევ ბავშვობის წლებიდან ათასი გაჭირვება გამომიცდია, ათასი ღალატი და ორპირობა მიგვია, მაგრამ ასეთ საშინელებას ბედისგან მაინც არ მოველოდი.

■



„ვინც ვიცხოვრე, კიდევ ბევრჯერ ვიყოვნებდა“

სულ ცოტა დავიგვიანე...

დღევანდელი „გზავნილების“ თემა ასეთი გახლავთ — სულ ცოტა დავიგვიანე. უამრავი „დაგვიანებული“ მკითხველი შეგვეხმიანა. მათი უმეტესობა ნანობს, რომ დაგვიანების გამო ესა თუ ის საქმე გაუკეთებელი დარჩა. ან რაიმე შანსი გაუშვა ხელიდან, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ირწმუნებიან, რომ სწორედ დაგვიანება გახდა მათი ბედნიერების მიზეზი... თუ მატარებელზე დაგაგვიანდება, სანერვიულოდ არ ღირს, ავტობუსს გაჰყვები ან სხვა მატარებელს, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება სულ არ წახვიდე. მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა იურიდიულ ფაკულტეტზე მისაღებ გამოცდაზე იგვიანებ?..

მარი ხაფარიძე

„ორი ჩვილის დედა ტოპმოდელივით გამოიყურებოდა...“

„გამარჯობათ. მე ვარ ელიზბარი, 38 წლის. სკოლა რომ დავამთავრე, გადავწყვიტე, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩამებარებინა. შევიტანე საბუთები უნივერსიტეტში და დღე და ღამე წიგნებს ჩავყურებდი. პირველ გამოცდაში „ოთხიანი“ მივიღე. მეორე გამოცდა ისტორიაში მქონდა. წინაღამეს თითქმის გათენებამდე ვიმეორებდი თარიღებსა და ისტორიულ მოვლენებს, დილით კი ჩამძინებოდა და ისეთ დროს გამეღვიძა, უკვე გამოცდაზე უნდა ვყოფილიყავი. წამოვხტი, თვალის დახამხამებაში გავემზადე და თავ-პირის მტვრევით გავიქეცი, მაგრამ გამოცდაზე აღარ შემიშვეს. ბევრი ვეხვეწე კომისიის თავმჯდომარეს, ბევრი ვემუდარე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. მოკლედ, დავრჩი ისევ აბიტურიენტად. მეორე წელს კი „გე-პე-იში“ ჩავაბარე და ხუთი წლის შემდეგ მანქანათმშენებლობის ინჟინრის დიპლომი ავიღე. მე-5 კურსზე რომ ვიყავი, ჩვენს ჯგუფში ახალი გოგონა მოვიდა, რომელიც მანამდე, რუსეთში სწავლობდა. მშვენიერი გოგონა იყო. თვალი დავადგი და სულ მალე შევუღლდით კიდეც. იმის შემდეგ, ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა. ეს კრავივით უწყინარი გოგონა ძუ ვეფხვად გადაიქცა. სულ პატარა მიზეზიც კი საკმარისი იყო, რომ გააფთრებული დამტაკებოდა და მზად იყო, თვალებიც კი დაეთხარა ჩემთვის. მონად მაქცია. ოჯახის დანგრევის შიშით, მის ყველა კაპრიზს ვასრულებდი. ტყუპი ბიჭი რომ შეგვეძინა, ამის მერე სულ გავიდა თავს. აქაოდა, ორი ბიჭი ერთად გავაჩინეო, ყველაფერს მაყვედრიდა. თითქოს, მე არ შემეტანოს წვლილი მათ ჩასახვაში. მეც, დილის 7 საათიდან, ხან რძის რიგში ვიდექი (მაშინ ასე თავისუფლად არ იშოვებოდა პროდუქტი), ხან პურის. ბავშვების „პილიონკებსაც“ მე ვრეცხავდი (მაშინ არც პამპერსი იშოვებოდა). ერთი სიტყვით, ყველანაირი საოჯახო საქმე ჩემს კისერზე იყო, თან, ვმუშაობდი კიდეც. ის კი, ორი ჩვილის დედა, ტოპმოდელივით გამოიყურებოდა. აერობიკაზე დადიოდა, რომ მშობიარობის შემდეგ დარჩენილი მუცელი მოეშორებინა, ფრჩხილებზე მუდამ ლაქი უბრწყინავდა და არც დაქალებში სიარულს იკლებდა. ბავშვები ოთხი წლის რომ გახდნენ, ოჯახიდან წამოვედი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უყურადღებოდ მივატოვე. დღემდე, ცოლსაც და შვილებსაც მე უზრუნველვყოფ. ხშირად ვფიქრობ ხოლმე — მაშინ გამოცდაზე რომ არ დამგვიანებოდა, ამ დღეში არ ვიქნებოდი-მეთქი. სულ რაღაც ორმოცდახუთმა წუთმა გადაწყვიტა ჩემი ცხოვრების ბედი“.

ხშირად ისე ხდება, რომ წამებიც კი წყვეტს ადამიანის ბედს. გვიამბობს 30 წლის იულია:

„დავინახე, როგორ გაფითრდა ჩემი სტუმარი...“

„დედით რუსი გახლავართ, მამით — ტაბატაძე. მშობლებთან ერთად ვორონეჟში ვცხოვრობდი. 9 წლის ვიყავი, როდესაც დედა და მამა გაიყარნენ. მე მამასთან ვარჩიე ყოფნა და მასთან ერთად თბილისში წამოვედი საცხოვრებლად. ქართულ სკოლაში შევედი და ოქროს მედალზე დავამთავრე. ძალზე ლამაზი და მოხდენილი გოგო ვიყავი, შავგვრემანი და მწვანეთვალება. ოცდაორი წლის ასაკში კი, დავინვალიდდი. ეს კი ასე მოხდა: მეგობართან სტუმრად მივედი. ეზოში დედამისი შემხვდა და ერთმანეთი მოვიკითხეთ. იქვე, მუშები რაღაცას საქმიანობდნენ, რკინებს ადუღებდნენ და შესადუღებელი აპარატის კარბიდიანი ბალონი აფეთქდა. ბალონი ჰაერში ავარდა და ზემოდან შურდულივით წამოვიდა. ჩოჩქოლი რომ ატყდა, აქეთ-იქით მიმოვიხედე. ვიღაცამ დაიძახა — გაიწიეო! — მაგრამ ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვასწარი, ისე დამეცა თავში ბალონი... მესამე დღეს მოვედი გონს. ძალზე დავშავდი. არ ვიცი, ამის ბრალი იყო თუ იმის, რომ ანალიზისთვის ხერხემლიდან სითხე ამომიღეს, მაგრამ ფაქტია, რომ ქვედა კიდურებს ვეღარ ვამოძრავებ, ინვალიდის სავარძელს მივეჯაჭვე და აგერ, უკვე რვა წელია, შინიდანაც აღარ გავსულვარ.

მამამ მომვლელი ქალი აიყვანა და მის იმედად ვარ. ჩემი ბედი ერთმა წამმა გადაწყვიტა... ამ ორი წლის წინ, შინ მარტო ვიყავი, როდესაც ტელეფონმა დარეკა. ახალგაზრდა მამაკაცი შემთხვევით მოხვდა ჩემთან. საუბარს შევყევით. ისე მსიამოვნებდა მასთან ლაპარაკი, რომ სულ დამავიწყდა ჩემი დარდი. შეგნებულად დავუმალე, ინვალიდი რომ ვიყავი. ბოლოს, ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და დროებით დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მეორე დღეს, ისევ დარეკა... დიდხანს ვსაუბრობდით ხოლმე. ისე შევეჩვიე, მის გარეშე ცხოვრება ვეღარ წარმომედგინა. შეხვედრას დაჟინებით მთხოვდა, მაგრამ მე უარს ვამბობდი. ასე გაგრძელდა 7 თვის განმავლობაში. ბოლოს, იძულებული გავხდი, შეხვედრაზე დავთანხმებოდი. ჩემთან, შინ მოვიწვიე. ძალზე ვნერვიულობდი, მაგრამ რაც მოსახდენია, მოხდეს-მეთქი, ვამბობდი. პაემნისთვის საგანგებოდ მოვემზადე. პარიკმახერი და მემანიკიურე შინ მოვაყვანინე, ტანისამოსიც საგანგებოდ შევიძინე და ინვალიდის სავარძლიდან დივანზე გადავჯექი. ფეხები ძირს ჩამოვუშვი და ჩვეულებრივი ადამიანის მჯდომარე პოზა მივიღე. დათომ უზარმაზარი თაიგული მომართვა, ჩემ წინ, სავარძელში ჩაჯდა და – მართლაც ლამაზი ყოფილხარო, – მითხრა. ჩემი მომვლელი გვემსახურებოდა, ყავა მოგვიდუღა, ხილი მოგვართვა... სტუმარიც მან გააცილა... შესაძლოა, დათოს გაუკვირდა, ერთ ადგილზე, გაუნძრევლად რომ ვიჯექი, მაგრამ არაფერი უთქვამს. ის ღამე ტირილში თეთრად გავათენე... ერთი კვირის შემდეგ, დათო ისევ მესტუმრა. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბედნიერი ვიყავი, მაგრამ თან – უზომოდ უბედური... დათოს ისევ ისე დავხვდი. ოთახში ნელი მუსიკის ჰანგები ისმოდა. დათომ მთხოვა, ვიცეკვოთო. – არა-მეთქი, – ვუპასუხე. იფიქრა, რომ მერიდებოდა, მკლავში ხელი ჩამჭიდა და სცადა, ძალით ავეყენებინე. ამ ჭიდაობაში, დივანიდან გადმოვვარდი. დავინახე, როგორ გაფითრდა ჩემი სტუმარი. ლია (მომვლელი) ოთახში შემოვარდა, დათო დაიხმარა და ისევ დივანზე დამსვეს. სულ მალე, დათო წავიდა და აღარასოდეს გამიგონია მისი ხმა... სულ ერთი წამი რომ არ დამგვიანებოდა და დროზე გავწულიყავი გვერდზე, გადავრჩებოდი და შესაძლოა, ბედნიერიც ვყოფილიყავი...“

ცნობილი ფაქტია, – გერმანელები ყველაზე პუნქტუალური ხალხია. ისინი არასოდეს იგვიანებენ პაემანზე, საქმიან შეხვედრასა თუ კინოსეანსზე, მით უმეტეს – საკუთარ ქორწილში. მაგრამ თუ ქართველი სიძე შეხვდათ და „ქართულად“ დააგვიანა, შესაძლოა, სიდედრმა პატარძალი თვალითაც აღარ დაანახვოს...

„პატარძალი აივნიდან გადმოვიყვანე... მაყარი გზაში დაგვეწია“

„მე თაზო ვარ. სასაცილო ამბავი გადამხდა თავს: საკუთარ ქორწილში დავიგვიანე. ჩემს შეყვარებულს გერმანელი დედა ჰყავდა. წუთის სიზუსტით წყვეტდა ყველაფერს. ჯერ იყო და, ამ გერმანელ სასიდედროს ძლივს მოვაწონე თავი და ქალის გამოტანებაზე დავითანხმე. სასიმამრო, „ბულკივით“ კაცი, ყველაფერზე თანახმა იყო. მერე იყო და – უქორწილოდ გოგოს არ გაგატანო, – მითხრა. – ჯანდაბას-მეთქი! – ვიფიქრე, ოღონდ სალომე ჩემი გამხდარიყო და რას არ გავიღებდი?!. მოკლედ, ქორწილის დღე დავთქვით. ორ საათზე პატარძლის წამოსაყვანად უნდა მივსულიყავით. მე კი, ჩემი მაყრიონით, ექვსის ნახევარზე მივადექი საცოლის ოჯახს. სიდედრმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: გოგოს არ გაგატანო. ელდა მეცა: – ქალო, ამხელა ხარჯი „მიქნია“, საქმე ბოლომდე მიმიყვანია და ახლა მეუბნები უარს-მეთქი? თვალიც არ დაუხამხამებია, ისე მიპასუხა – კიო. შეიქნა ერთი გაწევ-გამოწევა და ალიაქოთი... ამასობაში, კორპუსს უკანა მხრიდან მოვუარე და ჩემს საცოლეს ქვევიდან შევძახე. მეორე სართულის აივნიდან გადმოიხედა სალომემ და ტირილით ჩამომძახა – შენთან მინდაო. სულ გადავირიე. გადავწყვიტე, აივნიდან გამომეპარებინა. ვიდრე ჩემი მაყრიონი ჩემს სასიდედროს ყელგამოწეული ეხვეწებოდა, ქალი გაგვატანეო, პატარძალი აივნიდან გადმოვიყვანე. ეზოში დიდი, დახურული სატვირთო მანქანა იდგა. ის აივნის ქვეშ დავაყენებინე, ზედ ავძვერი და სალომე გადმოვსვი. იქიდან კისრისტეხით წამოვედით, მაყარი კი გზაში დაგვეწია. სიდედრი კარგა ხანს არ მელაპარაკებოდა. მერე შევრიგდით და ვცდილობ, არასოდეს დავიგვიანო“.

მკითხველმა ერთი კურიოზი კიდევ გვიამბო. მადლობა ღმერთს, ამჯერადაც ყველაფერი კარგად დამთავრდა.

„ეს წერილი ლობიოში დევს...“

„საკუთარი მამისთვის, სოფელში წამლის გაგზავნა 6 თვით დავაგვიანეთ. რატომ? ახლავე ყველაფერს გაიგებთ. შემოდგომით, სოფლიდან ნობათი ჩამოგვივიდა – მთელი ზამთრის მარაგი, ასე, 40 ტომარა კარტოფილი, ყველი, სიმინდის ფქვილი და რა ვიცი, კიდევ ათასი რამ. პროდუქტი დავაბინავეთ და დავიწყეთ მისი ხარჯვა. ასე, 25-ე კარტოფილის ტომარა ძირამდე რომ ჩავიყვანეთ, უკვე 4 თვე იყო გასული. ამ ტომრის ძირში, ხუთლიტრიან მინის ქილაში ჩაყრილი ლობიო აღმოვაჩინეთ. დავიწყეთ მისი ხარჯვაც. ამასობაში კიდევ ორი თვე გავიდა. ლობიოს ქილას ძირი რომ გამოვუჩინეთ, იქ დაკეცილი ქაღალდის ფურცელი დაგვხვდა. გაშალეთ და აღმოჩნდა წერილი, რომელიც ასე იწყებოდა: „ეს წერილი ლობიოში დევს...“ შემდეგ გვატყობინებდნენ, რომ მამა ცოტა შეუძლოდ გახლდათ და ჩამოწერილი იყო სასწრაფოდ გასაგზავნი, აუცილებელი წამლების სია. კიდევ კარგი, ძალიან არ დაგვაგვიანდა და წერილი „დროზე“ – 6 თვის შემდეგ აღმოვაჩინეთ“...

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაგვიანება ყოველთვის ცუდი როდი ყოფილა. ჩვენი ერთ-ერთი მკითხველი ირწმუნება, რომ დაგვიანების წყალობით შესაძლოა, ბედს ეწიო და ამის დასტურად საკუთარ თავგადასავალს გვიყვება.

„...უცხო ადამიანს გული შინაურივით გადავუშალე“

„მე ლელა ვარ. მინდა გითხრათ – რომ არ დამგვიანებოდა, ალბათ ასეთი ბედნიერი არ ვიქნებოდი. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ მამასთან ყოველთვის ძალზე გართულებული ურთიერთობა მქონდა. სულ ვჩხუბობდით. ერთი სული მქონდა, როდის გავთხოვდებოდი, რომ მისგან თავი დამეღწია. ერთ საღამოს, ისევ ვიჩხუბეთ, უშვერი სიტყვებით მაგინა და გადავწყვიტე, თავი მომეკლა. მერე გადავიფიქრე და გადავწყვიტე, გავთხოვილიყავი. დავურეკე იმ ბიჭს, რომელიც ჩემი თაყვანისმცემლებიდან ყველაზე მეტად მომწონდა. შინ არ აღმოჩნდა. დავურეკე მეორეს. არც ის იყო შინ. ასე ვრეკავდი ყველასთან და ბოლოს, ერთ-ერთი „დავიჭირე“. – გიყვარვარ? – ვკითხე. – კიო, – მიპასუხა. – თუ გინდა, ხვალ გავიპაროთ-მეთქი. სიხარულით ცას ეწია. მოვილაპარაკეთ, დავთქვით შეხვედრის დრო და ადგილი და დასაძინებლად დავწექი. დილით მამაჩემი ისევ ამიშარდა. ისევ ვიდავეთ და ამასობაში, პაემანზე დამაგვიანდა. შინიდან თავ-პირის მტვრევით გავიქეცი. ცრემლს გზადაგზა ვიწმენდდი და გაჩენის დღეს ვიწყევლიდი. ქუჩაში გამოსულმა, ტაქსის ხელი ავუწიე და ანგარიშმიუცემლად

ჩავჯექი მანქანაში. თავი სამშვიდობოს რომ დავიგულე, უფრო ხმამაღლა ავბღავლდი. ჩემი თავი მეცოდებოდა, იმ კაცს რომ უნდა გავყოლოდი, რომელიც სულაც არ მომწონდა... ადგილზე მისულმა აღმოვაჩინე, რომ საქმრო ერთი საათის ლოდინის შემდეგ წასულა (გვიან შევიტყვე – უფიქრია, რომ ბოროტად გავეხუმრე). ტაქსიდან არც გადავსულვარ, უკან მოვბრუნდი. გზაში მძღოლმა გამომკითხა ჩემი უგუნებობის მიზეზი. არ დამიმალავს, უცხო ადამიანს გული შინაურივით გადავუშალე. შემომთავაზა, ყავა დავლიოთო. მაშინღა შევნიშე, რომ ტაქსის მძღოლი ახალგაზრდა და სიმპათიური მამაკაცი იყო... რამდენიმე საათის განმავლობაში, ერთმანეთის პირისპირ ვისხედით და ცრემლების ღვარღვარით ვუამბობდი ყველა წვრილმანს. ბოლოს მითხრა: – კარგი გოგო ჩანხარ, მოდი, ცოლად გამომყევიო. თვალები გამიფართოვდა. ვიყოყმანე, მაგრამ შემდეგ დავთანხმდი... მას შემდეგ, 12 წელი გავიდა. ოთხი შვილი გვყავს და უზომოდ ბედნიერი ვარ. აი, რა მოხდა იმიტომ, რომ დავიგვიანე. ღმერთმა ქნას, ჩემი შვილები იყვნენ ისეთი ბედნიერები, როგორიც მე ვარ. ნახვამდის".

ახლა კი, დანარჩენ „მესიჯებს" გადავხედოთ:

„დაგვიანება ცხოვრების სამკაულად უნდა აქციო..."

„სულ ცოტა, 10 წელი დავაგვიანე, მაგრამ სჯობს, გვიან, ვიდრე არასდროს. ახლა მინდა ვაღიარო ათი წლის წინანდელი შეცდომა. მეგონა, „მას" არ ვაინტერესებდი და არც არასოდეს გამოიჩენდა ჩემ მიმართ ყურადღებას, რადგან ჩემს მხარზე თავდადებული, სხვა გოგოს გულისთვის ტიროდა. არადა, პირველი კლასიდან მიყვარდა. მე-4 კლასიდან სხვა სკოლაში გადამიყვანეს. ძველ თანაკლასელებს შორის მხოლოდ ერთ გოგოსთან გავაგრძელე ურთიერთობა. იმ ბიჭსაც მასთან ვნახულობდი ხოლმე. იშვიათად ვხედავდი და მაშინაც სხვა გოგოს სიყვარულზე მელაპარაკებოდა. ვცდილობდი, მასზე არ მეფიქრა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს, ის გოგო გაუთხოვდა. ძალზე განიცდიდა. გავიდა დრო და მოხდა სასწაული – შევუყვარდი. მაგრამ მე უკვე სხვას ვხვდებოდი, ისიც – მის ჯიბრზე. ერთი სიტყვა მაინც ეთქვა!.. თურმე, ყველას ჩემზე ელაპარაკებოდა, დედამისს ეუბნებოდა – ძალიან ლამაზია და ვინმე წამართმევს, მოტაცებას კი როგორ ვაკადრებო?!. რად მინდოდა მოტაცება? ისედაც მის სახელზე მაბოდებდა... როცა ჩემთვის სიყვარულის გამხელა გადაწყვიტა, უკვე გვიანი აღმოჩნდა: წინადღეს გავთხოვდი. მას შემდეგ 11 წელია, ერთმანეთს მივტირით. მე ორი შვილი მყავს, ის კიდევ უცოლოა. დღემდე მიყვარს და ალბათ, მთელი ცხოვრება ასე უნდა ვიტანჯო. მაპატიე, გიო. თამი".

„დაგაგვიანდა, მაგრამ მაინც მითხარი, რომ გიყვარვარ და შენთვის ერთადერთი ვარ. თუმცა, უკვე გვიანია, იმიტომ რომ ქმარი მყავს და 3 წლის ნია. რა მოხდებოდა, ადრე რომ გეთქვა? მე ხომ ამას ყოველდღე ველოდი. მაშინ მე შენთვის პატარა ვიყავი. მიყვარდი და მეგონა, უშენოდ მოვკვდებოდი. ახლა, როცა გხვდები, მთელი სამყარო ჩემი მგონია. ისევ ისე ბავშვურად მიყვარხარ და სიკვდილამდე მეყვარები. კოტიკ, ჩემი ხარ..."

„რა სამწუხაროა, რომ ჭკუაში ჩავარდნა დამაგვიანდა, თორემ, ახლა ხომ ჩემი ძმის კლასელებსაც ვეყვარებოდი და აღარ დამცინებდნენ? თეო".

„ეთუნა თ, მართალია, ცოტა დამაგვიანდა, მაგრამ მაინც მაქვს იმედი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩემი გახდები".

„ერთი წლის წინ, შეყვარებული მყავდა. უნდა შევხვედროდი და პაემანზე დამაგვიანდა. ის გაიბუტა და მას მერე არ მელაპარაკება. ვთხოვ, შემირიგდეს. მგონი, მიხვდება, ვინც ვარ".

„ელექტრონივით მობილიზებულად მივდევ სიცოცხლის ორბიტას და მგონია, რომ არასდროს ვაგვიანებ. თუმცა, როცა „ის" არსებობს, დაგვიანება ცხოვრების სამკაულად უნდა აქციო. ნინო".

„ერთი ბიჭი სიცოცხლეს მერჩია, მაგრამ რად გინდა? მისი და უნდა მომენათლა, ის კი დუმდა. ნათლობის დღეს მთხოვა, ეკლესიის ეზოში გავყოლოდი, მაგრამ ეზოს ნაცვლად მის მანქანაში ამოვყავი თავი. მისი და სხვამ მონათლა. მე კი ბედნიერი ვარ. სულ ცოტა რომ დაჰგვიანებოდა, ნათესავები გავხდებოდით".

„მე გიო ვარ. სკოლიდან მოვდიოდი. მეგობრებმა დამიძახეს, უკან მიმახედეს და რაღაც უაზრობა მითხრეს. ამასობაში ვიღაც კაცმა გვერდით ჩამიარა. მიბრუნდი და მეც უკან მივყევი. უცებ დაიხარა და მიწაზე დაგდებული ასდოლარიანი იპოვა. ეჰ, დავიგვიანე..."

„მე არა, მაგრამ ჩემმა სიყვარულმა მართლაც დაიგვიანა. გიო, ამდენ ხანს არ უნდა დაგეტოვებინე. მგონი, მართლა დაგაგვიანდა. ბექი".

„გწერთ ერთი უბრალო, ქურთის გოგო. მე უბრალოდ, გეტყვით, რომ მიყვარს ირაკლი ნ. ირაკლი, თუ გაინტერესებს, ვინ ვარ, მარის დაუკავშირდი და ნომერს მოგცემს".

„რომ არ დამგვიანებოდა, ჩემს შეყვარებულს გერმანიაში სასწავლებლად არ გავუშვებდი. სამწუხაროდ, გვიან მივხვდი, რომ ისევ ძალიან მიყვარდა. სანდრო".

„სულ ცოტა დავაგვიანე, რომ ჩემი უსაყვარლესი ადამიანი გამეფრთხილებინა – რასაც გეტყვიან, არ დაიჯერო, ჩვენი დაშორება უნდათ-მეთქი, – და შედეგიც სახეზეა. ბარტყი".

„ძალიან მიყვარდა თამთა, მაგრამ არ ვჩქარობდი. პატარები ვართ-მეთქი. ერთხელაც გავიგე, რომ გათხოვილა. ის ახლა 17 წლის არის და ერთი წლის შვილი ჰყავს. ავდექი და მეც მოვიყვანე ცოლი. მაგრამ თამთა მაინც ძალიან მიყვარს და ჩემს თავს ვერ ვპატიობ, რომ დავკარგე. თან გავიგე – ძალიან ბედნიერია და თავისი ქმარი ძალიან უყვარს... აი, ასე დავიგვიანე და დავკარგე საყვარელი ადამიანი, რომელიც დღემდე უზომოდ მიყვარს. ის ჩემს უბანში ცხოვრობს და საკმაოდ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს".

„ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, ერთი კვირა მაქვს ვადა. თუ ამ კვირაში დავიგვიანე, ყველაფერი დამთავრდება. მანაველო გოგონებო, სიყვარულში გამოტყდით, თორემ ინანებთ..."

„ნახევარი წამით დამაგვიანდა, რის გამოც ქრისტი დავკარგე. მასთან ერთად, ჩემმა ცხოვრებამაც დაკარგა აზრი. მის ჯიბრზე ცოლი მოვიყვანე და სამუდამოდ დავიმახინჯე ცხოვრება. ქრისტი კი კვლავ ისეთი მხიარულია, მაგრამ რაღა დროს?.. ნიკა".

დღეს „გზავნილებს" ამით ვასრულებთ. მომავალ თემად კი გთავაზობთ: კითხვა, რომელიც დღემდე უპასუხოდ რჩება. გამოგზავნეთ „მესიჯები" ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, რა დარჩა პასუხგაუცემელი თქვენს ცხოვრებაში და იქნებ, ახლა მაინც მიიღოთ პასუხი. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

LCG

law consulting group

საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი“ – „LCG“ (ელ-სი-ჯი) გთავაზობთ სამართლებრივ მომსახურებას შემდეგ საკითხებში:

- სამეწარმეო-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- კონსულტაციები და ინტერესების დაცვა საგადასახადო და საბაჟო საქმეების წარმოებისას;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება (ხელშეკრულებების პროექტების მომზადება);
- მიწასთან ან სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება;
- შრომითი-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- აუდიტორული მომსახურება;
- უფლებების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში;
- სანოტარო მომსახურება;
- კონსულტაციები სამართლის სხვა დარგებში.

მის: ლესია უკრაინკას ქ. №3

☎ (+995 32) 92 11 60; 98 39 38

ფაქსი: (+995 32) 98 39 38

უკვე 50 წელია, რაც საზოგადოებას ეთერიდან ყოველდღიურად ესალმება რადიო „თავისუფლება“. საბჭოთა დიქტატურის პირობებში ის მასმედიის ერთადერთი საშუალება იყო, საიდანაც ჩვენი მოქალაქეები ობიექტურ ინფორმაციას იღებდნენ. რადიო „თავისუფლება“ დღესაც განაგრძობს მუშაობას, თუმცა, ე.წ. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, ოდნავ შეცვალა აქცენტები. იუბილესთან დაკავშირებით, ამ ცოტა ხნის წინ, თბილისს ეწვია რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის ხელმძღვანელი ბიძინა რამიშვილი. „მე ვიყავი დასავლეთ ევროპაში ემიგრირებული ახალი თაობის პირველი ქართველი, ვინც რადიო „თავისუფლებაში“ დაიწყო მუშაობა“, — გვაუწყა მან შეხვედრისას.

ევროპაში მოქმედი ამერიკული რადიოს ქართველი რედაქტორი

ნათია ფსუტური

— როგორ გადაიქცა თქვენი სამეცნიერო მივლინება ემიგრაციად?

— 1988 წელს, თბილისის ლიტერატურის ინსტიტუტსა და გერმანიის გეტინგენის უნივერსიტეტს შორის დადებული სამეცნიერო ხელშეკრულების წყალობით, მე და ჩემი კოლეგა სოლიკო ცაიშვილი გერმანიაში გავემგზავრეთ. ეს იყო ერთ-ერთი პირველი შემთხვევა, როდესაც ჩვენი ასაკის (მაშინ 29 წლის გახლდით) და პროფესიის (ჰუმანიტარული მეცნიერების) წარმომადგენლები წავედით უცხოეთში. ჩვენ გაგვიმართლა, რომ იმ დროისათვის, საბჭოთა კავშირში მიხაილ გორბაჩოვის რეფორმების, ე.წ. „პერესტროიკის“ ხანა იდგა და ლიბერალიზაცია იყო დაწყებული. გერმანიაში ჩვენი ოფიციალური მასპინძელი გახლდათ გეტინგენის უნივერსიტეტის სლავისტიკისა და გერმანისტიკის ფაკულტეტი. ხელშეკრულების თანახმად, ჩვენ სამი თვით გახლდით გერმანიაში მივლინებული. მართალია, შემდგომში მოხერხდა ერთი თვით ამ ვადის გახანგრძლივება, მაგრამ არც ეს იყო საკმარისი. მიუხედავად ამისა, გეტინგენის უნივერსიტეტში მუშაობა ჩემთვის არნახული სკოლა იყო. ის მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ცოდნის ტაძარია. ჩვენი გერმანიაში ჩასვლის დროისათვის *(1988 წ. — ავტ.)* ამ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა შორის ნობელის პრემიის 30 თუ 31 ლაურეატი გახლდათ. გერმანიაში ყოფნის დროს მომეცა საშუალება, ამესრულებინა ბავშვობის ოცნება — გარკვეული ვადით მეცხოვრა და მემუშავა უცხოეთში. ევროპაში ჩასვლის პირველ ხანებში არ ვფიქრობდი იქ საბოლოოდ დარჩენას, მაგრამ 4 თვე ძალზე მცირე დრო იყო, ამიტომ გადავწყვიტე, თავშესაფარი მეთხოვა. ვგრძნობდი, რომ იქაურობის გარეშე ვეღარ ვიარსებებდი...

— ახლობლებთან ხანგრძლივად განშორების საკითხი თქვენთვის პრობლემას არ წარმოადგენდა?

— სრულიად დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ ჩემიანებს მალე ვნახავდი: იმყამად, უკვე სავსებით ნათელი იყო, რომ მოკლე დროში, საბჭოთა კავშირი აღარ იარსებებდა. მისი „დაშლის ხმა“ ისმოდა, ჰაერიც კი ამ სუნით იყო გაჟღენთილი... თავშესაფრის მოთხოვნიდან რამდენიმე კვირაში, 1989 წლის 9 აპრილს, თბილისში საშინელი ტრაგედია მოხდა. ამ ამბავმა დააჩქარა საბჭოთა კავშირის დაშლა.

— როგორ შეხვდა ამ გადაწყვეტილებას დედათქვენი?

— ჩემი ბავშვობის დროინდელი ოცნება იყო, რაიმე ფორმით, თუნდაც ხანგამოშვებით ევროპაში ცხოვრება და, როგორც შემდგომში გაირკვა, დედაჩემი გრძნობდა კიდეც ჩემს ამ მისწრაფებას. ბებუაჩემს განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული და ის დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა იქ. ჩვენს ოჯახში გერმანული კულტურის სიყვარული იმთავითვე არსებობდა, მაგრამ ქართული კულტურის სიყვარულის დეფიციტი არასოდეს მქონია. დედაჩემისთვის *(ცნობილი მეცნიერი, მანანა გოგინეიშვილი. — ავტ.)* ძალიან მოულოდნელი იყო ის ფორმა, რომლითაც მე უცხოეთში დავრჩი. საქმე ის გახლდათ, რომ ჩემ მიერ გერმანიიდან დედისადმი გამოგზავნილი წერილი დაიკარგა. მოხდა ისე, რომ შვილის ემიგრაციაში დარჩენა მან სხვისგან გაიგო. ეს კი დედისთვის შოკის მომგვრელი იყო. ჩემი სატელეფონო ზარის შემდეგ, ყველაფერი გაირკვა და ისიც დამშვიდდა. ჩვენი ოჯახის ახლობლებს უკვირდათ კიდეც, რომ დედას, ჩემი გერმანიაში დარჩენა უსაროდა...

— ემიგრანტის სტატუსით გერმანიაში დარჩენის შემდეგ, როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?

— ვცხოვრობდი ჯერ გეტინგენში, შემდეგ — ჰანოვერში. გეტინგენის უნივერსიტეტში ვასწავლიდი ქართულ ენასა და ქართული კულტურის ლექციების კურსს ვკითხულობდი. ამავე დროს, თავად ვესწრებოდი ასპირანტთა ლექციების კურსს თეოლოგიაში, ასევე პუბლიცისტიკასა და ისტორიაში. დავქორწინდი გერმანელ ანდრეა შეფერზე. ის პროფესიით სლავისტი და ფოლკლორისტია, ამასთანავე — ჟურნალისტი. გვყავს ორი ქალიშვილი — ანა და სოფიო.

— სად და როდის გაიცანით ერთმანეთი?

— ერთმანეთი გავიცანით 1988 წლის ნოემბრის ბოლოს. ერთ-ერთ არაკომერციულ კინოთეატრში, გადიოდა რეჟისორ ალექსანდრე რეხვიაშვილის ფილმი — „საფეხური“. სტუდენტობა იქ ხშირად დადიოდა. ანდრეა ჩემმა იქაურმა კოლეგამ გამაცნო. იმხანად ჩემი მეუღლე გეტინგენის უნივერსიტეტის სლავისტიკის ფაკულტეტს ამთავრებდა და იმავდროულად მუშაობდა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ფოლკლორისტულ გამომცემლობაში — „ზღაპრის ენციკლოპედიაში“. ჩვენი გაცნობის შემდეგ, ქართული ფოლკლორით დაინტერესდა. დასავლეთ ევროპაში ქალ-ვაჟი ისე სწრაფად არ ქორწინდება, როგორც ეს საქართველოში ხდება ხოლმე. ჩვენც საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე, თავისუფალი წყვილი ვიყავით. დავქორწინდით 1991 წელს. მახსოვს, რადიოში მუშაობის კონტრაქტს რომ მოვაწერე ხელი, მოკლე ხანში დავქორწინდით კიდეც. ასე რომ, დროის მცირე მონაკვეთში ორ მნიშვნელოვან საბუთს მოვაწერე ხელი...

— იმ პერიოდში როგორ ინარჩუნებდით სამშობლოსთან კავშირს?

— გეტინგენში მე და ჩემმა კოლეგებმა დავაარსეთ საქველმოქმედო ასოციაცია — „საქართველო“. მისი ძირითადი დანიშნულება, ქართველ სტუდენტთათვის დახმარების გაწევა იყო. სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიების შედეგად შეგროვილი თანხით ორგანიზაცია ქართველ სტუდენტებს თითო სემესტრის ხარჯებს უფარავდა. შემდეგ, თავად სტუდენტს უნდა ეზრუნა სახსრების შოვნაზე, რადგან მეტის საშუალება არ გვქონდა.

დავქორწინდი გერმანელ ანდრეა შეფერზე

— იქაური ქართული სათვისტომოს შესახებ რა შეგიძლიათ, გვიამბოთ?

— ჩემი გერმანიაში ცხოვრების პერიოდში, იქ ბევრი ქართველი არ ცხოვრობდა, ძირითადად, სამეცნიერო მივლინებით ჩასულ ჩვენს თანამემამულეებს ვხვდებოდი. გერმანიაში რამდენიმე არაჩვეულებრივი ადამიანი გავიცანი. ემიგრანტთა ახალი თაობის წარმომადგენელთაგან გამოვყოფდი გიორგი (გიგიშა) მუსხელიშვილს (*აკად. დავით მუსხელიშვილის ვაჟი. — ავტ.*), რომელიც პროფესიით ბიოლოგი გახლავთ. ასევე ბიოლოგ დავით ფრანგიშვილს. ძველი თაობის ემიგრანტებთან ურთიერთობა ნაკლებად მქონდა, მაგრამ არ შემიძლია, არ გამოვყო ვახტანგ ჩხაიძე. ის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დარჩა გერმანიაში, არაჩვეულებრივი ადამიანი, ქართველთა მკურნალი გახლდათ. ბოლოს, ერთი წლის წინ, პარიზში, ქალბატონ გულნარა პატარიძის დაკრძალვაზე ვნახე. ქალბატონ გულნარას გარდაცვალებით გამოწვეული გულისტკივილის მიუხედავად, ბატონი ვახტანგის ნახვა მაინც გამიხარდა.

— როგორ დაიწყო თქვენი კარიერა რადიო „თავისუფლებაში“?

— მე ვიყავი გერმანიაში ემიგრირებულ ქართველთა ახალი თაობის პირველი წარმომადგენელი, რომელმაც მუშაობა დაიწყო რადიო „თავისუფლებაში“. ეს მოხდა 1991 წლის სექტემბერში. „თავისუფლებაში“ თანამშრომლად მისვლის პირველ დღეს, არ მიმუშავია — ეს გაცნობის დღე გახლდათ. ახლოს გავეცანი რადიოს მუშაობის სტრუქტურას, დავათვალიერე არქივები, რომლებშიც უნიკალური მასალებია თავმოყრილი — მაგალითად, დისიდენტური მოძრაობის შესახებ. ნელ-ნელა ჩემი სამუშაო სფეროც გამოიკვეთა. იმხანად გადაცემაში ნაკლებად იყო სატელეფონო ჩართვა. მე ახალი ჩასული ვიყავი საქართველოდან, აქაურობას კარგად ვიცნობდი და აქტიურად მივმართავდი ამ ფორმას — ხშირად ვახორციელებდი თბილისიდან სატელეფონო ჩართვას, მრავალ ჩვენს კოლეგას მივაღებინე გადაცემებში მონაწილეობა. დღეს ზოგიერთი მათგანი რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტია.

ბიძინა რამიშვილი შვილებთან ანისა და სოფიოსთან ერთად

— თუ შეგიძლიათ, გაიხსენოთ, თქვენ მიერ მომზადებული გადაცემებიდან ყველაზე საინტერესო?

— 90-იანი წლების დამდეგს, მიუნხენში ჩამობრძანდა კომპოზიტორი გია ყანჩელი. არაჩვეულებრივი კონცერტი გაიმართა. მე მისგან ინტერვიუ უნდა ამეღო. წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, კონცერტის შემდეგ, კულისებში უნდა შევხვედროდით ერთმანეთს... აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სატელეფონო ჩართვებზე მუშაობის გამოცდილება უკვე მქონდა, მაგრამ რესპონდენტთან პირისპირ მუშაობისა — არა. ბატონ გიას შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელი ვარ და ისე მოხდა, რომ პირველივე ინტერვიუ სწორედ იმ ქართველისგან უნდა ამეღო, ვისაც განსაკუთრებულ პატივს ვცემდი, ამიტომ ძალიან ვღელავდი. არანაკლებად ღელავდა ბატონი გიაც, ის სიგარეტს სიგარეტზე უკიდებდა. უჩვეულო სიტუაცია იყო... კურიოზი გადამხდა 1999 წელს, სტამბოლში, ეუთოს სამიტზე. ედუარდ შევარდნაძესთან ინტერვიუ უნდა მომემზადებინა, მასთან მიახლოება კი, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო და ძალზე მოკლე ინტერვიუს ჩაწერა მოვახერხე. ცოტა ხნით ადრე, მის მრჩეველთან, არჩილ გეგეშიძესთან საუბარი ჩავწერე. ყველა ოფიციალური პირი ძალზე დაკავებული იყო და რეპორტაჟისთვის საჭირო მასალის მოგროვება ჭირდა. დასახულ ამოცანას თავი გავართვი და გული დავიმშვიდე. იმ დღეს თურქეთის საფეხბურთო გუნდს მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონდა. მოწინააღმდეგე მხარეს რომელი გუნდი წარმოადგენდა, არ მახსოვს, შეხვედრა თურქების გამარჯვებით დასრულდა. სტამბოლის ქუჩებში ეროვნული დროშებით გაფორმებული მანქანები გამუდმებით აძლევდნენ საყვირს. გადავწყვიტე, ჩვენი სიუჟეტის გასაფორმებლად საყვირთა ხმა ჩამეწერა. ჩემი „უბედურებაც“ აქედან დაიწყო: როგორც შემდეგ აღმოვაჩინე, გეგეშიძესთან ჩაწერილი ინტერვიუს მაგივრად, საყვირების ხმაღა ისმოდა. ძალიან ავღელდი, კინაღამ თავში სისხლი ჩამექცა. საჩქაროდ სასტუმროში დავრეკე, მაგრამ ბატონი არჩილი იქ არ დამხვდა. აღარ ვიცოდი, სად გავქცეულიყავი. ბოლოს, მოულოდნელად, სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე გადავეყარე. სასწრაფოდ მისკენ გავეშურე. ჩემმა თხოვნამ, თავიდან ჩაგვეწერა ინტერვიუ, ის ძალზე გააოცა, მაგრამ მასალის ჩაწერა მაინც მოხერხდა.

— რადიო „თავისუფლებამ“ თავის დროზე, დიდი როლი შეასრულა ქართული საზოგადოების ინფორმირებასა და სწორად ორიენტირებაში. მაგრამ დღეს ქართული პრესაც თავისუფალია. აქედან გამომდნარე, რა როლს ისახავთ?

— შეიძლება, ჩემი ნათქვამი არასასიამოვნოდ ჟღერდეს, მაგრამ ეს კეთილგანწყობით ნათქვამი სიტყვებია: ქართული საზოგადოება მთლიანობაში არათავისუფალი და შებოჭილია და მასმედიაც ამას ასახავს. სადღეისოდ ქართული მასმედია მეტ-ნაკლებად თავისუფალია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. სანამ არსებობს ტაბუდადებული საკითხები, მასმედიის თავისუფლებაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ამდენად, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს გარკვეული როლი შესასრულებელი... მედია, ჩემს კოლეგებს არ ეწყინებათ, თუ ვიტყვი, რომ მიუხედავად ქართველ ჟურნალისტთა მაღალი პროფესიონალიზმისა, საქართველოში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის განვითარებული მედიაკულტურა...

— რას გულისხმობთ?

— უპირველესი განსხვავება ქართველ ჟურნალისტებსა და მათ დასავლეთევროპელ კოლეგებს შორის ვლინდება მოქალაქეობრივი მიდგომის სფეროში: დასავლეთ ევროპაში ჟურნალისტი უკიდურესად ნეიტრალური ფიგურაა, ამიტომ ძალზე ძნელია მისი პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის ამოცნობა. ქართული ჟურნალისტიკა კი, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ცენზურის ქვეშაა მოქცეული: ქართველებს არ გვინდა, ვინმეს ვაწყენინოთ. ამგვარი მიდგომა ალბათ, ჩვენი ფსიქოლოგიის თავისებურებიდან იღებს სათავეს — ქართველები ვერიდებით ვინმესთვის გულის ტკენას. ამ მხრივ, დასავლეთში სხვაგვარი მიდგომა აქვთ და თუ საჭიროა, საკუთარ ძმასაც კი სათქმელს ყოველგვარი შელამაზების გარეშე ეუბნებიან. ევროპელი ჟურნალისტისათვის კომპრომისი უცხო და მიუღებელია. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

1. ელისაბედი სანდრა რულოვსის მეორე სახელია.
2. თენგიზ ასანიძე იზოლატორში 3838 დღე იჯდა.
3. ცეკვების შესწავლა პირველად პარიზში დაიწყეს.
4. ატმის სამშობლო ცენტრალური და ჩრდილოეთ ჩინეთია.
5. თეატრალური ინსტიტუტი აკაკი ხორავას დაარსებულია.
6. ცხენს მთელი ცხოვრების განმავლობაში ეზრდება ჩლიქები.



7. ახალი ზელანდია ინტერნეტის მოხმარების მსოფლიო ლიდერია.
8. პუდელის ჯიშის ძაღლებს ძველად, იხვებზე სანადიროდ იყენებდნენ.
9. ეკა კახიანი სამი გოგოს დედაა, კობა დავითაშვილი – ოთხი ბიჭის მამა.
10. მთელ მსოფლიოში ყოველდღე დაახლოებით 350 ათასი ადამიანი იბადება.
11. კოსმოსურ ცენტრებში საათი არასოდეს გადაჰყავთ არც წინ და არც უკან.
12. ჯორდანო ბრუნო ინკვიზიციის განაჩენით კოცონზე 1600 წლის 17 თებერვალს რომში, ყვავილების მოედანზე დაწვეს.
13. „სხვაფრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ და შენდობით იხსენებდეთ მონასა თქვენსა...“ – ამ სიტყვებით მთავრდება ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“
14. „ვინც როგორია, ისეთია იმისი ღმერთიც, ამიტომ არის სასაცილო ბევრი ღვთაება,“ – ამბობდა გოეთე.
15. „ტიტანი“ ყველაზე ძვირად ღირებული მოტოციკლეტია მთელ მსოფლიოში. მის ყოველ დეტალს ხელით ამზადებენ. ამ მოტოციკლის ზოგიერთი ეგზემპლარის ფასი 40 ათას დოლარს აღწევს.
16. პირველყოფილი ადამიანები გამოქვაბულების კედლებზე ძირითადად, ცეცხლს, ცხოველებსა და ქალებს ხატავდნენ.
17. ქრისტიანობა ყველაზე გავრცელებული რელიგიაა მთელ მსოფლიოში. 1999 წელს, ქრისტიანთა რიცხვმა 2 მილიარდი ანუ დედამიწის მოსახლეობის 33% შეადგინა. მუსლიმანთა რიცხვი 1,16 მილიარდია.

ლიგია მუმკუდიანი და ავთანდილ მიქაბერიძე საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეებთან ერთად

ქართული სათვისტომოს დაუვიწყარი საღამოები ათენის ცის ქვეშ

ათენელი ქართველები რომ მეტ-ნაკლებად განებივრებულები ვართ კულტურული ღონისძიებებით, ეს იმ წერილებიდანაც ჩანს, რომელთაც დროდადრო, „გზის“ ფურცლებზე გთავაზობთ. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება გახლდათ პოეზიის საღამო, რომელიც 14 მარტს ჩატარდა ქართული სათვისტომოს ინიციატივით. სათვისტომომ თავისი არსებობის 2 წლის მანძილზე ბევრი ლამაზი ღონისძიება მოაწყო და ერთ-ერთი მათგანი სწორედ ეს გახლდათ.

ლიგია მუმკუდიანი

ქართული სათვისტომოს ოფისის დარბაზი, რომელიც ათენის ერთ-ერთ ულამაზეს უბანში – პანკრატზე მდებარეობს და რომელშიც ნამდვილი ქართული სურნელი ტრიალებს, ჩვენი თანამემამულეებით გაივსო. ყველასთვის მოულოდნელად, სათვისტომოს წევრმა ავთო გეგეშიძემ ახალი ქართული დროშა შემოაფრიალა. ხელიდან ხელში გადადიოდა ხუთჯვრიანი აბრეშუმის ალამი და სიხარულის ცრემლებით ინამებოდა... შემდეგ სახელმწიფო დროშას კედელზე გაკრული საქართველოს კულტურული ძეგლების რუკის გვერდით მიუჩინეს ადგილი.

საღამო მგალობელმა ქალებმა გახსნეს. ისმოდა მათი გულში ჩამწვდომი ხმა და სანთლების შუქით გაჩირაღდნებულ, გაზაფხულის ყვავილებით მორთულ დარბაზში მყოფთ, ცრემლიანი, მავედრებელი თვალები ზეცისკენ ჰქონდათ მიპყრობილი.

საღამოს წამყვანმა, ქალბატონმა სვეტა მჟავანაძემ თანამემამულეებს მიმართა: ერთ უცხოელ მკვლევარს უთქვამს – როგორც ჩანს, პოეზიის ღმერთი ქართველთა ძალიან ახლო ნათესავია და ამიტომაც განსაკუთრებით წყალობს დედამიწის ზურგზე ამ ყველასგან გამორჩეულ ერსო, – და ეს რომ მართლაც ასეა, ჩვენ ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, როცა გაგაცნობთ ჩვენი თანამემამულეების – იზო ლეჟავას, ნუნუ ღურჭუმელაძის და მზია ჯანელიძის შემოქმედებას; ეს ქალბატონები თითოეული ჩვენგანის მსგავსად ფიქრობენ, დარდობენ, წუხან, ოცნებობენ, ოღონდ ჩვენგან განსხვავებით, ყოველივე ამას ლექსად ამოთქვამენ, თანაც – ძალზე ლამაზადო.

საღამოს წამყვანმა დამსწრეთ აუწყა, რომ ქალბატონი იზო – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომელი – სახელგანთქმული მოგზაურის – ჯუმბერ ლეჟავას დაა, რასაც ყველა, დიდი ოვაციით შეხვდა.

ქუთაისში დაბადებულმა და გაზრდილმა, ვანის პირველი საშუალო სკოლის ყოფილმა მასწავლებელმა, მათემატიკოსმა ნუნუ ღურჭუმელაძემ სამშობ-

ლია ელეფტერიალუ

ლოდან იძულებით გადმოხვეწილი ბევრი ქართველის გულისთქმა გამოხატა თავისი მშვენიერი ლექსებით:

„აქ რომ ზღვა არის, ჩემი არაა,
აქ რომ ქარია, სულ სხვა ქარია,
იქ ერთი სიტყვაც გულს გამიმთელებს,
აქ არაფერი არ მიხარია!..
ეს ცა სხვა ცაა,
ეს მიწაც სხვაა,
სხვისი ფიქრი და სხვისი დარია,
იქ ერთი წვეთი წყალიც მომარჩენს,
აქ ოკეანეც საწამლავია!..“

ამის შემდეგ მსმენელის წინაშე წარდგა ქალბატონი მზია ჯანელიძე, რომელმაც დარბაზი მოხიბლა თავისი მშვენიერი ლექსებით.

შესანიშნავ დეკლამატორად მოგვევლინა თბილისელი დარეჯან ღამბაშიძე. მან შესაშური ოსტატობით წაიკითხა ქართული პოეზიის რამდენიმე შედევრი. საღამო დაამშვენა და უფრო შთამბეჭდავი გახადა ნანა ჭულუხაძის, მზია მამასახლისის, იამზე ობოლაძის, მზია ჯანელიძის, ნაზი რობაქიძის, ნაირა და ლილი

ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები (შუაში – თავმჯდომარე ტარიელ ბიბილაშვილი)

მატარაძეების მიერ შესრულებულმა სიმღერებმა: „საქართველოვ, ლამაზო“, „დაილოცოს საქართველო“, „ჩემო ციცინათელავ“, „ბატონები“, „შავლეგო“.

პოეზიის საღამო დასრულდა სიმღერით – „ჩემო კარგო ქვეყანავ“. მღეროდა ყველა... მღეროდნენ ცრემლიანი თვალებით, იმედით, რწმენით, მხნედ, ამაყად, „ქართველურად“!

იმავე დღეს, 19 საათზე კიდევ ერთი ლამაზი საღამოს მომსწრენი გავხდით აქაური ქართველები. ქალაქ ათენის ეგალიოს მუნიციპალიტეტის კულტურულ ცენტრ – „იანის რიცოსში“ გაიმართა საბერძნეთში მცხოვრებ და მოღვაწე უცხოელთა საერთაშორისო კულტურული ფესტივალი, რომლის ორგანიზატორები იყვნენ ევროკავშირის პროგრამების ასოციაცია „ევქსინი პოლი“, გაეროსთან არსებული საერთაშორისო ორგანიზაციის – „დევნილთა, იძულებით გადაადგილებულთა და ემიგრანტთა“ – ბერძნული ოფისი, ათენის ზემოთ დასახლებული მუნიციპალიტეტი და სხვა.

ხრისტომილის კელას ნამუშევარი

ამ საერთაშორისო ფესტივალის პროგრამა ორი ნაწილისაგან შედგებოდა: 1) საბერძნეთში მოღვაწე უცხოელ ხელოვანთა შემოქმედების გამოფენა, რომელიც ერთი კვირის მანძილზე იღებდა მრავალრიცხოვან დამთვალიერებელს; 2) კულტურული პროგრამა გალა-კონცერტის სახით.

წარმოდგენილი იყო საქართველოში დაბადებული და გაზრდილი მხატვრის ლია ელეფტერიალუს ნამუშევრები. იგი 1995 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს საბერძნეთში. აგრეთვე ჭიათურაში დაბადებული და გაზრდილი ხრისოსტომილის კელას ნამუშევრები, რომელმაც აღფრთოვანებაში მოიყვანა მნახველები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ორივე შემოქმედი დედით ქართველია და აქაც ქართველობენ. აგრეთვე წარმოდგენილი იყო ელგუჯა მაღულარიას აგიოგრაფიულ თემაზე შექმნილი ნამუშევრები.

გალა-კონცერტის მაყურებლებმა კი იხილეს ქართული ხალხური ცეკვები, რომლებმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე.

გალა-კონცერტი დაასრულა სიმღერამ – „თბილისო“. მღეროდა ყველა – დიდი და პატარა, მონაწილენი და მაყურებლები.

ბოლოს დავძენ, რომ ფესტივალის ერთ-ერთ კოორდინატორად ათენის ქართული ინსტიტუტი (დირექტორი – ცნობილი ელინისტი, ბატონი ავთანდილ მიქაბერიძე) მოგვევლინა.

ათენი-თბილისი
2004 წ. აპრილი

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

18. 1996 წელს, ბილ გეიტსმა რეკორდულ თანხად შეიძინა უზარმაზარი არქივი, რომელსაც „ბეტმენის არქივი“ ჰქვია. ეს არის შავ-თეთრი სურათების ყველაზე დიდი კოლექცია მთელ მსოფლიოში – ის 17 მილიონი სურათისაგან შედგება.

19. XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის დონ ჯუზეპე ჯუტიჩე მილანელის ცნობით, სამეგრელოში წიწაკა ფულის მაგივრობას სწევდა.

20. 1993 წელს, იტალიაში საგზაო მოძრაობის ახალი წესები მიიღეს, რომლის თანახმადაც, საჭესთან მჯდომს აეკრძალა ხვევნა-კოცნა და მსგავსი მოქმედებები.

21. ჩიკაგოს უნივერსიტეტმა გამოსცა კულინარიული რეცეპტების წიგნი, რომელიც უჩვეულო კერძებით იქცევს ყურადღებას. ამ წიგნში ვერსად შეხვდებით ისეთ კერძს, რომლის დასამზადებლად საჭიროა პომიდორი, ლობიო, კარტოფილი, სიმინდი, ყავა, შაქარი, ბრინჯი და სხვა. ეს წიგნი ძველი რომის კულინარიული რეცეპტების კრებულია.

22. 1895 წლის 9 თებერვალს, ქალაქ ჰოლიოკეში (მასაჩუსეტსის შტატი) ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციის სპორტდარბაზში ვინმე უილიამ მორგანმა გამოიგონა ახალი გუნდური თამაში, რომელსაც მინტონეტი ეწოდა. სპორტის ეს სახეობა დღეს, ფრენბურთის სახელწოდებით არის ცნობილი.

23. ნაპოლეონსა და შვედეთის მეფეს, კარლოს მეთორმეტეს ძალიან უყვარდათ ჭადრაკის თამაში. ცნობილია, რომ ორივე პიროვნება არასდროს აკეთებდა როქს ერთი და იმავე მიზეზის გამო: დამალვა, მეფისთვის მიუღებლად მიაჩნდათ.

24. გერმანიის იმპერატორმა კარლოს მეხუთემ სიკვდილამდე სამი კვირით ადრე, საკუთარი დასაფლავების რეპეტიცია ჩაატარა: კუბოში ჩაწვა და მსახურებს დაკრძალვის რიტუალის ყველა წესის დაცვით შესრულება უბრძანა.

25. იმის გასაგებად, თუ როგორ მიიღო მკითხველმა მისი ნაწარმოები, ვიქტორ ჰიუგომ რედაქტორს ლაკონიური წერილი გაუგზავნა: „?“. რედაქტორის პასუხი აგრეთვე ლაკონიურობით გამოირჩეოდა: „!“

■

ნათია თენიეშვილი

პირველი ჟანრული სტუდიები

ეგ ჩემიაა, „ამერიკელ“ მომ ცეკვავდნენო...

პროფესიით დირიჟორი და მსახიობი კახა ხოშტარია ერთ-ერთი პირველი სტეპმენია საქართველოში. იგი „ვერნისაჟის“ სტუდიაში მოცეკვავეებს სტეპს ასწავლის, ასევე თეატრალურ ინსტიტუტში – ფარიკაობასა და ე.წ. სასცენო ტრიუკებს. გარდა ამისა, კახა ტელეგადაცემაში – „ღამის შოუ“ – დათო ილურიძის ბენდში ტრომბონზე უკრავს და ხმის რეჟისურასაც მისდევს. მისი მეუღლე თამუნა ქოთილაძე „ვერნისაჟის“ მოცეკვავე გახლავთ. ჰყავთ ერთი შვილი – 8 წლის ნიკალა. თამუნამ და კახამ ერთმანეთი თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას გაიცნეს. შემდეგ ერთად ცეკვავდნენ „ვერნისაჟში“, გარკვეული პერიოდის შემდეგ, კახამ ცეკვას თავი მიანება და მასწავლებლობას დასჯერდა. ბავშვობაში მას მეტსახელად „მუზიკანტს“ ეძახდნენ, ოღონდ – არა დაცინვით, რადგან კლასისა და სკოლის ე.წ. „ტუსოვკებზე“ ის ყოველთვის წამყვანი ფიგურა ყოფილა...

– 1970 წელს დავიბადე. ფოთში ვცხოვრობდი. მაშინ კომუნიზმი მძვინვარებდა. ქალაქში საბჭოთა არმიის საზღვაო ფლოტის ნაწილი იყო განთავსებული და ფოთის მოსახლეობის თითქმის 60% რუსიფიცირებული გახლდათ. ყველაზე კარგი პედაგოგები სამხედრო მუსიკალურ სკოლაში იყვნენ და შშობლებმაც იქ მიმიყვანეს. ყოველი სემესტრის ბოლოს, საჩვენებელ კონცერტში უნდა მიგეღო მონაწილეობა.

პირველ კლასში ეს ამბავი სერიოზულად არ მივიღე. კონცერტის დღეს სცენაზე რომ გამოვედი, დარბაზი ქუდიანი სამხედროებით იყო სავსე. მათთან შერცხვენას ყველაფერი მერჩივნა და ბევრს ვმეცადინეობდი... სკოლის შემდეგ, მუსიკალურ ტექნიკუმში ჩავაბარე და ინტერესის სფერო შემეცვალა. ჯაზმა ძლიერ დამაინტერესა. ძალიან მიყვარს 30-40-იანი წლების მუსიკა და ხშირად ვამბობ – იმ დროს უნდა დავბადებულიყავი-მეთქი... ბებიაჩემი ბიბლიოთეკაში მუშაობდა. ერთხელ სამსახურში მივაკითხე და სანამ ველოდებოდი, წიგნების თვალიერება დავიწყე. ვნახე ჩარლი ჩაპლინის „ჩემი ბიოგრაფია“. მისი კითხვის დროს, ისე „ვადავარდი“ იმდროინდელ ამერიკაში, რომ მგონი, დღემდე ვერ გამოვედი... დამაინტერესა იმ პერიოდის ყველა სფერომ, ძირითადად, ხელოვნებამ და განსაკუთრებით სტეპმა. ცეკვაზე არასდროს მივლია. ყველაზე მეტად, მუსიკითა და კალათბურთით ვიყავი დაინტერესებული. ფოთის კალათბურთის ნაკრების წევრიც ვიყავი. სტეპის ცეკვა ჩემთვის გახდა ნატვრა, ნამდვილი ოცნება.

აღმოჩნდა, რომ თამუნამ, რომელიც ახლა ჩემი მეუღლეა, იცოდა სტეპის ცეკვა

— მერე, როგორ აისრულე ეს ოცნება?

– თეატრალურ ინსტიტუტში რომ ჩავაბარე, აღმოჩნდა, რომ თამუნამ, რომელიც ახლა ჩემი მეუღლეა, იცოდა სტეპის ცეკვა. ის თელავში ცხოვრობდა. მისი და, სასტუმრო „ინტურისტის“ ადმინისტრატორი იყო. მაშინ თელავში ბევრი ფესტივალი იმართებოდა. ელისო ვირსალაძე ატარებდა კლასიკური მუსიკის ფესტივალს – „ქება ვაზისა“ და მთელი მუსიკალური საზოგადოება იქ იყრიდა თავს. ერთხელ, რუსეთიდან ჩამოსული იყო საცეკვაო ჯგუფი, რომლის წევრი სტეპს ცეკავდა. თამუნამ ეს რომ გაიგო, თავის დას სთხოვა – უთხარი, მასწავლოსო. რუსები ერთი კვირა ცხოვრობდნენ თელავის „ინტურისტში“ და იმ ერთ კვირაში ისწავლა თამუნამ რაღაცები. მისგან დავიწყე ნელ-ნელა სტეპის ათვისება. როცა მისდამი ჩემი გრძნობის შესახებ შეიტყო, ცოტა შორს დაიჭირა თავი, მაგრამ არ ვასვენებდი. ოთახში მარტო ვიკეტებოდი, ვვარჯიშობდი, რაღაც ახალს ვეძებდი და მერე, თამუნას ვუჩვენებდი. გიჟდებოდა – რაღაც პატარა ილეთი გასწავლე და როგორ გადააკეთეო?!. მერე ჩვენი ურთიერთობა სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდა და ახლა უკვე ოჯახი გვაქვს და გვყავს ნიკალა, რომელსაც დროდადრო, აინტერესებს სტეპი, ოღონდ – ემინემთან ერთად...

— რამდენი ხანი დაგჭირდათ, ცეკვა რომ გესწავლათ?

– მიუხედავად იმისა, რომ ცეკვაზე არასდროს მივლია, ამ ყველაფრისთვის ოთხი თვე დამჭირდა. ოღონდ ამ პერიოდის განმავლობაში ჩაკეტილი ვიყავი ოთახში და ინტენსიურად ვმეცადინეობდი. მესამე კურსზე, როცა ცეკვაში გამოცდა უნდა ჩაგვებარებინა, მე და თამუნამ სტეპის ნომერი წარმოვადგინეთ. ეს სიურპრიზი იყო პედაგოგისთვის, რადგან მაშინ ცეკვის კურსში სტეპი არ შედიოდა. მერე ვიდეოკასეტები მოვიშველიე და იქიდან ვსწავლობდი იმას, რაც არ ვიცოდი. ფირს შენელებულად ვუშვებდი, რომ უფრო კარგად დამენახა, თუ როგორ დაჰკრა მოცეკვავემ ფეხი, რა ილეთი შეასრულა და ა.შ. როცა ამ კასეტებს ვუყურებ, ხან არაფერი აღარ მინდა, – იმდენად მაგრები არიან ისინი, – ხან კი, პირიქით, მიჩნდება სურვილი, მეც გავაკეთო, თუნდაც

სიბრძნითა და სიმდიდრით განთქმული ბიბლიური მეფე	ძვ. თბილისური მიმართვა	მანგუსტი – ... ტიკი ტავი	მიმართვა ინგლისელისადმი	სახელმწიფო აზიაში	ტელეიპუცი	ქალღმერთი ინდურ მითოლოგიაში	გ. გვახარ საავგო გადაცე
ა ჰ ი ა ს ბ ო ლ ო ფ ო ჰ ი ბ ი ს ე ჰ ი				ღ ბ ი ო . . ა ვ ო ბ ა ბ ბ ვ ს ი			
ერთი მომდერლის პარტია	მოწყობილობა სატელევიზიო გამოსახულების საკონტროლოდ	შენი ხმალი და ზემი ...	„... ზღვას შუა ძველისძველად..“	ოსტატობის ხარისხი ძიუდოში	წინასწარმეტყველება ქვეყნის დასასრულზე		

იმის მეასედი, რასაც ისინი აკეთებენ.

— გარკვეული პერიოდი, „ვერნისაჟში“ ცეკვავდი. იქიდან რატომ წამოხვედი?

— თეა გობეჯიშვილი, კოტე ფურცელაძე, მე და ჩემი მეუღლე თავიდანვე ვიყავით „ვერნისაჟში“. მერე ზოგმა სხვა გზა აირჩია და წავიდა. მეც დამიდგა ასეთი პერიოდი და წამოვედი. „ვერნისაჟში“ მე, სტეპის გარდა, არაფერს ვცეკვავდი. პირველი 8 წელი, სადაც ვმუშაობდით — კლუბ „ვერნისაჟში“ კარგი სცენა იყო სტეპისთვის. იქიდან რომ გადმოვედით, სცენის პრობლემა გაჩნდა. სტეპი რომ იცეკვო, იატაკი აუცილებლად „მყლერი“ უნდა იყოს — სხვა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ფეხსაცმელზე რკინებია მიკრული, ხმა იკარგება. ჩვენთან იშვიათობაა ისეთი სცენა, რომელიც სტეპის საცეკვაოდ ვარგისია. ამას სპეციალური მომზადება, სცენის გახმოვანება და სხვა ამგვარი რამ სჭირდება. კონცერტის ორგანიზატორი ამდენ პრობლემას არ შეიქმნის, თუ ძალიან არ დაინტერესდა. ინტერესი კი საიდან უნდა ჰქონდეს? მე კი ვცეკვავ, მაგრამ არასდროს მინახავს სტეპის ცოცხალი მოცეკვავე. ცოტა ხნის წინ, ბაქოში ჰქონდა „ვერნისაჟს“ კონცერტები და იქ გავიცანი ერთი სტეპმენი. თავისი სტუდია აქვს და 80 მოსწავლე ჰყავს. ერთი თვე ვიყავით იქ და არ მოვცილებივარ, ყოველდღე, რეპეტიციებზე მასთან ვჯექი.

— სტეპს განსაკუთრებული ფეხსაცმელი სჭირდება. თბილისში აკეთებთ?

— თავიდან ამ მხრივაც დიდ პრობლემას წავაწყდი. ვერავინ ვნახე, ვინც იცოდა, როგორი უნდა ყოფილიყო ფეხსაცმელი. ფილმში — „კოტონ-კლუბი“ არის ერთი მომენტი, სადაც მოცეკვავე კიბეზე ჩადის და საცეკვაო ფეხსაცმელი მხარზე აქვს გადაკიდებული. კადრი გავაჩერე და პირველად იქ ვნახე ახლო ხედით საჭირო ფეხსაცმლის ძირი. თეატრში ვიპოვე შავ-თეთრი ფეხსაცმელი, დურალუმინისაგან გამოვჭერი და გავხეხე საჭირო დეტალები და ფეხსაცმელზე დასამაგრებლად, მეწაღეს წავუღე. როცა ვუთხარი — ეს რკინები ფეხსაცმლის ძირს დაკარი-მეთქი — მიყურა, მიყურა და — რად გინდაო? — მკითხა. — საცეკვაო ფეხსაცმელია-მეთქი, — ვუპასუხე. — მე უფრო მაგარი რკინა ვიცი, — შემომთავაზა. — გამიხარდა, ვიფიქრე — ვიპოვე ის ადამიანი, ვინც იცის, რაზეა ლაპარაკი-მეთქი. ადრე, სამხედრო ჩექმას ქუსლზე რკინას აჭედებდნენ, რომ აღლუმზე ხმა ჰქონოდა და თან, არ გაცვეთილიყო. სწორედ ისეთი რკინა გადმოიღო — ეს არ სჯობიაო? გავგიჟდი — არ მინდა, რაც მოგიტანე, ის გამიკეთე-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, დავთანხმე. ინსტიტუტში სწავლისას, რეჟისორმა მაკა არაშიძემ მთხოვა, „ბასტიბუბუს“ ბავშვებისთვის ცეკვა დამედგა. დავწყეთ ვარჯიში. რეპეტიციებზე ხმა არ მესმოდა, არადა, 20 ბავშვი ცეკვავდა. უცებ გამახსენდა და თავში ხელი შემოვირტყი — ფეხსაცმელს რა ვუყო-მეთქი? მშობლებმა თქვეს — პრობლემა არ არისო, — და ფული გადაიხადეს. საიდან მომეტანა ფეხსაცმელი?! თითოეულ ფეხსაცმელზე რკინა ქუსლსა და წვერზე უნდა გაკეთო — ეი. 20 ბავშვისთვის 80 დეტალი უნდა გამეკეთებინა! ღამეები გავათენე და რკინები გამოვჭერი, ყველგან ფეხსაცმელი მელანდებოდა... მეწაღე სამი დღე აჭედებდა რკინებს. რომ მივედი და დეტალები მივუტანე — შენნაირები შეკრიბეო? — მკითხა. ახლაც, როცა რაღაც მჭირდება, იმ კაცთან მივდივარ. ბოლოს მიხვდა, რაშიც იყო საქმე და მითხრა — ვიცი, რასაც აკეთებ — ეგ ჩიჩოტკაა, „მარიაკები“ რომ ცეკვავდნენ გემზეო... — ეგ არი, ეგა-მეთქი, — ვუთხარი.

— ბენდში როგორ მოხვდი?

— დათო ილურიძეს ჯაზქორალიდან ვიცნობ. როცა სტეპის პროგრამაზე ვიქრობდი, დათო შემხვდა. ვუთხარი — ძალიან ცეკვავენ მყავს, მუსიკოსები შეკრიბოთ და გავაკეთოთ ეს პროგრამა-მეთქი. შეკრიბეთ, დავიწყეთ მელაპარაკობა და გავაკეთეთ 14 ნომერი. „ელიტ-კლუბში“ სამი თვის განმავლობაში კვირაში ერთი დღე ეს პროგრამა გადიოდა. იატაკიც ისეთი დავაგეთ, როგორიც გვჭირდებოდა. ბევრი მაყურებელი ესწრებოდა ხოლმე. მერე მუსიკოსები „ჯოიში“ წავიდნენ და იქ უკრავდნენ. ეს საღამოობით ხდებოდა. მე ამ დროს არ მეცალა და იქ აღარ ვუკრავდი. ილურიძე და გოგიჩაიშვილი დიდი ხანია, იცნობენ ერთმანეთს. როცა გოგიჩაიშვილმა შესთავაზა — შენი ხალხით მოდი ჩემს პროგრამაშიო, — ილურიძემ მიმიწვია. რადგან ჩაწერები დღისითაა და ის დრო თავისუფალი მქონდა — დავთანხმდი. ძირითადად, აქ ის ხალხი ვართ, ვინც მაშინ იმ პროგრამაზე ვმუშაობდით. თუმცა ფორმატი სრულიად განსხვავებულია. გეხუმრებიან — უნდა გაუცინო, არ გეხუმრებიან — მაინც უნდა გაუცინო; გეტყვიან — 10-წამიანი მონაკვეთი დაუკარიო — ასე უნდა მოიქცე, დაკვრას იწყებ და უცებ გეუბნებიან — უნდა მორჩესო. მუსიკალური ფრაზა მაინც ხომ უნდა დამთავრდეს?!. მერე დავიწყეთ ამ მოკლე ფრაზების დაკვრა, რომ რაღაც ლოგიკაში მაინც ჩაჯდეს და მუსიკოსი რომ უყურებს, არ თქვას — რას უკრავენ? ბოლომდე მაინც დაუკრანო!.. თავიდან ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა მივეჩვიეთ. ახლა ჩვენ გავუზარდეთ დრო და ხანდახან 10 წამის მაგივრად — 15, 20 წამს ვუკრავთ ხოლმე.

— ნიკალა თუ არის ცეკვით დაინტერესებული?

— „ვერნისაჟში“ ყოფნის დროს სულ მშობლების ცეკვას უყურებდა. ნორმალურ ოჯახში საღამოს მშობლები შინ ბრუნდებიან ხოლმე. მე და თამუნა კი, საღამოს მივდიოდით სამსახურში და ნიკალაც თან მიგვყავდა კონცერტებზე. ოჯდა კულისებში და გვიყურებდა. მისთვის ცხოვრების ასეთი წესი ძალზე მოსაბეზრებელია. ამას წინათ, დამტოვებელი არავინ გვყავდა და „ღამის შოუს“ ჩაწერაზე წავიყვანე. მეუბნებოდა — ნეტავ, დღეს რაღაც ისეთი მოხდეს, რომ გადაღება ჩაშალოს და შინ დროზე წავიდეთო. დაიღალა, უკვე აღარ უნდა ჩვენთან ერთად სიარული, მაგრამ რას იზამს? — სხვა გზა არ არის... ■

„ვერნისაჟში“ ყოფნის დროს სულ მშობლების ცეკვას უყურებდა

	შინაური ფრინველის ბუდე	სპორტული შეჯიბრების დასვენითი ნაწილი	ოკეანელიანი	ჰომეროსის პოემა	... ახალგაზრდა	თევზის ძვალი	მზესუმზირისგან მიღებული ცხიმი

...ამაკაცი, ...რომელსაც ...ერ-ულვაში ...რ ამოსდის	ტიბეტის ღვთაება	წყალქვეშა კლდე	სასიმინდე	კინორეჟისორი ... ლურმანი	ქიმიური ელემენტი	სამიანი ნარდში	ცეცხლის ენა	ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოში

რა უნდა ვიცოდეთ მონაზვნობასთან დაკავშირებით

სიტყვა „მონაზონი“ — მარტო მყოფს, კენტად მცხოვრებს ნიშნავს („მონო“ — მარტო) ე.ი. ბერმონაზვნობა არის წუთისოფლიდან განდგომა და საკუთარი ნების უარყოფაში ცხოვრების გატარება... მონაზვნობასთან დაკავშირებით, ჩვენთვის საინტერესო საკითხებს, წმინდა დიდმოწამე ქეთევანის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი გიორგი რაზმაძე განგვიმარტავს.

მორენა მერკვილაძე

— მონაზვნობა — ეს არის განსაკუთრებული ღვაწლი, როდესაც ადამიანი ყოველგვარ კავშირს წყვეტს წუთისოფელთან და მთლიანად უფალს უერთდება. ე.ი. მონაზვნობა ნიშნავს ცხოვრების გატარებას საკუთარი ნების უარყოფაში, ლოცვაში, მარხვასა და მუდმივად ღმერთზე ფიქრში. აქედან გამომდინარე, მონაზონი საკუთარ თავს მთლიანად უძღვნის უფალს ანუ კვდება ამქვეყნიური ცხოვრებისთვის და აღდგება ქრისტიანული ცხოვრებისთვის. ესაა ფაქტობრივად ანგელოზებრივი მსახურება, როდესაც ადამიანი ცოცხლობს მხოლოდ ღმერთის ნების აღსასრულებლად. ამიტომაც ეწოდება მონაზვნურ ცხოვრებას ანგელოზებრივი ცხოვრება.

— ე.ი. მონაზონი ეწოდება მარტო მცხოვრებ ადამიანს, რომელიც ყოველგვარ კავშირს წყვეტს ამ წუთისოფელთან და იწყებს ცხოვრებას მხოლოდ ღმერთის ნების აღსასრულებლად. მონაზონი შესაძლოა, იყოს, როგორც მამაკაცი, ასევე ქალი. თუმცა, ჩვენ ირგვლივ მრავალი ადამიანი ფიქრობს, რომ მონაზვნებად მხოლოდ ღვთისმსახური ქალები იწოდებიან. რა უნდა ვიცოდეთ ამ საკითხთან დაკავშირებით?

— საერთოდ, ჩვენში მონაზვნობის არსი და მნიშვნელობა არასწორად არის გაგებული. სულიერ ცხოვრებაში გამოცდილი პირები იწოდებიან ბერებად, რომლის რუსული შესატყვისია — „სტარეც“. ბერობა ნიშნავს, რომ ადამიანმა განმარტოებული ცხოვრებითა და ღვთის ჭვრეტით სულიერ სრულყოფას მიაღწია ანუ უმაღლეს სულიერ საფეხურზე ავიდა. ხოლო ადამიანზე, რომელსაც ახალი დაწყებული აქვს განმარტოებული ცხოვრება და გამოუცდელია სულიერ ცხოვრებაში, იტყვიან — შემონაზვნდაო. შემონაზვნება ნიშნავს, რომ მონაზვნად შემდგარი პირი განეშორა და ჩაება ჭიდილში ამ სოფელთან. აქედან გამომდინარე, შემონაზვნება ანუ ამ წუთისოფლიდან განდგომა შეუძლია, როგორც მამაკაცს, ასევე ქალსაც.

— როდის დაიდო სათავე მონაზვნობას?

— დასახლებული ადგილებიდან უდაბურ ადგილებში გარიდების, განდეგილობის და სხვა ასკეტური ღვაწლის მაგალითები უძველესი დროიდან გვხვდება. ქრისტეს მოსვლამდე, სინას მთაზე ცხოვრობდნენ განმარტოებულად მოღვაწე ადამიანები, რომლებიც „თერაპევტებად“ იწოდებოდნენ („თერაპევტი“ ბერძნული სიტყვაა და შინაგანს ნიშნავს), ე.ი. სინას მთაზე მოღვაწე ადამიანები უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ შინაგან ცხოვრებას. მარხვისა და ლოცვისათვის თვით ქრისტეც უდაბნოში გავიდა. ქრისტემდე კი უდაბნოს მიაშურა უფლის წინამორბედმა — იოანე ნათლისმცემელმა, რომელიც მიჩნეულია პირველ მონაზვნად მამათა შორის. დედათა შორის კი, პირველ მონაზვნად მიჩნეულია მარადქალწული მარიამი, რომელმაც პირველმა დადო ქალწულობის აღთქმა. მაგრამ ბერმონაზვნობის ფუძემდებლად ითვლება წმინდა ანტონი დიდი — III საუკუნის საეკლესიო მოღვაწე. ე.ი. ბერმონაზვნობა, როგორც საეკლესიო წესი, ჩამოყალიბდა III საუკუნის დასასრულს და ფართოდ გავრცელდა IV საუკუნეში. როდესაც იმპერატორ კონსტანტინეს ნებით, ქრისტიანული რელიგია აღარ იდევნებოდა და ეკლესიაში მრავალი ქრისტიანი შევიდა — ანუ საეკლესიო ერი მომრავლდა, საეკლესიო თემებმა თავდაპირველი მკაცრი ცხოვრების წესის გამარტივება დაიწყეს. ამიტომ გულმოდგინე ქრისტიანებმა ჯერ ქალაქის გარეუბნებში იწყეს გახიზვნა და მოღვაწეობა, შემდეგ კი — უდაბნოებში გავიდნენ.

— სამონაზვნო ცხოვრების რამდენი ტიპი არსებობს?

— ძველად არსებობდა მონასტრები, სადაც ამ წუთისოფლიდან განდგომილი პირები განმარტოებულ, დაყუდებულ ცხოვრებას ეწეოდნენ და კელიებიდან — ე.ი. ბერების საცხოვრებელი სენაკებიდან არ გამოდიოდნენ. ცოტა მოგვიანებით კი, გაჩნდა საერთო საცხოვრებლები, სადაც ბერმონაზვნები ერთად ცხოვრობდნენ და ყველაფერი საერთო ჰქონდათ. ისინი ვალდებულნი იყვნენ, ერთიან კანონს — სამონასტრო ტიპიკონს დამორჩილებოდნენ. აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბდა სამონაზვნო ცხოვრების შემდეგი ტიპები: ერთად ცხოვრება და განმარტოებული.

— რამდენადაც ცნობილია, მონაზვნად აღკვეცამდე, მონაზვნობის მსურველი პირი უნდა შედგეს მორჩილად. რას ნიშნავს მორჩილად შედგომა და შეიძლება თუ არა, მორჩილად შემდგარ პირს უარი ეთქვას მონაზვნობაზე?

— მორჩილობა — ეს არის ადამიანის ნების უარყოფა და საკუთარი ნებით მოძღვარზე მინდობა — ანუ მოძღვრის სრული მორჩილება. ე.ი. მორჩილი არის პირი, რომელიც ცხოვრობს მონასტერში და ემზადება ბერმონაზვნობის მისაღებად. ბუნებრივია, მას არა აქვს დადებული საბერმონაზვნო აღთქმები, არ განეკუთვნება სამონასტრო საძმოს, არ ატარებს სამონაზვნო შესამოსელს. მორჩილი უსიტყვოდ ასრულებს მოძღვრის დავალებებს. ანტონი დიდის ცხოვრებაში იყო ასეთი შემთხვევა: 50 წელს გადაცილებული პავლე თებაითელი — შემდგომში, პავლე უბრალოდ წოდებული — თავის ულამაზეს მეუღლეს მრუშობაზე წაუსწრებს. პავლე თებაითელი ცოლს უსიტყვოდ ტოვებს და გადაწყვეტს, რომ

სამოღვაწეოდ წავიდეს ანტონი დიდთან, ე.ი. ანტონი დიდის მორჩილად შედგეს. როდესაც ანტონი დიდთან მიდის, წმინდანი მას უმძიმეს გამოცდას მოუწყობს: ერთი კვირა კელიის კართან ალოდინებს და არ ხვდება; ერთი კვირის შემდეგ ხვდება, მაგრამ ეუბნება, რომ მოხუცია, ამიტომ მორჩილობის ღვაწლს ვერ იტვირთებს და ურჩევს, შინ დაბრუნდეს, თვითონ კი კვლავ კელიას მიაშურებს. ერთი კვირის შემდეგ, სენაკიდან გამოსულ ანტონ დიდს პავლე თებაითელი კვლავ კელიის წინ ხვდება. ანტონი დიდი ბოლოს თანხმდება, რომ პავლე უბრალომ დაიწყოს მასთან მოღვაწეობა, მაგრამ აფრთხილებს, რომ უმძიმესი გამოცდა ელის – თავდაპირველად ანტონი დიდი პავლე უბრალოს, წყლის ზიდვას ავალებს და სამი დღის მანძილზე, საკვებს არ აძლევს. სამი დღის შემდეგ, ტრაპეზზე მიიწვევს, მაგრამ როდესაც პავლე უბრალო ლუკმას აიღებს, ანტონი დიდი მორჩილების შესასრულებლად უშვებს... ასეთ უმძიმეს ღვაწლს მოითხოვს მორჩილება ადამიანისგან. მაგრამ ამავდროულად მორჩილება ყველაზე დიდი საფეხურია უფალთან მისასვლელად, რომელიც მონაზვნად შედგომის ყველა მსურველმა უნდა გაიაროს, რათა მორჩილობის წლებში გამოიკვეთოს, შეძლებს თუ არა იგი, სამონაზვნო ღვაწლი იტვირთოს. ბუნებრივია, თუკი ადამიანი ასეთ მძიმე ღვაწლს ვერ გაუმკლავდება, მას ბერმონაზვნად არ აკურთხებენ.

— რომელ ასაკშია დასაშვები ბერმონაზვნად აღკვეცა?

– სვლულის კანონის მიხედვით, მღვდლად კურთხევა უნდა მოხდეს 33 წლის ასაკში, ეპისკოპოსად კი, პირი შეიძლება იკურთხოს 35 წლის ასაკში. მაგრამ დაშვებულია შერბილებული წესებიც, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი მოწოდებულია მონაზვნობისთვის და მონაზვნად კურთხევისთვის საჭირო ყველა თვისებას შინაგანად ატარებს, მისი მონაზვნად კურთხევა უფრო ადრეულ ასაკშიც შეიძლება. ამის მაგალითები წმინდა მამათა ცხოვრებაშიც გვხვდება. მაგალითად, წმინდა ანტონი დიდი 16 წლის ასაკში მივიდა მონასტერში მოღვაწეობისთვის.

P.S. *როგორ აღესრულება მონაზვნად აღკვეცა? აქვს თუ არა ადამიანს მონაზვნად აღკვეცის შემდეგ სამონაზვნო აღთქმის დარღვევის უფლება? რას ნიშნავს განდეგილობა და მესვეტეობა? – ამ საკითხებთან დაკავშირებით, „გზის“ მომდევნო ნომერში გესაუბრებით.*

■



კაცი-მუსიკაო! — ასე შეამკო დიდი ქართველი კომპოზიტორი მწერალმა აკაკი ბაქრაძემ. რეზო ლალიძის მუსიკა ქართველმა ხალხმა ისე გაითავისა, რომ მისი ბევრი სიმღერა ხალხურიც კი ჰგონია. საუკუნის კომპოზიტორად აღიარებული ავტორის „სიმღერა თბილისზე“ დედაქალაქის ჰიმნად იქცა...

გასული საუკუნის 70-იან წლებში პუშკინის (დღევანდელი სულხან-საბა ორბელიანის) სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ბატონმა რევაზმა დიდი ეროვნული საქმე გააკეთა — მუსიკის კათედრა დააარსა. მომავალოებელი ჰანგების ავტორი და საოცრად პოპულარული ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე ამ კათედრის ხელმძღვანელი გახლდათ.

ახლა იქ, მისი სახელობის მუზეუმია, რომელსაც ქალბატონი **ნათელა პაიკიძე** *პატრონობს.*

ხუმბერაძის შემოქმედი, ოცხლოთ მიბლოური, თვმლა...

ნუცა თოფჩიშვილი

— ქალბატონო ნათელა, თითქმის ორი ათეული წელია, თქვენი პედაგოგის მუზეუმს დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ხელმძღვანელობთ. რა იყო პირველი ექსპონატი და ვინ გეხმარებოდათ ექსპოზიციის შევსებაში?

– მუზეუმის გახსნას აღტაცებით შეხვდნენ მუსიკის კათედრის წევრები. შეიძლება ითქვას, ერთი თვის მანძილზე დღე და ღამე იქ ვიყავით. ბატონი რეზოს ოჯახმა უნიკალური მასალა გადმოგვცა, რომელსაც გულისყურით ვარჩევდით კომპოზიტორის სახლში, საკუჭნაოშიც კი აღმოვაჩინეთ მისეული ნივთები... მუზეუმის გახსნის დღეს, ბატონი რეზოს მეუღლემ ექსპონატებს შორის, მწერალ მიხაილ შოლოხოვის მიერ ნაჩუქარი კათხა რომ დაინახა, გაკვირვებულმა იკითხა – ეს აქ როგორ მოხვდაო? მე თითქოს კითხვა ვერ გავიგე, რადგან კათხა მისი ოჯახიდან უკითხავად მქონდა წამოღებული... მუზეუმის პირველი ექსპონატი დათვის ბელის ფიტული იყო, რომელიც ბატონმა რეზომ ნადირობის დროს დაჭრილი ნახა და წამოიყვანა. გადაწყვიტა, გამოეჯანმრთელებინა და ტყეში დაებრუნებინა. ერთ ღამეს, საკუჭნაოში, სადაც ბინა მიუჩინეს, ბელს გალიის სახურავი აუხდია და დილით თავისსავე თოკზე დაკიდებული ნახეს. როგორც მურმან ლებანიძემ მიამბო: „რეზომ საშინლად განიცადა ბელის სიკვდილი, გააკეთებინა ფიტული და თავის სამუშაო ოთახში დადგა. სწორედ ამ შემთხვევას მივუძღვენი ლექსი „მელეშუმს დათვები მოუკლავთ ვაჟკაცებს“... მუზეუმის უმნიშვნელოვანესი ექსპონატია როიალი, რომელზეც შეიქმნა კომპოზიტორის შემოქმედების დიდი ნაწილი და მათ შორის, ოპერა „ლელა“. ბატონი რეზო უკვე მძიმედ იყო ავად და უმეტეს დროს კათედრაზე ატარებდა. მახსოვს, დაურეკეს და სთხოვეს იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ 100 წლისთავისათვის მუსიკა დაეწერა. მან ნაღვლიანი იუმორით უპასუხა: „მთელი ცხოვრება ბუნების წიაღში ხეტიალით და ქართული ღვინის მადლით ვქმნიდი ნაწარმოებებს, ახლა კი „ხაჭოს დიეტა“ დამინიშნეს და ვეჭვობ, „დედაენას“ რომ შეჰფერის, ისეთი სიმღერა შევქმნა“... ორი კვირის განმავლობაში მიმქონდა ლექსები, რაც კი შექმნილა ქართული ენის სადიდებლად. ბატონი რეზო გადაიკითხავდა და უსიტყვოდ გვერდზე გადადებდა. ბოლოს, სწორედ იმ დღეებში დაბეჭდილი ხუტა ბერულავას „აი ია“ მივუტანე. ლექსის წაკითხვისთანავე მისეუ-

ლი სხივით გაუნათდა სახე და ჩვეულებრივზე ჩქარი ნაბიჯით გავიდა კათედრიდან. მეორე დღეს, დაღლილი, ღამენათევი მოვიდა, ხალისით მიუჯდა როიალს და თქვა: „მგონი, მიზანს მივაღწიე, ბავშვთა სიმებივით წკრიალა ხმები ჟღერენ, „აი ია, აი თითი", შემდეგ კი გისმის სრულიად საქართველოს ვაჟკაცური მოძახილი-გაფრთხილება — „ოი, დედა ენავ"! აქ უნდა იგრძნობოდეს სიძლიერე, რომ ავის მდომთ არ დავუთმობთ სალოცავ ენას"... ბატონი რეზო გახალისებული ესწრებოდა რეპეტიციებს... და ჩაწერეს სიმღერა, რომელიც ჰიმნად იქცა. როდესაც გენერალურ რეპეტიციაზე სიმღერა ცეკას წარმომადგენლებმა მოისმინეს, შემცბრებმა იკითხეს: ამდენი „ოი" და გოდება რას ნიშნავსო?.. ეჭვგარეშეა, ზუსტად მიხვდნენ კომპოზიტორის ჩანაფიქრს... „დედაენის" 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, აფრთოვანებული მყურებელი ფეხზე წამომდგარი ესალმებოდა რევაზ ლაღიძეს და მის უკანასკნელ შედევრს — „ჰიმნი დედაენას".

— დაუცხრომელი შემოქმედი გატაცებით მუშაობდა კათედრაზე. თქვენ

ღამენათევი მოვიდა, ხალისით მიუჯდა როიალს და თქვა: „მგონი, მიზანს მივაღწიე"...

რეზომ საშინლად განიცადა ბელის სიკვდილი, გააკეთებინა ფიგული და თავის სამუშაო ოთახში დადგა

ამ ყველაფრის უშუალო მომსწრე ხართ. გაიხსენეთ, ვინ აიდგა ფეხი დღეს ცნობილ ხელოვანთაგან მისი დახმარებით?

— ქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება, ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ რევაზ ლაღიძე საუკუნის კომპოზიტორად აღიარეს და იმავე წელს, მისი უსაყვარლესი მომღერალი ნანი ბრეგვაძე — საუკუნის მომღერლად. ქალბატონი ნანი ხშირად ამბობს: რევაზ ლაღიძის სიმღერები რომ არა, მე ჩვეულებრივი, რიგითი მომღერალი ვიქნებოდიო. კომპოზიტორის ქალიშვილი ლელა ლაღიძე აღნიშნავს: „ნამდვილად ბედნიერი თანხვედრა იყო, რომ დავით გამრეკელმა, ზურაბ ანჯაფარიძემ და მამამ ერთ ეპოქაში, ერთდროულად იცხოვრეს და მაინც წარმოუდგენელია ნანი ბრეგვაძის გარეშე რევაზ ლაღიძის შემოქმედება. თუნდაც „განთიადი" რად ღირს ან „ბალადა ვაზზე"?! ის იმდენად აღმერთებდა ნანის, რომ ყველა მისი ნაწარმოები უნდოდა, რომ ნანის ემღერა".

სიყვარულის იდეალი კი, მის შემოქმედებაში მისი მეუღლის სახით წარმოგვიდგება

— 1980 წელს მოსკოვში, კომპოზიტორთა კავშირის ყრილობაზე, კონსერვატორიის დარბაზში აჟღერდა ბატონი რეზოს მუსიკა. როგორც ვიცი, თქვენც იქ იმყოფებოდით. გაიხსენეთ იმდროინდელი ამბები.

— მართლაც, შთამბეჭდავი იყო კომპოზიტორის ბოლო მოგზაურობა მოსკოვში. კომპოზიტორთა ყრილობაზე კონსერვატორიის დიდ დარბაზში მაყურებელმა მას გამორჩეული ოვაცია გაუმართა და როდესაც ბატონი რეზო სცენისაკენ გაემართა, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. უჩვეულოდ გამოიყურებოდა რევაზ ლაღიძე... როდესაც ის კიბეს აუყვა, რაღაც მეფური, ამაღლებული გამომეტყველება ჰქონდა და ავადმყოფობის კვალსაც ვერ შენიშნავდით. გზადაგზა მილოცვებს იღებდა. ამ დროს, ერთი სათნო ქალი მასთან მიიჭრა და ცრემლმორეული უხსნიდა, თუ როგორ ააღელვა მისმა სევდიანა და ვნებით ანთებულმა მუსიკამ და მადლობის ნიშნად, ხელზე ეამბორა კომპოზიტორს... იმ საღამოს, დიდი ოფიციალური ბანკეტი იყო დანიშნული. ბატონ რეზოს დიდად არ ხიბლავდა ამგვარი ოფიციალური თავყრილობები და მისთვის ჩვეული — ორიგინალური ფორმა აირჩია წარმატების აღსანიშნავად: მოულოდნელად, თავს წამოგვადგა სასტუმროში, რესტორანში დარეკა და ნომერში მშვენიერი სუფრა გააშლევინა... ჩვენმა შეკრებამ დილამდე გასტანა. ადმინისტრაციამ იცოდა, რომ მასთან „თბილისოს" ავტორი სტუმრობდა და ხმაურიან სტუმრებს შენიშვნის მოცემას ვინ შემოგვბედავდა?!.

— ახლა თქვენ მიერ გამოცემულ შესანიშნავ წიგნზე — „მოგონებებში გაცოცხლებული" — ვისაუბროთ. თქვენ ბატონი რეზოს შემოქმედების ნამდვილი მემატიანე ბრძანდებოდით. იქნებ, მოგვიყვეთ ამ წიგნის შექმნის ისტორია?

— რაც დრო გადის, უფრო მეტად ვაფასებ და ვხვდები, თუ რა უდიდესი ბედნიერება მერგო, თორმეტი წელიწადი კათედრაზე მემუშავა რევაზ ლაღიძის გვერდით. პირველი შეხვედრისთანავე ვაკვირდებოდი მის ყოველდღიურ ყოფას, ვინიშნავდი და ვათარიღებდი მნიშვნელოვან ეპიზოდებს. მუზეუმის გახსნისთანავე შემოვიღეთ ალბომი, რომლის ღირსება ისიცაა, რომ ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელთა მოგონებები კომპოზიტორის შესახებ, ხელნაწერის სახით არის წარმოდგენილი. სამი ათეული წლის მანძილზე, ბევრი მასალა მოვიძიე. გარდა ამისა, თავი მოვუყარე პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს, თავისთავად მომწიფდა წიგნის გამოცემის იდეა. რევაზ ლაღიძის პიროვნების სრულყოფილად წარმოჩენის ვალდებულება განაპირობა არა მარტო კომპოზიტორთან მუშაობის წლებმა, არამედ მის ოჯახთან მეგობრობამ, რომელიც ნათელ-მირონობაშიც გადაგვეზარდა. ამდენად, ყოველივე ამას დაემატა ის სურვილიც, რომ ამ წიგნის ავტორს თავისი ვალი მოეხადა ნათლულის წინაშე, — პატარა რეზოს ეცოდინება, თუ რა წარუშლელი კვალი დატოვა მისმა სახელოვანმა ბაბუამ ქართველი ხალხის ცნობიერებაში. 2002 წელს „თბილისობა" ამ წიგნის პრეზენტაციით გაიხსნა.

რევაზ ლაღიძეს ღმერთმა არგუნა, სიცოცხლეშივე მოსწრებოდა დიდ აღიარებას

— დაბოლოს, კიდევ ერთ თემას მინდა, შევეხოთ. რევაზ ლაღიძის შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს სიყვარულის თემა და თავადაც ხალხის უსაზღვრო სიყვარულით იყო დაჯილდოებული...

— რევაზ ლაღიძის შემოქმედებაში სიყვარულის თემა მართლაც, შინაგანი სინაზითა და სინატიფით, კლასიკური ფორმებით გამოირჩევა. სიყვარულის იდეალი კი, მის შემოქმედებაში მისი მეუღლის — უმშვენიერესი თინათინ შატბერაშვილის სახით წარმოგვიდგება. ამის დასტურია კომპოზიტორის მიერ მეუღლისადმი მიძღვნილ გალაკტიონის რჩეულზე, გაკეთებული მინაწერი: „ყველაზე საყვარელი პოეტის წიგნი, ყველაზე საყვარელ ადამიანს". ამ საოცარი წარწერის წაკითხვის შემდეგ, ქალბატონ თინას ვკითხე: „ბუნების და სიყვარულის ტრფიალი კაცი, ალბათ ხშირად გიძღვნიდათ ნაწარმოებს და გჩუქნიდათ ულამაზეს ყვავილებს, არა?" მან ღიმილით მიპასუხა: „რეზო იყო რაინდი, შემოქმედი, მებადური, თამადა, სპუტაკი, გულისხმიერი ადამიანი. 14 წლის ვიყავი, როდესაც მომიძღვნა თავისი პირველი ნაწარმოები — „მე შენ გიმღერ"; იგი არასოდეს შესრულებულა და ვინახავ არქივში. რაც შეეხება ულამაზეს ყვავილებს არასოდეს მიძღვნიდა; სიამაყით მომართმევდა ხოლმე თავის დაჭერილ თევზებს ბადით. ძალიან უყვარდა ოჯახი, შვილებსა და შვილიშვილებს ანებივრებდა. მათთვის შეუძლებელს აკეთებდა". რაც შეეხება ხალხის სიყვარულს, მინდა გაგაცნოთ ეპიზოდი რევაზ ლაღიძის ქალიშვილის, ქალბატონი იდას მოგონებიდან: „მოსკოვში მენუხინი ჩამოვიდა — ჩვენი დროის ლეგენდარული მევიოლინე. მეგობრებმა დაგვირეკეს, დღევანდელ კონცერტზე თქვენთვის ბილეთები გვაქვსო. კონცერტამდე რამდენიმე საათია დარჩენილი. რეზოს მანქანით მივყავართ აეროპორტში. დილის ყველა რეისზე ფრენა დამთავრებულია. მე და ჩემს მეგობარს იმედი აღარ გვაქვს, რომ საღამოს მოსკოვში ვიქნებით. რეზო აეროპორტის უფროსთან შევიდა. საქმის ვითარებას უხსნის. უფროსი ბედნიერია იმით, რომ თვით რევაზ ლაღიძე გაიცნო და გამოსავალს უცებ პოულობს. ქუთაისიდან მოსკოვს გასაფრენად მომზადებულ თვითმფრინავს სპეციალურად ჩვენთვის თბილისში სვამს და ჩვენ თვითმფრინავში ვსხდებით. პრობლემა მოხსნილია". ნამდვილად ლაღიძისეულია, უჩვეულო...

რევაზ ლაღიძეს ღმერთმა არგუნა, სიცოცხლეშივე მოსწრებოდა დიდ აღიარებას. მს ქართული სიმღერის კლასიკოსი უწოდეს, ეს კი ნამდვილად ერთეულების ხვედრია. რაც დრო გადის, რევაზ ლაღიძის შემოქმედება უფრო და უფრო იმაღლებს ხმას. ხალხი კომპოზიტორის „საბადოდან" მარგალიტებივით ეზიდება ათეული წლების წინ შექმნილ სიმღერებს, რომელთა შორის ბევრი დღესაც ჰიტია.

■



რევაზ ლაღიძის შვილი, ლელა და შვილიშვილი რეზო გუნცაძე

ფკანასკნელი ფხენის დეტალები

ფრანგმა მეცნიერებმა 60 წლის შემდეგ დაადგინეს, რომ გამოჩენილი მწერალი ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი ხმელთაშუა ზღვაში, ქალაქ მარსელის მახლობლად დაღუპულა. შარშან იმ ადგილას ნაპოვნი იყო თვითმფრინავის ნაწილები, მათ შორის ის, რომელზეც ეწერა საქარხნო ნომერი — 2374L. სწორედ ამ ნომრის თვითმფრინავს მართავდა ეგზიუპერი 1944 წელს, როცა სადაზვერვო მისიით ავიდა ცაში და ხმელთაშუა ზღვის თავზე უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მკვლევართა ვარაუდით, მწერალმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. მისი მეგობრები იუწყებოდნენ, რომ ომის დამლევისთვის, „პატარა უფლისწულის" ავტორი ღრმა დეპრესიაში იმყოფებოდა. მისი თვითმფრინავის დაცემის ტრაექტორიაც ამ ვერსიას ამყარებს: მანქანა ვერტიკალურად წამოსულა წყლის ზედაპირისკენ; გარდა ამისა, თვითმფრინავის ნატეხების ანალიზი ადასტურებს, რომ ეგზიუპერის თვითმფრინავზე გერმანელებს იერიში არ მიუტანიათ...

დოქტორ ცვაიგის დაბრუნება...

გამოჩენილ ავსტრიელ მწერალს შტეფან ცვაიგს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი დაუბრუნეს... საქმე ის გახლავთ, რომ ნაცისტური გერმანიის მიერ ავსტრიის ანექსირების შემდეგ, ბევრ ებრაელ მეცნიერს, პოლიტიკური მოტივით, სამეცნიერო ხარისხი ჩამოართვეს. მათ შორის იყო ვენის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ცვაიგიც, რომელიც ფილოსოფიისა და ლიტერატურის ისტორიის სფეროში მუშაობდა. 1945 წლის შემდეგ, ზოგიერთ მეცნიერს წოდება დაუბრუნეს, მაგრამ რეაბილიტირებულთა შორის რატომღაც არ აღმოჩნდა გამოჩენილი მწერალი. ცოტა ხნის წინ, ვენის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ხსოვნის საღამო ჩაეტარებინა, სადოქტორო დიპლომები გადაეცა მათი შთამომავლებისთვის და სამართლიანობაც, თუმც დაგვიანებით, აღედგინა.

მარადონას ექიმები გაჭირვებით უმკლავდებიან მის ფანებს

რამდენიმე დღის წინ მთელი საფეხბურთო სამყარო შეაშფოთა დიეგო მარადონას ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ. ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა ბუენოს-აირესის რეანიმაციულ განყოფილებაში მას შემდეგ მოთავსეს, რაც იგი „ბოკა ხუნიორსის“ თანამშრომლებთან ერთად ქალაქგარეთ ქეიფის დროს ცუდად გახდა.

არგენტინელი სუპერვარსკვლავის საავადმყოფოში გადაყვანისთანავე გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ დონ დიეგომ კვლავ მიიღო ნარკოტიკული ნივთიერება და სწორედ ამან გამოიწვია მისი ჯანმრთელობის გაუარესება. მიუხედავად ამისა, ფეხბურთელის ოჯახის ექიმი, ალფრედო კახე აცხადებს, რომ მარადონას რამდენიმე წლის მანძილზე აღარ გამოუყენებია ნარკოტიკები და სტენოკარდიული შეტევა გამოიწვია ინფექციამ, რომელიც ორგანიზმში ფილტვებიდან ჩვეულებრივი სურდოს შედეგად მოხვდა. „დიეგო შედარებით კარგადაა, – ამბობს კახე, – ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ“.

„გზის“ ფურცლებზე ადრე გაცნობეთ, რომ 43 წლის დიეგო მარადონას კონფლიქტი აქვს გილერმო კოპოლასთან, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში, თავის უახლოეს მეგობრად მიიჩნევდა და უსიტყვოდ ენდობოდა. ამასთანავე, ცოტა ხნის წინ, 1986 წლის მუნდიალის გმირი მეუღლეს, კლაუდია ვილიაფანეს გაეყარა. ფეხბურთელის ახლობლები აღნიშნავენ, რომ ამ გარემოებებმა უარყოფითად იმოქმედა დონ დიეგოს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. სკანდალებზე მონადირე ჟურნალისტები კი, უკვე ირწმუნებიან, რომ მარადონას სტენოკარდიული შეტევა ნარკოტიკის მიღებამ გამოიწვია. მათი ვერსიით, ფეხბურთის ვარსკვლავის შარდში კვლავ აღმოაჩინეს კოკაინის კვალი, თანაც – ძალიან დიდი კონცენტრაციით.

რეანიმაციულ განყოფილებაში დიეგო მარადონას მოთავსებისთანავე, საავადმყოფოს შესასვლელთან ფეხბურთელის უამრავმა ფანმა მოიყარა თავი. ისინი დონ დიეგოს შეახილებით ამხნევებდნენ, თუმცა ამით ხელს უშლიდნენ მედპერსონალს. გარდა ამისა, ზოგიერთი მათგანი შენობაში შეღწევასაც ცდილობდა. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ, დააკავეს მამაკაცი, რომელიც მარადონას პალატისკენ ფოტოაპარატით შეიარაღებული მიიწევდა. ჰოსპიტლის ადმინისტრაცია კი, ყველაფერს აკეთებს არა მარტო დიეგოს ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, არამედ მისი ქომაგების დასამშვიდებლადაც და ყოველდღიურად აქვეყნებს ცნობებს ვარსკვლავის მდგომარეობის შესახებ. ■

ზიდანის გულახდილი ინტერვიუ და სპორტსმენთა მილიონები

ესპანეთის ჩემპიონატის დასრულებამდე სულ ოთხი ტურიღა დარჩა. ამიტომ „რეალის“ წარმომადგენლებმა კარგად იციან, რომ ნებისმიერი შეცდომა შეიძლება, ტიტულის დაკარგვის ფასად დაუჯდეთ. ერთ-ერთი ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში ზინედინ ზიდანი არ მალავს, რომ მის გუნდს ძალიან გაუჭირდება პირველ პოზიციაზე ტურნირის დასრულება. „მატჩებს მხოლოდ მაისურზე გამოსახული ემბლემით ვერ მოიგებ. გაიხსენეთ, რა დაგვემართა სამეფო თასის გათამაშების ფინალში „სარაგოსასთან“ ბრძოლისას... მეტოქეები ჩვენზე დიდ ზეწოლას ახდენენ. გარდა ამისა, უარყოფითად მოქმედებს დაღლილობაც. თამაში ყოველწლიურად რთულდება. ახლა ფეხბურთელთა ტექნიკა და ფანტაზია დიდ როლს თამაშობს, მაგრამ ფიზიკური ფორმის შენარჩუნებაც აუცილებელია, რათა სეზონის მანძილზე 80 მატჩის ჩატარება შეძლო. მე კარიერას მადრიდის „რეალში“ დავასრულებ. ამის შემდეგ, არც ერთ სხვა გუნდში აღარ ვითამაშებ. ეს ნამდვილად ვიცი. თუ ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც ჩაფიქრებული მაქვს, მაშინ აღარ დარჩება ჯილდო, რომელიც არ მექნება მოპოვებული... როდესაც დიდი ფეხბურთიდან წავალ, მთელი წლის მანძილზე მხოლოდ ოჯახზე ვიფიქრებ. არავისთან არაფერზე ვისაუბრებ, დავივიწყებ ყველაფერს: ფეხბურთს, ჟურნალისტებს, სარეკლამო კონტრაქტებს – უბრალოდ სიცოცხლით დავტკბები... კიდევ ერთხელ გიმეორებთ – მთელ წელს მხოლოდ ცოლსა და სამ შვილს მივუძღვნი. რა იქნება შემდეგ? ნამდვილად ვიცი – მწვრთნელი არ გავხდები, იმიტომ, რომ ეს პროფესია ჩემს ხასიათს არ შეესაბამება. კინო ან მსგავსი სხვა რამეც არ მიზიდავს... რაო? ლუიშ ფიგუს კინოში იღებენ? ეს მისი პირადი საქმეა. ის ხომ ჩემზე უფრო სიმპათიურია...“ – სიცილით ამბობს ზიზუ, რომელიც სათადარიგო ფეხბურთელი არასოდეს ყოფილა. „სათადარიგოთა სკამზე არასოდეს ვმჯდარვარ, ამიტომ ვერ გეტყვით, ამ როლს როგორ შევეგუებოდი. მაგრამ თუ მომავალში აღმოჩნდები სათადარიგოთა შორის, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ძველებურად ვეღარ ვთამაშობ!“ – აცხადებს ზიდანი, რომელიც ცოტა ხნის წინ, საფრანგეთში 2003 წლის ყველაზე ძვირად ღირებულ სპორტსმენად დაასახელეს. გაზეთ l'Eguipe-ის ცნობით, შარშან „რეალის“ ნახევარმცველმა 14 მილიონი ევრო გამოიმუშავა. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს მასშტაბით იგი მხოლოდ 27-ე ადგილზეა. ანაზღაურების მხრივ ზინედინი მნიშვნელოვნად ჩამორჩება გოლფისტ ტაიგერ ვუდსს (83,3 მლნ ევრო) და „ფორმულა-1“-ის პილოტ მიხაელ შუმახერს (51,6 მლნ ევრო). აი, სამშობლოში კი, ჯერჯერობით ლიდერის პოზიციაზე იმყოფება. მეორე ადგილზე ტიერი ანრია (7,5 მლნ ევრო), ხოლო მესამეზე – „ფორმულა-1“-ის მრბოლელი ოლივიე პანისი (5,8 მლნ ევრო). შემდეგი ადგილი NBA-ში მოთამაშე ტარიკ აბდულ-ჯაჰდს (5 მლნ ევრო) უკავია. რაც შეეხება ქალ სპორტსმენებს, მათ შორის 2003 წელს ყველაზე დიდი შემოსავალი ჩოგბურთელ ამელი მორესმოს (2,1 მლნ ევრო) ჰქონდა, რომელიც საერთო ჩათვლაში მხოლოდ მეოცე ადგილზეა. ■

ეფენბერგი ზაფხულის ბოლოს იქორწინებს

დევიდ ბექჰემზე გაცილებით იაფი უჯდება რჩეულის გულის მოგება შტეფან ეფენბერგს. გერმანელი ნახევარმცველი თავისი ყოფილი პარტნიორის, შტრუნცის ექსმეუღლეზე აგვისტოში იქორწინებს. Bild იუწყება, რომ საქორწინო წვეულებას 50-მდე პირი დაესწრება. მაგრამ მთავარი, რაშიც შტეფანმა ფული დაზოგა, ბეჭედი გახლავთ. მომავალ ცოლს მან 58-ბრილიანტისთვლიანი სამკაული სულ რაღაც 6 ათას ევროდ უყიდა. ქორწილი ფლორიდაში, ეფენბერგის ვილაში შედგება, სადაც ფეხბურთელის ყოფილი მეუღლე, მარტინა ცხოვრობს. ■

სამუდამო განსასვენებელი საყვარელი სტადიონის გვერდით

„ბოკა ხუნიორსის“ მესვეურები საშინაო არენის ახლოს ერთგული გულშემატკივრებისათვის სასაფლაოს მოწყობას აპირებენ. ამგვარად, ლეგენდარული არგენტინული კლუბის ფანებს სამუდამო განსასვენებლისთვის საყვარელი გუნდის სტადიონ La Bombonera-ს გვერდით ადგილი გამოეყოფათ. ბოლო დროს, „ბოკას“ ქომაგები სულ უფრო ხშირად გამოთქვამდნენ იმის სურვილს, რომ სიკვდილის შემდეგ მათი კრემირებული სხეულის ფერფლი La Bombonera-ზე მიმოეფანტათ, სადაც თავიანთი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წუთები აქვთ გატარებული. ფანებისთვის სასაფლაოს გაშენების იდეა ყოფილ არგენტინელ საფეხბურთო ფუნქციონერსა და რიტუალური მომსახურების სფეროში მოქმედ კომერსანტს, პაბლო ბრეის მოუვიდა, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მისი ჩანაფიქრის რეალიზაციისთვის საკმარისი ფართობი არ არის. ამიტომ შეიძლება „ბოკა ხუნიორსის“ ქომაგთა განსასვენებლისთვის საჭირო მიწის ნაკვეთი ბუენოს-აირესის ხელმძღვანელობამ მდინარე რიაჩუელოს მეორე მხარეს გამოყოს. ■

რობი უილიამსმა ბრიტანელი ფეხბურთის ფანები აღაშფოთა

რობი უილიამსი სპორტის დიდი გულშემატკივარია. მაგალითად, სიმღერაში – Supreme ბრიტანელი პოპვარსკვლავი თაყვანისმცემლებს ევლინება ავტომრბოლელის რანგში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატში იმარჯვებს. უილიამსი ფეხბურთის ფანიც გახლავთ, თუმცა ის საკმაოდ მოკრძალებულ გუნდს, „პორტ ვეილს“ ქომაგობს. ცოტა ხნის წინ, მომღერალს ცნობილი კომპოზიციის – All Together Now-ს ჯგუფთან – The Farm – ერთად ჩაწერა შესთავაზეს. ეს სიმღერა პირველად, 1991 წელს გამოიცა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ჩინოვნიკთა ჩანაფიქრით, „ევრო-2004“-ზე ალბიონელთა ეროვნული ნაკრების ჰიმნად უნდა იქცეს. აი, უილიამსმა კი, ყველა გააკვირვა და აღაშფოთა, როდესაც განაცხადა, რომ ძალიან დაკავებულია და ჩაწერისთვის ვერ მოიცლის. ამით, შეიძლება ითქვას, ბრიტანელმა ვარსკვლავმა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიკიდა ათასობით თავზეხელაღებული ალბიონელი ფანი. ■

„ბუდვაიზერი“: ერთი სამყარო... ერთი ლუდი“

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას გერმანიის სტადიონებზე ადგილობრივი წარმოების ლუდი არ გაიყიდება, მუნდიალის მასპინძელ ქვეყანაში რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა. ფიფამ „ლუდის ცენზურა“ დაგვიწესაო – ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოისმენთ აღშფოთებული ბავარიელებისაგან. მაგრამ როგორც გაზეთი Frakfurter Allgemeine იუწყება, მდინარის აღმასვლა უფრო მოსალოდნელია, ვიდრე ის, რომ გერმანელები ამგვარ დიქტატს დაემორჩილონ. მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ამერიკული „ბუდვაიზერის“ მოხმარებას თავმოყვარე ბავარიელები დიდ შეურაცხყოფად მიიჩნევენ და ხელისუფლებასა და ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებს ავად სახსენებელ 1844 წელს ახსენებენ, როდესაც ლუდზე ფასების გაზრდით განრისხებულმა ხალხმა ლუდხანები დაარბია. ამგვარი ფაქტების აღსაკვეთად პოლიციას ჯერ არ დასჭირვებია ძალის გამოყენება. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ გერმანიაში ვითარება საკმაოდ დაძაბულია, რადგან საქმე ბავარიის ნამდვილ სიმბოლოს ეხება. ამიტომ სამართალდამცავი ორგანოები უკვე ემზადებიან მოსახლეობის შეტევების მოსაგერიებლად.

ამერიკული ლუდის მწარმოებელი კომპანია Anheuser-Busch, რომელიც სახელგანთქმულ „ბუდვაიზერს“ აწარმოებს, ფიფას ოფიციალური პარტნიორია და ხელშეკრულების თანახმად, მუნდიალზე საკუთარი პროდუქციის რეკლამირებისა და გასაღების ექსკლუზიურ უფლებას ფლობს. ერთი სიტყვით, მიუნხენელები უნდა შეეგუონ იმას, რომ დიდი სპორტი – დიდი ბიზნესიცაა. თუმცა არსებობს რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, რეგიონულ ღონისძიებებზე ადგილობრივი პროდუქციის გასაღება იქნება ნებადართული. ასე რომ, თუ მიუნხენელები ზეიმის მოწყობას განიზრახავენ, მათ მშობლიური ლუდის მირთმევის უფლება მიეცემათ, მაგრამ ეს გარემოება მათ ნამდვილად არ აკმაყოფილებთ. ისინი იოლად ეგუებიან იმას, რომ „გერმანია-2006“-ზე ფეხბურთელებს სამხრეთკორეული Hyundai-ის მარკის ავტომობილებით მოემსახურებიან, მაგრამ იმავეს ნამდვილად ვერ ვიტყვით ლუდთან დაკავშირებით. „თუ წყურვილით კვდები, გობის უდაბნოში „ბუდვაიზერსაც“ დალევ, მაგრამ...“ – ამბობენ გერმანელი ლუდის მოყვარულები, თუმცა, როგორც ჩანს, მათ მაინც მოუწევთ კონცერნ Bush – Anheuser-ის დევიზთან შეგუება: „ბუდვაიზერი“: ერთი სამყარო... ერთი ლუდი“... ■

ღალატის საპომპენსაციო ოპერაცია ბექჰემისეულად

რამდენიმე დღის წინ, მთელი მსოფლიო გააოგნა თანხამ, რომელიც დევიდ ბექჰემმა მეუღლის საჩუქარში გადაიხადა. „რეალის“ ნახევარმცველს ვარდისფერბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. როგორც ჩანს, ბექსს სურს, გამოისყიდოს დანაშაული, რომელიც ცოლის წინაშე ჩაიდინა, როცა მას უღალატა. ფეხბურთელის უახლოესი მეგობარი იუწყება, რომ დევიდს საუკეთესო ბრილიანტის ყიდვა სურდა, რათა თავისი ჟესტისთვის სიმბოლურობა მიენიჭებინა: როგორც ცნობილია, ეს ძვირფასი ქვა ძალზე მყარი შენაერთია და ინგლისელი ვარსკვლავიც ცდილობს ვიქტორიას დარწმუნებას იმაში, რომ მათ სიყვარულს ვერავითარი დარტყმა ვერ გაბზარავს... თუმცა, დევიდი ცოლის მიმართ ჩადენილი ღალატის კომპენსაციას მხოლოდ ძვირფასი ბეჭდის ყიდვით როდი აპირებს. ფეხბურთელს განზრახული აქვს, ვიქტორიას შვეიცარიულ ალპებში ერთი „პატარა ქოხიც“ შეუძინოს. სახლი სამთო-სათხილამურო კურორტ ვერბში მდებარეობს. ადრე მფლობელები მას სათხილამურო სპორტის მდიდარ მოყვარულებზე კვირაში 32 ათას გირვანქა სტერლინგად აქირავებდნენ. „ქოხში“ 12 საძინებელი, საუნა, ჯაკუზი, გასართობი ოთახი და კინოთეატრიცაა განთავსებული და მისი ღირებულება 8 მილიონი გირვანქა სტერლინგია, მაგრამ მფლობელები უკვე აცხადებენ, რომ 10 მილიონზე იაფად არ გაყიდიან. ■

საფეხბურთო კომენტატორს რასისტული გამოხდომა არ აპატიეს

ინგლისელ საფეხბურთო კომენტატორს იმის გამო დაატოვებინეს ტელეკომპანია, რომ მან უცენზურო სიტყვებით მიმართა და შეურაცხყოფა მიაყენა „ჩელსის“ მოთამაშეს, მარსელ დესაის. „მონაკოსთან“ განცდილი მარცხის შემდეგ, რონ ატკინსონმა (რომელსაც „დიდი რონის“ სახელით იცნობენ) რომან აბრამოვიჩის კუთვნილი კლუბის წევრი პირდაპირ ეთერში გალანძღა. „F... ზარმაცი, დიდი ნიგერი უკანალი“, — ფრანგი ფეხბურთელის მისამართით ეს სიტყვები ტელეკომენტატორმა მაშინ წარმოთქვა, როდესაც მიკროფონი გამორთული ეგონა, მაგრამ მწარედ შეცდა. მისი უცენზურო ფრაზა არაბთა გაერთიანებული საამიროების მკვიდრმა ქომაგებმაც კი გაიგონეს, რომლებიც „მონაკო“—„ჩელსის“ მატჩს ITV-ის არხზე ადევნებდნენ თვალს. გარდა ამისა, ზოგიერთი ტელემაყურებელი ირწმუნება, რომ „დიდმა რონმა“ არგენტინელი ხუან-სებასტიან ვერონიც „ენაწყლიანად შეამკო“. თავად რონი ატკინსონი (რომელიც ადრე, „მანჩესტერ იუნაიტედს“ წვრთნიდა) აცხადებს, რომ უცენზურო სიტყვები აღელვების გამო წამოსცდა და მარსელ დესაის ბოდიშს უხდის. როგორც აღინიშნა, ამ ინციდენტის გამო ატკინსონს სამსახურის დატოვება მოუხდა, სადაც წელიწადში 200 ათას გირვანქა სტერლინგს უხდიდნენ. ტელეკომენტატორი ხაზს უსვამს იმასაც, რომ იგი ლანძღვა-გინებას ეთერს მიღმა მოჰყვა და არ იცოდა, რომ მოულოდნელად მიკროფონი ჩართეს. ხოლო როდესაც ეს შეიტყო, უკვე გვიანი იყო. ფეხბურთის ერთ-ერთი ქომაგი, The Sun-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ რეპორტაჟის დროს „დიდი რონი“ „ჩელსის“ მოთამაშეებს ამცირებდა და მის გამონათქვამებში რასისტული სულისკვეთება შეინიშნებოდა. სხვა ტელემაყურებლის თქმით, ატკინსონს რანიერისთვის იდიოტი უწოდებია. პროგრამის — „ფეხბურთი რასიზმის წინააღმდეგ“ — პრეზიდენტი, პიერ პოუარი კი ამბობს, რომ რონმა დესაის წინაშე მიუტევებელი დანაშაული ჩაიდინა. „თუ ფეხბურთელი ცუდად თამაშობს, იგი ამისთვის უნდა გააკრიტიკო და არა კანის ფერის გამო“, — დასძინა პოუარმა. ასეთი მძაფრი კრიტიკის ფონზე ატკინსონს ისღა დარჩენოდა, რომ კიდევ ერთხელ მოეხადა საქვეყნოდ ბოდიში: „საკუთარი საქციელით შეცბუნებული ვარ. მატჩის შემდეგ გაბოროტებული ვიყავი და ტელეეთერში კომენტარის გაკეთების სურვილი არ მქონდა. „ჩელსის“ მოთამაშეებისა და ქომაგების წინაშე თავს უხერხულად ვგრძნობ. და რაც მთავარია: მე არც ადრე ვყოფილვარ რასისტი და არც მომავალში ვიქნები“. ■

ფოგტსი თავხედებს ყურადღებას არ აქცევს

ბერტი ფოგტსის ყოფილი მეუღლის, მონიკას საყვარელმა საჯაროდ გამოამზეურა თავისი ინტიმური თავგადასავლების დეტალები. „მაპატიე, ბერტი! მე შენი ცოლის საყვარელი ვიყავი, რადგან ის მაცდუნებდა და მაცდუნებდა“, — ასე მიმართა ფეხბურთის გერმანელ სპეციალისტს მონიკას ბოიფრენდმა. მონიკასა და ჰანს-ჰუბერტის (იგივე ბერტი) განქორწინების პროცესი ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს დაიწყო, რის შესახებაც გერმანული ყვითელი პრესაც დაწვრილებით წერდა. ხოლო როდესაც ჟურნალისტებმა ეს თემა სრულად მიივიწყეს, ფრაუ მონიკას საყვარელიც სწორედ მაშინ ალაპარაკდა. ყოფილმა ჟოკეიმ, ბერტის ყოფილმა მეგობარმა და ამჟამად უკვე მისი ყოფილი ცოლის ექსბოიფრენდმა, ვინმე იაკობმა პატიოსანი გერმანელის სახელის მქონე ფოგტსი არ დაინდო და მონიკასთან თავისი ურთიერთობის წვრილმანები სააშკარაოზე გამოიტანა, თანაც ყველაფერში ეს უკანასკნელი დაადანაშაულა. „ჩვენი ურთიერთობა ჯერ კიდევ ოქტომბერში დაიწყო. მონიკამ დამირეკა და მითხრა — გლაზგოში ჩემი სახლის სახურავზე ვდგავარ და გადმოხტომას ვაპირებო... როგორ უნდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში ნამდვილი მამაკაცი? საღამოს 11 საათისთვის, მე უკვე მასთან ვიყავი. ის მოთქმით ტიროდა და ხშირ-ხშირად სვამდა თეთრ ღვინოს. შემდეგ მიჩვენა ოთახი, რომელშიც ღამე უნდა გამეტარებინა და გავიდა. 10 წუთში შავი ხალათით გამომეცხადა... მითხრა, რომ თავს ცუდად გრძნობდა და ჩემი ცდუნება ამიტომ განიზრახა. მეორე დღეს, დილით მონიკამ კვლავ მაცდუნა. შემდეგ ხელიხელჩაკიდებულნი გლაზგოში ვსეირნობდით. მონიკამ ის სტადიონიც კი მიჩვენა, სადაც ბერტი გუნდს წვრთნის. ნაშუადღევს, კაფეში შემიყვანა, სადაც ერთი ჭიქა ღვინო შეუკვეთა. მე ყავას გეახელით. ამას კვლავ სიყვარულით ტკბობა მოჰყვა, რის შემდეგაც გლაზგო დავტოვე. მაგრამ ორ კვირაში, ისევ დავბრუნდი შოტლანდიაში და მე და მონიკა კიდევ უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს“, — ამბობს იაკობი, რომლის აღსარებამაც გერმანიაში ყველა გააღიზიანა, მათ შორის, ბულვარული მასმედიის მესვეურებიც. თავად ბუნდეს-ნაკრების ყოფილი მოთამაშე კი, ორიოდე სიტყვით გამეხმაურა მონიკას საყვარლის თავხედობას. „ამ სიბინძურეს ყურადღებას არ ვაქცევ“, — დასძინა ბერტი ფოგტსმა. ■

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

სპორტულად აღჭურვილი Lotus

ინგლისური ფირმა „ლოტუსი“ სპორტული ავტომობილების მწარმოებელთა შორის სრულიად გამორჩეულია. მის მიერ გამოშვებული მანქანები ძალზე მჩატეა და წლების მანძილზე, მხოლოდ შეჯიბრებებისთვის იყო გათვალისწინებული. „ლოტუსის“ ბოლო მოდელი – Exige კი, არა მარტო მრბოლელებისთვის, არამედ სისწრაფის ნებისმიერი მოყვარულისთვისაა განკუთვნილი. მანქანა 1,8 ლ მოცულობის 4-ცილინდრიანი ბენზინის ძრავათია აღჭურვილი, რომელიც 192 ცხ.ძ. სიმძლავრესა და 237 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს. ეს სპორტული ავტომობილისთვის არცთუ ისე სახარბიელო მახასიათებლებია, მაგრამ Lotus Exige ერთი ძალზე საინტერესო თვისებით გამოირჩევა: მისი წონა სულ რაღაც 875 კგ-ს შეადგენს – ე.ი. სიმძლავრის თითოეულ ერთეულზე მასის 4,55 კგ მოდის, რაც მანქანას ძალზე დინამიკურს ხდის. 100 კმ/სთ სიჩქარეს ახალი მოდელი 5,2 წმ-ში, 160 კმ/სთ-ს კი – 13,2 წმ-ში ავითარებს. საბაზო აღჭურვილობაში შედის: აუდიოსისტემა, 32 სმ დიამეტრის მოხდენილი სპორტული საჭე, ალუმინისგან დამზადებული პედლები და მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა. ამ კომპლექტაციით Lotus Exige 44.900 ევრო ეღირება. უფრო სრულყოფილი აღჭურვილობა მსურველს გაცილებით ძვირი დაუჯდება და მანქანის წონასაც გაზრდის. მაგალითად, ერთი კონდიციონერი „ლოტუსს“ 15 კგ-ით დაამძიმებს, რაც მის აეროდინამიკაზეც რამდენადმე უარყოფითად იმოქმედებს.

Exige-ის სერიული წარმოება მაისში, ქალაქ ნორვიჩში მდებარე „ლოტუსის“ ქარხანაში დაიწყება. აქვე გაცნობებთ, რომ ფირმა 1948 წელს, ენტონი კოლინ ბრიუს ჩეპმენმა დააარსა. მისი მონოგრამა – ACBC – მომწვანო-მოყვითალო საფირმო ლოგოტიპის აუცილებელი ელემენტია. პირველი მანქანა, რომელიც ჩვეულებრივ გზაზე სამოძრაოდ დაუშვეს, 1957 წელს გამოშვებული Lotus-Seven გახლდათ. საინტერესოა, რომ მას დღემდე უშვებენ, ოღონდ – სხვა ფირმა – Caterham, რომელმაც აღნიშნულ მოდელზე უფლებები 1973 წელს შეიძინა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში შედგა „ლოტუსის“ დებიუტი „ფორმულა-1“-ის შეჯიბრებაში. 1960 წელს, მრბოლელმა სტირლინგ მოსმა „ლოტუსზე“ 2 გრან-პრი – მონაკოსა და ნიუ-იორკში მოიგო. 1963 წელს ამ მარკამ კიდევ ერთ მრბოლელს – ჯიმ კლარკს მოუტანა ჩემპიონის ტიტული. ■

Mitsubishi Grandis – ეომფორტის ჰიმნი

თავის დროზე, ეს იაპონური კომპანია კომპაქტური ვენების სეგმენტის ფუძემდებლად მოევლინა საავტომობილო სამყაროს. გასული საუკუნის 80-იან წლებში, მოდელმა – Mitsubishi Space Wagon ფუნქციურობის სფეროში მცირე რევოლუცია მოახდინა: ტევადი 6-ადგილიანი მანქანა სულ მოკლე ხანში, ძალზე პოპულარული გახდა ყველა კონტინენტზე, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ, Space Wagon უკვე საკმაოდ არქაულად გამოიყურებოდა, განსაკუთრებით – „მიცუბიშის“ კონკურენტების მიერ გამოშვებული ახალი მოდელების ფონზე. სწორედ ამ ნაკლის აღმოფხვრას ისახავდნენ მიზნად იაპონელი ავტოკონსტრუქტორები, როდესაც კომპაქტურ ვენზე – Mitsubishi Grandis მუშაობდნენ. თუმცა ამ მოდელს, როგორც საოჯახოს, ისე წარმოადგენენ, მის გარეგნობაში სპორტულ ელემენტებსაც შეამჩნევთ: დამრეცი კაპოტი, რადიატორის დინამიკური ცხაური.

სხვა ვენებისგან განსხვავებით, ახალი „მიცუბიში“ დიდი სიმაღლით არ გამოირჩევა – სულ 1,65 მ-ა, რაც მის იერს

ელეგანტურობას მატებს. სალონის სიხალვათე კი, ძირითადად, სიგრძის წყალობითაა მიღწეული – ის 4,77 მ-ა, რაც 10 სმ-ით მეტია, ვიდრე კონკურენტთა ანალოგიური მოდელების უმეტესობას აქვს. მოდიფიკაციისდა მიხედვით, ამ ვენში 6 ან 7 ადამიანი მოთავსდება. სავარძლების მესამე რიგი იოლად იხსნება, ხოლო მეორე რიგის დაკეცვის შემთხვევაში, საბარგო დანაყოფი 1545 ლ მოცულობას აღწევს. 7-ადგილიან ვარიანტში ეს მაჩვენებელი 320 ლ-ს შეადგენს. სალონში უამრავი თარო, ჯიბე და სათავსია, წინა სავარძლების საზურგეებში კი, დასაკეცი მომცრო მაგიდებიცაა ჩამონტაჟებული – ისეთივე, როგორსაც თვითმფრინავებში ვხვდებით.

ჯერჯერობით Grandis მხოლოდ ერთი – 2,4 ლ მოცულობის, 165 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის ძრავათი აღიჭურვება. 100 კმ/სთ სიჩქარეს 10 წმ-ში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი – 200 კმ/სთ-ა. მანქანა 100 კმ გარბენზე 9,4 ლ საწვავს ხარჯავს. საგაისოდ დაგეგმილია დიზელისძრავიანი „გრანდისის“ გამოშვება. საბაზო ვერსია (უსაფრთხოების ფრონტალური და გვერდითი ბალიშებით, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემით, კლიმატ-კონტროლითა და ელექტროგამათბობლიანი სარკეებით) ევროპაში 24.990 ევრო ღირს; ტყავისსალონიანი, სტაბილიზაციის ელექტრონული სისტემით აღჭურვილი ვარიანტი კი, 3 ათასით ძვირი დაგიჯდებათ. ■

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52,1-17)

თავისუფალი თემა

გვანცა ჩოხელს, სკოლის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე, მასზე ბევრად უფროსი მამაკაცი, ირაკლი იაშვილი შეუყვარდება. გოგონას იმდენად გაიტაცებს გრძნობა, რომ ირაკლი მას ლოგინშიც თითქმის უპრობლემოდ ჩაიწვენს, თუმცა ცოლად შერთვასაც შეჰპირდება. მაგრამ, ამასობაში, თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყება. ირაკლი ომში წავა და უკან აღარ დაბრუნდება. გვანცა ირაკლისგან ფეხმძიმედ დარჩება. ომში უგზო-უკვლოდ დაიკარგება გვანცას სკოლის მეგობარი ლუკა ჩადუნელიც. ლუკას გვანცა ძალიან უყვარს, ამიტომ, აფხაზეთის ომში წასვლამდე, მასზე ოფიციალურად იქორწინებს და მის ბავშვსაც გვარს მისცემს.

როგორც კი ქვეყანა ოდნავ დამშვიდდება, გვანცა დაკარგული ლუკას ძებნას იწყებს და შემთხვევით, ირაკლის ნახევარძმას, პარლამენტარ ლაშა რჩეულიშვილს გადაეყრება. ლაშას რჩევითა და დახმარებით გვანცა გერმანიის ერთ-ერთი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდება. მაგრამ მალე იქაც ახალ შარში გაეხვევა: თანაკურსელი გოგონას თავქარიანობის გამო, გვანცას თურქეთში ჩაიტყუებენ და მონად გაყიდიან. ის საშინელი ქალის — ზეინაბ-ხანუმის ხელში აღმოჩნდება. მისი კლანჭებიდან თავის დახსნაში, ამ უკანასკნელის ძმა — ბავშვობიდან ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული უმარი დაეხმარება. თბილისში დაბრუნებული, ფსიქიკაშერყეული გვანცა ნორმალურ ცხოვრებას რის ვაი-ვაგლახით უბრუნდება. მოგვიანებით, ის ლაშა რჩეულიშვილს მიაკითხავს, რომელიც მას პირად მდივნად აიყვანს და ნელ-ნელა, თავის ფარულ საქმეებშიც ჩაახედებს. გვანცა ხვდება, რომ ლაშა საშიშ გზას ადგას, მაგრამ მაინც არაფერს ეუბნება.

ერთხელაც, ლაშა, მოსკოვიდან ოფიციალური მოწვევით ჩამოსული ქართველი ბიზნესმენით გიორგი ჩადუნელით დაინტერესდება. ის ლუკა ჩადუნელის მამა აღმოჩნდება. გიორგის ლუკაც თან ახლავს. ის გვანცას შინ მიაკითხავს. წლების უნახავი ახალგაზრდები ირაკლის გამო იჩხუბებენ და გვიან ღამით გვანცასგან დემონსტრაციულად წამოსული ლუკა მამამისის ფულზე მონადირე გამტაცებლების ხელში აღმოჩნდება. გამტაცებლები გიორგი ჩადუნელს, შვილის სანაცვლოდ, დიდი თანხის გადახდას მოსთხოვენ. ბიზნესმენთან ხელმოსაწერი სარფიანი საქმის ჩავარდნით შეშფოთებული ლაშა გამტაცებლებზე გასვლას საკუთარი არხებით ცდილობს, მაგრამ ამასობაში, თავადაც თავდასხმის მსხვერპლი ხდება...

სარეანიმაციო განყოფილებაში ლაშას ორი უცნობი სასუნთქ აპარატს გამოურთავს, მაგრამ ექიმები ამჯერადაც დროზე მიუსწრებენ და ხელმეორედ გადაარჩენენ. მომხდარით შეშფოთებული მისი თანამშრომელი ივიკო გვანცას აფრთხილებს — იცოდე, ლაშა ცუდ საქმეებშია გარეული და შენც თავის წუმპეში მიგათრევსო... ლაშას პატიოსნების დიდად არც გიორგი ჩადუნელს სჯერა, თუმცა, საკუთარ ეჭვებს გვანცას ჯერ ისიც ვერაფრით უმტკიცებს. ამასობაში კი, ლაშა ნელ-ნელა ცხოვრებას უბრუნდება...

კვირის ბოლოსთვის ლაშამ უკვე იმდენად მოიკეთა, რომ არჩილ არაბულმა ის ჩვეულებრივ პალატაში გადააყვანინა და ახლობლებს მისი ნახვის ნებაც დართო. თანამშრომლებთაგან ლაშა პირველად, გვანცამ და ივიკომ ინახულეს. თუმცა, როგორც კი მოიკითხეს და სამსახურის ახალი ამბებიც შეატყობინეს, მაშინვე წასასვლელად მოემზადნენ.

— რას შვრებით? უკვე მიდიხართ?.. — გაუკვირდა ლაშას.

— დიახ, ბატონო ლაშა, ექიმმა გაგვაფრთხილა, არ გადაღალოთო, — აჩქარების მიზეზი აუხსნა ივიკომ.

— რა დროს გადაღლაა? — შეიცხადა ლაშამ. — ხმის გამცემი მომენატრა! ვერ ხედავთ, ამ პალატაშიც იაქესავით მარტო რომ ვარ?!. მაგრამ რაკი ექიმმა გითხრათ, რა გაეწყობა, წადით და ჭკუით იყავით! — დასძინა მან ბოლოს.

ივიკო და გვანცა პალატიდან სწრაფად გავიდნენ და ის იყო, კარიც უნდა გაეხურათ, რომ ლაშამ გვანცას დაუძახა:

— გვანცა, ერთი წუთით...

შემცბარმა გვანცამ დანაშაულზე წასწრებულივით გახედა ივიკოს, ამ უკანასკნელმა კი მაშინვე მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველა:

— პირველ სართულზე, ჰოლში დაგელოდები.

— იცოდე, არ მომატყუო, მართლა დამელოდე! — გააფრთხილა გვანცამ ივიკო.

პალატაში შებრუნებულმა გვანცამ შენიშნა, რომ ლაშა კიდევ უფრო გაფითრებულიყო.

— ცუდად ხომ არ ხარ? — შეშფოთდა იგი. — ექთანს დავუძახო?

— არა, — იუარა ლაშამ. — ცოტა გული ამიფრიალდა და ალბათ მალე გამივლის. მოდი აქ, დაჯექი და ყველაფერი დაწვრილებით მომიყევი.

— რა ყველაფერი? — გაუკვირდა გვანცას.

— ვითომ არ იცი, რაც მაინტერესებს... შენი ბიზნესმენი მამამთილი როგორ არის და შვილი თუ გამოიხსნა?

— ჯერ არა, — მოკლედ უპასუხა გვანცამ.

— რატომ?.. ფული ვერ მოაგროვა? — აგდებულად ჰკითხა ლაშამ.

— ფულის მოგროვება არც უცდია... — მშვიდად უპასუხა გვანცამ.

— აბა, რისი იმედი აქვს? შვილს უფულოდ ვინ დაუბრუნებს?!

— არ ვიცი. ბატონი გიორგი მე ანგარიშს ნამდვილად არ მაბარებს...

— რა გჭირს? — გაღიზიანდა ლაშა. — ყველა ჩემს კითხვას ასე უკმეხად რატომ პასუხობ? ქმრის დაკარგვამ გაგანერვიულა?

— რომელი ქმრის? — კბილებში გამოცრა გვანცამ.

— რამდენადაც ვიცი, შენი ოფიციალური ქმარი დღემდე ლუკაა...

— ლუკას დაკარგვას მე კარგა ხნის წინ შევეგუე...

— აბა, ახლა რა ხდება?

— ახლა უბრალოდ, დავიღალე.

— საინტერესოა, რამ დაგღალა?

— შენი თანამშრომლების ჭორებმა.

— რაო, მაინც, რაზე ჭორაობენ?

— რაზე და ლაშა და გვანცა საყვარლები არიანო...

— მერე შენ ეგ სისულელე ძალიან გაღელვებს?

— მე — ნაკლებად, მაგრამ მოგეხსენება, რომ მე მარტო არ ვარ, ოჯახი მაქვს და შვილი მეზრდება!.. — ხმას აუწია გვანცამ.

— ხომ არ გავიწყდება, რომ შენი შვილი ჩემი ძმისშვილიცაა?

— ჯერჯერობით, არა.

— აბა, რა განერვიულებს? — გაუკვირდა ლაშას. — ჩემგან გესწავლება, რომ ენას ძვალი არა აქვს?

— შენგან რაც ვისწავლე, ნეტავ, ისიც არ მესწავლა... — ბოღმიანად ჩაილაპარაკა გვანცამ.

— რა თქვი?

— რაც გაიგონე! იცი, კიდევ რას მაბრალებენ?.. ლაშას ყველა შავ საქმეშია ჩახედული და ფულსაც ერთად აკეთებენო...

— რომელ შავ საქმეში? ყველა ერთად ხომ არ გადარეულხართ?! — აყვირდა ლაშა.

გვანცამ პასუხად კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ უცბად, პალატის კარი ხმაურით გაიღო და ჭოკივით გრძელმა და გამხდარმა მამაკაცმა შინაურულად შემოაბიჯა, თუმცა გვანცას დანახვისთანავე შეჯგა და ლაშას დამნაშავესავით გადახედა:

— მაპატიე, ლაშიკო, არ ვიცოდი, თუ სტუმარი გყავდა... სხვა დროს შემოვიღი...

— მოიცა! — შეაჩერა ლაშამ. — ჯერ ის მითხარი, საქმე თუ გააკეთეთ?

— რომელი საქმე? — შეცბა დაუპატიჟებელი სტუმარი და წვრილ მაჯაზე ნათხოვარივით ჩამოკიდებული ძვირფასი საათის ლითონის სამაჯური რამდენჯერმე ნერვიულად შეიხსნა და ისევ შეიკრა.

— რომელზეც გუშინ შენ და ილო გაგიშვით! — ხმას აუწია ლაშამ. — ასე მალე დაგავიწყდა?!

— არა, ლაშიკო, აბა, რას ამბობ?! — შეიცხადა სტუმარმა და ისევ საათის სამაჯურის წვალება განაგრძო. — ხომ შევთანხმდით, რომ ხვალ მე და ილო ერთად შემოვირბენთ და ყველაფერს დაწვრილებით აგიხსნით. ახლა კი წავედი...

— კარგი, წადი! — შეუღრინა ლაშამ. — ოღონდ, იცოდე, ხვალ არ მალოდინოთ! ზუსტად ორზე აქ იყავით!

სტუმარი პალატიდან უკანმოუხედავად გაიძურწა.

— რა სასაცილო ტიპი იყო... — პალატაში მცირე ხნით ჩამოწოლილი სიჩუმე დაარღვია გვანცამ და თან, ფეხზე წამოდგა. — ისე, ძალიან უცხო და ძვირფასი საათი კი ეკეთა... თუმცა, ეგეთი საათი მგონი, კიდევ ვიღაცის ხელზე მინახავს...

— შენ სადღა მიდიხარ? — ხმამაღლა დაწყებული ფიქრი გააწყვეტინა ლაშამ გვანცას. — ახლავე დაჯექი და წესიერად ამიხსენი, რა შავ საქმეებზე ლაპარაკობ?

— უკვე გითხარი და კიდევ გიმეორებ: ამას მე კი არა, შენი თანამშრომლები ამბობენ, — დაუზუსტა გვანცამ. — თუმცა, ეტყობა, მართლა ცუდ ხალხთან გაქვს საქმე, თორემ ის ტიპები მთლად უმიზეზოდ სასიკვდილოდ რატომ გაგიმეტებდნენ?! მით უფრო, რომ...

— იმ ტიპებმა, ჩემო ძვირფასო, — გააწყვეტინა ლაშამ. — პირველ რიგში პრეზიდენტი გაიმეტეს, მე კი დაახლოებით ისე დამემართა, ქათამმა რომ თქვა: ძროხა დაკლეს და მეც ზედ დამაკლესო...

— მე პრეზიდენტზე თავდამსხმელების შესახებ კი არა, იმ ორ არამზადაზე გელაპარაკები, შენ რომ სასუნთქი აპარატი გამოგირთო.

— რა თქვი? — უცბად მთლად მიწისფერი დაედო ლაშას. — მე ვიღაცამ აპარატი გამომირთო? მოკვლას მიპირებდნენ?..

— ყოველ შემთხვევაში, შენმა მკურნალმა ექიმმა ასე დაასკვნა, თუმცა, ისიც დაუმატა — საბოლოოდ ყველაფერს, ალბათ, მაინც გამოძიება დაადგენსო.

— რომელი გამოძიება?

— როგორ შენთან გამომძიებელი ჯერ არ მოსულა? — გაუკვირდა გვანცას. — მე და ივიკო კი, როგორც თვითმხილველები, იმ დღესვე დავკითხეს...

— რამდენი იყვნენ?

— ვინ? გამომძიებლები?

— გამომძიებლები კი არა, მე რომ აპარატი გამომირთეს, ისინი.

— ორნი.

— როგორ გამოიყურებოდნენ?

— ხომ გითხარი, როგორც ნამდვილი ავაზაკები. ერთმა კინაღამ ხელი მომტეხა.

— შენ რაღას გერჩოდნენ?

— აზრზე არა ვარ... ივიკომ მითხრა, ალბათ, ლაშასთან ჰყავხარ ნანახი და გიცნესო. თუმცა, მე არც ერთი არ მახსენდება...

— გასაგებია... — გააწყვეტინა უცბად ლაშამ გვანცას და საწოლის ზემოთ დამაგრებულ ღილაკს თითი გამეტებით მიაჭირა:

პალატის კარი უმალვე გაიღო და ზღურბლზე ექთანი გამოჩნდა:

— რამე პრობლემაა, ბატონო ლაშა? — იკითხა მან.

— კი. თანაც, ძალიან სერიოზული! — უპასუხა ლაშამ და ლოგინზე წამოწევა სცადა.

— რას შვრებით? — შეიცხადა ექთანმა. — თქვენთვის ჯერ ადგომა როგორ შეიძლება?

— აბა, პირდაპირ ლოგინში უნდა ჩამკლან?.. — ხმას აუწია ლაშამ. — წადი და აჩიკო ახლავე აქ მომგვარე!

— ახლავე ვერ შეეძლებ... ბატონი არჩილი ოპერაციაზეა...

სანამ ლაშა ექთანთან უშედეგოდ კამათობდა, გვანცამ დრო იხელთა და პალატიდან მოხერხებულად გასხლტა...

ლოდინით გაბეზრებული ივიკო საავადმყოფოს ჰოლში ნერვიულად გადიგამოდიოდა და როგორც კი გვანცა დაინახა, მაშინვე აყვირდა:

— სად ხარ, გოგო, ამდენ ხანს? გადამრია ფიქრებმა!

— ნეტავ შენ, რომ ყველაფერზე გეხუმრება! — შეუღრინა გვანცამ და გეზი

გასასვლელისკენ აიღო.

— რაო შეფმა? რა მინდაო? — მაშინვე აედევნა ივიკო.

— მთავარია, მე ვიყო კარგად და დანარჩენები ჭირსაც წაუღიხართო!

— რას გვერჩის ეგ ოხერი, რა დავუშავეთ?

— რას და ჩემთან მკვლელები როგორ შემოუშვითო?!

— ჩვე-ენ? ეგ მართლა ხომ არ გაგიჟდა? ჩვენ რა შუაში ვართ?

— კარგი, ჰო! — რა გაყვირებს! — შეუტია გვანცამ. — მართლა ეგრე კი არ უთქვამს. ლაშამ იმ ტიპების შესახებ საერთოდ არაფერი იცოდა, მე ვუთხარი — სასუნთქი აპარატი გამოგირთეს-მეთქი. ეტყობა, ნარკოზიდან ჯერ არ იყო გამოსული და ვერაფერი გაიგო.

— კი, მაგრამ — ექიმმა და გამომძიებლებმა არაფერი უთხრეს?

— ექიმმა ეტყობა, მისი ჯანმრთელობა დაზოგა, გამომძიებლებს კი ჯერ არ უნახავთ...

— გადამრევს ეს ხალხი! — ისევ აბურტყნდა ივიკო. — მე და შენ მთელი საათი დამნაშავეებივით გვკითხავდნენ და მაგასთან არც მისულან? ნამდვილად ვერაფერი გამიგია!

— ვერც მე, ამიტომაც ამ ამბავზე ფიქრსაც კი თავს ვანებებ.

— მეც იმავეს გავაკეთებ! — სასწრაფოდ დაეთანხმა გვანცას ივიკო. — თორემ ხომ იცი, ნაგავს რაც მეტად გაქექავ, მით უფრო ცუდი სუნი აუვა...

სამსახურში მიბრუნებულ გვანცას გიორგი ჩადუნელმა დაურეკა და სთხოვა, საღამოს შინ მარტო ნუ წახვალ, შვილიშვილის ნახვა მინდა და მეც წამოგყვებიო. სამუშაო დღე მალე დასრულდა, გიორგი კი არ ჩანდა. გვანცამ ცოტა კიდევ მოიცადა და შინისკენ მიმავალ გზას მარტო გაუყვა. თუმცა, სახლში შესვლა ძლივს მოასწრო, რომ გიორგი და ანდრეი ფეხდაფეხ მიჰყვნენ.

გვანცა მათ სასტუმრო ოთახში შეუძღვა და თან, გიორგის ხმადაბლა გადულაპარაკა — ბებიაჩემმა ლუკას დაკარგვის ამბავი არ იცის და არაფერი წამოგცდეთო... თავად ლამარას კი მოულოდნელი სტუმრების დანახვაზე პირკატა ეცა და მაშინვე კაბინეტში შეუვარდა ამირანს.

— ჩქარა, კაცო! ლუკას მამა გვყავს სტუმრად! ლიას „ბუდკაში" ჩაირბინე, იქნებ, რამე სახელდახელოდ მოსამზადებელი გამოგატანოს! ფული თუ დაგაკლდა, ნისიად გამოართვი...

— სანისიო რა გვჭირს, ქალო?!. — შეუტია ცოლს ამირანმა. — დაგავიწყდა, რომ დღეს ხელფასი ავიღე?

— ხელფასი, თორემ, უცბად სპილო არ მოგვივიდეს! — წაკბინა ქმარს ლამარამ, თუმცა, ცოტა ხანში, სტუმრები მაინც საკმაოდ გემრიელი კერძებით გაწყობილ სუფრასთან მიიწვია.

— Угощайтесь, дорогой! — სწრაფად გაუშინაურდა ამირანი ანდრეის. — Здесь всё домашнее, натуральное...

— ისემც ცხვირი დაგიმშვენდა!.. — თავისთვის წაიდუდღუნა ლამარამ და თან, მძახალს დამნაშავესავით გახედა — ლია რომ არ დაგვხმარებოდა, რა „დამაშნი" ვახშამსაც გაუწყობდი ამ მეფისტოლა ხალხს, იმასაც ვნახავდი!..

— რაც მექნებოდა, იმით გავუწყობდი! — უკან მაინც არ დაიხია ამირანმა. — ხმელი პური და კეთილი გულიო, — არ გაგიგონია?..

სანამ ამირანი და ლამარა ერთმანეთს ეპაექრებოდნენ, პატარა ლუკა ოთახში ხმაურით შემოვარდა, მაგრამ უცხო ადამიანების დანახვისთანავე დაიმორცხვა.

— მოდი, ბაბუ, ნუ გრცხვენია! — შეაგულიანა ბავშვი ამირანმა და თან, გიორგიზე ანიშნა: ესეც შენი ბაბუაა. ეს კიდევ ბიძაშენია, ანდრეი...

ცოტა ხნის შემდეგ, ოდნავ გაშინაურებული ლუკა გიორგიმ ცალ მუხლზე დაისვა და ისე აათამაშა.

— ხომ კარგი ვაჟკაცი გეზრდებათ ჩადუნელებს? — ამაყად ჰკითხა მას ამირანმა.

— კარგი კი არა, საუცხოო, — უპასუხა გიორგიმ. — ნეტავ, სულ გვერდით მყავდეს!..

— მერე მაგაზე ადვილი რა არის, შე კაცო?!. მოჰკიდე ხელი შენს ცოლ-შვილს, ჩამოდით თბილისში და ყველანი ერთად ვიყოთ! — შეაგულიანა ამირანმა სტუმარი.

— ეჰ, ჩემო ამირან! — ამოიოხრა გიორგიმ. — ნეტავ, მართლა ეგრე იოლად შეიძლებოდეს ამის გაკეთება!

— საძნელო რაღაა?

— საქმეები, ჩემო ამირან, საქმეები...

— ჰო, მართლა... — საუბარში ჩაერია ლამარა. — ლუკას ასეთი რა საქმე გამოუჩნდა, რომ მეორე დღესვე ისევ მოსკოვში გაბრუნდა? შვილი მაინც მოესიყვარულებინა წესიერად...

ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, მაგრამ შემდეგ ისევ გიორგიმ იმარჯვა:

— სამწუხაროდ, საქმე თავის ნებაზე არ გვიშვებს, ქალბატონო ლამარა... ხვალ მე და ანდრეიც მოსკოვში ვბრუნდებით...

— როგორ თუ ბრუნდებით?!. — შეიცხადა აქამდე სუფრასთან უსიტყვოდ მჯდარმა გვანცამ. — მერე ლუკა?..

— რას ამბობ, ბაბუ? — შვილიშვილს ლამარაზე თვალით ანიშნა ამირანმა. — ლუკა ხომ უკვე მოსკოვშია...

— მე პატარა ლუკა ვიგულისხმე... — როგორც იქნა, გონს მოეგო გვანცა. — ხვალ მე და ბატონ გიორგის ქალაქში ერთად უნდა გაგვესეირნებინა...

— მარტოც კარგად გაასეირნებ! — დაუტატანა ლამარამ შვილიშვილს და ფეხზე წამოდგა. — წავალ, ყავას მოვადუღებ...

როგორც კი ლამარა ოთახიდან გავიდა, გვანცა ისევ გიორგის მიუბრუნდა:

— ლუკას მართლა რას უპირებთ? აქ მარტოს როგორ ტოვებთ?

— ვინ გითხრა, რომ ლუკა ისევ აქ არის?

— აბა, სად? — თვალებში შიში ჩაუდგა გვანცას.

— კაცმა არ იცის... — ამოიოხრა გიორგიმ. — შეიძლება, პანკისშია, შეიძლება, უკვე ჩეჩნეთის გზასაც გაუყენეს... ყაჩაღებისთვის მანძილს მნიშვნელობა არა აქვს... დიდი ფულისთვის ცხრა მთას გადაივლიან...

— აბა, აბა, კაცო! ეს რა ხდება?! — მაშინვე აწუწუნდა ამირანიც. — პატიოსან ადამიანს ქუჩაში მშვიდად ვეღარ გაუვლია. ფული არ გაქვს — ვაი, გაქვს — ვუი! აგერ ა, ჩვენს მეზობლად, მეორე სადარბაზოში ერთი პატიოსანი კაცი ცხოვრობს. მთელი ცხოვრება წელებზე ფეხს იდგამდა, რომ ოჯახი როგორმე გამოეკვება. მერე, ერთ დღესაც გაირკვა, რომ საფრანგეთში მცხოვრებმა შორეულმა, მაგრამ მდიდარმა ნათესავმა მთელი ქონება ამას დაუტოვა.

— ძლივს არ შველებია! — თავისთვის ჩაილაპარაკა გიორგიმ.

— აბა, აბა... ეშველა და მერე როგორ?!. ის რომ საფრანგეთში მემკვიდრეობის მისაღებად წავიდა, მეორე დღეს აქ შვილი მოსტაცეს და მთელი ის ქონება გამოსასყიდში წაართვეს... უბანში იმასაც ამბობენ, რომ ამ საქმეში ოჯახის უახლოესი ნათესავის ხელი ერიაო...

— მთლად უცხოებს მგონი, არც ჩემი შვილი გაუტაციათ... — ამოიოხრა გიორგიმ.

— რას მეუბნები?! — შეწუხდა ამირანი. — კონკრეტულად ხომ არავისზე გაქვს ეჭვი?

— ეჭვი კი მაქვს, მაგრამ ჯერ ვერაფრით ვამტკიცებ, — მრავალმნიშვნელოვანი მზერა ესროლა გიორგიმ გვანცას და ფეხზე წამოდგა.

— რას შვრები, კაცო, უკვე მიდიხარ? — შეიცხადა ამირანმა.

— ჰო, წავალ, თორემ შეიძლება, გზაში მეც ვინმე დამხვდეს და ჩემი შვილის გზას გამიყენოს...

— ღმერთმა დაგიფაროს! — ფეხზე წამოდგა ამირანიც.

— ჰო, მართლა, კინაღამ არ დამავიწყ-

და?! — ჯიბიდან ფულის მოზრდილი შეკვრა ამოიღო გიორგიმ.

ფულს თან მამაკაცის ძვირფასი საათიც ამოჰყვა. გიორგიმ საათი ისევ ჯიბეში ჩააბრუნა, ფული კი მაგიდაზე დადო:

— ამით ბავშვებს უყიდეთ რამე... ეს უბედურება რომ არ შეგემთხვეოდა, მე და ჩემს ბიჭებს პატარა ლუკასთან დაკავშირებით ძალიან დიდი გეგმები გვქონდა, მაგრამ ახლა რაღა გაეწყობა...

— ბატონო გიორგი, ერთი წუთით! — უკვე ქუჩაში გასულ გიორგისა და ანდრეის ქოშინით დაეწია გვანცა.

— რა მოხდა? — შეკრთა გიორგი. — გამტაცებლებმა ხომ არ დარეკეს?

— არა. მე მაქვს რაღაც საქმე.

— გისმენ, ჩემო კარგო.

— თუ შეიძლება, ერთი წუთით თქვენი საათი მაჩვენეთ.

— ჩემი საათი? კი, ბატონო, — ჯიბიდან საათი ამოიღო გიორგიმ და გვანცას გაუწოდა.

გვანცამ საათი ხელში რამდენჯერმე შეატრიალა და ისევ უკან დაუბრუნა.

— ხომ არ მოგეწონა? — ჰკითხა გიორგიმ.

— ამ საათს ჩემი დასაწუნი რა სჭირს?! — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა ფიქრებში წასულმა გვანცამ.

— ჰო, ნამდვილად ძვირფასი საათია, — დაუდასტურა გიორგიმ. — თუმცა, პირადად მე დიდხანს ხელზე ვერც ერთ საათს ვერ ვიჩერებ. ხომ ხედავ, ამასაც ჯიბით დავატარებ... სიამოვნებით გაჩუქებდი, მაგრამ არ შემიძლია, ლუკას სახსოვარია და იმიტომ... თავადაც ზუსტად ასეთი საათი აქვს...

— ესე იგი, ნამდვილად არ შევმცდარვარ... — გააწყვეტინა უცბად გვანცამ.

— რაში?

— რაში და... — უცნაურად ანთებული თვალები შეანათა გვანცამ გიორგის. — შეიძლება, ჩემი ნათქვამი ახლა სიგიჟედ მოგეჩვენოთ, მაგრამ მგონი, ლუკას გამტაცებლების კვალს მივაკვლიე...

— გაგიჟებამდე მეც ცოტაღა მიკლია, ამიტომ სწრაფად ამიხსენი, რას გულისხმობ?— ხმაში აღელვება დაეტყო გიორგისაც.

— რას და ზუსტად ასეთი საათი დღეს დილით ერთი ადამიანის ხელზე ვნახე... თანაც, აშკარად ეტყობოდა, რომ მისი არ იყო. წვრილ მაჯაზე სასაცილოდ ჰქონდა ჩამოკონწიალებული...

— ნამდვილად ასეთი იყო? — საათს ისე დააკვირდა გიორგი, თითქოს თავადაც პირველად ხედავსო. — ვის ხელზე ნახე? როდის? სად? — კითხვა კითხვაზე დააყარა მან გვანცას.

— დღეს დილით მე და ჩემი თანამშრომელი საავადმყოფოში ლაშას სანახავად ვიყავით, ის კაციც იქ მოვიდა. ლაშა რაღაცის გამო უჯავრდებოდა და ის კაციც ნერვიულობისგან საათს წამდაუწუმ ხმაურით იხსნიდა და იკეთებდა და ჩემი ყურადღებაც სწორედ ამიტომ მიიპყრო, თანაც...

— იმ კაცის ნახვას კიდევ თუ შევძლებთ? — გააწყვეტინა გვანცას გიორგიმ.

— არა მგონია... — მხრები დამნაშავესავით აიჩეჩა გვანცამ, — თუმცა, არა, გამახსენდა, ის კაცი ხვალ ორ საათზე ლაშასთან ისევ უნდა მივიდეს...

— მართლა? — გაუხარდა გიორგის. — მაშინ ხვალ დილით ანდრეის მოსკოვში მარტო გავუშვებ, მე კი ცოტა ხნით კიდევ დავრჩები. ის კაცი, უფრო სწორად კი — ის საათი ერთი წამით მაინც უნდა ჩავიგდო ხელში.

— კი, მაგრამ, როგორ?.. — გაუკვირდა გვანცას. — თანაც, ეს ხომ ბევრს მაინც ვერაფერს მოგვცემს?.. ასეთი საათი მარტო ორი ხომ არ არის ქვეყანაზე?

— რა თქმა უნდა, ჩემო კარგო, მაგრამ ლუკას საათს კორპუსზე წარწერა აქვს.

— რა წარწერა? — დაინტერესდა გვანცა.

— „რა კარგია, რომ დრო არ ჩერდება“... — უპასუხა გიორგიმ და თან, საკუთარი საათიც გადმოაბრუნა. — ჩემსასაც იგივე აწერია... მახსოვს, ეს საათი რომ მაჩუქა, ლუკას როგორ დავცინე — ფილოსოფოსობა ნაადრევად დაგიწყიამეთქი... ასე რომ, ლაშას სანახავად მეც წამოგყვები...

— საავადმყოფოში? — შეცბა გვანცა.

— ჰო, რა მოხდა? რაც არ უნდა იყოს, ოფიციალურად ჯერაც საქმიანი პარტნიორები ვართ. ასე რომ, ჩემი ნახვა ძალიანაც გაუხარდება... როგორც კი ის კაცი პალატაში შემოვა, შენ მარტო თვალით მანიშნე, დანარჩენი კი მე ვიცი...

მაგრამ მეორე დღეს, ის კაცი ლაშასთან საერთოდ არ გამოჩენილა. ხოლო მესამე დღეს, როგორც კი გვანცა სამსახურში მივიდა, მის სამუშაო მაგიდაზე მდგარი ერთ-ერთი ტელეფონიც აწკრიალდა. გვანცამ ყურმილი რაღაც საშინელის მოლოდინში აიღო.

— ეი, ლამაზო! — გაისმა ყურმილში მამაკაცის უხეში ხმა. — „პადარკა“ მიიღე?

— რა „პადარკა“? — ხმა აუკანკალდა გვანცას.

— თუ არ მიგიღია, მალე მიიღებ! ოღონდ, აზრზეც მალე მოდი, რა! თორემ შენი ქმრისთვის დრო გაჩერდება! გაიგე?..

— რა თქვით? — შიშისგან ხმა ჩაუწყდა გვანცას, მაგრამ უცნობმა ტელეფონი სასწრაფოდ გაუთიშა.

თავზარდაცემულ გვანცას ტელეფონის ყურმილი ყურზე მიეყინა. უცბად მისაღების კარი ხმაურით გაიღო და ოთაში ივიკო შემოვარდა. მას ხელში რაღაც კონვერტი ეჭირა.

— რა ფერი გადევს? — გაკვირვებულმა ჰკითხა მან გვანცას და თან, კონვერტი გაუწოდა: მაინტერესებს, როდემდე უნდა ვიყო შენი ფოსტალიონი?

— ეს რა არის? — კონვერტი მექანიკურად გამოართვა გვანცამ.

— საჩუქარი! ბედი მაქვსო, შენ უნდა თქვა! ვიღაც ინკოგნიტო „პაკლონიკმა“ ძალიან მაგარი საათი გამოგიგზავნა!

— საათი? — კონვერტში მაშინვე აკანკალებული ხელი ჩაყო გვანცამ და იქიდან ზუსტად ისეთი საათი ამოიღო, როგორიც წინა საღამოს ლუკას მამას უნახა. საათს კორპუსზეც ნაცნობი წარწერა ჰქონდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

70-იანი წლების ბოლოს რიჩარდ გირმა ტიბეტში იმოგზაურა, სადაც მან ურთიერთობა დაამყარა ბუდისტ ბერებთან, მოგვიანებით, დალაილამაც გაიცნო და დაუმეგობრდა კიდეც. ამ მოვლენის შემდეგ, ჰოლივუდის ვარსკვლავის პიროვნებაში უდიდესი გარდატეხა მოხდა — მან საკუთარი ცხოვრებისეული ღირებულებები გადააფასა. დღესდღეობით გირი საკუთარ თავს უპირველეს ყოვლისა ბუდისტად მიიჩნევს და მხოლოდ ამის შემდეგ — მსახიობად, ქმრად და მამად. ცხოვრებაში უმთავრესი მისთვის „ტიბეტური სახლი“ (არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ტიბეტური კულტურის შენარჩუნებისთვის ზრუნავს), ცხოველთა დაცვზე ზრუნვა და საკუთარი სახელობის საქველმოქმედო ფონდია.

რიჩარდ გირი: ჩემი ველის პირველი კანონზომიერ ბრუნვას განაგრძობს

თანამემამულენი რიჩარდ გირის ცხოვრებას განხორციელებული „ამერიკული ოცნების“ განსახიერებად მიიჩნევენ. ის არცთუ ისე დიდი შეძლების მქონე ოჯახში აღიზარდა. მის მშობლებს, რიჩარდის გარდა, კიდევ ოთხი შვილი ჰყავდათ. მამამისი სადაზღვევო კომპანიის აგენტი გახლდათ, დედა — დიასახლისი. თუმცა, მისი მშობლები არც ისეთი უქონელები იყვნენ, რომ შვილებისთვის განათლება ვერ მიეცათ ან მუსიკის შესწავლაზე ეთქვათ მათთვის უარი. შინ რამდენიმე სახეობის მუსიკალური ინსტრუმენტიც ჰქონდათ და რიჩარდი ოჯახური მუსიკალური საღამოების მოწყობაში ბავშვობიდანვე დიდ ენთუზიაზმს ავლენდა. რიჩარდი ყმაწვილობისას გარკვეული ხნის მანძილზე როკჯგუფში უკრავდა. მოგვიანებით, როკჯგუფში მიღებული გამოცდილება მსახიობს ძალზე გამოადგა „კოტონ-კლუბსა“ და „ჩიკაგოში“ როლების შესრულებისას. გირმა უნივერსიტეტშიც ჩააბარა, სადაც ფილოსოფიას ეუფლებოდა, მაგრამ ორი წლის შემდეგ, სწავლას თავი დაანება, რადგან მსახიობობა გადაწყვიტა. ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში განხორციელებას წინ უძღოდა ანგაჟმენტის ძიების წლები, რესტორნებში ოფიციანტად თვეობით მუშაობა, საკუთარ შესაძლებლობებში დაეჭვება და სასოწარკვეთილების წუთებიც კი. ახალბედა მსახიობს იშვიათად უმართლებდა — თეატრსა და კინოში მეორეხარისხოვანი როლი თუ გამოუჩნდებოდა ხოლმე. თუმცა, გარკვეული ხნის შემდეგ ეს მცირე უსიამოვნებები არნახულმა გამარჯვებამ შეცვალა: ფილმში — „მისტერ გუდბარის ძებნა“ წარმატებით შესრულებული როლის მერე, 27 წლის მსახიობს ბედმა გაუღიმა... რიჩარდმა ვარსკვლავის სტატუსი მოიპოვა და მას შემდეგ ყოველწლიურად ერთ, ორ და ზოგჯერ ერთდროულად სამ ფილმშიც იღებენ. მრავალმილიონიანი ანაზღაურების მქონე ჰოლივუდის ვარსკვლავს ბედნიერება ხვდა წილად, ეთამაშა ისეთ საქვეყნოდ აღიარებულ ფილმებში, როგორებიცაა: „ამერიკელი ჟიგოლო“, „მეფე დავითი“, „ოფიცერი და ჯენტლმენი“, „ლამაზმანი“, „საბოლოო ანალიზი“, „სომერსბი“, „პირველი რაინდი“, „ტურა“, „შემოდგომა ნიუ-იორკში“ „ექიმი ტ. და მისი ქალები“...

„ლამაზმანი“

რიჩარდი და სუსტი სქესის წარმომადგენლები

რიჩარდ გირი ჰოლივუდის გულთამპყრობლის სახელითაა ცნობილი, მაგრამ სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ცხოვრებაში მას არცთუ ისე ბევრ ქალთან ჰქონია ახლო ურთიერთობა. როგორც ამბობენ, პირველი სერიოზული რომანი გირს ვინმე პენელოპა მილფორდთან ჰქონია. მომავალი ვარსკვლავი იმხანად 22 წლის ყოფილა (ზოგიერთები ირწმუნებიან, რომ პირველი სექსუალური გამოცდილება რიჩარდმა სწორედ ამ ქალბატონთან მიიღო) და მსახიობ პენელოპა მილფორდთან ერთად ერთ-ერთ თეატრში მოღვაწეობდა. აი, ექსტრავაგანტურ ბრაზილიელ მხატვარ სილვია მარტინესთან ერთად კი, რიჩარდს ხუთი გრძელი წელიწადი გაუტარებია. როგორც ამბობენ, ვარსკვლავსა და მხატვარს დღემდე კარგი, მეგობრული ურთიერთობა აქვთ.

1991 წელს, რიჩარდმა სინდი კროუფორდი შეირთო ცოლად. სუპერმოდელი იმხანად 25 წლის იყო და ქმარზე 17 წლით უმცროსი გახლდათ. ახალდაქორწინებულები ჟურნალისტებმა ჰოლივუდის ყველაზე ლამაზი წყვილის სახელით მონათლეს და არცთუ უსაფუძვლოდ. სამწუხაროდ, მათი ბედ-

ნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა: ცოლქმარი ოთხ წელიწადში გაიყარა. გაყრის ოფიციალური მიზეზი გახლდათ ის, რომ სინდის ბუდიზმის მიღება არ სურდა, რასაც მისგან დაჟინებით მოითხოვდა რიჩარდი; არაოფიციალური – სუპერმოდელს შვილის გაჩენა სურდა, გირი კი, ამ საკითხში არანაირ ენთუზიაზმს არ ავლენდა. გაყრის მიზეზად, აგრეთვე რიჩარდის მიერ ცოლის არაერთგზის ღალატსაც ასახელებდნენ.

90-იანი წლების ბოლოს, გირს სერიოზული რომანი ჰქონდა მსახიობ კერი ლოუელთან (ბონდიანის ერთ-ერთ ფილმში მან აგენტ 007-ის მეგობარი ქალის როლი შეასრულა), მაგრამ, როგორც ჩანს, წინა ქორწინების მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, რიჩარდი მასთან ოჯახის შექმნას არ ჩქარობდა. ვარსკვლავმა მხოლოდ მაშინ გადადგა ეს ნაბიჯი, როცა კერიმ მას ვაჟიშვილი გაუჩინა. გირმა და ლოუელმა 2002 წლის შემოდგომაზე იქორწინეს. სხვათა შორის, ქორწილმა ძალზე მოკრძალებულად ჩაიარა: ნეფეპატარძლის გარდა, ცერემონიას მხოლოდ მათი ვაჟიშვილი – ჰომერ ჯეიმს ჯიგმე და კერის ქალიშვილი (პირველი ქორწინებიდან) დაესწრნენ.

რაც შეეხება ფილმის პარტნიორებთან რიჩარდის რომანებს (რასაც ძალზე ხშირად მიაწერენ ხოლმე ვარსკვლავს), მათი უმრავლესობა ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება. მის ცხოვრებაში ჩახედული ადამიანები დარწმუნებულნი არიან, რომ ჯულია რობერტსთანაც კი, რომელიც „ლამაზმანის“ გადაღებებისას სიგიჟემდე იყო შეყვარებული პარტნიორზე, მას არაფერი ჰქონია. ყოველთვის, როცა ჯულია რიჩარდისთვის საკუთარი გრძნობების გამჟღავნებას ცდილობდა, ის მხ-

დალაი-ლამა გირის თხოვნით, თეატრში ლექციის წასაკითხავად ემზადება (2003 წ. სექტემბერი)

ოლოდ და მხოლოდ პარტნიორის ზრდილობიან ღიმილს აწყდებოდა...

აქვე გთავაზობთ დასავლურ პრესაში გამოქვეყნებულ ინტერვიუს ბუდისტ მსახიობთან:

— ბავშვობაში თუ გიფიქრიათ იმაზე, რომ 55 წლის ასაკში საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება იქნებოდით?

– ჩემთვის წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ასეთი შორეული გეგმების დაწყობა?! გამოგიტყდებით, სიყრმის წლებში მხოლოდ 25 წლამდე თუ ვგეგმავდი ცხოვრებას. წარმოდგენაც არ მქონდა, რა იქნებოდა ამის შემდეგ. ჰკითხეთ ნებისმიერ ახალგაზრდა როკვარსკვლავს – ფიქრობენ თუ არა ისინი, რომ 55 წლის ასაკში კვლავ სცენაზე იხტუნებენ? – რა თქმა უნდა, არა. შესაძლოა, ისინი იმაზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, 26 წლის ასაკში საერთოდ ცოცხლები იქნებიან თუ არა.

— რატომ ილტვიან ადამიანები ასე ხშირად ზებუნებრივისკენ?

– ეს ყოველთვის ასე იქნება. ეს არის კოლექტიური ქვეცნობიერების ნაწილი. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ვისზეა ლაპარაკი, ველური ტომის წარმომადგენელზე თუ თანამედროვე მეგაპოლისის მკვიდრზე. ყოველივე ეს, ჩვენში გენეტიკურადაა პროგრამირებული. ხშირ შემთხვევაში, ამის უფრო ძლიერი რწმენა, სწორედ ქალაქის მკვიდრთ აქვთ, ვინაიდან ისინი გამუდმებით მის ჩახშობას ცდილობენ, ის კი ეწინააღმდეგება და ამით უფრო ძლიერდება.

— პირადად თქვენ, ურჩხულებისა და მოჩვენებების არსებობისა თუ გჯერათ?

– ზებუნებრივისადმი ჩემი რწმენა, ამ საკითხზე არ ვრცელდება. ეს საკითხი მე უბრალოდ არ მაინტერესებს... თუმცა, ლონდონის ტბის ურჩხული ვინმეს მართლა რომ დაეჭირა, ალბათ მისი ნახვის სურვილი გამიჩნდებოდა. რაც შეხება მოჩვენებებს, მართალი გითხრათ, არასოდეს წავწყდომივარ ისეთ უჩვეულო რამეს, რაც სულით ხორცამდე შემძრავდა.

— თქვენ იცნობთ დალაი-ლამას. იქნებ, ორიოდე სიტყვით თქვენს ურთიერთობაზე გვითხრათ რამე...

– მე მას 1982-83 წლებში დავემოწაფე. მას შემდეგ, ყოველწლიურად ორჯერ-სამჯერ ჩავდივარ მასთან. ამ ადამიანთან ურთიერთობამ ჩემი ცხოვრება სრულიად შეცვალა. ჩემი აზრით, წარმოუდგენელია, ურთიერთობა გქონდეს მასთან და არ შეიცვალო. მასთან ურთიერთობის შედეგად, ადამიანის გონიცა და გულიც სრულ ტრანსფორმაციას განიცდის.

— თქვენი დღევანდელი ცხოვრებით კმაყოფილი ხართ?

– ჩემს ცხოვრებას აქვს აზრი და ეს უმთავრესია. მიმაჩნია, რომ რაღაც სასარგებლო საქმეს ვაკეთებ და ეს მნიშვნელოვანი და კარგია. მაქვს ოჯახი, მეზრდება ვაჟიშვილი... ასე რომ, ჩემი ბედის ბორბალი კანონზომიერ ბრუნვას განაგრძობს.

■

კერი ლოუელის გოგონას გირი თავიდანვე საკუთარი შვილივით ეექცეოდა

50 წლის მსახიობმა თავის პირმშოს საკმაოდ ორიგინალური სახელი – ჰომერ ჯეიმს ჯიგმე დაარქვა

ცოლყოთილის ქორწილში ქმარი ხელისმომკიდე მოგვევლინემა

41 წლის დემი მურმა საკმაოდ გაბედული ნაბიჯი გადადგა და 26 წლის ეშტონ კატჩერს ცოლად მიჰყვება. მისი ყოფილი ქმარი ბრიუს უილისი, დემის თხოვნით, ქორწილში ხელისმომკიდე იქნება, რათა მათმა შვილებმა – 15 წლის რუმერმა, 12 წლის სკაუტმა და 10 წლის ტალულამ – „ახალი მამა“ უპრობლემოდ მიიღონ. დემიმ და ეშტონმა ერთმანეთი ერთი წლის წინ გაიცნეს. ვერავინ იფიქრებდა, რომ მათი ურთიერთობა ესოდენ სერიოზულ ფორმას მიიღებდა, მაგრამ ყველა პროგნოზი მცდარი აღმოჩნ-

და და წყვილი წლეულს ივნისში შეუღლებას აპირებს. დემისთვის ეს მესამე ქორწინება იქნება. მური და უილისი 6 წლის წინ გაიყარნენ, მაგრამ დღემდე კარგ მეგობრებად რჩებიან, მიუხედავად იმისა, რომ განქორწინება უილისს 38 მლნ დოლარი დაუჯდა. იგი კატჩერსაც ემეგობრება და მიაჩნია, რომ ის კარგი ადამიანია. ქორწილი, რომელზეც უკვე 120 სტუმარზე მეტია დაპატიჟებული, როგორც ვარაუდობენ, 1 მლნ დოლარი დაჯდება. ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ახალგაზრდა ეშტონის ნათესავები ამ ქორწინებას არ ეწინააღმდეგებიან. ■

დევიდ ბოუი მეგზაპრედ აქციეს

ახალ საბავშვო წიგნს – „მუსიკალურ სთორილენდს“ – დევიდ ბოუის 60-იანი წლების სიმღერების ტექსტები დაედება საფუძვლად. წიგნი აშშ-ში გამოიცემა. ამგვარი წიგნის გამოშვების იდეა კი, მუსიკოსის თაყვანისმცემელს, მხატვარ ქალს ჯამილა ნაჯის დაებადა. წიგნის სქემა მარტივი იქნება – მარცხენა გვერდებზე კომპოზიციების ტექსტი იქნება მოთავსებული, ხოლო მარჯვენაზე – მისი შესაბამისი ილუსტრაცია.

„გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ მისი თითოეული სიმღერა 8 ათასჯერ მაინც მაქვს მოსმენილი, – აღნიშნავს ჯამილა. – სიმღერების კასეტა პირველად, 1973 წელს ჩამივარდა ხელში და დღემდე ვუსმენ. წიგნზე მუშაობამ ორწელიწად-ნახევარი გასტანა. არასოდეს დამავიწყდება ეს პერიოდი, ვინაიდან საყვარელ საქმეს ვაკეთებდი!“

„მუსიკალური სთორილენდის“ გამოცემის უფლება ჯერჯერობით, არც ერთ ქვეყანას არ მოუპოვებია. ■

ედრიან მროუდის „კინგ-კონგში“ უხმობენ

მსახიობი ედრიან ბროუდი, რომელსაც მაყურებელი რომან პოლანსკის ფილმიდან – „პიანისტი“ – იცნობს, სტუდია Universal Pictures-თან ახალ პროექტთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებს. მან მონაწილეობა უნდა მიიღოს რეჟისორ პიტერ ჯექსონის ფილმში „კინგ-კონგი“. მსახიობს ყოფილი სამხედრო მფრინავის ჯეკ დრისკოლის როლს სთავაზობენ. მას ფილმში მთავარი გმირი შეუყვარდება, რომელსაც მსახიობი ნაომი უოტსი განასახიერებს. Universal Pictures-ის ხელმძღვანელობის ცნობით, შოუმენ კარლ დენჰემის როლს ჯეკ ბლეკი შეასრულებს. სწორედ მის გმირს ჩამოჰყავს გიგანტური გორილა ნიუ-იორკში. ■

სტინგს სვინგი ხიმლავს

როგორც სტინგის ცოლმა, ტრუდი სტაილერმა აღნიშნა, მის ქმარს სვინგი მოსწონს (ანუ სექსუალური პარტნიორების ცვლა). სტაილერმა თავის სექსუალურ ცხოვრებაზე რადიოგადაცემაში ილაპარაკა და წამყვანს ჰოვარდ სტერნს მოუთხრო, თუ როგორ დაეხეტებოდა ცოლ-ქმარი საეჭვო სექსკლუბებში. მან მსმენელებს ისიც აუწყა, რომ სტინგს შინაც მოჰყავდა ქალები. ტრუდის თქმით, „ეს როკ-ენ-როლია! ბევრს მიაჩნია, რომ სწორედ ასე უნდა ვითარდებოდეს მოვლენები ჩვენს სექსუალურ ცხოვრებაში“. კითხვაზე – ეჭვიანობს თუ არა ქმარზე? – მან აღნიშნა, რომ არ არის ეჭვიანი. „მას სიამოვნებს ისეთ კლუბებში სიარული, სადაც მრავალი შიშველი გოგონაა. მე კი მათ ვესაუბრები და ჩვენთვის საუკეთესო პარტნიორების არჩევაში ვეხმარები ქმარს“... ტრუდის თქმით, სექსუალური ცხოვრების სხვადასხვაგვარ გამოვლინებასთან ზიარებამ მას საკუთარი ქალურობის შეცნობაში შეუწყო ხელი... ■

მადონა რეკორდს ამყარებს

მადონას საკონცერტო ტურნე – **Reinvention Tour**, რომელიც მაის-ივნისისთვისაა დაგეგმილი, შესაძლოა, 2004 წლის ყველაზე ხმაურიან მოვლენად და ყველაზე შემოსავლიან საგასტროლო მოგზაურობად იქცეს. ბილეთები ნებისმიერ კონცერტზე ელვის სისწრაფით იყიდება, რის გამოც ტურნეს გრაფიკი იცვლება. მარტო ნიუ-იორკში მომღერალი ხუთ კონცერტს გამართავს, ტორონტოსა და ჩიკაგოში კი – სამ-სამს. დამატებითი კონცერტები შედგება: ლოს-ანჯელესში, ფილადელფიაში, ბოსტონსა და ლას-ვეგასში.

ოკეანის გამოღმაც ანალოგიური აჟიოტაჟი შეინიშნება. ლონდონის **Earls Court**-ის საკონცერტო დარბაზში (18500 მაყურებელს იტევს) შოუს ბილეთები ორ საათში გაიყიდა. იგივე მოხდა **Wembley Arena**-ს დარბაზში, სადაც ორგანიზატორები კიდევ 11500 მსმენელს მოუყრიან თავს. კონცერტებზე ფასები 75-დან 150 გირვანქა სტერლინგს (140-280 დოლარი) შორის მერყეობს. ■



ნიაგარის ჩანჩქერზე გამგზავრების მოლოდინში

წინამდებარე წერილი იხ. „გზა“ № 16

აკაკი გეგენავა

ხუმრობა საქმე არ არის უზარმაზარი სატვირთო ავტომობილის მძღოლობა. ამას მარტო მე კი არა, პროფესიონალებიც ამბობენ. მართლაც, როგორია, როდესაც იცი, რომ ტვირთი, რომელიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადაგაქვს, ათეულათასობით დოლარი ღირს და ეშმაკს კიდევ, ხომ იცით, რომ არ სძინავს... საფრთხე ყოველ ნაბიჯზე გელოდება. მერე კიდევ, როგორია, სულ მარტო იჯდე კაბინაში და დაუსრულებელ ტრასაზე მიქროდე?.. ალბათ ამიტომაცაა, რომ ამერიკელი მძღოლები დიდი ხალისით არ მიდიან ტრაილერზე სამუშაოდ. უმეტესწილად ამ საქმეს უცხოელები ასრულებენ. მეც მათ რიგში ვიყავი და მიუხედავად ყველაფრისა, თავს მაინც ბედნიერად ვთვლიდი, რომ ოკეანის გაღმა სამუშაოც ვიშოვე და თან, ყოველდღე ვიცვლიდი ადგილსამყოფელს — გადავდიოდი ერთი შტატიდან მეორეში და ჩემი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს დღითი დღე ვავსებდი ახალი თავგადასავლებითა თუ ახალ, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრებით...

ერთ-ერთი ასეთი თავგადასავალი შემემთხვა ბუფალოშიც, რომელსაც ყოველთვის ნიაგარის ჩანჩქერს ვუკავშირებ. თუმცა, ამაზე ქვემოთ...

ბუფალო

მიუხედავად იმისა, რომ ნორფოლკელი მილიონერის, ჯეკ ლარსენის სამფლობელოდან დილაადრიან წამოვედი და სწრაფადაც ვიარე, ბუფალოში მხოლოდ დღის 3 საათზე ჩავედი. გამიკვირდა კიდეც, 300-ოდე მილის გავლას ამდენი ხანი როგორ მოვანდომე-მეთქი, მაგრამ მერედა მივხვდი, რაშიც იყო საქმე – ნორფოლკიდან ბუფალომდე მთელი გზა მიხვეულ-მოხვეული და მთაგორიანი გახლდათ. თანაც, როგორც არ უნდა მომენდომებინა, გრძელ დაღმართებზე უზარმაზარ ტრაილერს დიდი სიჩქარით ხომ ვერ ვატარებდი...

პირდაპირ ვიტყვი – ქალაქი ბუფალო არ მომეწონა. კრიტიკული მკითხველი ალბათ ირონიულად გაიღიმებს – ბუფალოელებმა თუ იციან ამის შესახებო?!. მაგრამ აქვე იმასაც გეტყვით, რომ ეს ქალაქი არც თავად იქაურებს ეხატებათ გულზე. ასეთი მოუვლელი და თითქოს ყველასგან უპატრონოდ მიტოვებული ქალაქი შეერთებულ შტატებში მართლაც, არ შემხვედრია. ნახევრად გაძარცული, გამოხუნებული სახლები, ღარიბული ეზოები, მოუვლელი ქუჩები და ბაღები... ხალხიც კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა... ეს რაც ერთი შეხედვით დავინახე. თუმცა მოგვიანებით, ისიც მითხრეს, რომ ერთ დროს ინდუსტრიული ქალაქი ახლა გაკოტრებისკენ მიექანებოდა. მოსახლეობა მასობრივად ტოვებდა იქაურობას და ბედის საძიებლად ამერიკის სხვა რეგიონებში გადადიოდა.

...ჩემი მორიგი კლიენტი, რომლისთვისაც ცელოფანის საამქროს დანადგარები კოლუმბუსში უნდა გადამეტანა, ორთოდოქსი ებრაელი აღმოჩნდა, თანაც – ნამდვილი პედანტი.

– მე დილით გელოდით, რატომ დაიგვიანეთ? – ისე შემომიღრინა, თითქოს მისი ქვეშევრდომი ვყოფილიყავი.

– პირდაპირ ნორფოლკიდან მოვდივარ, არსად გავჩერებულვარ... – თავის მართლებასავით გამომივიდა. წითური ებრაელი კი ისევ მოვალესავით მიყურებდა და აღარ ვიცოდი, რა მეთქვა.

– დღეს პარასკევია, სადაცაა, შაბაში *(ძველებრაულად დღესასწაულის წინ, სამუშაოს შეწყვეტა. – ავტ.)* დაიწყება,

ხვალ კიდევ – შაბათია. ასე რომ, დანადგარების ჩატვირთვას სულერთია, ვერ მოვასწრებთ...

ახლაღა გამახსენდა, ებრაელები პარასკეობით დღის 4 საათიდან რომ ამთავრებენ ყოველგვარ საქმიანობას და შაბათისთვის ემზადებიან...

წარმოვიდგინე, დღევანდელ ამ „დაგვიანებას“ როგორ შეხვდებოდა ჩემი კომპანიის უფროსი ედმონდი და ახლა იმაზე ფიქრს მივყავი ხელი, თუ როგორ მემართლებინა თავი. მობილურის პირველივე ზარზე მიპასუხა და არც მომსალმებია, პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

– აკაკი, უკვე დატვირთე მანქანა?

– იცით, მისტერ ედმონდ, შემკვეთი, ორთოდოქსი ებრაელია და დანადგარებს ჯერ არ ტვირთავს, მეუბნება, შაბაში იწყებაო... – ჩემი ხმა თავადაც ძლივს მესმოდა.

– შენ რა, ბუფალოში დილით არ ჩახვედი?! – ახლა ედმონდი აღრიალდა.

– არა, ნახევარი საათია, რაც ბუფალოში ვარ...

– აქამდე რას აკეთებდი? სად იყავი? – უფრო აუწია ხმას კომპანიის უფროსმა.

– გზაში ვიყავი, მისტერ ედმონდ...

– ვიცი მე, შენი გზა რაც არის – ალბათ ვიღაც ქალს გადაეყარე... კარგი, კარგი, მაგაზე, რომ ჩამოხვალ, მერე მოგელაპარაკები. მოკლედ, ბუფალოში დარჩები, კვირას დატვირთავთ ტრაილერს და კოლუმბუსში წახვალ. იცოდე, ხელფასიდან პროცენტი ჩამოგეჭრება, ჭკუის სასწავლებლად!.. შემდგომში გეცოდინება, რომ დაგვიანებას ჯარიმა მოჰყვება... – წამიკითხა „ლექცია“ ბოსმა და ტელეფონი დაუმშვიდობებლად გათიშა.

ასეც ვიცოდი. ჯეკ ლარსენის სასახლეში გათენებული ღამის გამო, კლიენტთან მისვლა დამიგვიანდა, ბოსიც ჯარიმით დამემუქრა... მაგრამ ამაზე ახლა სულაც არ ვნაღვლობდი – კაბინაში ხომ ძვირფასი „ნადავლი“ მედო: გახსოვთ ალბათ, ჩემმა მილიონერმა კლიენტმა, ჯეკ ლარსენმა კომპიუტერული „არსენალი“ რომ მისახსოვრა.

...ახლა ამ ებრაელთან მქონდა საქმე გასარკვევი.

– რა გადაწყვიტეთ? – ამჯერად მორიდებით იკითხა, რადგანაც მისი რელიგიური რიტუალის გამო, მე მთელ დღე-ნახევარს ვკარგავდი.

– დაგელოდებით, მისტერ, და კვირას დავტვირთავთ მანქანას... – დავამშვიდე.

– კარგი იყო, დილით მოგვესწრო ეს ყველაფერი, მაგრამ რა გაეწყობა... – დამემშვიდობა და თავისი საამქროსკენ წავიდა. მერე უცბად მოტრიალდა და ყურადღებით დამაკვირდა.

– თქვენ ებრაელი ხართ? – იკითხა.

– არა, მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ!

– მაპატიეთ, შინ ვერ წაგიყვანთ, მით უმეტეს, რომ ხვალ შაბათია... მოკლედ, კვირას შევხვდებით... – დამემშვიდობა და წავიდა.

როგორ დავაღწიე თავი ეჭვიან ცისფრებს

ტრაილერი ავტოსადგომზე დავაყენე. მთელი საღამო და მეორე დღე ჩემს განკარგულებაში იყო. ამჯერად იმაზე დავიწყე ფიქრი, თუ სად უნდა წავსულიყავი. ავტოსადგომის დარაჯი რატომღაც თვალში არ მომივიდა და თითქმის არ დავლაპარაკებივარ. იქიდან გამოვედი და ქალაქში ხეტიალი დავიწყე. მოგვიანებით, ბარში შევედი. შენობა მოძველებული იყო, არც სკამებსა და მაგიდებს ადგა კარგი დღე, ირგვლივ ყველაფერი გაცვეთილი და მორყეული იყო. რატომღაც, რომელიღაც ჩვენებურ პროვინციაში წარმოვიდგინე თავი. იქ არ იყვნენ მოღიმარი ახალგაზრდა ოფიციანტები, გამოწკეპილი ბარმენები და ჯანიანი დაცვის ბიჭები. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, ყირაზე რომ გადასულიყავი, კაციშვილი ყურადღებას არ მოგაქცევდა.

– გამარჯობა. თუ შეიძლება, მომაქციეთ ყურადღება... – მივმართე ბარმენს, რომელიც სადღაც ჭერში იყურებოდა და სულაც არ აპირებდა ჩემთან მოსვლას.

– გისმენთ, სერ, რას ინებებთ? – როგორც იქნა, მოაღწია ჩემამდე.

– რა გაქვთ?

– რასაც ხედავ, ისა გვაქვს... შეგიძლია აირჩიო! – უხეშად მანიშნა თაროზე უწესრიგოდ დაწყობილ ბოთლებზე.

ასეთი პასუხი ძალზე მოულოდნელი იყო ჩემთვის, რადგან ჩვეულებრივ, ამერიკულ ბარებში, ოღონდაც მომხმარებელი უკმაყოფილო არ დარჩეს, თან გადაგყვებიან. აქ კი, სრულიად საპირისპირო სიტუაცია დამხვდა, რასაც ზედ დაბღვერილი იერის მქონე ბარმენიც დაერთო...

– ასი გრამი ვისკი და მცირეოდენი ღიმილი... – „შევუკვეთე“ ბარმენს.

– ვისკის ახლავე მოგართმევთ, ღიმილისა კი, რა მოგახსენოთ – ქალიშვილი კი არა ვარ!.. – უხეშად მიპასუხა.

– მაპატიეთ, უბრალოდ, აქ ისეთი ცივი ატმოსფეროა...

– კარგი ატმოსფერო ტროპიკულ ქვეყნებშია, მეგობარო, აქ კი, თუ დასალევად შემოხვედი, დალიე, თუ არა და, მოუსვი!.. – ვიღაც ახმახი, გამხდარი, თვალებშეღებილი, საყურიანი ტიპი მომიახლოვდა და ამრეზით ამათვალიერა. დიდი მიხვედრა არ უნდოდა – ცისფერი იყო; როგორც ჩანდა, ბარმენის პარტნიორი, რომელმაც რატომღაც მისი რჩეულის ახალ თაყვანისმცემლად მიმიჩნია.

არაფერი მითქვამს, შარის თავი ნამდვილად არ მქონდა. სასწრაფოდ ავიღე ჩემი ვისკი და თავისუფალი მაგიდა მოვძებნე.

ერთიანად დავიძაბე. ასეთ სიტუაციაში მოხვედრას ნამდვილად არ მოველოდი. ახლა მართლა ძალიან მინდოდა, ცოტა დამელია და ცოტა ხასიათზე მოვსულიყავი. ვისკი კიდევ დავამატებინე „ლამაზმან“ ბარმენს და დარბაზის თვალიერება დავიწყე. ბარში ძირითადად, მამაკაცები ისხდნენ. ბუფალოში თურმე იმხანად, უამრავი უმუშევარი იყო და მათი უმეტესობა ასეთ იაფფასიან ბარებში პოულობდა შვებას...

ხელმოცარული ფილიპი

ყოველივე ამის შესახებ შუახნის მამაკაცისგან შევიტყვე, რომელიც ჩემს მაგიდასთან უცერემონიოდ დაჯდა. ჯერ ფეხმორყეული სკამის გასწორება სცადა, მაგრამ რომ არაფერი გამოუვიდა, მეორე მოიტანა, რომელიც შედარებით მყარი იყო. მერე მაგიდაზე მთელი წყება ლუდის ბოთლები ჩამოამწკრივა, ერთი აიღო და მოიყუდა. ბოლომდე რომ გამოცალა, შვებით ამოისუნთქა, ტუჩები ხელისგულით მოიწმინდა, მაშინღა შემამჩნია და მომესალმა. უხალისოდ ვუპასუხე და ჩემს ვისკის მივუბრუნდი. ჩემმა „თანამეინახემ“ ამჯერად, ორი ბოთლი აიღო, ერთი თვითონ მოიმარჯვა, მეორე კი მე შემომთავაზა. არც გამიხედავს, ისე ვუთხარი უარი. ყურადღებით დამაკვირდა და მკითხა – შოტლანდიელი ხარო? ვუპასუხე – ქართველი ვარ-მეთქი, მაგრამ ვერ გავაგებინე და თავიც აღარ გამოვიდე. რატომღაც მოვეწონე – მაგარი ხარო, – ცერა თითით მანიშნა და ლუდი ისევ გამომიწოდა. უარი ვეღარ ვუთხარი. თანაც, სადღეგრძელოს თქმის ხასიათზე მოვედი (ლუდით!). შენ უფრო მაგარი ხარ-მეთქი, – და ბოთლი მეც სულმოუთქმელად გამოვცალე. შევატყვე, ჩემი ნათქვამი ესიამოვნა. მერე უცბად მოიღუშა და გული გადამიშალა.

– მაგარი ვყოფილიყავი, ამ დღეში არ ჩავვარდებოდი: მე ახლა ერთი საცოდავი ლოთი ვარ და მეტი არაფერი!..

– სულაც არ გეტყობათ, სერ... – ქართული „დიპლომატია“ მოვიშველიე.

– დამცინი, არა?! – ეჭვის თვალით შემომხედა. ჩემთვის გავიფიქრე – ეს სად მოვხვდი – ერთბაშად რამდენ შარიანს გადავეყარე-მეთქი?! – მაგრამ არაფერი მითქვამს. არც ბარი მეთმობოდა – მინდოდა, ჩემთვის ვმჯდარიყავი და ორიოდე ჭიქა ვისკი დამელია. მაგრამ საქმეში ხარ? ამ ჩემი ცოდვით სავსე ბუფალოელ ლოთს ახლა მოუნდა უცხოელისთვის გულის გადაშლა:

– ასეთი კი არ ვიყავი, მეგობარო... ეს ბუფალომ მაქცია ლოთად, უფრო სწორად – აქაურმა მთავრობამ. 20 წელი ვმუშაობდი ქაღალდის ფაბრიკაში, ოჯახსაც ვარჩენდი და საყვარელსაც. ორი წლის წინ, ის ფაბრიკა დაიხურა. მერე რაღაც საწარმოში მივედი, ისიც გაუქმდა... მერე კიდევ მოვძებნე რაღაცა... იმასაც იგივე ბედი ეწია... თვე არ გავა, რომ ბუფალოში რაიმე არ დაიხუროს. მეც დავდივარ ასე, უგზო-უკვლოდ. ხანდახან, დღიურ საქმეს თუ ვიპოვი და ეგ არის ჩემი შემოსავალი. აღარც ცოლს ვუნდივარ და აღარც საყვარელს...

– როგორ? ბუფალოში ახლა არც ერთი საწარმო არ მუშაობს?

– მუშაობს რამდენიმე, მაგრამ რად გინდა? – ყველგან ახალგაზრდები უნდათ... თუმცა, აღარც ახალგაზრდებისთვისაა ადგილები! მაგათ რა უჭირთ?! – სხვა ქალაქში წავლენ, მე კიდევ, სადღა უნდა წავიდე? 55 წლის კაცმა ახალი ცხოვრება როგორღა უნდა დავიწყო?!.

მოკლედ, ერთმანეთი გავიცანით. რომ გაიგო, ტრაილერის მძღოლი ვიყავი, თვალები გაუფართოვდა და პირდაპირ „საქმეზე“ გადავიდა:

– თქვენს კომპანიაში მუშები არ სჭირდებათ? უთხარი შენს ბოსს, იქნებ, მეც მიმიღოს. ჯანი ჯერ კიდევ მაქვს.

– მანქანის მართვის მოწმობა გაქვს? – ვკითხე.

– არა. ისე, ტარება ვიცი...

– მით უკეთესი: ჩაბარე გამოცდა და მოწმობასაც აიღებ. ვიცი, რომ კომპანიაში მძღოლები სჭირდებათ...

– მძღოლობას და ასტრონავტობას ვერ გავრისკავ, მტვირთავად კი გამოვდგები... ამ საქმეში ნამდვილი „პროფესიონალი“ გავხდი!.. – ისეთი ტონით მითხრა, შემეცოდა.

– კარგი, ვეტყვი ჩემს ბოსს, იქნებ, მართლა რამე გამოგიძებნოს...

გულში კი გამეცინა: როგორია? – ემიგრაციაში მყოფი კაცი, ადგილობრივ მცხოვრებს სამსახურში მოწყობას ჰპირდება!..

გზა ნიაგარისკენ...

ბარმენს მოვუხმე, კიდევ მოვატანინე ლუდი და ახლა მე გავუმასპინძლდი ამერიკელ სამუშაოს მაძიებელს...

– ჰო, მართლა, ნიაგარის ჩანჩქერის ნახვა მინდა და როგორ ფიქრობ – ხვალ მოვასწრებ? თანაც, კარგი იყო, მეგზური მეშოვა... – გამახსენდა, რომ ნიაგარის ჩანჩქერი ბუფალოდან არც ისე შორს იყო...

– მაგაზე ადვილი რა არის?! ჰარი!.. ჰარი!.. მოდი, კლიენტი გიშოვე!.. – ყველას გასაგონად დაუყვირა ფილიპმა (ასე ერქვა ჩემს ახალ ნაცნობს) ბარის კუთხეში მჯდარ ჭაღარათმიან მოხუც მამაკაცს, რომელსაც წითელ ცხვირზე ეტყობოდა, რომ კარგა ხანია, „დამეგობრებოდა“ ბახუსს...

– ჰარი, ეს აკაკია, ჩემი მეგობარი. ნიაგარის ჩანჩქერის ნახვა უნდა. წაიყვანე!..

– რამდენს იხდის? – პირდაპირ მოუჭრა ჰარიმ.

– შენ რამდენს ითხოვ? – იქით ვკითხე.

– წასვლა, დათვალიერება და უკან დაბრუნება 40 დოლარი დაგიჯდება.

– შორია აქედან?

– 15 მილი იქნება, რა...

– კარგი, თანახმა ვარ, – და თანხმობის ნიშნად ჰარის ხელი გავუწოდე.

შევთანხმდით, რომ დილის 8 საათზე, ავტოსადგომთან უნდა შევხვედროდით ერთმანეთს.

მიუხედავად უამრავი უსიამოვნო ამბისა, რაც იმ დღეს გადამხდა, მაინც ძალზე კმაყოფილი ვიყავი. ხვალ ნიაგარის ჩანჩქერს ვნახავდი...

P.S. იმის შესახებ, თუ როგორ მოვხვდი ნიაგარის ჩანჩქერთან და რა ამბები გადამხდა ჩემს ბუფალოელ მეგზურთან ერთად, „გზის“ მე-20 ნომრიდან შეიტყობთ.

ძვირფასო მკითხველო, ჟურნალ „გზის“ იანვრის ერთ-ერთ ნომერში, ჩვენ შემოგთავაზეთ ახალი რუბრიკა — „იქნებ, თქვენ გეძებენ!“ გარკვეული მიზეზების გამო აღნიშნული პროექტი დროებით შეჩერდა, რისთვისაც ბოდიშს გიხდით. შემოსული საძიებელი განცხადებების საფუძველზე, ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ „გზის“ ფურცლებზე ამ რუბრიკას და შეგახსენებთ, რომ ეს პროექტი მიზნად ისახავს დაკარგული ნათესავების, მეგობრებისა და ნაცნობების მოძებნას და მათთან კონტაქტის აღდგენას. ამ პროექტში ჩვენი პარტნიორია რუსული ტელეკომპანია „ВИД“ და გაზეთი „Жди меня“. მათი დახმარებით საშუალება გვეძლევა, ძებნა დსთ-ის ქვეყნებშიც განვახორციელოთ. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებულ განცხადებებს, იქნებ, საძიებელ ადამიანებში საკუთარი თავი ან ნაცნობი ამოიცნოთ. ასეთ შემთხვევაში დაგვიკავშირდით რედაქციაში.

თქვენ ასევე საშუალება გეძლევათ, ჟურნალ „გზის“ ფურცლებზე გამოაქვეყნოთ საკუთარი განცხადებები, თქვენთვის სასურველი ადამიანის მოსაძიებლად. ამისთვის უნდა შეავსოთ ქვემოთ მოცემული ქვითარი, დაურთოთ მას საძიებელი ადამიანის შესახებ არსებული, თქვენი აზრით, მნიშვნელოვანი ინფორმაცია (არა უმეტეს ერთი გვერდისა) და გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. უმორჩილესად გთხოვთ, ქვითარში აუცილებლად მიუთითოთ საკუთარი (ანუ მძებნელის) საკონტაქტო ტელეფონი (სასურველია, ქალაქის), ვინაიდან ყველა შემოსული განცხადება უნდა გადამოწმდეს. იმ შემთხვევაში, თუ განცხადებაში მოცემულ ფაქტებს ვერ გადავამოწმებთ, ის არ გამოქვეყნდება. რედაქცია ასევე უფლებას იტოვებს, შეამციროს ნებისმიერი განცხადების ტექსტი ან არ გამოაქვეყნოს იგი.

განცხადებები საქართველოს საზღვრებს გარეთ საძიებელი ადამიანების შესახებ გამოქვეყნდება რუსულ გაზეთში „Жди меня“. ამიტომ, გთხოვთ, მსგავსი განცხადებები რუსულ ენაზე შეადგინოთ.

იძებნება: დულაშვილი ამირანი ივანეს ძე (ვერანა)

ეძებს: დულაშვილი ქეთი ამირანის ასული

ისტორია: „მამას ეძებენ შვილები,ქეთი და თათია, რომლებიც დაახლოებით 1 წლის ასაკში მიატოვა მამამ და არაფრით დახმარებია ბავშვებს. დედამ მძიმე ოპერაცია გაიკეთა და ძალიან გვიჭირს. მამა დღემდე არასდროს შეგვიწუხებია, თუ ვინმემ იცით მისი ადგილსამყოფელი ან სამსახური, ძალიან გთხოვთ, გვაცნობოთ“.

იძებნება: ბრეგვაძე გია გივის ძე
დაბადებული 1971 **წელს**

ეძებს: ბექარიშვილი ციალა არტემის ასული

ისტორია: „ჩემი შვილი გია ბრეგვაძე ცოლ-შვილთან ერთად მოსკოვში ცხოვრობდა. 1993 წლის 11 ოქტომბერს დღის 5 საათზე სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. დღემდე არაფერი ვიცით მისი ადგილსამყოფლის შესახებ. არაერთხელ მივმართე გაზეთ „Жди меня“-ს დახმარებისთვის და გიას სურათიც გავუგზავნე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. გთხოვთ, დამეხმაროთ“.

იძებნება: გაბესკირია დავითი აქვსენტის ძე
დაბადებული 1962 **წელს**

ეძებს: გაბესკირია მარინა გიორგის ასული

ისტორია: „1997 წლის 20 მაისს დავით გაბესკირია საკუთარი მანქანით („ჟიგული“ 2106) გავიდა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა. პოლიციაში განვაცხადეთ, მაგრამ უშედეგოდ, მისი ავტომობილიც კი არ არის ნაპოვნი. სავარაუდოდ ვიცი, რომ უცნობი ქალი და მამაკაცი ჩაისვა მანქანაში და მცხეთის მიმართულებით გაემართა. არის საშუალო სიმაღლის, მუქი ფერის თმა აქვს. ჰყავს მშობლები, და-ძმა, მეუღლე და 10 წლის ქალიშვილი. ინფორმაცია უკვე განვათავსე „Жди меня“-ს საიტზე, ახლა კი დახმარებას თქვენ გთხოვთ“.

იძებნება: შავიძე მამუკა იურის ძე
დაბადებული 1972 **წელს**

ეძებს: შავიძე ცისმარი ამბროსის ასული

ისტორია: „ვეძებ შვილს, რომელიც 2000 წლის 2 თებერვალს სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. მამუკა მოყვარესთან ცხოვრობდა, ამიტომ მისი სახლიდან გასვლის ინფორმაციას მათ სიტყვებზე დაყრდნობით გაწვდით. ოთხი წლის განმავლობაში იგი არავის უნახავს. მას ჰყავს რვა წლის გოგონა, რომელიც ყოველდღე ელის მამას. ჩემმა მეუღლემ მამუკას გაუჩინარება ვერ გადაიტანა და თოფით თავი მოიკლა. თუ ვინმემ იცის რაიმე ჩემი შვილის შესახებ, გთხოვთ, გვაცნობოთ“.

იძებნება: ბოჭორიშვილი ირაკლი ვასილის ძე
27 წლის

ეძებს: ბოჭორიშვილი ნანული

ვალერიანის ასული

ისტორია: „ვეძებ შვილს, რომელიც 1999 წლის 10 სექტემბერს თბილისში, ელიავას ბაზრობის შრომის ბირჟაზე წავიდა სამუშაოდ. 2000 წლის აპრილიდან კი მის შესახებ აღარაფერი მსმენია. შესაძლოა ჩემი შვილის შესახებ რაიმე იცოდნენ მისმა ჯარის მეგობრებმა, რომლებიც ჩემი ინფორმაციით, დუშეთსა და კახეთში ცხოვრობენ. სამწუხაროდ, მათი მისამართები ჩემთვის ცნობილი არ არის. ირაკლი ხშირად ამბობდა: შეიძლება დუშეთში ან კახეთში წავიდე კარგი სამსახურის საშოვნელადო. ამიტომ იმედს არ ვკარგავ, რომ შესაძლოა მისი მეგობრები დამეხმარონ შვილის პოვნაში“.

იძებნება: ზაალიშვილი დათო (დავითი) ოთარის ძე

35 წლის

ეძებს: ნელი გულაზალიშვილი

ისტორია: „ვეძებ დისშვილს, რომელიც 1989 წლის 6 დეკემბერს გავიდა სახლიდან და მის შესახებ აღარაფერი გვსმენია. გაბარაზებული იყო, მანქანას სწრაფად მართავდა, რის გამოც შენიშვნა მივეცით და ამის გამო გაგვინაწყენდა. მაშინვე განვაცხადეთ მილიციაში, მძღოლებს მისი 400 ფოტო დავურიგეთ იმ იმედით, რომ ვინმე ამოიცნობდა, მაგრამ უშედეგოდ. მონაცემები გავგზავნეთ გაზეთ „Жди меня“-ს რედაქციაში, მაგრამ პასუხი არ მოგვსვლია. დათო ოდესაში სწავლობდა. შემდეგ საბუთები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოიტანა. მას ძმა გარდაეცვალა, თუმცა არც მაშინ გამოჩენილა. უმორჩილესად გთხოვთ, მოგვაძებნინოთ“.

იძებნება: სიჭინავა სოსო (იოსები) ბაგრატის ძე

47 წლის

ეძებს: სიჭინავა სონია ვასილის ასული

ისტორია: „ვეძებ შვილს, რომელიც 1992 წლის 27 დეკემბერს გაემგზავრა ვანის რაიონში, სოფელ მარგარში მცხოვრებ მაისა მოვსესიანთან საქმეზე. ორ დღეში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ აღარ დაბრუნებულა. უმორჩილესად გთხოვთ, თუ ვინმემ იცის რაიმე მის შესახებ, გამომეხმაუროს“.

იძებნება: კოზლოვა-ბრეგვაძე ნინი გიორგის (ჟორა) ასული

51-52 წლის

ეძებს: ბრეგვძე ნელი გიორგის ასული

ისტორია: „ვეძებ დას,რომელიც დედამ მაშინ წაიყვანა სახლიდან, როდესაც ის სამი წლის იყო. ვიცი, რომ ბოლოს ისინი ბათუმში ცხოვრობდნენ. მაშინ მე ძალიან პატარა ვიყავი და საკუთარი ძალებით ვერ მოვძებნიდი. შესაძლებელია, ამის შემდეგ დედას ჩემი და დეიდასთან ხაბაროვსკში წაეყვანა. ვიცი, რომ დეიდას ჰქვია მარია, გვარად კოზლოვაა“.

იძებნება: გოგიტიძე ლევანი გიორგის ძე

49 წლის

ეძებს: ჭილოლაშვილი როინი ვახტანგის ძე

ისტორია: „ვეძებ დეიდაშვილს,რომელიც გურჯაანიდან თბილისში წამოვიდა სამუშაოდ. კულინარია, მუშაობდა სახელმწიფო ტელევიზიის მოპირდაპირე მხარეს ერთ-ერთ რესტორანში, შემდეგ კი – თბილისის ზღვაზე, იქაც რესტორანში. უკანასკნელად 2003 წლის ზაფხულში ვნახეთ ლევანი“.

იძებნება: სულაშვილი თემური

ეძებს: ჯავახიშვილი ზინაიდა გრიგოლის ასული

ისტორია: „ვეძებ საქმიან პარტნიორს, რომელიც 2001 წლის გაზაფხულზე ჩემი კუთვნილი თანხით გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში, საქმიანი გარიგების საწარმოებლად. მან საკმაოდ დაიგვიანა ჩამოსვლა. ამასობაში კი მე საცხოვრებელი ადგილი და ტელეფონი გამოვიცვალე. ვფიქრობ, რომ ჩემი მოძებნა უნდა და ვერ მპოულობს“.

იძებნება: დევსურაშვილი ლალი

56-57 წლის

ეძებს: ცინცაძე ელენე (ლია)

ისტორია: „მინდა შევხვდე მეგობარს, რომელიც 1975 წელს თბილისში სამშობიაროში (ფილარმონიის უკან) გავიცანი. ერთი თვის განმავლობაში გვერდიგვერდ ვიწექით და ძალიან შეგვიყვარდა ერთმანეთი. ვიცი, რომ მუშაობდა ჯვარბენთში. შემდეგ კი რუსთავში გადავიდა. იყო ჩამოსული ერთხელ თბილისში, სტუმრად, დიდმის მასივში. მენატრები ლალი, დამირეკე“!

იძებნება: მელაძე თეა

20-21 წლის

ეძებს: **ჩიქოვანი ტატო**

ისტორია: „ვეძებ ადამიანს, რომელიც გავიცანი ბათუმში 2002 წელს და მას შემდეგ აღარ მინახავს. ძალიან მიყვარს, მე კი არაფერი ვიცი მის შესახებ. ძალიან გთხოვთ, იქნებ დამეხმაროთ“.

იძებნება: ბელინსკაია ანტონინა დაბადებული სავარაუდოდ 1923 წელს.

ეძებს: ბელინსკაია ლილიანა ივანეს ასული

ისტორია: „ვეძებ დედას, რომელიც 1941-44 წლებში ცხოვრობდა უკრაინაში ლვოვის რაიონში, სოფელ სოკოლში. 1944 წელს დედამ საქართველოში ჩამომიყვანა და ვინაიდან ძალიან გვიჭირდა, ქალაქ სენაკში (მაშინდელი ცხაკაია) ერთ-ერთ მდიდარ ქართულ ოჯახს მიმაბარა და წავიდა. ამის შემდეგ დედა არასდროს მინახავს, შესაძლოა ის ცოცხალიც აღარ არის, მაგრამ ხომ იცით, რომ იმედი ბოლოს კვდება და თუ ვინმემ რაიმე იცის დედაჩემის შესახებ, იქნებ შემატყობინოთ“.

■

„იქნებ, თქვენ გეძებენ!“

ვის ეძებთ _____

გვარი

_____ _____

სახელი, მამის სახელი ასაკი

_____

ძებნის სავარაუდო ადგილი

_____

_____

ძებნის ისტორია (მოკლედ)

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ვინ ეძებს _____

გვარი

_____ _____

სახელი, მამის სახელი ასაკი

_____

ტელეფონი

_____

მისამართი

_____

რა გველის უახლოესი ერთი თვის განმავლობაში? როგორ გავლენას მოახდენს ჩვენზე პლანეტების გადაადგილება, მთვარის ცვალებადობა? ჰოროსკოპის რომელი ნიშნებისთვის იქნება კუროს ზოდიაქო წარმატებების და რომლებისთვის — პრობლემების მომტანი? ამ კითხვებს ასტროლოგი მარინა ბაბ-უშანა უპასუხებს:

რას ველოდეთ ამისთვის

მსოფლიო ასტროლოგის პროგნოზი

კურო მიწის სტიქიას ექვემდებარება და მისი მფარველი პლანეტაა — ვენერა. ვენერა აძლევს კუროს ისეთ თვისებებს, როგორიცაა: სილამაზისკენ სწრაფვა, რბილი ხასიათი, კომფორტისა და სიმყუდროვის სიყვარული. კურო — ყველაზე მიწიერი ნიშანია და ამიტომ მიწასთან, ბუნებასთან ურთიერთობა მას ყოველთვის პოტენციური ენერგიით მუხტავს და ძალას მატებს. ასევე მნიშვნელოვანია კუროსთვის მატერიალური ბაზის სიმტკიცე, სხვაგვარად ის მყარად ვერ გრძნობს თავს. კუროები პრაქტიკულები, ჭკვიანები არიან, საღი აზროვნებითა და რაციონალიზმით გამოირჩევიან, ამიტომ მათ შორის ხშირად შეხვდებით მენეჯერებს, ბიზნესმენებს, ბანკირებს, ეკონომისტებსა თუ სახელმწიფო მოხელეებს. ბევრი მდიდარი ადამიანი სწორედ კურო გახლავთ. სიმდიდრისკენ, ძვირფასი ნივთების შეგროვებისკენ სწრაფვა კუროსთვის ორგანული თვისებაა. ამავე დროს, კუროები მოთმინებითა და მიზანდასახულობით გამოირჩევიან და გარკვეული კონსერვატულობა ახასიათებთ. ისინი ძნელად ეგუბიან სიახლეებს, არ უყვართ ნაუცბადევი ცვლილებები. კუროებს შორის ბევრი გურმანია. მათ სიმსუქნისკენ მიდრეკილება აქვთ, ამიტომ ვურჩევ, ყოველთვის ადევნონ თვალყური საკუთარ წონას. მიწის სიყვარული, შრომისუნარიანობა და მოთმინება — კუროს საუკეთესო თვისებებია. კუროები კარგი მკურნალებიც შეიძლება იყვნენ, რადგან ისინი საკუთარ თავში ბუნებრივი ენერგიის აკუმულირებას ახდენენ. ძალზე სასარგებლოა კუროებთან ერთად ბუნების წიაღში გასვლა: ასეთ შემთხვევაში, პოზიტიური მიწიერი ენერგიით დაიმუხტებით.

ქალი კუროები ჭკუას კარგავენ ლამაზ ტანსაცმელზე, ბიჟუტერიასა და კოსმეტიკაზე; უყვართ წვეულებებზე მეგობრებთან ერთად ყოფნა; ისწრაფვიან კომფორტისა და ფუფუნებისკენ, უყვართ ამის დემონსტრირება, სხვაგვარად ვერ გრძნობენ თავს ბედნიერ მეუღლედ და დედად. მამაკაცი კუროები კარგი „მმოვნელი“ და ოჯახში შემომტანი მეუღლეები და მამები არიან.

დედამიწაზე მერკურის გავლენის გამო, აპრილის დამლევი ვაჭრობის სფეროში აქტიურობის შენელებით გამოირჩევა; ეს დრო არცთუ ისე ხელსაყრელია სამოგზაუროდ, ახალი საქმეების წამოსაწყებად. პოზიტიურია დაუსრულებელი საქმეების დასამთავრებლად, მომავლის სტრატეგიის მოსაფიქრებლად და შესამუშავებლად.

მაისის დასაწყისზე საუბრისას, აუცილებელია შეგახსენოთ, რომ 5 მაისს, ღამის პირველის ნახევარზე მთვარის დაბნელება იქნება. როგორც ცნობილია, 19 აპრილს ადგილი ჰქონდა მზის დაბნელებას. ამ ორ მოვლენას შორის ისეთი პერიოდია, როდესაც მატულობს არასასიამოვნო მოვლენების რისკი და რადგან ის ჯერ არ დამთავრებულა, მინდა ვურჩიო მკითხველს — ნუ იქნებით ზედმეტად აგრესიული, გამოიჩინეთ მოთმინება და შემწყნარებლობა, ეცადეთ, მოზღვავებული ენერგია შრომაში, ვარჯიშსა და სიყვარულში „გადაისროლოთ“. მეტი ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს და ეცადეთ, ნუ გაამწვავებთ მათთან ურთიერთობებს.

დროის მოკლე მონაკვეთში მზისა და მთვარის დაბნელების ფაქტი გვაფიქრებინებს იმას, რომ ეს საფრთხეს უქმნის, როგორც ადამიანების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ასევე სტიქიური უბედურებების, კატასტროფებისა და ომების საშიშროებას ქმნის, მაგრამ პლანეტები — ვენერა და მარსი, ტყუპთან შეერთებისას, სასიყვარულო განწყობას გვმატებს. ეს წინააღმდეგობა საშიშროებასაც შეიცავს, ამიტომ მოერიდეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან ზედმეტ დაახლოებას და მხოლოდ იმ პარტნიორებს ენდეთ, რომლებთანაც დიდი ხნის ურთიერთობა გაქვთ.

აპრილის ბოლო არასტაბილური ამინდებით აღინიშნებოდა. 3-6 მაისისთვისაც მოსალოდნელია ხანმოკლე აცივება, რადგან მზის ენერგიას მთვარის ენერგია დაჯაბნის. მაგრამ შემდეგ, ამინდი სტაბილური გახდება და ტემპერატურა თანდათან მოიმატებს.

თუ შინ ყვავილები გაქვთ, ეს პერიოდი — როდესაც მზე კუროს ნიშანში იმყოფება — ყველაზე კარგია მათი გადასანერგად ან ახლის დასათესად.

დიდი სიფრთხილე და დაფიქრება მართებთ პოლიტიკოსებს, რათა სწორი ნაბიჯები გადადგან და ზუსტად გათვალონ მოვლენების შემდგომი განვითარება. ჩვენი მთავრობის სხდომებზე უეჭველად იქნება მსჯელობა პირველ შეცდომებსა და ბოლო თვეების მანძილზე განვლილ გზაზე. ხელისუფლებას გადასაწყვეტი ექნება ქვეყნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ორი საკითხი, რომელიც საქართველოს უხლოესი 10 წლისთვის განმსაზღვრელი იქნება.

ჩვენი მთავრობის წევრ მამაკაცებს ვურჩევდი, მეტი ყურადღებით მოეკიდონ კოლეგა ქალბატონების შეხედულებებს, რადგან ამ პერიოდში, მამაკაცის ენერგეტიკა ძალზე აგრესიულია და არასწორი გადაწყვეტილებების მიღებას უწყობს ხელს, ქალები კი, უფრო მგრძნობიარენი და კარგი ინტუიციის მქონენი არიან. ადრეც მითქვამს, რომ ნინო ბურჯანაძეს ძალზე დიდი როლი აკისრია საქართველოს მომავლის განსაზღვრისთვის, მით უმეტეს, რომ ის კირჩხიბია, კირჩხიბმა კი, ყოველთვის იცის, თუ რა სჭირდება მის ოჯახს — ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს...

არანაკლებ მნიშვნელოვანია ზურაბ ჟვანიას ფიგურა. მისი ინტელექტისა და გამჭრიახობის პატრონს შეუძლია, იპოვოს გამოსავალი რთული და ხიფათით სავსე სიტუაციებიდან. ამავე დროს, მას აქვს უნარი, არ შეუშინდეს იმას, რომ მისი გადაწყვეტილება შეიძლება, არ იყოს მომგებიანი მისი იმიჯისთვის, მაგრამ სასარგებლო – საქმისათვის, რაც ბევრისთვის მხოლოდ მომავალში გახდება ცხადი. მნიშვნელოვანი როლი აკისრია დღევანდელ სიტუაციაში გია ბარამიძეს. ის უნდა ეცადოს, საკუთარ ბავშვობის დროინდელ ოცნებებს გადახედოს და გაიხსენოს, როგორ აპირებდა მსოფლიოს გადარჩენას, როდესაც დიდი და ძლიერი გახდებოდა. ეჭვი არ მეპარება, რომ ის სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებს...

მოვლენები გიგი წერეთელსაც შეეხება. მაისში მას არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. ჯანდაცვის მინისტრს რთული კარმული პერიოდი აქვს, მაგრამ ოჯახის ქალის რჩევა დიდ სიმშვიდესა და სიმტკიცეს მოუტანს. ქალის რჩევა ზოგჯერ ძალზე მნიშვნელოვანი და პრაქტიკულად გამოსადეგია. ცოტა მოგვიანებით – კერძოდ ივლისში, მის პროფესიონალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდება.

ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი სერიოზული დილემის წინაშე დადგება. მსოფლიოში შექმნილი ფინანსური არასტაბილურობა მას ბევრ თავსატეხს გაუჩენს, რადგან ხალხისთვის მიცემული დაპირებები ექნება გადასაწყვეტი და ამასთან ერთად, ახალი ამოცანებიც გაუჩნდება, მთელ მთავრობასთან ერთად.

ურთიერთობა ხელისუფლებასა და რეგიონის ხელმძღვანელობას შორის ისევ დაბაბულ ფონს ქმნის. ცოტა ხანში, გაირკვევა ერთი ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი, მაგრამ კრიმინოგენური სიტუაცია კვლავ მძიმეა და ამას ჯერჯერობით, ბოლო არ უჩანს.

საერთო ჯამში, ქვეყნის პრეზიდენტს ბევრი საფიქრალი და გადასაწყვეტი ექნება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საგარეო პოლიტიკის სფეროში. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ის ბირთვი, რომელიც ჩამოყალიბდა „ვარდების რევოლუციის“ დროს, ისევ ერთიანი იყოს და ერთიანი პოზიტიური ენერგიის მოშველიებით სწორი გადაწყვეტილებები მიიღოს.

მაისის 6 რიცხვიდან, ძალზე შრომატევადი და ნაყოფიერი დღეები იწყება. ყველა საქმესა და სფეროს პატრონი გამოუჩნდება და საქართველო ნელ-ნელა დაიწყებს „მატერიალური ჭაობიდან“ გათავისუფლებას. ამასთან ერთად, მოიმატებს ინტრიგების, თაღლითობის, ადამიანების შეცდომაში შეყვანის მცდელობათა რაოდენობა. პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებს ბევრი საკბილო გაუჩნდებათ.

პატარა კურო – ერთი შეხედვით, ძალზე უწყინარი და ჭკვიანი ბავშვია, მაგრამ თქვენი პატარა – ძალზე აზარტული მოთამაშეა. მის სულში ბავშვობიდანვე, გამარჯვების დიდი სურვილი, ქონების დაგროვებისკენ ლტოლვა, ზოგადად მოგების წადილი დევს. ამიტომ აუცილებელია სპორტულ სექციაში მისი მიყვანა, რათა მის ენერგიას ჯანსაღი მიმართულება მიეცეს...

P.S. მარინა ბაბ-უშანას ყოველკვირეული ასტროლოგიური რჩევები ქვეყნდება ჟურნალ „რეიტინგში“.

■

მოამგადა ლელა ჭანკოტაძემ

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რამდენს იწონის (საშუალოდ) ადამიანის თვალი?



ა) 50 გრამს;
ბ) 7 გრამს;
გ) 200 გრამს.

2. სად მუშაობდა მსახიობი ლუი დე ფიუნესი მეორე მსოფლიო ომის დროს?



ა) პოლიციაში;
ბ) სასურსათო მაღაზიაში;
გ) ცირკში.

3. საავტომობილო ფირმა BMW franc popma დააარსა. რას უშვებდა თავიდან ეს ფირმა?

ა) საკერავ მანქანებს;
ბ) თვითმფრინავებს;
გ) ველოსიპედებს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ქალები სილამაზის შესანარჩუნებლად სხვადასხვაგვარ ხერხს მიმართავენ. ყველას თავისი საიდუმლო აქვს, მათი ტრადიციული მეთოდები კი გაცილებით მარტივია, ვიდრე იმ მეცნიერთა ძიებანი, რომლებიც ცდილობენ, ქიმიური და ბუნებრივი პროდუქტების სინთეზით მარადიული სილამაზის ფორმულა შექმნან. „გზის“ წინა ნომერში გაეცანით, რა ხერხს მიმართავენ ფრანგი, ინგლისელი, ამერიკელი, გერმანელი და იაპონელი ქალები სილამაზის შესანარჩუნებლად. ახლა კი ესპანელი, მექსიკელი, ბრაზილიელი და აფრიკელი ქალების „საიდუმლო“ მეთოდს შემოგთავაზებთ.

რა ხერხს მიმართავენ ქალები სილამაზის შესანარჩუნებლად

ესპანელი ქალები

ესპანელი ქალები საკვებს ფერის მიხედვით არჩევენ. მაგალითად, ორშაბათს მხოლოდ თეთრი ფერის საკვებს (თევზი, ყველი, კვერცხის ცილა, კანგაცლილი ბადრიჯანი, ვაშლი) მიირთმევენ; სამშაბათს — წითელ ან ქარვისფერ საკვებს... დაბანის შემდეგ სახეზე ზეითუნის ზეთს ისვამენ. მანიკიურის გაკეთების წინაც თითებს ზეითუნის თბილ ზეთში ყოფენ. ამ პროცედურის შემდეგ ფრჩხილის ირგვლივ კანი რბილდება და უმტკივნეულოდ იჭრება. ესპანელი ქალები სახის გაახალგაზრდავებაზე მეტად ფეხების გალამაზებაზე ზრუნავენ. ისინი ყველაზე ხშირად ფეხის ლიპოსაქციას იკეთებენ. მკერდისა და ქუთუთოების ოპერაციები აქ არც ისე ინტენსიურია, როგორც საფრანგეთსა და აშშ-ში.

მექსიკელი ქალები

გაღვიძებისთანავე ლიმონის წვენით გაზავებული ერთი ჭიქა თბილი წყალი — სისხლის გაწმენდის ყველაზე იაფი და ეფექტური საშუალებაა, რომელსაც მექსიკელი ქალები ხშირად მიმართავენ. აქ დიეტის კულტია. ქალები გაძლიერებულ პროტეინულ დიეტას ამჯობინებენ. კვირაში 4 დღეს მხოლოდ თევზს, ფრინველის ხორცსა და კვერცხს მიირთმევენ. თმამ ბზინვარება რომ არ დაკარგოს, მექსიკელები ნახევარ ჭიქა წყალში ერთ ჩ/კ ძმარს ურევენ და თმაზე ივლებენ. სახის კანს სხვადასხვა ხილის ნიღბით კვებავენ. ინდიელი წარმოშობის მექსიკელი ქალებისთვის ცხვირის ოპერაცია მაღალ სოციალურ საფეხურზე ასვლის საშუალებაა. ამიტომ მათი უმრავლესობა მეტისისთვის დამახასიათებელ კეხიან ცხვირზე უარს ამბობს და მას პატარა, დასავლურ ცხვირს ამჯობინებს. სხვა სახის პლასტიკურ ოპერაციებს აქ იშვიათად მიმართავენ.

ბრაზილიელი ქალები

ბრაზილიელი ქალების რწმენით, თუ აბაზანაში ფერად კენჭებს ჩაყრი, ისინი მთელ სხეულს დადებითი ენერგიით აავსებენ. ამიტომ შეიძლება ითქვას, კენჭებთან ერთად ბანაობენ. ამის შემდეგ კი ეთეროვანი ზეთებით სხეულზე მასაჟს იკეთებენ. სახის კანს ნუშის ზეთით იწმენდენ (ეს ნაოჭების წარმოქმნას უშლის ხელს), კვირაში ორჯერ კი ორგანიზმის გამწმენდ დიეტას იცავენ. ბრაზილიელი ქალები თამამად საუბრობენ პლასტიკურ ოპერაციებზე, რომელიც იქ ჩვეულებრივი ამბავია. ისინი ლიპოსაქციას, მკერდისა და საჯდომის კორექციას იკეთებენ და ერთმანეთს სიამოვნებით უჩვენებენ „ოპერაციამდე“ და „ოპერაციის შემდეგ“ ფოტოებს.

აფრიკელი ქალები

აფრიკელი ქალები გასალამაზებლად ყავისფერ თიხას იყენებენ. თიხა საპნისა და შამპუნის მოვალეობასაც ასრულებს. თიხა თმას აცოცხლებს და თმის საფარვლის ქვეშ ჭარბ ცხიმს არეგულირებს. იგი ფირფიტების სახით იყიდება და როგორც კი თბილი წყალი მოხვდება, მაშინვე თხევად მასად იქცევა. აფრიკელებისთვის სხეულის მოვლა მათი კულტურის შემადგენელი ნაწილია. აქაური ქალები ეპილაციის საინტერესო მეთოდებს იყენებენ. ჭარბთმიანობის მოსაცილებლად ისინი თაფლისა და ლიმონისგან ამზადებენ წამალს, რომლის მეშვეობითაც, მათი კანი სუფთა და კრიალა ხდება. პლასტიკურ ოპერაციებს აფრიკის შავკანიანი მოსახლეობა იშვიათად მიმართავს. ■

რეცეპტები დასასრულებელ

სოკო ღვინით

50 გ გარჩეულ და გარეცხილ სოკოს დაასხით 250 გ თეთრი ღვინო, დაუმატეთ მარილი და 8-10 წუთის განმავლობაში შუშეთ თავდახურულ ჭურჭელში. შემდეგ მოათავსეთ თუშფალანგზე და საშუალო ზომის ნაჭრებად დაჭერით.

2 საშუალო ზომის სტაფილო გახეხეთ, დააჭერით 2 თავი ხახვი, 1 პომიდორი და რამდენიმე ღერი კამა. აურიეთ სოკოში და სალათა შეაზავეთ ცალკე მომზადებული სოუსით: კარგად ათქვიფეთ 4 ს/კ ზეთი, 1 ლიმონის წვენი (ან ძმარი), ცოტა მარილი და შავი პილპილი.

ამ სოუსით შეზავების შემდეგ სოკოს სალათა შეგიძლიათ ზეთისხილითაც მოართოთ.

ბოსტნეულის სალათა

500 გ კარტოფილი მოხარშეთ და დაჭერით პატარა, თხელ ნაჭრებად; 100 გ ბოლოკი, 200 გ ჭარხალი და 300 გ სტაფილო მსხვილად გახეხეთ; 150 გ კიტრის მწნილი წვრილად დაკეპეთ; ალყა-ალყა დაჭერით 100 გ ხახვი (სასურველია მწვანე ხახვი).

ყველაფერი მომინანქრებულ თასში ჩააწყვეთ, მოაყარეთ ცოტა მარილი, შავი პილპილი, მოასხით ერთი ქილა მაიონეზი, ნახევარი ჭიქა მზესუმზირის ზეთი და კარგად აურიეთ. ■

გაზაფხულის ალერგიული პრობლემები

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

მიიწურა აპრილი. სახლებში გამათბობლებიც გამორთეს. ჰაერში გაზაფხულის სურნელება ტრიალებს. ეს იმას ნიშნავს, რომ დაიწყო მასობრივი და საშიში ალერგიების პერიოდი. რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ალერგიის მსხვერპლი არ გავხდეთ?

საერთოდ, აპრილი (და არა მაისი) უქმნის მთავარ პრობლემებს ალერგიულ ადამიანებს. ამ პერიოდში თხმელა და თხილი ყვავის. „საჰაერო განგაშის“ ზუსტი ვადის მითითება შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ წლეულს აპრილი შედარებით გრილი აღმოჩნდა და შესაბამისად ეს პერიოდიც უფრო გვიან დადგა.

სპეციალისტები კიდევ დიდხანს იდავებენ იმის შესახებ, თუ მტვრის როგორი კონცენტრაციაა საშიში. თუმცა დადგენილია, რომ აპრილის შუა რიცხვებიდან ქალაქის ჰაერის ყოველი ერთი კუბური მეტრი 5 ათასამდე მტვრის ნაწილებს შეიცავს. შედეგად კი უამრავი ადამიანი აკითხავს ალერგოლოგებს, ცრემლდენისა და ცემინების სიმპტომებით.

პოლინოზის საპროფილაქტიკო ღონისძიებებს ალერგიის სეზონის დაწყებამდე 2 კვირით ადრე უნდა შევუდგეთ — ამ დროს ტარდება სპეციფიკური ინიექციური თერაპია პრეპარატებით, რომლებიც პოლინოზის შედარებით მსუბუქად მიმდინარეობას უზრუნველყოფს.

როგორ ვუმკურნალოთ პოლინოზს

პოლინოზის განვითარებისას კი იყენებენ არასპეციფიკურ თერაპიას, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეპარატებით ხსნიან დაავადების სიმპტომებს. ამ მიზნით გამოიყენება ანტიჰისტამინური სისხლძარღვთა შემავიწროებელი პრეპარატები, კრომონები და ჰორმონული საშუალებები.

ანტიჰისტამინური სისხლძარღვთა შემავიწროებელი პრეპარატები — ეს არის ანტიალერგიული და სისხლძარღვთა შემავიწროებელი პრეპარატების კომბინაცია. ისინი საკმაოდ იაფია, სწრაფად მოქმედებს და ზოგი მათგანი — ხანგრძლივადაც. თუმცა ამ პრეპარატებს ის ნაკლი აქვს, რომ პაციენტი ეჩვევა მათ და შედეგად შეიძლება განუვითარდეს მედიკამენტოზური ალერგიული რინიტი. ამიტომ მათი ხმარება შეიძლება 5-7 დღის განმავლობაში.

კრომონები — ღეროვანი უჯრედების სტაბილიზატორები. ორგანიზმში ალერგენის მოხვედრისას სწორედ ეს უჯრედები გადმოისვრიან სისხლში ჰისტამინს, რომელიც შეშუპებას, ცრემლდენას და ალერგიის სხვა ნიშნებს იწვევს. კრომონების მიღება საკმაოდ ხანგრძლივად თამამად შეიძლება: მკურნალობის კურსი ექიმის მეთვალყურეობით 6 თვემდე შეიძლება გაგრძელდეს. გვერდითი ეფექტები პრაქტიკულად არ აღინიშნება, თუმცა პრეპარატთა ქმედითობაც დაბალია. თან, იგი დღეში 3-4-ჯერ უნდა მიიღოთ, რაც ყოველთვის არ არის ხელსაყრელი.

ადგილობრივი მოქმედების ჰორმონული პრეპარატები. ისინი ეფექტურია, სწრაფად და ხანგრძლივად მოქმედებს, თუმცა, ძვირად ღირებულიცაა. მაგრამ ექიმები მხოლოდ ამის გამო როდი არიდებენ თავს მათ გამოყენებას. ჯერ ბოლომდე არ არის შესწავლილი, თუ რამდენად დიდია ცხვირის ლორწოვანიდან პრეპარატის სისხლში გადასვლის რისკი. ამას კი უსიამოვნო შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

ყედლებიც გვემუქრებიან

სამწუხაროდ, მხოლოდ მტვერი როდი ვნებს ალერგიით დაავადებულ ადამიანს აპრილში. დამნაშავე ობის სოკოც შეიძლება იყოს. სწორედ ახლა, როცა თოვლი თითქმის ყველგან დადნა, ჰაერის ტენიანობა კი ძალიან მაღალია, ობის სოკოები ჰაერში სპორებს გადმოისვრიან. საშიში ხდება ძველი, ნესტიანი კედლების მქონე შენობები. განსაკუთრებულად აქტიურდება სოკოები გათბობის სეზონის დამთავრების შემდეგ.

თუკი სოკოზე ალერგია გაქვთ, თქვენთვის სახიფათოა გაზონებში, პარკებსა და სკვერებში სეირნობა. შარშან ჩამოცვენილი ფოთლები სოკოების გასამრავლებლად იდეალური გარემოა.

სხვათა შორის, ნესტის გამო საცხოვრებელში აქტიურდება ოთახის მტვრის ტკიპაც, რომელიც აგრეთვე ძლიერ ალერგენს წარმოადგენს. მაგრამ მასთან ბრძოლა ცალკე საუბრის თემაა.

უფრთხილდით ფუტკრებს

აპრილის ბოლოს, კიდევ ერთი საშიშროება იჩენს თავს: ეს ფუტკრები და კრაზანები გახლავთ. მათგან წამლებით თავს წინასწარ ვერ დაიცავთ, არადა, დიდი რისკის (თუმცა იშვიათად, მაგრამ სასიკვდილო საფრთხისაც კი) მატარებელნიც არიან.

თუ ადამიანს ფუტკრის ნაკბენზე ერთხელ მაინც ჰქონდა გამოხატული ალერგიული რეაქცია — მაგალითად, თვალებისა და ქუთუთოების შეშუპება, — მორიგი ნაკბენი ლეტალურ საშიშროებას შეიძლება შეიცავდეს. გართულება ისე სწრაფად, ელვისებურად ვითარდება ხოლმე, რომ ადამიანი ექიმის გამოძახებასაც კი ვერ ასწრებს. გამოსავალი ერთია: თან უნდა იქონით სწრაფმოქმედი პრეპარატები (ადრენალინი, დექსამეტაზონი). მანამდე კი, გაესაუბრეთ ალერგოლოგს, რომელიც აგიხსნით, თუ როგორ უნდა მოიქცეთ ასეთ შემთხვევაში.

ხომ არ გემუქრებათ ასთმა?

ალერგიულ რინიტს ჩვენში ხშირად მეორეხარისხოვნად მიიჩნევენ. მაგრამ ბოლო დროს, ამგვარი შეხედულება თანდათან იცვლება. აღმოჩნდა, რომ ალერგიულ რინიტს ხშირად მივყავართ ასთმამდე, ასთმას კი თან ახლავს ალერგიული რინიტი. მათი მკურნალობა კომპლექსურადაა საჭირო.

იმის დასადგენად, აქვს თუ არა რინიტიან პაციენტს ასთმა, არსებობს სპეციფიკური გამოკვლევა — გარეგანი სუნთქვის სინჯი, რომელიც ალერგოლოგის ან პულმონოლოგის მიერ ინიშნება საჭიროების შემთხვევაში. ■

ქალებო – ვებრძოლოთ ცელულიტს

მიზეზები

ჰორმონი ესტროგენი, რომელიც აუცილებელია, რათა ქალმა ბუნების მიერ მისთვის დაკისრებული უდიდესი მისია შეასრულოს, ცხიმების დაგროვებასა და შენახვაშიც მონაწილეობს, მაგრამ იგი ***ცხიმების არათანაბარ ჩალაგებას*** უწყობს ხელს. ქალის ორგანიზმში ცხიმოვანი უჯრედები კანის ზედაპირის პერპენდიკულარულადაა განლაგებული. ცხიმის სიჭარბისას, ეს უჯრედები ერთმანეთზე მჭიდროდ ლაგდება და კანზე ბორცვებს წარმოქმნის (კანს ხელს თუ მოუჭერთ, ცხიმოვან ბორცვებს თვალნათლივ დაინახავთ).

ქალის ორგანიზმის შემაერთებელი ქსოვილი გაცილებით ფაშარია, ვიდრე მამაკაცისა. როდესაც ცხიმოვანი უჯრედები ცხიმით ჭერდება და იზრდება, უჯრედშორისი სივრცე დეფორმაციას განიცდის, ფერხდება სისხლმომარაგება, კანი კი სიგლუვეს კარგავს და ***ფორთოხლის*** კანს ემსგავსება.

ცელულიტის წარმოქმნაში, ჰორმონული ცვლილებების გარდა, დამნაშავეა სხვა ფაქტორები: მემკვიდრეობა, ჭარბი წონა, წონის ხშირი და მკვეთრი ცვლა, ხანგრძლივი სტრესები (რაც ნივთიერებათა ცვლის მოშლას უწყობს ხელს), უმოძრაობა, ჭარბი ულტრაიისფერი გამოსხივება, ალკოჰოლი, ნიკოტინი, ზოგიერთი პროდუქტი (მაგალითად, ხსნადი ყავა, შებოლილი და ცხარე საკვები). გარდა ამისა, ცელულიტის განვითარებას ხელს უწყობს შარდსასქესო, ენდოკრინული და საჭმლის მომნელებელი სისტემების დაავადებანი.

ვიკვებოთ სწორად

საკვები (უწინარესად, ტკბილეული) ორგანიზმში იშლება და წარმოქმნის გლუკოზას, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ენერგეტიკული ბალანსის შესანარჩუნებლად. ქსოვილები და უჯრედები გლუკოზას ბოლომდე ვერ ითვისებს. შეუთვისებელი ნაწილი ცხიმად გადაიქცევა და ერთგვარ მარაგს ქმნის, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, კვლავ გლუკოზად იქცევა და ორგანიზმს ენერგიით ავსებს.

მაგრამ ცხოვრების თანამედროვე წესი არ მოითხოვს შავი დღისთვის გადანახული მარაგის გამოყენებას. ამიტომ, ორგანიზმი რომ არ გადაიტვირთოს, გონივრული და ჯანსაღი კვებაა საჭირო. დროგამოშვებით გამორიცხეთ რაციონიდან ისეთი პროდუქტები, როგორებიცაა: კარტოფილი, ბრინჯი, თეთრი პური, შოკოლადი, ალკოჰოლი, შებოლილი ხორცი, კონსერვები, ცხიმიანი ხორცი.

ნახშირწყლების შემცველ პროდუქტებს შორის კარგია წიწიბურა, ჭვავი, ქერი, შვრია, ხილი, ბოსტნეული. აგრეთვე მიირთვით საქონლის და თევზის მოხარშული ხორცი.

ცელულიტთან ბრძოლაში დაგეხმარებათ E და C ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები: კალციუმი, თუთია, მაგნიუმი; ცელულიტის მტრადაა აღიარებული ზღვის პროდუქტებიც.

ადგილობრივი საშუალებანი

ცელულიტის დროს, ადგილობრივი ზემოქმედებისათვის გამოიყენება ანტიცელულიტური კრემები და გელები. კრემების აქტიური კომპონენტები სხვადასხვაგვარად ებრძვის ცელულიტს. მაგალითად, დიგლუკოზანი და რუტინი ხელს უშლის გლუკოზის შეღწევას ცხიმოვან უჯრედებში, ქსანტინი კი შლის ცხიმოვან ნაერთებს.

ანტიცელულიტური საშუალებების შემადგენლობაში, როგორც წესი, შედის წყალმცენარეები, ციტრუსოვანი ზეთები, ნატურალური ექსტრაქტები.

ვარჯიში

ცხიმგროვები გაზარმაცებული კუნთების ადგილას წარმოიქმნება. ამიტომ ნუ დაგეზარებათ, გამოიყენეთ დრო და სისტემატურად ივარჯიშეთ. გააქტიურეთ თეძოსა და ბარძაყის კუნთები.

ცელულიტის დროს ეფექტურია ცურვა, აერობიკა, სიარული, ხტუნვა.

სამკურნალო აბაზანები

არომატული ზეთებითა და ზღვის მარილით შეზავებული აბაზანები ცელულიტის საწინააღმდეგო შესანიშნავი საშუალებაა. 6-8 წვეთი ღვიის, გრეიპფრუტის, როზმარინის ან ლავანდის ზეთი გახსენით ემულგატორში (რძეში, ნაღებში, თხევად საპონში) და წყლით სავსე აბაზანაში ჩაასხით. ჯაგრისით ან უხეში ღრუბლით წყალშივე დაიზილეთ ცელულიტიანი უბნები.

ლიპოსაქცია

ცელულიტთან ბრძოლის პოპულარული გზაა ლიპოსაქცია – დაგროვილი ორგანული ცხიმის მოცილების ქირურგიული მეთოდი. ის შეიძლება განხორციელდეს ადამიანის სხეულის ყველა ნაწილზე: თეძოებზე, მუცელზე, სარძევე ჯირკვლებზე, მუხლებზე, სახეზე, ღაბაბზე და კისერზე. თუმცა უნდა ვიცოდეთ, რომ ლიპოსაქცია არ არის სიმსუქნის მკურნალობის მეთოდი.

ლიპოსაქციის დადებითი მხარე ისაა, რომ იგი ნაკლებტრავმულია, ოპერაციის შემდეგ არ წარმოიქმნება ნაწიბურები, უხეში დეფორმაცია. გარდა ამისა, გათავისუფლებულ უბნებში არ ხდება ცხიმის ხელახალი ჩალაგება – მის ადგილს შემაერთებელი ქსოვილი იკავებს. ■

წარმატებით ვმკურნალობთ ეთერზეთოვანი სამკურნალო მცენარეებით:

ტუბერკულოზს ბავშვებსა და დიდებში; ვწმენდთ ორგანიზმს მავნე ნივთიერებებისაგან; ენდოკრინოლოგიურ დაავადებებს; ასევე სანაღვლე გზების ანთებებს; თირკმელ-კენჭოვან და წყლულოვან დაავადებებს; ოსტეოქონდროზს, რადიკულიტს, რევმატიულ დაავადებებს; ვარჩენთ თმის ბუდობრივ ცვენას, რის შემდეგაც ამოდის თმა; ვარჩენთ ჰაიმორიტს, ფრონტიტს, რინიტს.

რეგისტრაციის № R-0000017

☎ 52-95-32; 899-54-53-88
893-39-65-21

ჯენტლმენური აღკვეთილობის ორსწრაფული ჯანმრთელობისაკენ

მცდარი არჩევანი

მეცხრამეტე საუკუნის თვალსაჩინო გერმანელ მოქანდაკეს იოჰან გოტფრიდ შადოვს მრავალი შეგირდი ჰყავდა. მათ შორის ზოგი ძალზე ნიჭიერი იყო, ზოგს კი, ნიჭის ნამატალიც არ გააჩნდა.

ერთ დღეს არცთუ ისე ნიჭიერმა შეგირდმა ოსტატს თავისი ნამუშევარი (ოჯახის ქანდაკება) უჩვენა, მაგრამ გამოსახულებები ადამიანებს არ ჰგავდა. დიდმა მოქანდაკემ დიდხანს ათვალიერა თავისი შეგირდის ნამუშევარი და მერე ჰკითხა:

— მითხარით ერთი, პატივცემულო, ეს მართლა თქვენ თვითონ გამოაქანდაკეთ?

— რა თქმა უნდა, ბატონო პროფესორო, თანაც მთლად მარტომ! — მიუგო ამაყად ახალგაზრდამ.

— მართლა?! მაშინ თავისუფლად შეგიძლიათ... მექოთნე გამოხვიდეთ.

უარყოფა

გერმანელ მხატვარ მორიც შვინდს, რომელიც განსაკუთრებით იმით არის ცნობილი, რომ ზღაპრებისა და თქმულებების მიხედვით საინტერესო სურათების სერია შექმნა, სეირნობის დროს ერთი უმნიშვნელო, მაგრამ დიდად პატივმოყვარე მხატვარი შეხვდა.

— გამარჯობათ, ბატონო კოლეგავ! — მიესალმა იგი.

— კოლეგაო? — მიუგო შვინდმა, — განა თქვენც კუჭის ძმარვას უჩივით?

დაბნევა

კომპოზიტორი იოჰანეს ბრამსი კაფეში შევიდა, თავისუფალ მაგიდასთან დაჯდა და ფინჯანი ყავა შეუკვეთა. ერთი ახალგაზრდა მივიდა და კომპოზიტორს თავაზიანად მიმართა:

— უკაცრავად, ბატონო, მაგრამ თქვენ ჩემს შლაპაზე ზიხართ.

— ჰო, რა? უკვე მიბრძანდებით? — მიუგო მან დაბნევით.

მეგობრული დახმარება

ერთ დღეს მორიც შვინდი თავის მეგობარ ფრანც შუბერტს ეწვია. ხელმოკლე „სიმღერების მეფეს“ სანოტო ქაღალდი გამოლეოდა და ახლის საყიდელი ფული არ ჰქონდა. შვინდი მაგიდას მიუჯდა და ხაზვას შეუდგა. სანოტო ხაზებით ფურცელს ფურცელზე ავსებდა, რომ კომპოზიტორისათვის რამდენიმე დღის მარაგი მაინც დაეგროვებინა.

მრავალი წლის შემდეგ, მორიცს რომ ჰკითხეს, — ყველაზე მნიშვნელოვნად რომელ ნახატებს მიიჩნევთო? — მან უპასუხა:

— შუბერტისათვის დამზადებულ სანოტო ხაზებს.

ანეკდოტები

***

ნარკომანი ბაღში სკამზე ზის. ხედავს ბრმა მოხუცი ჯოხის კაკუნით მოდის. წინ კანალიზაციის თავახდილი კოლექტორია.

— ბაბუ... ბაბუ... იცი რა... აი, „იმენნა“... შენ წინ, ტოოო... ვაიმე, ბაბუ... სადა ხარ, ტო?

***

— არის ალბათობა, რომ მესტიაში დინოზავრს შეხვდე? — ეკითხება სვანს მათემატიკის გამოცდაზე ლექტორი.

— არის.

— რამდენი პროცენტი?

— 50.

— როგორ?

— ან შეხვდები, ან — არა.

***

— ჩემი ნაცნობების ნახევარი აღარც კი მესალმება.

— დანარჩენები?

— დანარჩენებს ჯერ არ გაუგიათ, თანამდებობიდან რომ მომხსნეს.

***

დიალოგი:

— ვაა, ცოცხალი ხარ?.. აბა, გარდაიცვალაო?..

— ჰო, ჭორი გაავრცელეს, ვითომ მოვკვდი. მერე კი გაირკვა, რომ სხვას გულისხმობდნენ. თუმცა, მე მაშინვე მივხვდი, რომ მითქმა-მოთქმა მე არ მეხებოდა.

***

— ორჯერ ვიქორწინე, მაგრამ ორჯერვე დავზარალდი.

— როგორ?

— პირველი გამექცა...

— მეორე?

— მეორე არა!

***

— რწყილების საწინააღმდეგო საშუალება გაქვთ?

— დიახ.

— ლამაზად შემიფუთეთ, საჩუქრად მინდა.

***

გურულს ბავშვი დაუტოვეს, რომელიც არაფერს უჯერებს:

— მამა, მეხუთე სართულიდან რომ გადავხტე, შეიძლება?

— ჯანდაბას... გადახტი, ოღონდ, მერე იმეცადინე.

***

ძალიან მთვრალ შალიკიას სატრფო ეკეკლუცება:

— სახლში ვერ გამაცილებ, შალიკია?

— კიიი... ოღ... ოღონდ... თვალებით... ამ... ამჯერად.

***

თავაზიანი მოლარე მყიდველს მიმართავს:

— ...ხურდა არც მე მაქვს... თუ გნებავთ, ფული ხვალ მომიტანეთ... არაფერი დაშავდება.

— კი, მაგრამ... მე რომ ამაღამ მოვკვდე? — აზუსტებს მყიდველი.

— არა უშავს... არც მაგით დაშავდება რამე, — ამშვიდებს მოლარე.

კვირის (3-9 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: უპასუხისმგებლობასა და თავდაჯერებულობას გამოიჩენენ ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ საქმის შემსრულებლის როლი ეკისრებოდათ. ეცდებით, ადამიანებთან ურთიერთგაგებას მიაღწიოთ, მაგრამ ამას თქვენივე გაუბედაობა შეუშლის ხელს. ამიტომ ჯობს, მეტი პირდაპირობა გამოიჩინოთ.

მამაკაცი: შეიძლება, თქვენ გვერდით მყოფი ადამიანის მიზეზით გამოწვეულ კონფლიქტში ამოყოთ თავი. მაქსიმალურად ეცადეთ, თავი აარიდოთ ამ გაუგებრობას.

ხარი – 21/IV-21/V

ქალი: ამ კვირაში, ზოგიერთ მნიშვნელოვან მატერიალურ პრობლემას გადაწყვეტთ. შეიტყობთ ახალ ამბავს, რომელიც ძალზე გაგახარებთ.

მამაკაცი: შესაძლოა, პარტნიორთა ზედმეტად თავდაჯერებულმა ქცევამ ან ადრე მიღწეული შეთანხმების დარღვევამ იმედები გაგიცრუოთ, მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ. მთავარია, ვალში არ ჩავარდეთ.

მარჩხი – 22/V-21/VI

ქალი: ავანტიურისტულად განწყობილ ფინანსურ პარტნიორებთან საკუთარი ინტერესების დაცვა მოგიწევთ. ნუ გარისკავთ – შესაძლოა, სერიოზულ სკანდალშიც გაეხვიოთ.

მამაკაცი: უთანხმოება გელით იმ ადამიანებთან ურთიერთობისას, რომლებიც სისტემატურად გიზიარებდნენ თავიანთ რჩევებს ან ცდილობდნენ, გავლენა მოახდინათ თქვენზე. ნებისმიერ შემთხვევაში, სიფრთხილე გმართებთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: პატივმოყვარე ადამიანებთან ურთიერთობის გარკვევა მოგიწევთ. ეცადეთ, დაარწმუნოთ ისინი, რომ თქვენი გაღიზიანება და წონასწორობიდან გამოყვანა არც ისე იოლია. ამ კვირაში, დამატებითი შემოსავალი გექნებათ.

მამაკაცი: შესაძლოა, ფინანსური პრობლემები გაგიჩნდეთ და ამის გამო, გარშემომყოფებთან ურთიერთობა გაგიუარესდეთ. თუ სწორ ნაბიჯს გადადგამთ, მეგობრების მხარდაჭერის იმედიც შეიძლება გქონდეთ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: ამ კვირაში, კარგად აეწყობა თქვენი ურთიერთობა პარტნიორებთან. ისინი თქვენ მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს ადეკვატურად უპასუხებენ. უქმეებში, ოჯახურ ატმოსფეროში დასვენებას გირჩევთ.

მამაკაცი: სამსახურში დაძაბული საუბარი გელით. ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინეთ, რადგან თქვენ მიმართ გამოთქმულმა მოთხოვნებმა შესაძლოა, ძალზე გაგამწაროთ. თუ გონიერებას გამოიჩენთ, კომპრომისის გამოძებნაც არ გაგიჭირდებათ.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: ამ კვირაში აშკარად იგრძნობთ თქვენთვის ძვირფასი ადამიანების მხარდაჭერას. შესაძლოა, ფინანსურ ან ზნეობრივ საკითხებთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვიოთ, მატერიალური ზარალისთვისაც მზად უნდა იყოთ. წარმატებას მხოლოდ გაბედული მოქმედება მოგიტანთ.

მამაკაცი: ამ კვირაში, ბევრი ადამიანის უპასუხისმგებლო ნაბიჯის მომსწრე გახდებით – როგორც საქმიანობაში, ასევე პირად ურთიერთობებში. გირჩევთ, ფილოსოფიურად მიუდგეთ ცხოვრებას...

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: შესაძლოა, მოგვიდეთ კონფლიქტი საყვარელ ადამიანთან. ეცადეთ, თვითკრიტიკული იყოთ. ამ კვირაში, ნურც ისესხებთ და ნურც გაასესხებთ ფულს. ისიც კარგად აწონ-დაწონეთ, ღირს თუ არა რაიმის შეძენა.

მამაკაცი: გამორიცხული არ არის, რომ თავის დაცვა მოგიხდეთ. ბევრ უსიამოვნო ჭორს გაგივრცელებენ, რაც გულს გატკენთ, სამაგიეროდ, ეს დაგეხმარებათ იმაში, რომ გაარკვიოთ, თუ ვინ მტერია და ვინ – მოყვარე.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: სამეგობრო წრეში ახალი სახეების შემოყვანა არ გაწყენდათ. გასართობად თუ მიგიწვევენ, უარით ნუ უპასუხებთ. შესაძლოა, მოულოდნელმა შეხვედრამ კარდინალურად შეცვალოს თქვენი ცხოვრება.

მამაკაცი: მხიარულ წვეულებაზეც კი, გული შინისკენ მიგიწევთ. ნუ შეეწინააღმდეგებით ამ განწყობას. ამ კვირაში, კომფორტულად მხოლოდ ახლობლების გვერდით იგრძნობთ თავს.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: ძალზე სერიოზული იქნებით, რამაც შესაძლოა, გარკვეული პრობლემები შეგიქმნათ – როგორც კოლეგებთან, ისე მეგობრებთან ურთიერთობისას. სამაგიეროდ, წარმატებას მიაღწევთ საქმიანობაში. ფრთხილად იყავით, საქმემ საყვარელი ადამიანი არ დაგავიწყოთ.

მამაკაცი: საუცხოოდ ართმევთ თავს, როგორც კომერციული, ასევე შემოქმედებითი ამოცანების გადაჭრას. წარმატებას მიაღწევთ ნებისმიერ სფეროში, რომელსაც ხელს მოჰკიდებთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: მშვიდი დღეები გელით. ახლა შეგიძლიათ, სრულიად უპრობლემოდ გადაჭრათ თქვენ წინაშე ასებული ნებისმიერი პრობლემა. გამოიჩინეთ თქვენთვის ჩვეული გულისხმიერება გარშემომყოფთა სატკივრის მიმართ.

მამაკაცი: სასიამოვნო, რომანტიკული კვირა გელით. სამსახურშიც, სიამოვნებას მოგანიჭებთ თანამშრომლებთან ურთიერთობა. თავისუფალი დრო კი, იმ ადამიანებთან ერთად გაატარეთ, რომლებთანაც ტკბილი მოგონებები გაკავშირებთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: ამ კვირაში, ლოგიკური აზროვნების საუცხოო უნარს გამოამჟღავნებთ. ყველაზე ჩახლართულ პრობლემებსა და ურთულეს თავსატეხსაც კი გაუმკლავდებით.

მამაკაცი: გონება დაასვენეთ და გულისთქმას მიენდეთ. ბედი რომანტიკულ სასიყვარულო თავგადასავალს გიმზადებთ. კარგი იქნება, თუ ინიციატივას საკუთარ თავზე აიღებთ.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: ამ კვირაში სასურველია, დიდი ხნის უნახავი მეგობრები და ახლობლები მოინახულოთ. ამ დღეებში, ინტელექტუალური შესაძლებლობები დაქვეითებული გაქვთ. ამიტომ მხოლოდ იმ საქმიანობას მიჰყავით ხელი, რომელიც დიდი ცოდნის გამოვლენას არ საჭიროებს.

მამაკაცი: ახლა მხოლოდ სიყვარულზე ფიქრობთ. ეცადეთ, ამან თქვენს საქმიანობას არ ავნოს. თუ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდით, გადაწყვეტილების მიღებისას ახლობლების რჩევა მოიშველიეთ.

ქართველი პოეტი და საზოგად. მოღვაწე	მიქელან-ჯელოს გვარი	ბ	ა	ა	ქალაქი ავსტრა-ლიაში	ა
„შემოდგო-მის მარ-თინ“ (რუ-სი მსტრბი)	გ	უ	ნ	დ	ა	რ
ე	რ	ო	ტ	ე	დიდი თუთიყუში ბუგატის სახელი	ა
თმის ბუნე-ბრივი საღებავი	ი	ნ	ი	ლ	ო	ნ
ი	შ	ა	პ	ა	კვირიკაძის ფილმი „ქალაქი ...“	ა
ნ	ა	რ	მცენარე მედიცინაში პარფუმ და კულინარიაში	ი	ფართო, გადახს-ნილი საყელო	ვ
ა	შ	ო	რ	დ	ე	ტ
ელ. სიმძლავრის (ამრეია-ტურა)	ვ	ტ	ალამი	ა	კაფსული, ამნთები აფეთქებ-ისათვის	ო
გერმანიის ყოფილი კანცლერი ... ბრანდტი	ი	ი	კ	ბილიარ-დის სათამაშო ჯოხი	ა	ს
„....-ბენკი“	ლ	სიგრძის ძველებ. ფრანგული ერთეული	რ	„ჩელსის“ არგენტინ. თავდამ-სხმელი	ჟოჟედუბი, როგორც საჰაერო ბრძოლის ოსტატი	ტ
ე	ი	ლ	ე	პ	ნ	ო
ნ	პერუს დედა-ქალაქი	ი	ს	ლ	უ	პ
კ	ა	მ	პ	ა	ნ	ი
ი	ხომალდის განუწყვეტ-ელი ცურვის პერიოდი	ა	ო	ბ	ტროპიკუ-ლი მახრჩო-ბელა	შეადგინა რამაზ ალანიამ

კაკლის ხის ნაყოფი	ქნარი	ლ	ა	ჩანთოსანი დათვი	ა	თავადზე დაბლა მდგომი
	ნ	ი	გ	ო	ზ	ი
ვ	ა	რ	ი	ა	ნ	ი
გოგებ-შვილის მშობლიური სოფელი	მ	ა	რ	ლ	ა	ცხენის კუდი
ქართველი მომღერა-ლი ... მამალაძე	დ	ბამბის წმინდა ბადურა ქსოვილი	ლატვიის დედა-ქალაქი	ა	უ	ძ
ე	ვ	ა	პატარა ტყე მინდო-რში	სამე-ჯლისო ცეკვა	რ	მჭევრ-მეტყვე-ლება
ა	კ	ი	რ	ო	ტ	ი	რ
ნ	ა	ლ	ცხვრის მატყლის ცხიმი	ლ	ა	მოკრი-ვეთა საასპა-რეზო	ი
ა	ტ	ი	ტ	ე	ნ	ო	ნ
სოკოს ქსელი პროდუ-ქტზე	ო	ნ	ა	ტ	ო	რ	ი
ბ	იაპონ. ცეკვ. იარაღი	კაფსული, ამნთები აფეთქებ-ისათვის	ალამი	ა	ბილიარ-დის სათამაშო ჯოხი	ი	ი	ელ. სიმძლავრის (ამრეია-ტურა)
ი	ს	ა	ბ	ი	ბ	ა	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ا	ا	ا

მებადურებმა მანგოსფერი ზვიგენი აღმოაჩინეს!

სიდნეის ცნობილ ოკეანარიუმში უჩვეულო ზვიგენი გამოჩნდა. საქმე ისაა, რომ მისი კანი მოყვითალო ფერისაა. სწორედ ამის გამო შეარქვეს მანგო. მეცნიერები ამბობენ, რომ მისი უცნაური შეფერილობა იშვიათი გენური მუტაციის შედეგია. ისინი ვარაუდობენ, რომ ზვიგენი ალბინოსთა ერთ-ერთ სახეობას მიეკუთვნება. იმის შანსი, რომ ასეთ სასწაულს სადმე შეხვდეთ – მილიონში ერთი ყოფი-

ლა. მანგო, რომელიც მდინარის დინებას მიჰყვებოდა, ბადეში გაეხვა და მეთევზეებმაც ის დაჭერისთანავე, ოკეანარიუმს გადასცეს. რა თქმა უნდა, ცხოველთა დაცვის საზოგადოების წარმომადგენლებმა ეს ფაქტი გააპროტესტეს. ამის საპასუხოდ კი, ოკეანარიუმის ერთ-ერთმა თანამშრომელმა განაცხადა, რომ აუზი, სადაც ზვიგენი ამჟამად იმყოფება, მისი ყოფისთვის იდეალური ადგილია, რადგან ღია ფერის გამო, მას ძალზე მცირე შანსი აქვს, ზღვაში უფრო დიდ მტაცებლებს დაემალოს და მათგან თავი დაიცვას. ამჟამად ვეტერინარები ზვიგენს შოკიდან გამოსვლაში ეხმარებიან. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მომავალში, მანგოს შთამომავლობაც ეყოლება.

ბანანებითა და სამოსით „ნაშობი" ხელოვნება

ფოტოზე აღბეჭდილი ბანანები მხოლოდ ხილი როდია – ეს ხელოვნების ნიმუშია. მისი ავტორი, ბრაზილიელი მხატვარი ტონიკო ლემოს აუადი ერთ-ერთია იმ უამრავ ახალგაზრდა შემოქმედს შორის, რომელიც თანამედროვე ხელოვნების ბრიტანული ინსტიტუტის მიერ დაწესებულ პრემიაზე – **Beks Futures Prize** – აცხადებს პრეტენზიას. აუადს აქვს შანსი, ამ ბანანებისთვის 24.000 გირვანქა სტერლინგი მიიღოს. მაგრამ არანაკლებ ისწრაფვიან გამარჯვებისკენ მისი კონკურენტებიც – მაგალითად, ჰოლანდიელი ქალი ნიკოლინ ვან ჰარსკამპი, რომელმაც მამაკაცების დიდი ჯგუფი ბრიტანული სპეცსამსახურების სამოსში გამოაწყო და საგანგებო აღლუმი გამართა; ან ირლანდიელი სიუზან ფილიპსი, რომელიც იმედოვნებს, რომ სანუკვარი ჯილდოს მისაღებად ეროვნული სიმღერის შესრულებაც შეიძლება, საკმარისი გახდეს.

ზიმზილობის ხეკოხდი

ბალახეულით მკურნალი ჩინელი ჩენ ცზიამინი აპირებს, გააუმჯობესოს ამერიკელი ილუზიონისტის დევიდ ბლეინის რეკორდი, რომელმაც საკვების გარეშე 44 დღე გაძლო; ჩინელი შეეცდება, საკვების გარეშე 49 დღე გაატაროს. „ვისუნთქებ აზოტით, რომელიც ჰაერში საკმარისი რაოდენობითაა და ამგვარად მივიღებ ენერგიას, რომელიც სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში დამეხმარება", – განაცხადა ხალხურ მედიცინაში განსწავლულმა ჩენმა. მეცნიერები მის გადაწყვეტილებას სკეპტიკურად უყურებენ. ბლეინისგან განსხვავებით, ჩინელმა საშიმშილოდ, შესაშურად კომფორტული გარემო შეიქმნა: თხუთმეტი მეტრის სიმაღლეზე მოიწყო ბინა, სადაც რბილი საწოლი, სკამი, მაგიდა, ვენტილატორი და წიგნებია. უფრო მეტიც – იმისათვის, რომ ნებაყოფლობითი 49-დღიანი შიმშილობის განმავლობაში კლიენტები არ დაკარგოს, ჩენმა გადაწყვიტა, დაედგა ტელეფონი, რომლის საშუალებითაც კონსულტაციებს გაუწევს პაციენტებს. რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს ეს გაბედული ექსპერიმენტი, თვით მისი წამოწყების გახმაურებამ მკურნალს უკვე გაუთქვა სახელი.

მზგიდობით, კოხიდა!

ესპანეთის ქალაქ ბარსელონის მუნიციპალიტეტმა კორიდის აკრძალვის გადაწყვეტილება მიიღო. ტრადიციული ესპანური სანახაობის აღკვეთის მოთხოვნით კარგა ხანია, გამოდიან ცხოველთა დამცველები: ბარსელონის არენაზე ხომ წელიწადში 100-მდე ხარი იღუპება. კორიდის საწინააღმდეგო მოძრაობამ ბარსელონისა და მთელი კატალონიის მოქალაქეებიც მოიცვა: ესპანეთის სხვა პროვინციებისგან განსხვავებით, კატალონიაში კორიდა ნაკლები პოპულარობით სარგებლობს და ძირითადად, იქ ჩასულ ტურისტებს იზიდავს. როგორც უკვე აღინიშნა, ესპანეთის დანარჩენ ტერიტორიაზე ხართან ბრძოლის აკრძალვაზე ჯერ არაფერი ისმის. საინტერესოა, რომ უახლეს ისტორიას ამგვარი აკრძალვის 2 შემთხვევა ახსოვს, რომელიც შემდგომ, უშედეგო აღმოჩნდა...

განსაზღვრეთ საკუთარი აგრესიულობის ხარისხი

1) როგორი რეაქცია გაქვთ, როცა გულს გტკენენ?

ა) თქვენ ეს ნაკლებად გაღელვებთ, ამიტომ ამაზე რეაქცია არ გაქვთ;

ბ) მაშინვე კონტრშეტევაზე გადადიხართ;

გ) მართალია, თქვენთვის ეს სულერთია, მაგრამ საპასუხო მოქმედებას მაინც თავს არიდებთ.

2) როგორ იქცევით საავტომობილო საცობში მოხვედრისას?

ა) იწყებთ სხვა მძღოლების ლანძღვას. ამის შედეგად, გულზე ცოტა მოგეშვებათ ხოლმე;

ბ) სასოწარკვეთილებაში ვარდებით, მანქანის მიტოვებისა და გზის ფეხით გაგრძელების სურვილი გიჩნდებათ;

გ) თქვენ ეს გაღიზიანებთ.

3) ხდება თუ არა თქვენს ოჯახში ჩხუბი?

ა) იშვიათად, მაგრამ როცა ხდება, ამას სკანდალი არ მოჰყვება ხოლმე;

ბ) საშინელი სცენები იმართება, კარის გაჯახუნებითა და სასტიკი ბრალდებებით;

გ) ჩხუბის შედეგად ჩვენი დამოკიდებულება კარგა ხნით იცვლება ხოლმე.

4) როგორ იქცევით მეგობრების კომპანიაში წარმოქმნილი კამათისას?

ა) საკუთარი აზრის გამოთქმის სურვილი გაქვთ, მაგრამ გრცხვენიათ და გაჩუმებას ამჯობინებთ, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ მიღებულ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებით;

ბ) როცა ამის შესაძლებლობა გაქვთ, კამათს ყოველთვის თავს არიდებთ;

გ) გამოთქვამთ საკუთარ აზრს, იშველიებთ არგუმენტებს და თქვენი მოსაზრების დასამტკიცებლად ხმის აწევასაც არ ერიდებით.

5) რა შეგიძლიათ თქვათ საკუთარ ხასიათზე?

ა) თქვენ მშვიდი და სასიამოვნო ადამიანი ხართ;

ბ) თქვენ პრინციპული და მომთხოვნი ადამიანი ხართ;

გ) თქვენ გულღია ადამიანი ხართ.

6) როგორ გიჭირავთ თავი მრისხანების ჟამს?

ა) იშვიათად ბრაზდებით, მაგრამ მაშინაც სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობთ;

ბ) ყველაფერზე წახვალთ – არც სიტყვიერ შეურაცხყოფაზე დაიხევთ უკან და არც ფიზიკურზე;

გ) იმ კატეგორიას მიეკუთვნებით, ვინც მხოლოდ „ორთქლის გამოშვებით“ კმაყოფილდება, ამაზე შორს კი არ მიდის.

7) როგორ იქცევით, როცა ვინმე შეცდომას უშვებს, ეს კი თქვენც გეხებათ?

ა) შეცდომის დაშვებისთვის გამოთათხავთ მას და გამოუცხადებთ, რომ თავისი გაფუჭებული საქმე თავადვე მოაგვაროს;

ბ) მისი შეცდომის გამოსწორებას ხმის ამოუღებლად შეეცდებით;

გ) მომხდარს დამნაშავესთან ერთად განიხილავთ, გაარკვევთ შეცდომის მიზეზს და მასთან ერთად ეცდებით მის გამოსწორებას.

დაჯამეთ ქულები

ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით გაარკვიეთ, რომელი მთავრული ასო ჭარბობს თქვენს პასუხებში და ამით საკუთარი აგრესიულობის ხარისხსაც გაარკვევთ.

	1	2	3	4	5	6	7
ა	B	A	B	C	B	B	A
ბ	A	C	A	B	A	A	C
გ	C	B	C	A	C	C	B

ტესტის პასუხები

თქვენს პასუხებში ჭარბობს A: თქვენ სიტყვიერი და ფიზიკური აგრესიის გამოვლინებისკენ ხართ მიდრეკილი. თქვენნაირი ადამიანები მრისხანების ჟამს მაგიდაზე მუშტებს აბრახუნებენ, ისვრიან ნივთებს, იჯახუნებენ კარს და არც ხელჩართულ ჩხუბზე ამბობენ უარს; წონასწორობის დაკარგვის დროს, საკუთარი ლექსიკის კონტროლის უნარსაც კარგავენ. თუკი ამ კატეგორიას განეკუთვნებით, გარწმუნებთ, საამაყო არაფერი გაქვთ.

თქვენს პასუხებში ჭარბობს B: აგრესიულობის გამოვლინებისაგან შორს ხართ. როცა ძალიან ბრაზობთ, მაშინაც კი შეგიძლიათ თავის შეკავება. თქვენთან ერთი შენიშვნა გვაქვს და კარგს იზამთ, თუ გაითვალისწინებთ: ამგვარი ქმედებაც უკიდურესობაა. შესაძლოა, თქვენი ასეთი ქცევის გამო ირგვლივმყოფებმა უნდილ და სუსტი ნებისყოფის ადამიანად მიგიჩნიონ, რომელსაც თავის დაცვაც კი არ ძალუძს.

თქვენს პასუხებში ჭარბობს C: აგრესიულობის გარკვეული მუსტი ნამდვილად გაქვთ. მართალია, მის გაკონტროლებას ცდილობთ, მაგრამ ზოგჯერ, როცა ეს ყველაზე ნაკლებად გსურთ, წონასწორობას კარგავთ და ფეთქდებით. გირჩევთ, ყურადღებით იყოთ: შესაძლოა, თქვენი აგრესიულობის მსხვერპლად ის ადამიანები იქცნენ, რომლებიც ამას ყველაზე ნაკლებად იმსახურებენ.

პატიმრები საუკეთესო მზარეულები არიან

რეცეპტების კრებული, რომელიც საუკეთესო მზარეულების – ფრანგული ციხეების მკვიდრთა შედგენილია, საფრანგეთში სულ ცოტა ხნის წინ გამოვიდა. წიგნის გარეკანს ბორკილებდადებული პატიმრის ფოტოსურათი ამშვენებს.

წიგნში შესულია 100 მარტივი რეცეპტი, რომელიც ადგილობრივმა პატიმრებმა შექმნეს. მათ მიერ შემოთავაზებული კერძების მოსამზადებლად საკმაოდ ხელმისაწვდომი და იაფფასიანი ინგრედიენტები იქნება საჭირო.

საფრანგეთის 165 ციხიდან შეგროვილი 600 ცალი რეცეპტის თითოეულმა ავტორმა მონაწილეობა მიიღო კონკურსში, რომლის ჟიურის ხელმძღვანელი გახლდათ ელზასის ერთ-ერთი რესტორნის მფლობელი, ცნობილი მზარეული – მარკ ებერლინი. კონკურსის გამარჯვებულს, ავტორს რეცეპტისა – „ზღვის კაპარჭინა სოკოთი“ – ტელევიზორი ერგო.

მარკ ებერლინი აღფრთოვანებული დარჩა პატიმრების კულინარიული ნიჭით. „ისინი კერძის მომზადების ისეთ ტექნიკას იყენებენ, რომელსაც მე აბსოლუტურად ვერ ვფლობ. ციხეში ხომ არც ჰაერღუმელია და არც მაცივარი...“, – აღნიშნა მან.

როგორც წიგნის ავტორი – ერთ-ერთი ციხის სამედიცინო განყოფილების გამგე, კლოდ დერიუსენტი ამბობს, ჭამის დროს მსჯავრდებულებს ერთმანეთთან საუბრის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალება ეძლევათ. „სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ პატიმრები ასე სერიოზულად უდგებიან კერძების მომზადების საკითხს“, – დასძინა მან.

■

„ROLLING STONES“ მოპარული გიტარა დაუბრუნეს

ბას-გიტარა, რომელიც ჯგუფ „როლინგ-სტოუნზის“ პოპულარულ გიტარისტ ბილ უაიმენს 38 წლის წინ მოჰპარეს, ბოლოს და ბოლოს, პატრონს დაუბრუნდა. როგორც აღმოჩნდა, 15 წლის მანძილზე, ინსტრუმენტი თურმე ახალზელანდიელი მუსიკოსის – ნიკ სკიტსის საძინებელში, კედელზე ეკიდა. სკიტსისთვის გიტარა ვალის სანაცვლოდ მიუტანიათ.

ბას-გიტარა უაიმენს 1966 წელს მოჰპარეს, როცა ჯგუფი „როლინგ სტოუნზი“ ახალ ზელანდიაში, ქალაქ ველინგტონში კონცერტს ატარებდა. სკიტსს თავიდან აზრადაც არ მოსდიოდა, თუ როგორ უნიკალურ ინსტრუმენტთან ჰქონდა საქმე, მაგრამ ერთხელ, ბილ უაიმენის გიტარასთან შემთხვევით აღმოჩენილმა მსგავსებამ დააეჭვა და გიტარისტს წერილი გაუგზავნა. მალე უაიმენისგან პასუხი მიიღო, სადაც მუსიკოსი ადასტურებდა, რომ გიტარა ნამდვილად მისია. მართალია, გიტარა დიდი ხანია დამეკარგა, მაგრამ არ დამვიწყნიაო, – სწერდა ბილი.

შედეგად სკიტსმა გიტარა პატრონს სრულიად უანგაროდ, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე დაუბრუნა.

■

გერმანელებმა მსოფლიოში უდიდესი ავტომობილი შექმნეს

მძიმე საგზაო ტექნიკის მსოფლიო სპეციალისტმა, გერმანულმა კომპანია Liebherr-მა, მიუნხენში გამართულ გამოფენაზე მსოფლიოში ყველაზე დიდი ავტომობილი წარადგინა.

თოთხმეტმეტრიანი კარიერული თვითმცლელი Liebherr T282 222 ტონას იწონის. მისი ძარის მეშვეობით თავისუფლად შესაძლებელია დიდი სააგარაკო სახლის გადატანა. Liebherr-ს თავისზე თითქმის ორჯერ მძიმე ტვირთის ზიდვა შეუძლია. მისი ტვირთამწეობა 360 ტონას უდრის.

ამ გიგანტურ წონას რომ გაუძლოს, ავტომობილის თითო ღერძზე ორის ნაცვლად სამი, 3,5 მ სიმაღლის საბურავია. თვითმცლელის საერთო სიმაღლე დაახლოებით 7 მ-ის ტოლია. ასე რომ, კაბინაში ასასვლელად მძღოლს 16-საფეხურიანი კიბის ავლა მოუწევს.

T282B არა მარტო ყველაზე დიდი, არამედ ყველაზე მძლავრი ავტომობილია მსოფლიოში. მას 20-ცილინდრიანი, 3650 ცხ.ძ-იანი ძრავა აქვს. მანქანა 2,5 მლნ ევრო ეღირება. T282B მხოლოდ ერთი პარამეტრით ჩამორჩება სხვა, ჩვეულებრივ სატვირთო ავტომობილებს: მისი მაქსიმალური სიჩქარე 64 კმ/სთ-ა.

ადგილობრივმა პრესამ თვითმცლელის პრემიერა „მსოფლიოს მერვე საოცრებად“ მონათლა.

■

ფოტოკუიროზები



656/18

№9(69) 29.IV-12.V 2004

ოჯახის მეუღლეები

ფასი 70 თეთრი

სამედიცინო ჟურნალი

ეპილეფსია

გინეკომასტია

ცოცვა სასარგებლოა

ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კუზი

მთავარი თემა
თავის ტვინის დაავადებები

მინერალური წყალი და ჯანმრთელობა

გლომერულონეფრიტი

თქვენი და

თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის